

375/3



ბუნებისმეტყველება

10

1975



ქართული

ქართველთა შიშველი ლიტერატურული-მხატვრული
და საზოგადოებრივი-კულტურული უწყისი

წელიწადი 51-ე.

№ 10.

ოქტომბერი, 1975 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

უ ი ნ ა ა რ ს ი

მთარ ჩიჯაშაძე — როცა შარშავანები ჰიზის. რომანი. ვაგრძელება	3
ვიორგი კახაიძე — ლექსები	56
თეიმურაზ ჯანუღლაშვილი — ლექსები	59
ნუზარ წიკითელი — ლექსები	61
მიხეილ შიქაძე — იულა. მოთხრობა	66
ვახტანგ ძნელაძე — ლექსები	79
ნიკოლოზ გაბაშვილი — აივანიანი ჯალაღი. რომანი. წიგნი I	81
მედი ზაღანი — ალაშინის ტრაგედია. პიესა. თარგმანი ნ. გურუშვილისა	100

სტოვრებისეულ კრებლებზე

არსენ ჯანუღლაშვილი — კარგი დასაწყისი	117
--	-----

100 კვებითი ისაკიანი 100

ქარაიზ აბოშანიანი — სანამ დაზღვავდა არწივისებურ თვალღს	129
--	-----

კრიტიკა და კუბლიცისტობა

ანდრო შიტიანი — ატყალური თემა, სინტაქსო გვირგვინი	143
დავით ჩხიკვიანი — „ლალატი“	149
თინათინ ლომიანი — ჩიკაძის ასული — კომეტის შთაგონება	169

შეკრები, მომთხრობანი

ნიკო ტაბიძე — ბიძიანი და მისი შემოხრობი. ვაგრძელება	183
---	-----

ქ. შიშველი სს. მე. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკის წარმომადგენელი

საკადასტრო კოლექცია:

ი. აბაშიძე, რ. აბაშუაძე (პ/მგ მღვინი), ხ. ბერუაძე, თ. გიგინეიშვილი, გ. ლევა-
ნიძე, ლ. მგელაშვილი, ვ. ძლანდი, ა. სულაბაძე, ა. ქუთათელი, ხ. შანშიაშვილი,
დ. შანგიანი, გ. წულუაძე, ვ. წულუაძე, თ. შილაძე, ვ. ხარანაული, რ. ჯაფარი-
ძე, ვ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაპვეტი

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბიბლიოთეკის რედაქტორის — 98-55-11.
პ/მგ. მღვინის — 98-55-12, განყოფილებე-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გაფიცვა ასაწოდებლად 26/VIII-75 წ., ხელმოწერი-
ლია დისბეტდოდ 9/X-75 წ., ანაწილის ზომის
71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108/16,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. საიდ.-სავაჭრო-საგამომცემლო
თაბაში 12.

№ 00058. ტირაჟი 13.400. შეკვ. № 3238.
საქ. კ. ც.-ის გამოცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



როცა უარუარანგი ყივის

რომანი

ლევანი საკმაოდ კარგად ხატავდა და ყველას ეგონა მხატვარი იქნებოდა, მაგრამ არქიტექტორობა არჩია; მან თავიდანვე მიიქცია ყურადღება, როგორც ნიჭიერმა და გაბედულმა არქიტექტორმა.

— მარიკა, დღეს შენ თორმეტიდან რვამდე მუშაობ? — ჰკითხა ლევანმა.

— ჰო, სახლიდან მაძეგებ?

— უკვე თორმეტის ნახევარია.

— იქნებ დავალაუთ ეს ადამიანი. — თქვა გვიმი.

— შენ, შენი ახალი მანქანით მოხვედი, გივი?

— ჰო... — თითქოს დამნაშავემ იმაში, რომ მანქანა ჰქონდა, უპასუხა გვიმი.

— ჰოდა, წაიყვანე, თორემ დაიგვიანებს.

— კი, ბატონო. ხვალ დილაზე მოკალ, ჯერ კიდევ შვებულებაში ვარ. ჰო... ბარემ გამოსაცვლელ ბატარაებსაც მოგიტან, შინ დამავიწყდა.

— წავიდეთ, რაკი სახლიდან გვითხოვს, — რატომღაც თავისას დაუბრუნდა მარიკა.

— კარგი, ნუ გეწყინება, გენაცვალე!.. მე ცოტას წავიძინებ... — ძალიან ალერსიანად უთხრა ლევანმა მარიკას.

მარიკა და გივი წამოდგნენ და კარებისკენ გაემართნენ.

— გივი, ძალიან დიდი მადლობა!.. ნუ გეწყინება, რომ ცოტა გავაფრინე... მე ძალიან...

— რას ამბობ, ლევან, გენაცვალე!

— მანეთი გადაკოცნეს, — მოკითხვა გადაეცი ბიკოლასა და ბიძას.

— ისინი ამ დღეებში შემოგვივლიან.

— ჰო, ჰო... რასაკვირველია...

ლევანი ხან მარიკას და ხან გივის უყურებდა, მერე გაუღიმა მათ და თვალი მოარიდა.

გივიმ რკინიგზის საავადმყოფოში წაიყვანა კვლავინდებურად მღუნარე მარიკა. ცოტა განაწყენებულიც კი იყო მისი უგუნებობით.

— შეგიძლიათ, კონკრეტულად მითხრათ რა სჭირს? — ჰკითხა მან მარიკას, — მე არ ვიცი, თუ ხელეზიცი წართმეული ჰქონდა.

— ჰო... — მარიკა თითქოს სულ სხვაზე ფიქრობდა.

— მესმის... მერე?

— ახლა?

— ბოლოს და ბოლოს, თქვენ ექიმს ელაპარაკებით! — უხეშად შეაწყვეტი-
ნა სიტყვა გვიმ მარიკას, — რა სეგ-
მენტებია დაზიანებული?

— მომიტევეთ... — ჩანდა, რომ ამას განზრახ არ სჩადიოდა, — მეორე და მეხუთე სეგმენტი, სისხლის ჩაქცე-
ვა და ხერხემლის ტვინის დაზიანება.

— რაღაც სასწაულია საქირო!.. — ამოიოხრა გვიმ.

— სასწაულები არ ხდება! — მარი-
კას მეტი სიტყვა არ დაუძრავს.

მერე გვიმ შინ წავიდა.

შინ არავინ იყო. გვიმ მიუჯდა სა-
წერ მაგიდას და საღამომდე არ ამდგა-
რა, თვითონვე უყვირდა, საიდან ჰქონ-
და ამდენი ენერჯია.

ვახშომობის დროს ლაპარაკობდნენ მხოლოდ ლევანზე და მის უბედურ მშობლებზე. ეძებდნენ გამოსავალს — ისე დახმარებოდნენ, რომ არ შეეღა-
ხათ მათი ავადმყოფური თავმოყვარე-
ობა.

ნავახშმევს, დადარდიანებულმა გი-
ვიმ მუშაობა ვეღარ შესძლო და დასა-
ძინებლად წავიდა. ღამის პირველ სა-
ათზე ბიკოლამ გამოაღვიძა და უთხრა,
ვიღაც ქალი რეკავს... და დატინებით
იხსოვს ვააღვიძეთო.

რაღაც უბედურების მოლოდინში გვიმ ტელეფონთან მიიჩინა. ეს მა-
რიკა იყო, რომელიც მოითხოვდა — სა-
სწრაფოდ მოდიო, ლევანმა ვენები გა-
დაიჭრაო.

გთივით მიაქროლებდა გვიმ მანქა-
ნას და თან ღმერთს ევედრებოდა, არ
შეხვედროდნენ ავტოინსპექტორები,
რომ დრო არ წაერთმიათ.

ლევანის სახლის სადარბაზოსთან
სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა.
გვიმ ლიფტის ჩამოსვლას არ დაუცა-
და, აჩრბინა მეხუთე სართულზე.

შესასვლელი კარი შეღებული იყო,
ლევანის ოთახის გამოკეტილ კართან კი
მისი დედა და მამა იდგნენ.

გვიმის თითქო გულზე დანა დაუსვე-
სო, როდესაც მშობლებმა მას მწუხა-

რებისაგან დანისლულ თვალებით შე-
ხედეს.

— როგორ არის? — იკითხა გვიმ
და პასუხი რომ არ მიიღო, კარი შეა-
ლო.

— არ შეიძლება!.. — მოისმა იქი-
დან მამაკაცის ხმა და კარი მოუჯახუ-
ნეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვიდა
მარიკა, და გვიმ სამზარეულოში გაი-
ყვანა.

— მგონი გადაჩრება, — თქვა მან,
— სიგარეტი მომეცით.

— როგორ არის?

— ბევრი სისხლი დაკარგა. კიდევ
კარგი, რომ მალე ვიშოვეთ და გადა-
ვუსხით.

მარიკამ ეს თქვა საქმიანად, მშვი-
დად, და მხოლოდ იმის მიხედვით, თუ
როგორ უთრთოდა პირში სიგარეტი,
გვიმ მიხვდა, რად უღირდა მას ეს სი-
მშვიდე.

— როდის მოხდა? — იკითხა გვიმ.

— ალბათ ათი საათი იქნებოდა,
როცა დედისთვის უთქვამს, დავიღალე
და შეძინებო. მე კი, თერთმეტს რომ
თხუთმეტი წუთი აკლდა, მაშინ მოვე-
დი. სამსახურიდან შინ წავიდი... მაგ-
რამ სულ ერთთავად მაწუხებდა მისი
სიტყვები: „დაამიანზეა დამოკიდებუ-
ლი, რომ ამ სამყარომ იარსებოს თუ არ
იარსებოს...“ და რომ ალერსიანად მი-
უყურებდა წასვლისას... თქვენც რომ გა-
კოცათ... ახლა კი, თუ შეიძლება, აქე-
დან გადიო!.. — თითქმის უბრძანა მა-
რიკამ.

— რატომ? — გაუკვირდა გვიმის.

— უნდა ვიტყვო...

„მართლაც, იტირე, გენაცვალე,
იტირე, გულზე მოგეშვება“, — ალერ-
სიანად გაიფიქრა გვიმ დერეფანში გა-
სვლისას.

დედა და მამა კვლავინდებურად



კართან იღგნენ და ვერავის და ვერა-
ფერს ვერ ამჩნევდნენ.

— გივი! — რამდენიმე წუთის შემ-
დეგ დაუძახა მარიკამ.

— დიახ! — შევიდა სამზარეულო-
ში გივი.

— თქვენ უფრო დაგიჯერებენ... აქ
შემოიყვანეთ.

გივი მივიდა მოხუცებთან და დაუ-
წყო ხვეწნა სამზარეულოში გაპულო-
დნენ, მგარამ ისინი უარის ნიშნად
თავს აქნევდნენ. მაშინ გივიმ მათ
ილაყვში ხელი წაავლო და ისინიც
მორჩილად გაჰყვნენ.

მარიკამ მოხუცები სკამებზე დასვა
და დარიგება დაუწყო:

— ასე როგორ შეიძლება, თავს
მოერიეთ... ლევანი ცოცხალია!.. სის-
ხლი, რაც დაკარგა, გადაუსხეს... მაგ-
რამ, რაკი ძალიან აღზნებული იყო,
დასაძინებელი მისცეს და ახლა იძი-
ნებს!.. აი, ნახავთ, ეჭიმი მეტი აღარ
იქნება საჭირო და მალე წავა. მთავა-
რია, თქვენ კარგად იყოთ, რომ შეს-
ჯლოთ მისი მოვლა.

— ჰო! ჰო! ჰო!.. — მოულოდნე-
ლად აღაპარაკდა დედა.

— ძალიან კარგი... მე კი იმასთან
შეველ.

წელგამართული მამა მღუმარედ
იჭდა და უროს მსგავსი ხელები მუხ-
ლებზე ელაგა.

შემოვიდა გაღიმებული, ლოყებ-
დაეღა ახალგაზრდა სანიტარი.

— ყველაფერი რიგზეა!.. — დიმი-
ლით თქვა მან, — ნუ გეშინიათ, ჩვენს
ექიმს მაგისტრანები დაუტყენებია ფეხზე?!

— ფეხზე?! — კვნესით აღმოხდა
დედას.

— აბა რა! სამი დღის მერე... თქვენ
ნუ ლელავთ, დედა... დამიჯერეთ, ჩემს
თრ შვილს გეფიცებით!.. შეიძლება ერ-
თი ჰიქა წყალი?

— ახლაც ლენოს მოგართმევ... —
აფუსფუსდა ქალბატონი თამარი.

— მაგას რა სჯობია... — გაუხარდა
სანიტარს.

მაგიდაზე უკვე სამი ჰიქა და ენთუ-
ბოთლი ლენო იდგა.

— ნუ გამიწყურებით, რომ ჰური და
ყველის მეტი არაფერი მაქვს.

— არა, არა!.. საჭმელი არ მინდა...
ნება მომეცით...

სანიტარმა აშკარა სიამოვნებით შე-
ავსო ლენის ჰიქები.

— თქვენი შვილის მალე გამოკე-
თებისა იყოს! — პირველმა დალია
მან, — რა მოხდა, რამ აიძულა?

გივიმ ანიშნა, რომ დაელია და ხმა
აღარ ამოედო, მერე კი ლევანის მამას
მიუბრუნდა:

— დალიეთ, ძია შაქრო, გულზე
მოგეშვებათ.

— ჩემი ლევანის დღეგრძელობის
იყოს!.. — ძია შაქრომ მოსვა და ჰიქა
დადგა. — მე არ შემიძლია, თქვენ,
ახალგაზრდებმა დალიეთ.

არც გივის შეეძლო. სამავიეროდ,
სანიტარს თხოვნა არ სჭირდებოდა და
იწყინა კიდევ, როცა ეჭიმი და მედლა
შემოვიდნენ და სმის გაგრძელების სა-
შუალება მოუსპეს.

ეჭიმი ხანში შესული, მკვრივად ჩა-
სხმული ქალი იყო. მას ბოხი ხმა და
ჰკვიანი თვალები ჰქონდა.

— შეგიძლიათ დამშვიდდეთ. —
ერთობ გულითადად უთხრა მან მშობ-
ლებს, — დიდხანს იძინებს, კრილობა
საშიში არ არის... მთავარია, ნახვევები
არ მოიძროს, მის გვერდით ვიდაც უნ-
და იჭდეს. ხვალ დღით შემოვივლი...
თუ ვინცილობაა რაიმე იყოს საჭირო, მა-
რიკა შესანიშნავი ეჭიმი. ნახვამდის!

— ნახვამდის, ეჭიმი, დიდი, დიდი
მადლობა!..

— ეს ჩვენი მოვალეობაა, — მო-
რიდებით გაიღიმა ეჭიმმა, მერე სანი-
ტარს მიუბრუნდა: — შენ კი, მერე მო-
გელაპარაკები! წადი. აფთიაქი წამოი-
დე!

სასწრაფო დახმარების წასვლის ში-
მდევ, თამარ დედა და გივი ლევანთან
შევიდნენ. მაგიდის დაშვებულ ლამპის
ჩრდილში ლევანის ლამაზი, ფერწასუ-
ლი სახე მოჩანდა.

როცა ვივინ დაინახა სხეულის გასწვრივ დოლბანდით შეხვეული ხელები, იგი ღრმა გულისტკივილმა და წვეწამ აიტანა.

— დაბრძანდით, თამარ დეიდა. — მარიკამ დედა შვილის სასთუმალთან დასვა, მერე კი გივის მიმართა: — წადით, თქვენ მამა დააწყნარეთ, ხეენ კი აქ ვიქნებით.

სამზარეულოში ძია შაქრო ერთ წერტილზე თვალმიშტერებული იჯდა და თითქოს ვერც კი შეამჩნია გივის შესვლა.

— ყველაფერი კარგად არის. დამშვიდდით, ძია შაქრო!..

ახლა ეს გამეშებული თვალეები უმზერდნენ გივის.

— რაიმე ისეთი, ღვინოზე უფრო მაგარი არა გაქვთ? — ჰკითხა გივიმ და თვალი აარიდა, თითქოს რაიმეში ყოფილიყო დამნაშავე.

მოხუცი წამოდგა, დარჩენილი ღვინო ნიჟარაში გადაასხა და ჭიქები გარეცხა. მერე დიდხანს ეძებდა რაღაცას კარადაში.

— გექონდა კონიაკი, მაგრამ არ ვიცი, სად არის. ჰაჰას დალევ?.. — როგორც იქნა, ალაპარაკდა იგი.

— მოიტათ.

ისინი ჩაის ჭიქებით სვამდნენ ძალიან მაგარ ჰაჰას და გივის უკვირდა, რომ თითქმის არა თვრებოდა.

— საერთოდ მხდალი არა ვარ, მაგრამ მეშინია, რომ შევიდე და ვნახო. შენ ამას ვერ გაიგებ, მაგრამ... ის მოინდომებს, როგორც ბავშვობისას იცოდა ხოლმე, ბოდისის მოხდას... მე კი არ შემიძლია...

— მესმის, ძია შაქრო.

— ისეთი კარგი მყავდა... ყველაფერში ისეთი ნიჟირი!.. ისე შეამაყებოდა...

— კვლავაც იამაყებთ! გარწმუნებთ, ძია შაქრო!... ლევანი ძლიერი ნებისყოფის კაცია... და ფეხები თუნდაც...

— დედას უთხრა, ხატვა მინდაო, — უცებ სხვაზე გადავიდა ძია შაქრო, — დედამ მოუტანა ქალაღები, ფანქრებ-

ბი... და სამართებლის პერტენი... ფანქრების გასათლელად... უკვლევით...

— ერთი-ორი გააქწოული აქვს, რამდენიმე დღეში გაუვლისს... — გივის ძალიან უნდოდა დაემშვიდებინა უბედური მამა.

მართლაც, ერთი კვირის შემდეგ ლევანს ნახვევები მოუხსნეს.

მთელი ის დღე გივიმ ლევანთან გაატარა და შინ რაღაც გაორებული გრძნობით დაბრუნდა.

ერთის მხრივ, მას უხაროდა, რომ ლევანი ცოცხალი დარჩა. მეორეს მხრივ კი ესმოდა, რომ მწუხარება და სასოწარკვეთილება, ამ ოჯახის მტკიცე, იქნებ კიდევ სამუდამო ხვედრად იქცა.

მეორე დღიდანვე, როგორც კი ლევანი გონს მოვიდა, არავის სიტყვა არ დაუძრავს მომხდარ ამბავზე. თვითონ ლევანმაც მხოლოდ ერთხელ გაიხსენა ის, როდესაც ქანცგამოლულ დედას მისთვის სადილი მიჰქონდა, წაიქცა და თეფში გაუტყდა.

— არაფერია. — გაიცინა დედამ, როდესაც გივიმ და მარიკამ ააყენეს იგი. — ჰურჭლის გატეხვას ბედნიერება მოაქვს.

იმ საცოდავს რა ბედნიერებაზე უნდა ელაპარაკნა, მაგრამ ეს შვილის დასამშვიდებლად თქვა.

მაშინ ლევანი დიდხანს სდუმდა, და როცა დედა კოკლობით გავიდა, თქვა:

— ჰო... დიდი უბედურება ზოგჯერ ადამიანს ეგოისტს ხდის.

ეს იყო საყვედური თავისი თავის მიმართ, და ყველაფრის მიუხედავად, გივი კმაყოფილი იყო — ახლა ლევანი მეორედ ამას აღარ ჩაიდენდა.

სალამოთი, ვახშობისას, გივიმ ძიას და ბიცოლას უთხრა, ხვალ გორში, მშობლების საფლავის სანახავად მივდივარო.

— ძალიან კარგი, — უთხრა ბიცოლამ, — ლევანის მოლოდინი რომ არა, შენ, რაღა თქმა უნდა, აქამდეც წახვიდოდი.

ძიას ხმა არ ამოუღია, ჩაფქრებულს, ხელში გაშეშებული კოვზით, აშ-

კარად ეტყობოდა, რომ გონებით იგი თავის განსვენებულ მშასთან და რძალთან იყო.

• • •

ეკას, როგორც ყველას, ვისაც არ აკლია საკუთარი თავის შეფასების უნარი, თავის თავზე, ასე თუ ისე, სწორი წარმოდგენა ჰქონდა.

რასაკვირველია, ამ შეფასებას გააჩნდა ცალკეული ხარვეზები, მაგრამ ეს იყო გამოწვეული არა იმით, რომ მას მიუღდგომელი განსჯის უნარი არა ჰქონდა, არამედ, სურვილით, წარმოედგინა თავი ისე, როგორც უნდოდა რომ ყოფილიყო. ადამიანის საქციელის მთავარ ღირსებად ის წესიერებას აღიარებდა, და სწორედ ამაში დაიჭირა თავისი თავი, რომ გვივის წინაშე დამნაშავე იყო.

ადამიანი შეიძლება მას მოსწონებოდა, ან არ მოსწონებოდა, მაგრამ მის მიმართ იგი ყოველთვის ლოიალური უნდა ყოფილიყო, მით უფრო, თუ ამ ადამიანს მისთვის არაფერი დაუშავებია... თანაც ვერასგზით ვერ იცილებდა თავიდან გვიზე ფიქრს, რაც სხვების მიმართ არ გასჭირბია.

ეკამ გადაწყვიტა დაახლოებოდა გარკვეული ტიპის ქალებს, რომელნიც ყველას გულშემატკივრებად სთვლიან თავს და ამ ქვეყნისა ყველაფერი იციან. თავს იმით იმართლებდა, მხოლოდ წმინდაწყლის ქალური ცნობის მოყვარეობა მამოძრავებდა.

ნამდვილად კი იმის იმედი ჰქონდა, იმ „ყოვლისმცოდნეებს“ გვივის პატიმრობის შესახებაც უსათუოდ რამე ეცოდინებოდათ. ამ „მოსიარულე ცნობარებთან“ შეხვედრისას ეკა საკმაოდ მოხერხებულად ჩამოაგდებდა ხოლმე სიტყვას გივი კაპანაძეზე.

მართლაც, გვივის ყველა ქალი იცნობდა. იგი ითვლებოდა დიდი მომავლის მქონე ქირურგად, და ქალაქის ერთ-ერთ ლამაზ მამაკაცად, რომელსაც „ქალები დასდევდნენ“. გვივის პა-

ტიმრობის თაობაზე კი არავინ არაფერი იცოდა.

ეკა მაინც ცდილობდა კვლავ მის ნებას და თანაც მუყაითად მუშაობდა. ამ ხანში მან ჟურნალ „ხელოვნებას“ გადასცა წერილი გარდაცვლილ მხატვარ ქალზე, წიკოტხა მოხსენება „პერედვიენიკებზე“ ჟულტურის უნივერსიტეტში, მონაწილეობა მიიღო მხატვართა კავშირში ჰომ-ხელოვნებისადმი მიძღვნილ დისკუსიაში და... დედას წაეჩხუბა.

ერთხელ, მხატვართა რომელიღაც კონფერენციაზე ეკამ, დარბაზის ბოლო რიგებში ყველა ამბებში გათვითცნობიერებული ნუცა უნაფქოშვილი დაინახა და გვერდით მიუჯდა.

შინაბერა და უიღბლო მხატვარი ნუცა ძალიან გაახარა ამ თანამოსაუბრემ. მათ ჩურჩულით დაიწყეს ის ქალური, უმნიშვნელო მასალათი, რომელსაც იწვევს ხოლმე მოსაწყენი მომხსენებელი.

მერე, შესვენებისას, ისინი პოლში გავიდნენ, რბილ სავარძელში ჩასხდნენ, სიგარეტის წვეა დაიწყეს... და როცა კონფერენციამ მუშაობა გააგრძელა, დარბაზში აღარ შესულან.

ნუცასთვის ეკა ძალზე ხელსაყრელი თანამოსაუბრე აღმოჩნდა. როცა საჭირო იყო, კვირს უკრავდა, ხან იცინოდა, ხან აღშფოთებას გამოთქვამდა, და, რაც მთავარია, ამ ენაწყლიანი ქალისათვის სიტყვა არც ერთხელ არ შეუწყვეტილებია.

„ღმერთო ჩემო, როდის შევძლებ სიტყვა გივიზე ჩამოვუვდომ“, — ფიქრობდა დაღლილი ეკა; ნუცა კი სულ ჰყვებოდა ვილაც-ვილაცების სასიყვარულო ამბებს, რომლებიც ეკას სრულებით არ აინტერესებდა, ჰყვებოდა მოხუცი პროფესორის ახალგაზრდა ცოლზე, ქმარს რქებს რომ ადგამს, ვილაც კაცზე — ცოლი და სამი შვილი რომ დატოვა ერთი უღირსი ქალის გამო, ჰყვებოდა ამ ამბებს გაუთავებლად და წუთით მხოლოდ იმიტომ წყვეტდა ლაპარაკს, რომ ვიწრო მოთეთრო-

ისფერი პომადით შეღებილ ტუჩებზე ენის წვერი გადაესვა.

„ღმერთო, როდისღა!“

და აი, უცებ ნუცამ თვითონ გადაინაცვლა საჭირო თემაზე.

— ამბობენ, რომ თქვენ თურმე მოსწონხართ იმ ლამაზ ყმაწვილს, გვიკაპანაძეს... ფრთხილად იყავით, ხელი არ დაგწვით.

ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ ეკა დაიბნა და თქვა ის, რაც არასოდეს არ უნდა უთხრას ქალმა ულამაზო შინაბერას.

— მე რა, ვანა ულამაზო ვარ?

ნუცამ, რაღაც გაურკვეველი ღიმილით წვრილი ტუჩები დაჭიმა და ეკამ გადაწყვიტა გამოესწორებინა თავისი შეცდომა.

— ჰო, ამას წინათ გავიციანი... — რაც შეიძლება უხალისოდ თქვა ეკამ, — ჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცია... და ძალიან დიდი წარმოდგენისაა საკუთარ თავზე, როგორც ყველა...

— რას ბრძანებთ! — შეაწყვეტინა ნუცამ, — იმისთვის ქალები ჰქუდიან იშლებიან!..

— შეიძლება... მაგრამ მე სრულუბრით არ მომწონს. მე სულ სხვა გემოვნება მაქვს.

მაგრამ გამოცდილი და, ამავე დროს, ყველაფრის მცოდნე ნუცას მოტყუება არც ისე ადვილი იყო.

— ექვი მეპარება... რუსთაველის პროსპექტზე ერთად რომ მიდიოდით, ვერავის ვერ ამჩნევდით. — ნუცას ენის წვერი კვლავ ათამაშდა წვრილ ტუჩებზე და პატარა და ღრმად ჩასმული თვალები კი, თითქოს ბურღავდნენ ეკას.

„ეშმაკობაში უნდა ვაჯობო, მგონი პირდაპირობა უკეთესი იქნება“, — გაიფიქრა ეკამ.

— შეიძლება. ძალიან დაღლილი ვიყავი მოხსენების შემდეგ. იცით რა, იმაზე ამბობენ, ბნელი წარსული აქვსო. თქვენ, როგორც ჰკვიან ქალს, ვესმით, რომ ეს მე ხელს არ მომცემს.

— ჰო, რასაკვირველია! — რატომღაც გაიხარა ნუცამ.

— მეორე დღეს ტელეფონით დაირეკა. მე პირდაპირ ვუთხარი, არავითარი სურვილი არა მაქვს თქვენთან ნაცნობობა ვაგაგრძელო-მეთქი.

„ხომ სიმაართლე ვთქვი“, — გაიფიქრა ეკამ, მაგრამ მაინც უკმაყოფილო იყო თავისი თავით.

— ყოჩაღ, ქალო!.. — ისეთი გესლიანი ზემოთ წარმოთქვა ნუცამ, თითქოს ეკას მის მაგიერ ეძია შური ყველა მამაკაცზე.

— არ ვიცი რისთვის... მაგრამ მგონი ციხეშია ნაჯდომი, — ვულგარულად თქვა ეკამ, — და, ვარდა ამისა, მისი ამბები სულაც არ მაინტერესებს.

მაგრამ „მისი ამბები“ საოცრად აინტერესებდა ნუცას. მან მოლუშა ამოქნილი წარბები და გრძელი, წაწვეტილ-ფრჩხილებიანი თითით ცხვირის კეხს ფხანა დაუწყო.

— ჰო, ჰო... რაღაცა მახსენდება... ამ ათიოდე წლის წინათ მოხდა... სტუდენტი იყო... ჰო, ჰო, ნამდვილად! მგონი იჯდა მკვლელობისათვის, თუ გაუპატიურებისათვის... არ მახსოვს.

— მეც ასე ვფიქრობდი, — თვითონაც არ იცოდა რატომ, ჩაურთო ეკამ.

— მაგრამ, ახლა რა მნიშვნელობა აქვს... მე ამას არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდი და ცოლად გავვყებოდი. — ოცნებით აღმოხდა ნუცას.

თუნდაც ყოველგვარი ხელის მოწერის გარეშე... ისეთი ლამაზი და ვაჟკაცური!

— რომ მოგკლათ, ან ვაგაუპატიუროთ?

— ოჰ, ოჰ... არა, ოღონდ ნუ მომკლავს!

ეკა ღიმილით უყურებდა თანამოსაუბრეს, და თან ფიქრობდა, რა სულელურად ვულწრფელიაო.

— რასაკვირველია, ახალგაზრდა ქალი ადვილად დასცინებს სხვას!.. — თქვა, ცოტა არ იყოს, ნაწყენმა ნუცამ. — ეს წყვეული დრო კი, რა სწრაფად გარბის...

ეკას შეეცოდა ნუცა და მობოდიშე-
ბა დაუწყო:

— ო, არა, ის თქვენი ღირსი არ
არის!. თქვენ მომავალი წინა გაქვთ,
ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ლამაზი ბრძან-
დებით!..

— არა, რასა ბრძანებთ! თქვენ მე
ქათინაურებს მეუბნებით...

— გარწმუნებთ... რაში მჭირდება,
რატომ უნდა ვითხრათ ქათინაურები?

— ჰო, ეგ მართალია. — დაეთანხმა
ნუცა.

კიდევ ცოტა ილაპარაკეს და გამოე-
თხოვნენ ერთი-მეორეს.

„ო, რა სულელია, რა სულელი“... —
მთელი გზა ფიქრობდა ეკა ნუცაზე.
„ნუთუ გათხოვების სურვილმა ასე უნ-
და დაუბინდოს ქალს გონება?... თუმცა,
რატომ არა... ყველაზე კარგი კი ის იქ-
ნება, რომ თავი დავანებოთ „საფრან-
გეთის დედოფალს“...“

მთელი მეორე დღე ეკამ აიკრძალა
გივიზე ფიქრი, რამაც გული დაუმძიმა
და დაუცარიელა. მაგრამ, რადგან ბუ-
ნებას არ უყვარს სიცარიელე... საღამო-
თი გურამს დაურეკა და ისინი კონ-
ცერტზე წავიდნენ.

• • •

გივი აღრე ადგა, მაგრამ წასვლა
მაშინვე ვერ შიახერხა. ფუნჯი, რომ-
ლითაც მშობლების საფლავეების ცხაუ-
რის შეღებვას აპირებდა, ახფალტივით
გამაგრებული შავი საღებავით, მიმხმა-
რიყო ქილის ძირზე.

— ეჰ, ბიძაჩემო... ბიძაჩემო!.. — სა-
ყვედურით თქვა გივიმ და თან გამოი-
კეტა სარდაფის კარი, სადაც ორ წელ-
ზე მეტია არ ჩასულა.

ცხრა საათისთვის გივი კოლმეურ-
ნეობის მოედანზე რკინა-კავეულის მა-
ლაზიასთან მივიდა, მაგრამ აღმოჩნდა,
რომ მალაზიას მხოლოდ ათ საათზე
აღებდნენ. გივიმ ამჯობინა დაეცადა,
ვიღრე მერე გორში ეძებნა ფუნჯი და
საღებავი.

გივიმ მანქანა მალაზიის წინ გააჩე-
რა და კოლმეურნეობის მოედანზე გაი-

არა. მას მოსწონდა ხალხით სავსე ქუ-
ჩებში სიარული. ეს, ერთხელ კიდევ
არწმუნებდა, რომ აქ, თავის სამშობ-
ლოში იყო, რაზედაც აფრიკაში ყოფ-
ნის მთელი ორი წლის განმავლობაში
ოცენებოზდა.

ხალხი ადიოდა მოძველებული ტრამ-
ვაის ვაგონებში, ლამაზ, ახალ ავტობუ-
სებში, თავს იყრიდა ვასტრონომებში,
ას ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებთან.

გივიმ ბაზრის მოედანი გადაჭრა, მო-
ბირდაპირე ტროტუარზე გაჩერდა და
ჯიბებში ხელეზიარეობილი აქეთ-იქით
იყურებოდა.

ბაზრის ორსართულიანი შენობის
ირგვლივ, ზეინებად ამართულ საზამ-
თროებსა და ნესვებს ამოფარებული,
გრძელი დანებით შეიარაღებული გა-
მყიდველები მდუმარედ ელოდნენ მუშ-
ტრებს, ანდა, ცხვირწინ უტრიალებ-
დნენ მათ დანაზე წამოცმულ, საზამთ-
როდან ამოჭრილ ხასხასა წითელი ფე-
რის სინჯს.

გივიმ შეამჩნია ბაზარში შიშველნი
რა მხნედ მიამიჯებდნენ, როგორ აუე-
ლიდნენ ხოლმე საზამთროების რიგს,
და უჩინარდებოდნენ ელნათურებით
განათებულ ხილბოსტნეულის განყო-
ფილებაში, ანდა, გარე კიბით მეორე
სართულზე ადიოდნენ.

აი, უკან კი, ისინი ბრუნდებოდნენ
მოშვებულები, რაღაცა დაბნეულები...
თუმცა, ეს შეიძლება დაღლილობითაც
ყოფილიყო გამოწვეული, და მხოლოდ
მერე მიუბრუნდებოდნენ საზამთ-
როებს.

გივი სახეებს აცქერდებოდა, ოდეს-
ღაც მას შეეძლო უცებ, ერთი შეხედ-
ვით ამოეცნო ვინ რა ერისა და რჯუ-
ლისა იყო.

არა, ეს ინტუიცია, კონკრეტულად
აუხსნელი გრძნობა მას არ დაუქარგავს.
აგერ რუსი, სომეხი, ებრაელი, აზერ-
ბაიჯანელი, ბერძენი, ჩეჩენი, აისორი...
ან იეზიდო. და აი, ის კი, აშკარად
ეტყობა წვერზე, მალაკანია...

ცქვიტი ბოშა ქალები სთავაზობდნენ
გამველებს უცხოური სამართებლის

პირებს, თვალების შესაღებ ფანქრებს და საღებ რეზინას, მათი ფეხშიშველა, გრუნათმიანი შვილები კი იქვე თხოულობდნენ მოწყალებას.

იქნებ სასაცილოც იყო, მაგრამ გვიმ სწორედ ახლა იგარძნო, რომ ის ნამდვილად თავის სამშობლოშია.

ფუნჯისა და საღებავის ყიდვის შემდეგ, გვიმ თავის მანქანას მიაშურა, გორისკენ აიღო გეზი.

უკვე ქალაქიდან გასვლისას, გვიმ უნებურად გაიხედა იქით, მარჯვნივ, სადაც შორს, ქედის ძირში ჭაჭვივით გაქიმულიყო მაღალი, ქათქათა თეთრი სახლების წყება.

იქ, ერთ-ერთ იმ სახლში, მეხუთე სართულზე ლოგინად იყო ჩავარდნილი, ბედისაგან ასე უღმობელად დაჩაგრული, მისი მეგობარი ლევანი, რომელსაც იგი, ვაი, რომ ვერაფრით ვერ უშველიდა... ვერც ვერაფერ უშველის... ყველა უძღურია.

გვიმს გაახსენდა აფრიკაში მომხდარი ერთი შემთხვევა, რომელმაც მას ღრმა ტრავმა მიაყენა.

იზოლირებულ ბოქსში სულს ლევდა ცოფიანი კატის დაკბენილი ოცი წლის ათლეტური აღნაგობის ყმაწვილი, რომელსაც აღარაფრით აღარ ეშველებოდა, რადგან დაგვიანებით მოიყვანეს.

გისოსებიანი ფანჯრის იქით გვიმ ხედავდა, როგორ იტანჯებოდა ის უბედური წყურვილისაგან, რადგან ყელის სპაზმების გამო, ვერც წყალსა სვამდა და ვერც ხილს ჰვამდა. მერე, იმ საცოდავმა საშინელ კრუნჩხვაში როგორ გადაიტეხა ხერხემალი და მოკვდა.

მოკვდა... და ეს მისთვის დიდი მადლი იყო.

მაგრამ, ვანა უკეთესი არ იქნებოდა, რომ ლევანიც... ამ მკრეხელურმა აზრმა გვიმს ერთნაირი მოპკვარა და მას თავისი თავის შერცხება.

არა, იგი შესძლებს უშველოს ლევანს. რასაკვირველია, ასე ერთბაშად კი არა, საჭიროა დრო, რომ ლევანი

ნაწილობრივ მაინც შეეჩვეოს თავის მდგომარეობას.

ლევანი ხომ ყოველთვის კარგად ხატავდა, იქნებ... არა, მხატვრობაზე ლევანს დიდი ხანია უარი აქვს ნათქვამი.

მაშ, რა ექნა, ღმერთო ჩემო... რა? თან კიდევ ის ქალიშვილი, დღე და ღამ ლევანს თავის პირველ სიყვარულს რომ აგონებდა...

მაგრამ, ვანა მარიკა დამნაშავეა, რომ უყვარდა და ახლაც უყვარს? პირიქით, მარიკა თვითონაა შებრალების ღირსი... რასაკვირველია, არა ისეთი შებრალებისა, ნიცშეს რომ სწამდა, და რომელიც შეურაცხყოფას უდრის, არამედ ნამდვილი, ადამიანური შებრალებისა, რომელიც ღრმა პატივისცემითა და გატაცებითაა სავსე.

მე თვითონაც, ლევანის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ეკა... რატომ მაინცადამაინც ეკა... რატომ... დასწყევლოს ღმერთმა!

ჩამწკრივებულ, მძლავრ სატვირთო მანქანებს მიჰქონდა შავი მიწა, ალბათ, რომელიმე ახალ სასათბურე მეურნეობაში.

რა სასიამოვნო უნდა იყოს იმ მიწის ხელით შეხება, — გაიფიქრა გვიმ, ბავშვობიდანვე რომ იცოდა მიწის ფასი. რბილია, ფხვიერი... და თოფის წამალივით შავი. მერე კი ამ შედარების პარადოქსულობამ თვითონვე გააკვირვა — თოფის წამალი სიკვდილის სინონიმი, ეს შავი მიწა კი სიცოცხლის უსაზღვრო მარაგს იტევს!

გვიმ კონუსს ფეხი დააჭირა და დიდი სიჩქარით მიმავალ სატვირთო მანქანებს გაასწრო.

„პირველი სექტემბრისათვის დათო და დოდო უნდა დაბრუნდნენ- მაშინ, ჩვენ სამივე რალაცას მოვისაზრებთ“, — სცადა გვიმ თავის დამშვიდება, თუმცა მშვენიერად ესმოდა, რომ ეს თავის მოტყუება იყო.

ფიქრში წასული გვიმ ისე ჩავიდა გორში, რომ არც კი შეუძინებია რაოდენ ლამაზი იყო ირგვლივ ყველაფერი

— მოწმენდილ ცის ფონზე კრთოდნენ ტაძრებისა და ციხე-სიმაგრეთა ნატიფი სილუეტები.

გივიმ მანქანა ნახევრად გამხმარი ვერხვის ქვეშ დააყენა, საბარგულიდან გადმოიღო ქაღალდში გახვეული სამუშაო შარვალ-პერანგი, ძველი ფეხსაცმელი, საღებავი, ფუნჯი და თაყარა მზის ქვეშ გაემართა სასაფლაოს შესასვლელისკენ.

გახურებულ მიწაზე მას მოსდევდა და ფეხებში ებლანდებოდა თავისი პატარა და სასაცილო ჩრდილი. მზე შუბის ტარზე იდგა, ხოლო ილიაში ამოჩრილი პაკეტი და განზე გაწეულ ხელებში ჩაბლუქული საღებავი და ფეხსაცმელი სასაცილო ანარეკლს ქმნიდა.

„აღბათ, რა უშნოდ გამოვიყურები“, — გაიფიქრა გივიმ, მაგრამ ირგვლივ გამეფებული ყრუ სიჩუმე აშკარად მოწმობდა, რომ ერთი კილომეტრის მანძილზე ძებორციელი არ ჰაჰანებდა.

სასაფლაო ძალიან გაზრდილიყო. გივი წავიდა დიდი ხნის დარგული ხეებისა და ძველი საფლავებისკენ. უკვე შორიდანვე შეამჩნია, რომ საფლავის გლავანის შეღებვა საქირო არ იყო.

ეს, უთუოდ ძია გიორგიმ... რატომ არაფერი მითხრა? აღბათ იმიტომ, რომ მე არაფერი მიკითხავს.

თეთონ უნდა მივხედრილიყავი, როცა სარდაფში საღებავის ცარიელ ქილაში ზედ მიმხმარი ფუნჯი ვნახე...

ღმერთო ჩემო... დედ-მამის საფლავებთან ვდგავარ და რაღაც სისულელებზე ვფიქრობ?.. არა, სასაფლაოზე არასოდეს არ უნდა მიხვიდე რაიმე საქმეებზე ფიქრით, აქ მარტო გრძნობებს უნდა მისცე თავი.

მაგრამ, არც ამ შინაგანმა მონოლოგმა დაუწყნარა გივის აფორიაქებული გრძნობები.

დედისა და მამის ნაცვლად, რომლებზეც ამდენს ფიქრობდა უცხოეთში ყოფნის დროს, მის თვალწინ ორი საფლავის ქვა იდო, შიგ ჩასმული მარმარილოს ფირფიტებით, რომლებზეც

ეწერა: გვარი, სახელი, დაბადების და გარდაცვალების თარიღები. მარცხენა მხარეს დედა გარდაცვაალა ოცდაათობზეტი წლის, მამა კი — ოცდაჩვიდმეტის.

გივიმ გასაღებით გააღო პატარა კარი და შევიდა.

მწკრივად აზიდული კვიპაროსების ჩრდილი თითქმის მთლიანად ფარავდა საფლავის ქვებს.

დაუოკებელმა სურვილმა აიძულა გივი ორივე ხელით დაყრდნობოდა ჭერ კიდევ თბილ საფლავის ქვებს. მერე ჩამოჭდა მამის საფლავის ქვაზე ისე, როგორც ბავშვობისას მუხლებზე ჩამოუჭდებოდა ხოლმე.

საოცარი სიჩუმე სუფევდა, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყო. კარგად რომ დაგვეგლოთ ყური, გაიგონებდით უამრავი მუშლის ბზუილს, მტკვრის იქითა მხრიდან ყრულ მოღწეულ ელმავლის საყვირის ხმას, და ბოლოს, შორიდან მომავალი რეაქტიული თვითმფრინავის გუგუნს... ეს იყო თურმე დიდი ბზიკი, რომელმაც გივის თავზე ორი წრე მოხაზა და ისევ შორს გაფრინდა.

ეს მაინც იყო სიჩუმე... და იგი აწვევბოდა გივის თავისი უსაზღვროებით...

როგორც მაშინ, თავიანთ პატარა სასლში, ხეებით დაჩრდილულ განაპირა ქუჩაზე...

უეცრად, ღამის სიჩუმეში გაისმა გაცოფებული ფრინველის საზარელი, ხორხისმიერი ყვირილი.

ყვილი ტალღასავით შემოიჭრა მის ოთახში, შემდეგ გარეთ გაიქრა, მოიცვა მთლიანად მტკვრის ველი, აპყვა ლიახვის ხეობას, და სადღაც შორს, მთებში დაიკარგა.

გამოკეტილ სახლში ცხრა წლის გივი მარტო იწვა თავის ლოჯინში და ელოდა, ელოდა... კვლავ გაისმა ის შემზარავი ყვირილი და ოთახი აივსო მძიმე, ყოვლისმომცველი შიშით...

მთელინებიდან ჩამოსულმა მამამ, სიციხით გათანგული დედა საავადმყოფო

ფოში წაიყვანა და გივი სახლში მარტო დარჩა.

რამდენიმე დღის წინ დედა, ვიდრე გივის წაიყვანდა სკოლაში, სადაც თვითონ მასწავლებლად მუშაობდა, ჩვეულებისამებრ გარეთ გამოვიდა, რომ საკენკი დაეყარა ქათმებისთვის და დედალი ფარშავანგისთვის, რომელიც მას შემდეგ, რაც მამალი ფარშავანგი მოკვდა, სულ ერთავად საზარლად ყოფილა.

გივი, იღლიაში ჩანთაამოდებული იდგა აივანზე და დედას ელოდა. ამ დღის ფარშავანგი დედას ეცა, მკერდზე მიაფრინდა, კაბაზე ბრჭყალებით მოებლაუჭა და სახეზე კორტინა დაუწყო.

გივი საშველად მივარდა და ძლიერობით მოწყვიტა დედას გაშმაგებული ფრინველი.

დედამ მოასწრო ხელებით დაეცვა თვალები, მაგრამ ლოყახე და ნიკაპზე სისხლი სდიოდა.

გივიმ დედას უშველა სისხლი ჩამოეწმინდა, იოდი წაესვა, მერე ისინი სკოლაში წაიღინენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, დედა სკოლიდან სიცხიანი დაბრუნდა და ლოგინში ჩაწვა... იმავე საღამოს მამა ჩამოვიდა და დედა საავადმყოფოში წაიყვანა.

გათენებამდე გივის თვალი არ მოუხუჭევს, მამა კი საავადმყოფოდან ჯერ არ დაბრუნებულყო. ეტყობოდა, დედა ცუდად იყო... ფარშავანგი კი ყოფილა და ყოფილა...

ღილით გივიმ სახლი დაკეტა და საავადმყოფოში წავიდა, მაგრამ არ შეუშვეს.

— შეუშვი ბავშვი, — მიმართა კარებში მდგარ დარაჯს გამვლელმა სანიტარმა, — ჩვენი ექტეკიმის შვილია.

— არ შეიძლება, ამის დედას ვანგრენა ჰქირს.

მთელი საათი ევედრებოდა ცრემლმორეული გივი, რომ გვეშვით დედასთან და ბოლოს თავი შეაბრალა დარაჯს.

როდესაც გივიმ მიაგნო ერთსაწოლიან პალატას, სადაც იწვეოდა და კარი შეაღო, მამამ ხელით ანიშნა არ შესულიყო, მაგრამ გივი მაინც შევიდა.

გივის დანახვაზე დედამ გაღიმება სცადა... რაღაც უცნაურად მოეღრცა ტუჩები, რომლებიც უკვე აღარ ემორჩილებოდნენ. გივი მივარდა, ხელების კონცა დაუწყო... და მამამ ძალით გამოიყვანა გარეთ.

მერე კი, აი აჰ, ამ ქვის ადგილის იყო ორმო, მის გვერდით ახლად ამოყრილი ყვითელი მიწა და ზედ კუბო იდგა.

გივი ზურგით ეყვროდა მამას და გრძნობდა, როგორ კანკალებდნენ მის მხრებზე დაწყობილი მამის ხელები...

ეს რაღაც კომპარული სიზმარი იყო, რომლისგანაც ვერაფრით ვერ გამოფხიზლებულყო...

როგორ შეიძლება, რომ დედა აღარ იყოს... ის ახლა მოვა თავისი ალერსიანი ღიმილით... ეს კი, კუბოში რომ წევს... არა, ტყუილია, ტყუილი!

ძია გიორგიმ მამას მკლავზე ხელი მოკიდა და თან წაიყვანა. გივი კი წამოიყვანეს ბიცოლამ და პატარა დოლომ, რომელთანაც სამი წელი ერთ მერხზე იჯდა.

შინ, ეზოში მაგიდები იყო გაწყობილი...

მერე, ბიცოლასა და ძიას, გივის წაყვანა უნდოდათ, მაგრამ გივი არ დაემორჩილა მათ, და უხეშადაც კი შეეპასუხა.

ბიცოლამ და ძიამ მაინც წაიყვანეს გივი თბილისში, ერთი წლის შემდეგ, როცა გარდაიცვალა მამაც.

გივიმ არც კი იცოდა, რომ თურმე მამას გულის არეში ომისდროინდელი ჭრილობა ჰქონდა. მამამ სმას მიჰყო ხელი: სვამდა მწყემსებთან. ვის საქონელსაც მკურნალობდა, შეზობლებთან, ნაცნობებთან და უცნობებთანაც კი.

როცა მამა შეზარხოშებული მოდიოდა, პირველ ხანებში გივის ეს მოსწონდა კიდევ. მამა ბუმბულივით აიტა-

ცებდა ხელში გვიგის, როგორც ადრე, დედის სიცოცხლეში იცოდა — ორივეს ერთად რომ აიყვანდა ხოლმე, ოღონდ ოთახში, მეზობლებს რომ არ დაენახათ... მაგრამ ახლა მამა იმასვე აკეთებდა იქვე, ჭიშკართან, გვიგის რომ გაექანებოდა ხოლმე მის შესახვედრად... და ყოველთვის მოჰქონდა მისთვის საჩუქრები...

პატარა მოხუცი — ბებო თეკლე, ამით რომ პატრონობდა, მხოლოდ საყვედურით აქნევდა თავს და მალულად იწმენდა თვალებზე მომდგარ ცრემლებს.

მამა კი ცუდად ხდებოდა, თანდათან სულ ცუდად და ცუდად... სმას კი მაინც განაგრძობდა.

— ეპ, რას ვიზამთ, შეილო, — უთხრა ერთხელ გვიგის ბებო თეკლემ, — ზოგს ერთი წლის შემდეგ მოჰყავს მეორე ცოლი... მამაშენი კი, როგორც ეტყობა, სიკვდილამდე თავისი მეუღლის ერთგული დარჩება.

— სიკვდილამდე ერთგული რას ნიშნავს, ბებო? — შეეკითხა გვიგი.

— აი, მამაშენივით, მარტო დედაშენი რომ უყვარს.

— სწორია. მეც ასეთი ვიქნები.

მამა უცებ გარდაიცვალა, დილით, სამსახურში წასვლის წინ.

ისინი საუზმობდნენ და გვიგემ მამას უამბო, რომ სკოლაში ერთმა ბიჭმა მეორეს ავტოკალამი მოპარა, მაგრამ ის ბიჭი, ვისაც მოპარეს, უფრო სუსტია და იმ მეორე ბიჭისა ეშინია, და ამიტომ ხმას ვერ იღებს.

— არ უნდა ეშინოდეს. — უთხრა მამამ.

— ის ჩემი ამხანაგია.

— ვინა? ქურდი? — შეკრთა მამა.

— არა, ის ბიჭი, ვისაც მოპარეს...

ის ქურდი ბიჭი კი მე მივბეგვე. ახლა შენ მასწავლებელთან ხარ დაბარებული. ასე მითხრა, შენ კი არ უნდა გეჩხუბა, ჩემთვის უნდა გეთქვაო.

მამა გაჩუქებული რაღაცას ფიქრობდა, გათამამებულმა გვიგემ კი განაგრძობდა:

— ჩვენ გოგოები ხომ არას ვართ, რომ ერთმანეთი დავაბეზლოთ!

— პო... კარგი, მოვალ. ოღონდ ნუღარ იჩხუბებთ.

— არა, მამიკო.

მერე ბებო თეკლემ თქვა, რომ ნემსის ქურდი, მერე აქლემსაც მოიპარავსო და აცნობა, რომ უნივერსიტეტის დირექტორს „მოსკვიჩი“ მოპარესო.

გვიგემ უთხრა, რომ „მოსკვიჩს“ არაფერი საერთო არა აქვს აქლემთან და ყველას გაეცინა.

უკანასკნელი სიტყვები, რაც გვიგემ მამისგან გაიგონა, იყო: „თუ გიყვარს დედა, მამა და სამშობლო, ყოველთვის უნდა იყო პატიოსანი!.. გესმის, ყოველთვის და ყველაფერში!“

გვიგი თავის ოთახში წიგნებისა და რვეულების გამოსატანად გავიდა, რომ მამას გზად გაჰყოლოდა... და როცა ჩანთით ხელში შემობრუნდა, მამა თავჩაქინდრული იჭდა სკამზე, — ის ცოცხალი აღარ იყო.

მამა დედის გვერდით დასაფლავეს, გვიგი კი ბიცოლასთან და ძიასთან ერთად თბილისში წავიდა.

გასაცილებლად სადგურზე გვიგის ყველა ამხანაგი მოვიდა, დოდო ტირილდა კიდევ.

თბილისში რომ ჩამოვიდნენ, გვიგი მეოთხე კლასში შეიყვანეს. ადრე ფრიადოსანი ბიჭი, ახლა ძალიან ცუდად სწავლობდა, არ უსმენდა მასწავლებლებს, სულ ერთავად რაღაც თავის ფიქრებში იყო, და, რაც მთავარია, ყოველგვარ წერილმანზე ჩხუბობდა.

— რა თქმა უნდა, ყველაფერი გვესმის, — თქვა სკოლის დირექტორმა ქალმა, — მაგრამ ძალიან ცუდ გავლენას ახდენს სხვა ბავშვებზე. მასწავლებლებს უხეშად ეპასუხება, არავისთან არ შეგობრობს... და დაშინებული ჰყავს ყველა თანაკლასელი.

ეს მთლად ასე არ იყო. გვიგი უფროსკლასელებსაც ეჩხუბებოდა.

ძიამ და ბიცოლამ გვიგი სხვა სკოლაში გადაიყვანეს.

ბიცოლა ნინომ უხელფასო შვებუ-

ლება აიღო და ორი თვის განმავლობაში ამეცადინა ჩამორჩენილი ბიჭი.

ახალი წლის წინა დღით, როცა ძია და ბიცოლა შინ დაბრუნდნენ გვიისთვის საჩუქრებით დატვირთულები, სახლში მხოლოდ სავარძელზე მძინარე მოხუცი მეზობელი ქალი დახვდათ, გვიე კი არსად ჩანდა.

მილიციის განყოფილებაში და სისწრაფო დახმარების სააუადმყოფოებში ერთი დღის ძებნის შემდეგ, ბატონმა გიორგიმ მოისაზრა და დღით აღრე ძმისწულის საძებრად გორში გაემგზავრა.

დიდი გამჭრიახობა არ იყო საჭირო იმისათვის, რომ საფლავის ირგვლივ, თოვლზე გეცნოთ ბავშვის ფეხსაცმლის კვალი, განსაკუთრებით შესასვლელ პატარა კართან, სადაც ბიჭი, როგორც ეტყობა, დიდხანს იდგა და სიცივისაგან გათოშულ ფეხებს ინაცვლებდა.

ბატონმა გიორგიმ ცოლს სასწრაფო ღებუშა გაუგზავნა — გვიე გორშია, მალე ვიპოვი და ჩამოვიყვანო... და მერე მთელი დღე ამოდ დაეძებდა ბიჭს.

შებინდებისას, როცა ყველა ნაცნობი და აგრეთვე მილიცია გაფრთხილებული იყო, გიორგი ფართო ხილით გადავიდა მტკვრის მეორე ნაპირას და გაემართა სადგურისკენ, რომ ზეალ დილით უქანვე გამობრუნებულიყო.

ხალხით სავსე სადგურის მოსაცდელ დარბაზში გაისმოდა მზიარული შეძახილები, სიცილი და შეჭეიფიანებულთა სიმღერა, როგორც ეს შეეფერება ახალი წლის პირველ დღეს.

შეფიქრიანებული და საკმაოდ დაქანცული ბატონი გიორგი სკამის თავისუფალ კიდეზე ჩამოჯდა. ახლა ის საყვიდურით იხსენებდა სიტყვებს, მზიარულმა და იქნებ ცოტა კიდევ შეზარბოშებულმა მორიგე მ რომ უთხრა — „ნუ გეშინიათ, თუ გორშია, ჩვენ უსათოოდ ვიპოვით!“

მილიციის ოფიცრის ეს ყოველად უსაფუძვლო დაპირება, მას, დარბაისელ მეცნიერს, ცოტა არ იყოს, მოუფიქრებლად ეჩვენა.

გიორგის სკამს, ცალკე ფეხის ტრეკით, ათიოდე წლის ბავშვი ეხლოვდა და მოკრუნხული ხელი სამოწყალოდ გაუწოდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ უბედურ ბიჭს სახის მარჯვენა მხარეც მოღრეცილი ჰქონდა და პირიდან დობლი სდიოდა, პროფესორმა შენიშნა, რომ ბიჭი საკმაოდ მიწილდველი იყო და ყველაფერ ამასთან, რიგიანად ეცვა.

ბატონმა გიორგიმ ჭიბუების მოჩხრეკა დაიწყო, და როცა ხურდა ვერ იპოვა, ბიჭს ქალაღის მანეთიანი გაუწოდა.

მახინჯი ხელი მოულოდნელი სიმკვირცხლით ეცა მანეთიანს, ამის შემდეგ ბიჭი აღარავისთან მისულა და პირდაპირ ბუფეტისკენ წაჩანჩაღდა.

„უბედური! ეტყობა ძალიან მშვიერია“, — გაიფიქრა ბატონმა გიორგიმ და დაინახა კიდევ მეზუფეტემ როგორ გამოართვა მას მანეთიანი და გაუწოდა პურის დიდი ნაჭერი და ძებვი.

ყველაფერი დღესავით ნათელი იყო. ახლა ბიჭი საჭმელს ეძებრება... მაგრამ არა, ბიჭი კართან მივიდა და ვიღაცას ანიშნა მოდიო... და აი, მას სიცივისაგან მოკუნტული გვიე მიუახლოვდა.

— გვიე! — გაქანდა მისკენ ძია გიორგი და თან გზა და გზა შემხვედრ ხალხს ეჯახებოდა.

გვიე არც აპირებდა გაქცევას. მკერდზე მიკრული პურითა და ძებვით იდგა, და გაშტერებით უყურებდა თავის ძიას.

გიორგიმ ხელში აიტაცა გათოშილი ბიჭი და მაგრად ჩაიკრა გულში. ამ უხეშ, მამაკაცურ აღერსში იმდენი გრძნობა იყო, რომ მშვიერი და ძვლებამდე გაყინული გვიე მოღბა.

ცოტა გონსმოსულმა გიორგიმ დაინახა, რომ გვიის მწყალობელი მათხოვარი კოჭლობით და მოღრეცილი ხელის რაღაც უცნაური ქნევით გარბოდა.

— მოიცა, ბიჭიკო, მოიცადე! — მიძახა ბატონმა გიორგიმ რაინდული სულის მქონე ხეიბარს, მაგრამ მათხო-

ვარი სადგურის მოედნისკენ ღია კარში გაეარდა, და გაუჩინარდა.

უკვე თბილსა და რბილ ვაგონში გივი აღაპარაკდა. მართალია, აღიარებდა თავის დანაშაულს ძიასა და ბიცოლას წინაშე, მაგრამ, იმავე დროს, დაბეჭითებით იმეორებდა:

— მე მინდოდა ახალი წელი დედასთან და მამასთან გამეტარებინა!

— ჰო, შეილო, მაგრამ ჩვენთვის რომ გეტქვა?! მე და ბიცოლა ჩამოვიყვანდით! — რატომღაც დიდხანს იხოცავდა ცხვირს და უნებურად იწმენდდა თვალებს ძია გიორგი.

— ძალიან მიმძიმს უიმართოდ.

— შესმის, ჩემო ბიჭუნავ, მაგრამ რას იზამ, ჩვენ ვერ ვავაცოცხლებთ მათ...

— სასაფლაოზე ვიყავი, სანამ დაბნელდებოდა... მერე კი ისე შემეშინდა, რომ... — გივიმ ტყუილი არ იცოდა.

— ღამე სადღა გაატარე?

— სადგურზე. დილით კი ჩემს ამხანაგ დოდოსთან მივედი. შემოპატიცა, შინ შემოდო, მაგრამ არ შევედი.

— მაინც რატომ არ შეგვედი?... ის ხომ შენი მეგობარია. შენ იმის ადგილას რომ ყოფილიყავი, დარწმუნებული ვარ, მარტო არ დასტოვებდი.

— ჰო, მართალია, არც იმან დამტოვა მარტო.

— როგორ, არ დაგტოვა! აი, ის უბედური, მაგრამ ისეთი კეთილშობილი ხეიბარი რომ არ შეგხვედროდა... ნეტავი არ გაქცეულიყო, რალაციით დავეხმარებოდით.

— იმას არაფერი დახმარება არ უნდა.

— რატომ? როგორ თუ არ უნდა? დაგავიწყდა ის, რაც იმან ჩაიდინა შენთვის?..

— სწორედ ის არის დოდო... ძია გიორგი! — გივის შერცხვა და ვაჩუმდა.

— მოიცა, მოიცა... ისა, რომელიც დასაფლავების დროს გვერდიდან არ მოგშორებია?

— ჰო, დოდო!... ხეიბარი ვაითამაშა

იმიტომ, რომ ჩემთვის პურის დოდო... ეშოვა, — მერე გივი კრიალავა დაეჭურჭრა რი ხმით ახარხარდა, დააეიწყდა იმ ორი დღის განცდილი და სიამაყით დაუმატა: — დოდო მსახიობია... მას შეუძლია მიწაზე დაეცეს, თვალები გადაატრილოს, დორბლი გამოუშვას და ნამდვილ ბნედიანივით იფორთხილოს... მკლავი მოღრიცოს, კოჭლობა დაიწყოს, ანდა...

— რაო?! — აღმოხდა ძია გიორგის.

— და, თოთო ბავშვივით ატირდეს კიდევ.

ახლა უკვე ორივე ხარხარებდა.

როცა შინ დაბრუნდნენ, გივიმ ნინო ბიცოლა ისეთი ატირებული და შეძრწუნებული დაინახა, რომ მან პირობა მისცა — არასოდეს ასეთ რამეს აღარ ჩავიდნენო.

ახალი წლის არდადეგების შემდეგ გივი უკვე ბეჭითად სწველობდა.

დოდოს მამა თბილისში აფთიაქის გამგედ გადმოიყვანეს, და მეხუთე კლასში, დოდო და გივი, კვლავ ერთ მერხზე ისხდნენ, თუმცა დოდო ამ სკოლიდან საკმაოდ შორს ცხოვრობდა. ვიდრე დოდოს დედ-მამა თბილისში გადმოსახლდებოდნენ, ბიჭები ერთმანეთს წერილებს წერდნენ.

• • •

უხსოვარ დროიდან ხალხი ხოტბას ასხამდა მეგობრობას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე ლამაზსა და რთულ ფორმას. მეგობრობას მიეძღვნა უამრავი დაწერილი, თუ ზეპირად წარმოთქმული ნაწარმოები... მაგრამ მეგობრობის სწავლების სახელმძღვანელოს შედგენა არავის უცდია — ეს ბუნების მიერ ნაბოძები ნიჭია.

გივის და დოდოს, მერე ლევანი და დათო შეუამხანაგდნენ, და ასე დაიწყო ამ ოთხი ბიჭის თავდადებული მეგობრობა, რომელიც მერე, ალბათ, მთელი სიცოცხლე გაჰყვებოდათ.

ამ მეგობრობის სულისჩამდგმელი იყო გივი, რომელმაც ძალიან ადრე შე-

იგრძნო ცხოვრების სუსხი, და ამიტომ სხვებზე მეტად ესმოდა ერთგული მეგობრობის ძალა.

ბიჭებში დაბადებული მეგობრობის რომანტიკა, რომელსაც სათავგადასავლო წიგნების კითხვა აძლიერებდა, მოითხოვდა აგრეთვე არა ნაკლებ რომანტიკულ „რაინდებად კურთხევას“, და ეს კურთხევა კიდევ შედგა.

ამ რიტუალის პირობითობას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია გვეროვდეს წარმოთქმული ფიცი და წმინდად შეასრულო იგი.

რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ძველებური ციხე-კოშკის მიწისქვეშეთის ნაცვლად, ბიჭებმა თავი შეაფარეს ძიის სახლის საკმაოდ მოძველებულ სარდაფს, ჩირაღდნების მაგიერ ბიცოლას საკუჭნაოში აწაპნილი სტეარინის სანთლები ჰქონდათ, და ხანჯლების ნაცვლად კი, რომლებითაც „სიკვდილამდე მეგობრობის“ ნიშნად თითები უნდა გაეკრათ და სისხლი შეერიათ, — ჩვეულებრივი ჯიბის დანები...

ოთხი სანთლის შუქზე გარკვევით მოჩანდა რა დაძაბულნი და ფერმკრთალნი იყვნენ ბიჭები.

ვეება, ზედ ჰერის თავიდან წამოსული ჩრდილები დაბლა ეშვებოდნენ, ოთხივე კედელზე მიდგმული ძველი ავეჯი და სხვადასხვა ხარახურა კი წაგავდა რაინდულ აბჯარს და მიჯაჭვულ ჩონჩხებს...

— ვფიცავ! — გაიმეორეს ვივის სიტყვები ლევანმა, დოდომ და დათომ.

ბელები, რომლებშიც სანთლები ეკრათ, აღიმართნენ მაღლა და შეერთდნენ, ჩრდილები კი კედლით ქვემოთ ჩამოსრიალდნენ და ბიჭების ფერხით მიიკუვნენ.

— ... რომ ამ ქვეყნად ვერაფერი ვერ შეარყევს ჩვენს მეგობრობას! ვერც ფული, ვერც შიში და ვერც ქალი! — უზენაესი ქურუმის ხმით წარმოთქვა გვიგომ, და თან ფიქრობდა, რომ ამ ფიცში სრულიად უადგილოდ იყო

მიტმასნილი ქალი, მაგრამ ასე ვერა მის მიერ წაკითხულ წიგნში იყო ნათქვამი.

— ... რომ ვერაფერი ვერ შეარყევს ჩვენს მეგობრობას — ვერც ფული, ვერც შიში... — ბიჭების ხრინწიანი ხმები ზეიმიტ იყო სავსე. აი, დაბოლოება კი „და ვერც ქალი“, — მთავრად ავღებულად წარმოთქვეს.

ეს იყო ბიჭების ცხოვრების ის პერიოდი, როცა გოგონები მათთვის ამ ქვეყნად ყველაზე ნაკლებ პატივსაცემი არსებანი იყვნენ.

— ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის! — დაიქუხა გივის ხმამ.

— ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის!.. — ფანატკური რწმენით, რომ სწორედ ასე იქნებოდა, გაიმეორეს ლევანმა, დოდომ და დათომ.

შემდეგ ჩრდილები კვლავ ჰერამდე აიზიდნენ... და აქეთ-იქით ქანაობა დაიწყეს... — ბიჭებმა ჯიბის დანებით გაიკრეს ნეკი, მარცხენა ხელზე, რომლითაც სანთელი ეკავათ.

სახლის ეზოში, თავის ბინის კართან მეუზოვე ამო იჯდა და კვირა დღის დასვენებით ნასიამოვნები, შუშის ნატეხით ახალი ცოცხის ტარს ფხეკდა.

ამოს წესად ჰქონდა შემოღებული, რომ კვირა დღით, სახლის წინ, ქუჩა და ეზო მის ცოლსა და უფროს, თოთხმეტი წლის ქალიშვილს უნდა დაეგავათ.

ქალიშვილის გათხოვების დრო აღლოვდებოდა, და ამო ვონებაში ანგარიშობდა რამდენ ფულს მიიღებდა საქმროსგან, იქიდან რამდენს დაახარჯავდა ქალიშვილს და რამდენი დარჩებოდა თვითონ.

ამ, როგორც ბევრმა შეიძლება იფიქროს, ვასაკიცხმა აზრებმა, არ შეუშალა ხელი ამოს, თვალყური ედევნებინა ჩაბარებული კარ-მიღამოსათვის.

სარდაფიდან კიბით ამოვიდა და დღის მკვეთრი სინათლისაგან თვალები მოკუტა გვიგომ, პროფესორის ძმისწულმა, მერე ასევე თვალებმოკუტებული უკან მოჰყვა მას სამი აშხანაგი.

ამოს გაუკვირდა, რომ სამივე ბიჭს მარცხენა ხელი ცხვირსახოცით ჰქონდა

შებვეული, მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ მათ, ყელმოდერებულეებმა, ძალიან თამამად გაიარეს, რასაც არასოდეს არ გააკეთებდნენ რაიმე ეშმაკობა რომ ჩადინათ.

„მინც თვალყური უნდა ვადევნო ამათ“, გაიფიქრა აშომ.

მართლაც, არასოდეს არ უგრძენიათ ბიჭებს ასე ძლიერად და ამაყად თავი. ჭგუფში უკვე ველარავენი უბედავდა წყენას დოდოს, ყველაზე სუსტს ამ ოთხეულიდან და უფროსკლასელებიც კი ცდილობდნენ არ წახსუბებოდნენ რომელიმე მათგანს, რადგან დანარჩენი სამი იმ წამსვე გაეჭანებოდა ხოლმე დასახმარებლად.

რა თქმა უნდა, ამ ოთხეულისკენ ბევრმა დიწყო ლტოლვა, მაგრამ მინც ვერავენი შესწლო გამხდარიყო მესუთე. იმიტომ კი არა, რომ მეგობრობის მსურველები იმ ოთხეულს რაიმეში ჩამოუვარდებოდნენ, არამედ იმიტომ, რომ გივის, ლევანსა და დათოს სხვისთვის აღარ ეცალათ, მთელ დროსა და ენერჯიას იმას ანდომებდნენ, დოდოს გაუთავებელი ჭამბაზობა როგორმე შეეკავებინათ.

ყველაფერ იმისთვის, რასაც დოდო სჩადიოდა, ჭამბაზობის დარქმევა პირობითად თუ შეიძლებოდა. ყოველგვარი გათამაშება ასატანია მხოლოდ მაშინ, როცა გონებამახვილურია და არ სცილდება ყოფაქცევის გარკვეულ საზღვრებს. დოდომ კი ზომიერება არ იცოდა, მისი ოინები ხშირად აშკარა დაციუნვას, კაცის აბუჩად აგდებას, და ზოგჯერ უნებლიე ბოროტებას ჰკავდა.

მეგობრები ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად შეეკავებინათ დოდო, მაგრამ უფრო ხშირად იმაზე ზრუნავდნენ, თუ როგორ ეხსნათ იგი მისივე ოინებით გამწარებული და გაავებული ხალხისაგან.

დოდოს ოინებით შეცბუნებულმა ამხანაგებმა რამდენჯერმე უარიც კი თქვეს მასთან მეგობრობაზე. მაგრამ დოდო ისე უანგაროდ თავდადებული იყო მათ მიმართ, რომ, ბოდოს და ბო-

ლოს, ყველაფერს აპატიებდნენ. მათთან დაბალი, სახის სწორი, ბიანი, წაბლისფერთვალემა და ბევრე შუური მიამიტობით სავსე დოდო, გაცნობის უმაღლე სიმპათიას იწვევდა... ვიდრე კვლავ თავის მორიგ ოინს არ ჩაიდენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები მერე სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში შევიდნენ, ამან ვერ დაარღვია მათი მეგობრობა.

გივი ექიმი გახდა, დათო — ინჟინერი, ლევანი — არქიტექტორი, დოდო კი — რეისორი.

• • •

ავვისტოს ერთ-ერთ უკანასკნელ დღეს ეკა მიპატიებელი იყო ახალგაზრდა მხატვრის სურათების შინაურ გასინჯვაზე. ეს მხატვარი ახალი დაბრუნებული იყო ჩეხოსლოვაკიდან და ჩამოტანილი ჰქონდა რამდენიმე სურათი და მრავალი ესკიზი.

შემფასებელი სულ ექვსიოდე კაცი იყო და გასინჯვის შემდეგ ყველა სუფრასთან მიიწვიეს.

ეკა გვერდით ეჭდა დიასახლისს, მასზე ცოტა უფროსს, მომხიბვლელ მანანა ცისკარიშვილს, და ისინი როგორღაც უკებ დამეგობრდნენ.

ვიდრე მამაკაცები კამათობდნენ ქალაქში დაღვმულ ახალი ქანდაკებების აკვარგიანობაზე და არც სასმელებს ღალატობდნენ, ეკასა და მანანას შორის ლალი სუბარი გაიმართა. მანანა პოეზიით იყო გატაცებული და ეკას ზეპირად წაუკითხა ფრანგი პოეტების რამდენიმე აქამდე უცნობი თარგმანი.

— ეგ თქვენი თარგმანია? — ჰკითხა ეკამ.

— არა, რასა ბრძანებთ... ეს ახალგაზრდა პოეტის. ონიანის თარგმანია. გინდათ, მის საკუთარ ლექსს წაგიკითხავთ?

— სიამოვნებით მოვისმენ.

ლექსი ეკას ძალიან მოეწონა.

— დიდი მომავლის მქონე პოეტი ყოფილა. — თქვა მან.

ქ. მარტის ს. ს. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა

— მომავალი არა აქვს... ცოცხალი აღარ არის. რვა წლის წინათ თავი ჩამოიხრჩო.

ეკას ნამდვილად ეწყინა და მანანამ უამბო როგორ მოხდა ეს.

— ჩვენ მაშინ ცხრამეტ-ოცი წლისანი ვიყავით, სკოლის მერხიდანვე ვმეგობრობდით. კაკო ონიანი საღამოს დასწრებულზე სწავლობდა, დღისით კი გამომცემლობაში მუშაობდა, იმავე დროს საკუთარ ლექსებსა და ფრანგულიდან თარგმანებს ბეჭდავდა. თავისდა საუბედუროდ ერთი ლამაზი ქალი შეუყვარდა.

— თვითონ შესახედავად როგორი იყო? — შეეკითხა ეკა.

— ძალიან ლამაზიც კი, ოღონდ ტანდაბალი. და მგონი სწორედ ამიტომ უთხრა იმ ქალმა უარი.

კაკო ბოკემა იყო და, რა თქმა უნდა, ხშირად იგვიანებდა ხოლმე სამსახურში, მაგრამ გამომცემლობაში უყვარდათ და ცდილობდნენ ამისთვის არ მიეჭკითა ყურადღება, ხან კი მის სამუშაოსაც ასრულებდნენ... და მხოლოდ ერთი ვიგინდარა, ხნიერი კაცი, რომელმაც აღრეც რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა, განცხადებას განცხადებაზე წერდა.

დირექტორს ისლა დარჩენოდა, რომ ნაკითხი საერთო კრებაზე გამოეტანა და საწყალი კაკო სამსახურიდან გაათავისუფლეს. რა უბედური დამთხვევა მოხდა, სწორედ ამ დროს საყვარელმა ქალიშვილმაც უარი უთხრა... და თავის პაწაწკინტელა ოთახში მან ელექტროზონარით ჩამოიხრჩო თავი.

— მერე, ხალხმა, რაო? — იკითხა ეკამ.

— ეჰ, ხალხი... მარტო ერთმა ვერ მოითმინა და ამისათვის ციხეში ამოყო თავი. პანაშვილზე ყველანი ეზოში ვიდექით, რადგან ოთახში მარტო სოფლიდან ჩამოსული მეზობლებისა და ერთი-ორი ადამიანის მეტი არავინ ეტეოდა... როცა მოულოდნელად, სამიძირის სათქმელად მოვიდა ის, დამსმენი, პირველმა მე ვუთხარი გივის:

„შეხედე, ის საზიზღარე, მოვედამეთქი!“

მეზობლები

— რომელ გივის? — იკითხა სულ-შეხუთულმა ეკამ.

— გივი კაპანაძეს, ჩვენი სკოლის ამხანაგს. მე მისი მკლავი მეჭირა, და ვგრძნობდი, აღშფოთებისაგან როგორ განკალებდა.

აღელვებულმა ეკამ მკერდისკენ წაიღო ხელი, უნებურად გაკრა სახე ქიქას და ღვიწი მუხლებზე გადაისხა.

სანამ დიასახლისი ეხმარებოდა კაბის გაწმენდაში, და მამაკაცებმა კი კამათი დროებით შეწყვიტეს, ეკა სდუმდა. შემდეგ კი კვლავ ალაპარაკდა:

— მერე?... მერე?..

— მერე ის გარეწარი წავიდა, გივი უკან გაჰყვა... და ისე მიბეგვა, რომ თვენახევარი საავადმყოფოში იწვა და, რასაკვირველია, სასამართლოში უჩივლა. ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ...

— მერე, რამდენი მიუსაჯეს? — ისე მზიარულად იკითხა ეკამ, რომ დიასახლისს გაუკვირდა.

— ორი წელი, მაგრამ ეს შეამდგომლობებო, ეს თხოვნებო, საზოგადოებრივი აზრიო... და ექვს თვემდე მოუხდა ციხეში ჯდომა. ჩვენ ყველას ისე გვიყვარს გივი...

— ახლა?

— ახლაც, ისეთი შესანიშნავი ვაქცაიცა...

ახმაურდა სკამები. სტუმრები წასვლას აპირებდნენ და დიასახლისი მათ მიუბრუნდა.

ეკა ყველასთან ერთად წავიდა, მეტი ვერაფრის შეკითხვა ვერ მოასწრო, მხოლოდ მხურვალედ გადაკოცნა მანანა.

სახლში ეკა მშვენიერ ხასიათზე დაბრუნდა, დედას ალერსიანად თვითონ პირველი გამოელაპარაკა, თუმცა უფრო ხშირად შერიგების ინიციატივას დედა იღებდა ხოლმე, და მერე თავის ოთახში შევიდა, რომ მარტო დარჩენილიყო მოწოლილ გრძნობებთან.

— არა, მეტს აღარ დავლევ, გმადლობთ... — დოდომ ხელი დააფარა ჭიქას, რომელშიც გვიღვინის დასხმას აპირებდა, — მე ერთი რამ მოცეცხს... რატომ გგონია, რომ ლევანი ვერ შესძლებს ხელი მოკიდოს რამე სხვა საქმეს, უფრო შესაფერის მისი ახლანდელი მდგომარეობისათვის?

ეს დავა, ძირითადად დოდოს, გვივისა და დათოს შორის მიმდინარეობდა, ბატონი გიორგი კი, მათ ყურადღებით უსმენდა.

მეგობრები შეიკრიბნენ, რომ შეთანხმებულიყვნენ ლევანთან მისვლისას რა, და როგორ ელაპარაკათ, თანაც ერთგვარად აღენიშნათ გვივის დაბრუნება.

— რატომ არ გინდა გაივო, — უთხრა დოდოს გვივი, — რომ ლევანი მთელი თავისი არსით არქიტექტორია. მას უკვე ავტომატურად აქვს გამოშუშავებული პროფესიული ჩვევები — სივრცითი აზროვნება, ფართო ცოდნასთან შეთავსებული შემოქმედებითი ფანტაზია, და ბოლოს, იმ ადამიანს თავისი საქმის სიყვარული აქვს... ლევანი უკვე საცესებით ჩამოყალიბებული პროფესიონალია... შენ კი გინდა ყველაფერი შეიცვალოს?!

— სამწუხაროდ ასეა!.. შენ არ ვიფიქრია, რომ არქიტექტორს სჭირდება ფიზიკური გამძლეობაც?.. რომ ლევანს, დასწყველოს ღმერთმა, სჭირდება ფეხები, რომლებიც აღარა აქვს! — და დოდო მოიჭმუხნა, თითქოს რაღაცა ძალიან დიდმა ტკივილმა შეაწუხაო.

— ჰო, არქიტექტორს სჭირდება ხშირი მოძრაობა, სხვადასხვა ხალხთან ურთიერთობა. — დაადასტურა დათომ.

— არ შეიძლება, რომ ადამიანი, რომელმაც მიიღო ესოდენ დიდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმა, ერთბაშად გარდაიქმნას. და ვერც შესძლებს... არ ვიცი, სხვა რა გზას უნდა დაადგეს...

— მეც არ ვიცი, — თქვა დათომ.

— მაშ, აბა რა გქნათ, ^{ერო} [ფიქსიონალური] თავისთვის დაიწყო დოდომ ^{საქმის} [განმარტება] დის, რომ ჩვენ არაფერი შეგვიძლია.

— შეგიძლიათ!.. — ჩაერია ბატონი გიორგი და ყველა მისკენ მიტრიალდა — მთავარი ხომ ის არის, რომ ლევანმა ცხოვრების ინტერესი არ დაკარგოს?

— საქმეც ის არის, რომ ლევანი ყოველთვის მიზანსწრაფული, ძალიან საქმიანი იყო და ახლა მხოლოდ შემოქმედებით შრომაშია მისი ხსნა!.. — უთხრა ძიას გვივი.

— ჰო, რასაკვირველია!.. მე, რა თქმა უნდა, მესმის, რომ ეგ თქვენი სურვილი ნაკარნახევია სწრაფად და აზრიანად გადაწყვეტით საკითხი... მაგრამ, განა უკეთესი არ იქნება, არ იჩქაროთ, მისკეთ საშუალება თვითონ გადაწყვეტოს ყველაფერი. თანაც, შეუმჩნევლად და დიდი ტაქტით დაეხმაროთ მას ახალი გზის არჩევანში?!

— უკვე ცხრა თვეა, რაც წევს და ინელებს თავის უბედურებას, — თქვა დათომ.

— რამდენი უნდა ველოდოთ? — აღმოხდა გვივის.

— შენ, როგორც ქირურგი, თერაპევტებისაგან განსხვავებით, შეჩვეული ხარ საქმის სწრაფ გადაწყვეტას და მოქმედებას, — გაიღიმა პროფესორმა. — შენ რაღას იტყვი, დოდო?

დოდომ მაშინვე არ უპასუხა, თუმცა ჭიქა ასწია.

— ბატონი გიორგი მართალია!.. ახლა კი მე მინდა დავლიო ლევანის სადღეგრძელო...

— ჰო, ჰო!.. ასე გავაკეთოთ, ლევანს გაუმარჯოს! — დალია დათომ.

— კეთილი. — უხალისოდ დაეთანხმა გვივი, — ჯერ, ერთი პირობა დავაკლოთ. ლევანს გაუმარჯოს!..

— მე კი ლევანს თუთიყუში ჩამოვუყვანე, სოქში ერთმა მელნავურმა მომყიდა. — თქვა დოდომ.

— ცოცხალი? — ჰკითხა დათომ.

— არა, შემწვარი. რა სისულელებს შეკითხები?

— შენ კი მეტს ნულარ დაღევ... — ურჩია დათომ. — თორემ შეგატყობენ, რომ ნასვამი ხარ.

— ხუმრობ, თუ მართალს ამბობ?

— ჰკითხა გვიემ დათოს.

— ახლა რა მგებურება!

— შენსას კაცი რას ვაიგებს. — წაიფრუტუნა დათომ.

— თქვენი თვალებით დინახავთ. ნამდვილი კვადღუა... ოღონდ ჯერ ახალგაზრდა და ლაპარაკი არ იცის.

— მერე, მოეწონება ლევანს? — იკითხა ქალბატონმა ნინომ.

— ბავშვობაში მტრედებს დასდევდა, ახლა თუთიყუში არ მოეწონება? — თქვა დათომ.

შემდეგ საუბარი სხვა თემაზე გადავიდა. ილაპარაკეს ახალ წიგნებზე, ცვლილებებზე მინისტრთა საბჭოში, ცნობილი მსახიობის განქორწინებაზე, მერე კი ქალბატონმა ნინომ უამბო ერთი თავისი სტუდენტი ქალის შესახებ, რომელიც ფეხშიძედა და ბიჭი კი, ისიც სტუდენტი, ამ გოგოს ცოლად შერთვაზე უარს ამბობსო.

— შევარცხენი იმის კაცობა! — აღშფოთდა დათო, რომელსაც უკვე ძველ-რბილში ჰქონდა გამჯდარი მამობრივი გრძნობა, — მაგისთანას კინ-წისკვრით ვავაგლებდი ინსტიტუტიდან.

— ეგ ინსტიტუტის კი არა, სასამართლოს საქმეა. — მოუტრა დოდომ.

— არაკაცები ყოველთვის იყვნენ, და იქნებიან კიდევ! — არ ცხრებოდა დათო.

— ჰო, ჰო... — რატომღაც ჩაიციინა ბატონმა გიორგიმ.

— რა არის აქ სასაცილო? — განაწყენდა ქმარზე ქალბატონი ნინო, უბედური გოგო...

— მოიცა! — შეაწყვეტინა ქმარმა, — გამახსენდა ერთი ანალოგიური ამბავი, თავის დროზე რომ „სოლომონის სამართალი“ უწოდეს.

— ჰო, ჰო! უამბე ერთი ამბავი, ძალიან საინტერესოა!

— ეს ამბავი ოციან წლებში მოხდა... — დაიწყო ბატონმა გიორგიმ, ამ-

კარად კმაყოფილმა ცნობის თხოვნით, — ერთმა სტუდენტმა ქალმა შეიღო გააჩინა; ბიჭმა საერთოდ მამობაზე უარი თქვა. იმ გათახსირებულმა, სასამართლოს განუცხადა, რომ მაგ ქალთან მართლ მე კი არა, სხვებსაც ჰქონდათ ურთიერთობაო. ჩვენ, იმ ქალის ამხანაგებმა, ვიცოდით, რომ ეს ტყუილი იყო... მაგრამ გამოვიდა რიგრიგობით მისი სამი ამხანაგი და განაცხადეს, ამ ქალთან საქმე ჩვენც გვექონდაო... და დასამტკიცებლად, სამივემ სრულიად ერთნაირად აღწერა იმ ქალის რამდენიმე საქმიად ინტიმური დეტალი. ხალხი აღშფოთდა, მაგრამ ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, სასამართლო სასამართლოა და ჩვენება მოწმეებისა, რომლებსაც, სხვათა შორის, თავი საქმიად თავისუფლად ეკვირათ, ძალიან ბევრს ნიშნავდა.

სასამართლო საფათბიროდ ვავიდა, მხოლოდ სამი საათის შემდეგ დაბრუნდა და გამოიტანა განაჩენი: სრული ალიმენტის გადახდა დაეკისრა ოთხივეს.

— ბარაქალა! — თქვა დათომ, — აი, ეს მესმის!

— ის სამი ცრუ მოწმე? — იკითხა დოდომ.

— ხმა დაირბა, იმათ ბავშვის მამა მაგრად მიბეგვესო. მაგრამ ოთხივე რომ ალიმენტს იხდიდა, ეს კი ნამდვილად ვიცო.

— დღეს ასეთი რამ შეუძლებელია... მაშინ სამხედრო კომუნის ეპოქა იყო, — აღნიშნა გივიმ.

— ძალიან კარგი ეპოქა იყო, — უბასუხა ძიამ.

— ჩვენი წასვლის დროა, — დახედა საათს დოდომ, — გივი, ჩვენსა შეგლა მოგვიბდება თუთიყუშის წამოსაყვანად.

უკვე მანქანით რომ მიდიოდნენ, გივის გაახსენდა:

— ეპ, შენი საჩუქარი დამავიწყდა... დოდო, რა გირჩევნია, პარკერის ავტოკალამი, თუ მამაკაცის ნესესერი?

— რაც გეშეტება.

— შე ორივე მემეტება.
 — მაშ, ორივეს გამოგართმევ.
 — თავზედო! — აღშფოთდა დათო.
 — რატომ... ამას ემეტება, შე კი ერთიც მიწა და მეორეც.
 გივი გულიანად იციროდა, რადგან მშვენივრად იცოდა დოდოს რაინდული ხელგაშლილობა.
 — თქვენ წადით, შე ათი წუთის შემდეგ, ტაქსით მოვალ, — თქვა დოდომ და მანქანიდან გადმოვიდა.
 — მაშ, დაგიცდი.
 — არა, არა!.. შეიძლება შემავიანდეს... თქვენ წადით.
 — რა გეშინია, იმ შენს თუთიყუშს კი არ შეგვკამთ, — ჩაუბრუნა დათომ.
 — შენ დიდი სიამოვნებით შექამდი... მაგრამ შენი საკბილო ჩიტი არ არის! კარგი, წადით ახლა!
 — ისევ რაღაცას გამოვიგონებდა... — თქვა დათომ, როცა მანქანა დაიძრა.
 — არა, ავადმყოფს ვერ გაუბედავდა.
 — იქნებ თუთიყუშს ცუდი სიტყვები ასწავლა?
 — ეგ ახალი არ არის... თუმცა, შეიძლება...
 კარი ქალბატონმა თამარმა გაუღო და გახარებულმა აცნობა:
 — უკვე ოთხი საათია, რაც მარიკა უკითხავს რომელიღაც ინგლისურ ღირეტივს!
 — დეტაქტივს, — გაუსწორა დათომ.
 — პო, დიახ... დღეს კარგ გუნებაზეა.
 — ძია შაქრო სამხარეულოში იჭდა და ვახშობდა. ახალმოსულები რომ დაინახა, წამოდგა.
 — ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ, ძია შაქრო!
 მეგობრები შევიდნენ ოთახში, მარიკა ლევანის სასთუმალთან თავდახრილი იჭდა და ავადმყოფს წიგნს უკითხავდა.
 — რა ლამაზად ეხამება მარიკას ოქროსფერი თმა, და ლევანის შავი თმა,

რარიც უხდებიან ისინი ერთმანეთს, კალი გაიფიქრა გივიმ.
 — როგორც იქნა, მოხვედით. — გაუხარდა ლევანს.
 — თხუთმეტ წუთში დოდოც მოვა, — აცოცა მეგობარს დათომ, — გამარჯობა, მარიკა!
 — გამარჯობა, დათო, როგორა გყავს პატარა?
 — ფეხი აიდგა და უკვე კარგად დადის. — ამყავდა უბასუხა დათომ. მერე კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ უცებ გაწითლდა და გაჩუმდა.
 — ტყუილად შეცბი, დათო... — გულთბილად დაიწყო ლევანმა. — ნუთუ გგონია, რომ სიტყვა „დადის“ მე ტრავმას მაყენებს... პირიქით, მე ისე მახარებს შენი ოჯახის ბედნიერება!
 — რასაკვირველია! — დაუდასტურა გივიმ, მაგრამ ყველას რაღაც უხერხულობა მაინც დაეფულა.
 საბედნიეროდ, ზარმა გაიწკრიალა და დერეფნიდან დოდოს ხმა მოისმა.
 მერე თვითონაც გამოჩნდა კარში, თეატრალური პოზით, მაღლა აწეული ხელით, რომელშიც დიდი, მრგვალი გალია ეკირა. გალია გადაფარებული იყო ოქროსფერი, ბოლოებში ფიჩებამოკიდებული ფარჩით.
 — რა თქმა უნდა, შენ არა ხარ ესპანეთის მეფე და შე კი შენი ერთგული კონკვისტადორი, სამხრეთ ამერიკიდან ოქროს ზოდებით დაბრუნებული, მაგრამ კაკალე მაინც ჩამოგიყვანე!
 გრძელი სიტყვით დაღლილმა დოდომ ძირს დაუშვა ხელი, გალია რომ ეკირა, და ეტყობა მკვეთრი მოძრაობის გამო თუთიყუში ხარიხიდან გადმოვირდა. ფრთების მძლავრი ფართხალი გაისმა.
 — გაგრიდან სპეციალურად წავედი სოქის შავ ბაზარში, — უკვე ნაკლები მაღალფარდოვნებით დაუმატა დოდომ.
 — ასე რატომ გაისარჯე? — უთხრა დოდოს ზურგს უკან მდგარმა ქალბატონმა თამარმა.
 დოდომ მობოდიშებით გაუღიმა

ქალბატონ თამარს, მერე მივიდა საწოლთან, ცალი ფეხით ჩაიმუხლა და გალია ლევანს მიაწოდა.

ლევანს მკერდზე ეღო გალია და ვერ გადაწყვიტა ფარჩის მოხსნა.

— მოხსენი, მოხსენი!.. — გაამხნევა იგი ღოდომ.

ლევანი შეუდგა ფარჩის მოხსნას და გალიაში წითელ, ლურჯ, მწვანე და ყვითელ ფერებად ალაპლაბდა ბუმბული... წიწილისა.

ეს იყო სრულიად ჩვეულებრივი, ინკუბატორის, საშუალო სიდიდის შეღებილი წიწილა.

ჯერ ყველა გაოცდა. ვიღაცამ თავი ვერ შეიკავა და ჩაიხიხითია.

— სულელური ანგლობაა. — განრისხდა დათო.

— მე შენგან ყველაფერს მოველოდი, მაგრამ ამას არა!.. — ავის მომასწავებელი სიმშვიდით დაიწყო გვიმ.

ლევანი კი ხარხარებდა და ვერ შეჩერებულყო.

— გენიალურია!.. აბსოლუტურად გენიალური!.. — ბოლოს, როგორც იქნა, თქვა მან, — აი ეს, ნომერია! ჰა, ჰა, ჰა!..

იცინოდნენ მარკია და ქალბატონი თამარი, ბედნიერები იმით, რომ პირველად გაიგონეს ლევანის სიცილი.

გვი და დათო ერთი პირობა გაიფხორნენ, მერე კი, ისინიც ახარხარდნენ და მათ აპყვა შემოსული ძია შაქროც.

— გამოიყვანე, გამოიყვანე გალიიდან, მოშინაურებულა!.. ჩემს დისწულს ბურთში და ბუცებში გადაეუცვალე... — გახარებულმა იმით, რომ ყველაფერი ასე კარგად დამთავრდა, ახსნა ღოდომ.

მართლაც, წიწილა მშვენივრად ეჭდა ლევანს ხელზე და ბისკვიტის ნამცეცხვს კენკავდა.

ძია შაქრომ ცოლს გადასცა ფარჩის გადასაფარებელი და როგორც საქმის კარგმა მცოდნემ, გალიას დაუწყო თვალიერება.

— კარგი, ქველებური ნამუშევარი!

რია!.. — თქვა მან, — ასეთი გალია ძვირი უნდა ღირდეს.

— ნეტავი, რამ მოგაფიქრა? — სიცილით ჰკითხა ლევანმა.

— გალიამ... მისმა გამყიდველმა სოკის შავ ბაზარში მითხრა, რომ ყოველ კვირა დღეს თუთიყუშებიც იყიდებო. ვიყიდე გალია... მერე, სწორედ კვირა დღეს წავედი სოკში, მაგრამ თითქოს განგებ, თუთიყუშში არ იყო.

— საღებავი არ ავნებს წიწილას? — ჰკითხა ლევანმა.

— ნუ გეშინია... ლურჯი, წითელი და მწვანე ავტოკალამის მელანია, ყვითელი კი, კვერცხების საღებავი.

— უიმე! — უცებ წამოიძახა ქალბატონმა თამარმა და ყველა ერთად მიამტერდა ზეწარზე წიწილის სკინტლს.

— თამარ დეიდა, გენაცვალე... მაპატიეთ... მე თვითონ წავიღებ სამარეცხაოში!

— რას ამბობ, ღოდო, შენ რომ იცოდე, რარიც გვასიამოვნე!..

— სისულელეა, — თქვა ლევანმა, — აი, აქ, მუშაობა დაღე და ზედ იჭდება...

— საწოლზე? — იკითხა მარკიამ.

— ჰო... შენ რა, ეკვიანობ თუ!

— ჯერ ერთი, გაურკვეველია, ქალია თუ ვაჟი. — ხუმრობაში ჩაუტარა მარკიამ.

თამარ დეიდა ყავის მოსამზადებლად გავიდა. ძია შაქრომ კი გალია გაიტანა.

— ერთი რამ უნდა გთხოვოთ... — აღერსით უსვამდა ხელს წიწილას ლევანი.

— კი, ბატონო.

— გისმენ!

— თქვი, შესავლის გარეშე!..

— ოლონდ, სიტყვა მომეციოთ, რომ შემისრულებთ.

— თუ ეს შესაძლებელია, არავითარი სიტყვის მოცემა არ არის საჭირო, — ყველას მაგივრად დაადასტურა გვიმ.

— მაშე ასე... — ცოტა ყრუდ დაიწყო ლევანმა. — მე ვიცი, რომ ჩემ-

თან ყოფნა და საუბარი თქვენთვის დამლულია...

— რა სისულელეებს ლაპარაკობ? — აფეთქდა დათო.

— მოიცა, მათქმევიწე. დამლულია, იმიტომ, რომ... თქვენ ყოველთვის დაძაბულები ხართ, რომ არ წამოგვდეთ ისეთი რამ, რაც მე ჩემს უბედურებას მომაგონებს. აი, მაგალითად, წელან დათომ თქვა, რომ ჩემი შვილი დადი-სო... და მერე სიტყვამ „დადის“ შე-ცხუნა.

— არა, რატომ? მე, მე მხოლოდ...

— გვედრებო, დათო, ბოლომდე მათქმევიწე!

— გაჩუმდი, მართლაც, რა დაგემარ-თა! — დატუქსა გივიმ დათო.

— მე ბევრი ვიფიქრე, ვიღრე გე-ტყობით, მაგრამ სხვანაირად არ შეი-ძლება. მეც მიჭირს... მთავარი ის არის, რომ არ მინდა თქვენი დაკარგვა.

— ჩვენ შენ არასოდეს არ დაგკარ-გავთ! — ვერ მოითმინა დოდომ.

— დამკარგავთ, რადგან მე თვითონ ვერ ავიტან.

— კეთილი. მოკლედ თქვი, რა გინ-და. — უხეშად ჰკითხა გივიმ.

— მე მინდა, რომ თქვენ სრულებით დაივიწყოთ ჩემი მდგომარეობა... რომ ჩვენს შორის ძველებური უბრალოება და გულახდილობა იყოს.

— მაშ, გეტყვი გულახდილად... ეს ძალიან ძნელია! — თვალი მოარიდა დოდომ, — კომედის თამაში მოგვიბ-ღება.

— რაო, განა ახლა არა თამაშობთ?.. მაგრამ თუ ყველაფერს პირდაპირ მე-ტყვი... იმასაც კი, რაც, სამწუხაროდ, ჩემი ტრაგედიაა... მაშინ ყველაფერი გამოიღვივდება. იმიტომ, რომ თავს ვაგრძნობ თქვენთან ერთად და არა ისე შორს... როგორც აქამდე...

გამეფდა მტანჯველი სიჩუმე. შუბლ-შეკრული მეგობრები ფიქრობდნენ.

— შენ მართალი ხარ! — ბოლოს დაარღვია სიჩუმე გივიმ, — და თუ რაიმე ტკივილი მოგაყენეთ, დაე, ჩვენ-მა მეგობრობამ გვაპატიოს.

შეღებოლი წიწილა კი აფრინდა დე-ვანის თავზე და ზევიდან დაეცა და-ყურებდა ჩაფიქრებულ აღამიანებს.

იღიმებოდა მხოლოდ ლევანი, თუმ-ცა ვინ იცის, რატომ... იმიტომ, რომ წიწილა თავზე ეჭდა, თუ, რომ გაიმარჯ-ვა მეგობრებზე... და შეიძლება თავის თავზედაც.

* * *

როცა გადაწყვეტილება მიღებულია და მხოლოდ მისი შესრულებაა საჭირო, შეიძლება ითქვას, რომ მთავარი საქმე გაკეთებულია.

ასე ფიქრობდა ეკაც, როცა გადა-წყვიტა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, შეხვედროდა გივის, ოღონდ როგორ და სად? ბედნიერი შემთხვევის იმედით ყოფილიყო?.. არა, ეს მის ხასიათს არ შეეფერებოდა... თუმცა, ამ „შემთხვე-ვას“ რომ ცოტა მიეხმაროს?..

ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ეკა გურამს უფრო აღერსიანად და ყუ-რადლებით ეპყრობოდა, თუმცა ეს ცო-ტა წააგავდა კიდევ მოღალატე ცოლე-ბის გადაჭარბებულ აღერსიანობას, მაგ-რამ ეკას ეს არ ეხებოდა.

აღრე ეკას ეგონა, რომ უყვარდა გურამი იმიტომ, რომ მოსწონდა მისი გონიერება, საქმის სიყვარული და კულტურა, და თანაც იმიტომ, რომ გუ-რამს უყვარდა იგი... მაგრამ იმავე დროს, ეკას არა სტოვებდა რაღაცა გა-ურკვეველი უკმაყოფილების გრძნობა, რომ გურამი როგორღაც ზედმეტად თვითკმაყოფილ და თავგერდა კაცად ეჩვენებოდა.

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია შინაგანი ბრძოლა, ამიტომ ეკა ასე აყოვნებდა და არ აძლევდა გუ-რამს საბოლოო პასუხს.

როცა გივის გაცნობის შემდეგ ეკა მიხვდა, რომ არასოდეს არ ჰყვარებია გურამი, მაშინვე შინაგანად განთავი-სუფლდა და გურამის ხასიათის ცუდმა მხარეებმა ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგეს.

ამიტომ გურამი ეკასათვის ახლა ბევრად უკეთესი გახდა, რადგან გრძნობებს აღარ უფორიაქებდა... ერთი სიტყვით, ისეთი, რომლებზეც ჩვეულებრივად ამბობენ: „ძმასავით მიყვარსო“.

გურამი კი, რომელსაც ამ გაუთავებელი ლოდინით თითქმის იმედი დაეკარგა, ახლა გახარებული ფიქრობდა, რომ ქორწინების დღე აღარც ისე შორს იყო.

გურამი მაღალი, ვიწრომხრებიანი კაცი იყო, მოგრძო, სათუთი სახე ჰქონდა, და საკმაოდ წარმოსადგევიც გახლდათ. კარგად იცვამდა და საინტერესო ამბების მოყოლა იცოდა.

განათლებლით ეკონომისტი, სტატისტიკურ სამმართველოში განყოფილების უფროსად მუშაობდა.

— თუ ნებას მომცემ, ჩვენს დღევანდელ მარშრუტს მე ავირჩევ. — უთხრა გურამმა ეკას, როცა მანქანა დაიძრა.

— კი, ბატონო.

— მაშ, ჯერ წავიდეთ გამოფენაზე, დავათვალიეროთ ავეჯი, ჭალები, იქიდან კი, ფუნჯიკულიორზე სავახშმოლ.

— როგორც გინდა, ჩემთვის სულერთია.

— დღეს შენ რაღაც თვინიერი ხარ.

— მამაკაცებს ხომ გიყვართ ეს?

— ჰო, რასაკვირველია, გეყვარას.

მაგრამ ეკა სხვა მამაკაცზე ფიქრობდა, ხოლო გურამი, რომელსაც არც კი ჰქონდა წარმოდგენილი, რა უბრძოლველად წაავო ის, რისთვისაც ჩვენი შორეული წინაპრები სამკვდროსისიკოცხლოდ ომობდნენ ხოლმე, ძალიან კმაყოფილი ჩანდა.

გამოფენის ტერიტორიაზე, დიდ აუზში გედეები დაცურავდნენ.

— წამო, ჯერ გედეები ენახოთ, — შესთავაზა ეკამ.

— მაგას ყოველთვის მოვასწრებთ. უკვე გვიანაა და შეიძლება გამოფენა დაკეტონ.

ისინი შევიდნენ პავილიონში, რომელშიც სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ბროლის ჭალები ეკიდა.

— ყოჩაღები არიან ჩეხებმა.

— სლოვაკებიც.

— შენ, როგორც ყოველთვის, მართალი ხარ. ეს მოგწონს? აი, ესა?.. არა, ჩვენ მაინც ცოტა უფრო პატარა გვინდა... აი, ასეთი მოგწონს?

— ამ ბოლო ხანებში მომბეზრდა... შემეჯავრდა ბროლი...

— მესმის... ეს მაშინ, როცა ბროლით არის გამოკედილი მთელი ბინა, მაგრამ როცა სასადილო ოთახში ჰკიდია ბროლის ლამაზი ქალი, ეს დარბაისლურია და სრულებით არ არის მემჩანობა.

— ჰო, რაღა თქმა უნდა, — დაეთანხმა ეკა და იმავე დროს გაიფიქრა, რომ ძალიან მალე უნდა უთხრას მას სიმართლე.

შემდეგ ისინი შევიდნენ პავილიონში, სადაც გამოფენილი იყო რუმინეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და საქართველოს ავეჯი.

გურამი სულ ეკითხებოდა ეკას, რამელი ავეჯი უფრო მოსწონს და ბოლოს გამოიყვანა იგი მოთმინებიდან.

— არც ერთი!.. — მშრალად მოუპრა ეკამ და რომ დაინახა მის სახეზე წყენა, დაუმატა: — მაინც ყველაზე მეტად მე ჩვენი, ქართული მომეწონა.

— შენ მართალს ამბობ, თუ ხუმრობ? — გაიოცა გურამმა.

— აბა რა, შეხედე ერთი, ჩვენი უფრო უკეთესი ნაკეთობაა, მასიური და სილამაზითაც არც ერთს არ ჩამოუვარდება.

— გამოსაფენად ვიცით ჩვენ კარგის გაკეთება, აი, ვასაყიდად კი...

— მაგასაც შევძლებთ, — ეკამ გურამი დატოვა და წავიდა გედეების სანახავად.

„უკვე ვეღარ ვიტან, მალეზიანებს“.

— ეკა გასცქეროდა აუზში ამაყად მოცურავე გედეებს და თან ფიქრობდა...

„ხან ცინიკურად ყველას დასცინის, ხან კი ნივთების წინაშე დედაკაცივით დნება“.

ცოტა ხნის მერე მოვიდა გურამი და ისინი ფუნქციონორზე წავიდნენ.

გურამი მანქანას ცუდად არ მართავდა ალბათ, ეკას ამისი არაფერი გავგებოდა, მაგრამ საკესთან როგორღაც მხრებში მოხრილი იჯდა და იგრძნობოდა, რომ დაძაბული იყო. ეკა გურამთან ერთად პირველად არ იჯდა მანქანაში, მაგრამ აღრე ეს არ შეუშინებია.

მანქანა ჩიხში, კედელთან, სხვა მანქანების გვერდით გააჩერეს და კიბით ბალში ავიდნენ.

სექტემბრიდან თბილისში სისხლსავსე ცხოვრება იწყება. ეს მთაწმინდაზეც იგრძნობა. ძალიან ხმაველია ყვირიანი მოთამაშე ბავშვები, რომლებმაც ვერ ვერ მოასწრეს სოფლური ყაიდიდან ქალაქურზე გადმოსვლა, სეირნობენ ახალგაზრდები, თითქოს სალაშქროს კონკურსზე გამოეტანათ თავისი გარუჯული სხეული, საბავშვო ეტლებით ატარებენ პატარებს დედები და დინჯად მიაბიჯებენ მუხლებგამსმებელი მოხუცები.

„რა კარგია, რომ ბევრი ხალხია“, — გაუელვა გულში ეკას, რომელსაც არავითარი სურვილი არა ჰქონდა გურამთან ერთად უეცარივლ ხეივანში ესეირნა.

შებინდებისას, ისინი რესტორანში შევიდნენ და ძლივს მიაგნეს თავისუფალ მაგიდას უზარმაზარ, ქალაქისკენ მიმართულ ტერასაზე.

ვიდრე გურამი ამოდ უხმობდა მოფუსფუსე ოფიციანტებს, ეკა გადასცემროდა დაბლა ვადაშლილ თბილისს.

ახლად ჩამოწოლილ ბინდში გახეულიყო ქალაქ თბილისი. უეცრად, მარგალიტის ორფა მძიმეა შუაზე გადაჭრა ქალაქი და მტკვრის სარკვეში აირეკლა მერე ნათურებმა დაიწყეს ანთება ყველგან, ხან სწორ, ხან ტეხილ და ხან წრიულ გირლიანდებად. გამოჩნდნენ ხიდები, მოედნები, ქუჩები... ნაირფერად აციმციმდა ნეონის რეკლამების ათინათები.

სადღაც, შორს კი, საზეიმოდ განათებულ ნაძვის ხესავით, უწესრიგოდ

მიმობნეული ნათურებით ბრწყინავდა მოპარდაპირე მთის ფერდობები.

— რა ლამაზია!.. — გაუხიარა ეკამ თავისი შთაბეჭდილება გურამს, მაგრამ იგი ამ დროს მოახლოებულ ოფიციანტს მიუბრუნდა.

— მაშ ასე, საუხმე, მწვანილი, მწვადი... — კარნახობდა გურამი.

— შე თევზი მინდოდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, კიდევ თართი შამფურზე.

— სასმელს რას მიირთმევთ? — ერთი შეხედვით შეაფასა ეკა ოფიციანტმა, — ლვინო, კონიაკი, შამპანური...

— შამპანური... ნახევრად მშრალი, ბოდიშს ვიხდი, იქნებ კონიაკი ვინდოდა, გურამ?

— ო, არა. შენ ჭამის წინ რატომ ეწვი?

დღეს კარგ ხასიათზე ვარ და გართობა მინდა.

გემრიელი საჭმლის მიუხედავად, სამწუხაროდ, გართობა არ გამოვიდა. საუბარიც, რაღაც ვერ ააწყვეს და ყველაფერს ზედ ის დაემატა, რომ მუზონბელ მაგიდასთან მჯდომი კომპანია ძალზე შეზარხოშებული იყო.

ამ ხმაურიან, გასართობად მოსული ხალხით სავსე დარბაზში ეკამ თავი საოცრად მარტო იგრძნო. გურამი და ყველა ირგვლივ მყოფნი, გართულები წვრილმანი და უმნიშვნელო ზრუნვით — მენიუს შერჩევით, ანდა საზეიმო სადღეგრძელოებით და სიმღერებით, ძალიან შორს ეჩვენებოდნენ. ხოლო მაგიდიდან მაგიდასთან აჩქარებით მოსიარულე დაძაბული კელნერები ძალზე აღიზიანებდნენ მას.

„ცხოვრებაში რა სულელურად უბრალო და პრიმიტიულია ყველაფერი“... ფიქრობდა იგი, თან მეხსიერებაში ეძებდა ისეთ აზრს, რომელსაც ყველაფერ ამას დაუპირისპირებდა... მაგრამ ვერ პოულობდა — „ნუთუ მეც ასეთივე უპიროვნო და გამოშვებული ვარ, როგორც ყველა ესენი?“

აღმოსავლეთით, შორეული დამის

ბინდში მთის ქედი ერთ ადგილას ნათღებოდა, შემდეგ ვერცხლის შარავანდედში ამოსვლა დაიწყო მთვარემ და მალე მთლიანად ამოცურდა, წარმოუდგენლად დიდი და ფერმკრთალი.

ვანათღენ მწვერვალების აღმოსავლეთი მხარეები. კიდევ უფრო დაიბინდა და ჯალრამავდა ხეებში და დაბლობები, ვერცხლის ბაფთად აბრწყვილდა მტკვარი.

— შეხედე, რა ლამაზია საესე მთვარე! — მიმართა გურამს ეკამ.

— ჰო... მთვარეზე უკვე დააბიჯა აღამიანმა ფეხი, — უპასუხა ყოველთვის და ყველაფერში პრაქტიკულად მოხროვნე გურამმა.

მეზობელმა კომპანიამ სიმღერა დაიწყო. სამწუხაროდ, ძლიერი ხმის მქონე და სმენამოკლებული ტენორი ძალღონეს არ იშურებდა.

— ღმერთო ჩემო, დამშვიდებით პურის ქამასაც არ ვაკლიან, — აღშფოთდა გურამი.

— რატომ, შე მართობს კიდევ... — მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევის სურვილით თქვა ეკამ.

როდესაც ტენორის პარტია კვილზე გადავიდა, „მომღერალთან“ მივიდა მეტროტელი და უთხრა, რესტორანში სიმღერა აკრძალულიაო.

ახლადმოვლენილმა კარუხომ ჯერ პროტესტი განაცხადა, მერე წყენით ამოაძვრინა ჭიბიდან ფულის სქელი დასტა, რომ ანგარიში გაესწორებინა. მეტროტელმა ოფიციალტს დაუძახა.

— უპ, მადლობა ღმერთს!.. — ამოიოხრა ეკამ, დაავიწყდა, რომ სულ ახლახანს მას ეს ართობდა.

განათვისუფლებულ მაგიდას მაშინვე ორი ელევანტურად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი მიუჯდა და ვილაკა მესამეს უხმობდნენ.

ეკა უნებლიედ მიბრუნდა და შეხედა. ეს გივი იყო. მან ვერ შეამჩნია ეკა, გაიარა და დაჯდა.

ახლა ეკას შეეძლო შეედარებინა ერთმანეთისათვის მის პირდაპირ, სულ

რალაც ერთი მეტრის დაშორებით მჯდომი ორი მამაკაცი.

— შენ ხშირად უნდა დალიო ხოლმე შამპანური, მთლად გალაქებულნი ხარ და ძალიანაც ვიხდებ.

— ვმადლობ ქათინაურისათვის, მაგრამ, მე მგონია, მაგ დრომ ჩვენს ურთიერთობაში უკვე განვლო...

— ეს დრო არასოდეს არ გაივლის!.. — გურამმა ხელი დაადო მის ხელს.

ეკამ ელვის სისწრაფით ხელი უკან წაიღო, გივი მის მხარეს იხედებოდა.

— რა დაგემართა?

— არაფერი... — გივისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე უპასუხა ეკამ.

მერე მათი მზერა შეხვდა ერთმანეთს. ეკამ გაუღიმა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო და შენიშნა, თანდათან როგორ ფითრდებოდა გივი.

— შენ, მგონი, უკვე მთვრალი ხარ, ძვირფასო.

— ძალიან გთხოვ, ნურასოდეს ნუ მეტყვი „ძვირფასოს“.

გივი უკვე აღარ იყურებოდა მისკენ.

— კეთილი, ბატონო... მე არ ვიცოდი, რომ შენ ეს არ მოგწონს.

ეკამ არ უპასუხა. სადაც, გურამის გვერდით იცქირებოდა.

ეკა რომ გაემხიარულებინა, გურამმა დაიწყო რალაც სასაცილო ამბის მოყოლა, თვითონ ბევრს იცინოდა და გულწრფელად უკვირდა, რომ ეკას ერთხელაც არ გაუღიმიო.

— ღმერთო ჩემო, იქნებ ჩემგან გეწყინა რამე.

— არა!..

— იქნებ ცუდადა ხარ? მაშინ წავიდეთ შინ.

— მე ძალიან კარგადა ვარ...

მაგრამ ეს სიმართლე არ იყო. გივის ერთხელაც არ გამოუხედავს ეკას მხარეს. იგი რალაცას ელაპარაკებოდა თავის ამხანაგებს, ისინი კი არ ეთანხმებოდნენ. მერე გივი ადგა და თავაწეული გასავლელისკენ გაემართა.

— მართლა, ბიკოლა ავადა ჰყავს? —
პკითხა ერთმა იქ დარჩენილმა მეო-
რეს.

— მერე, მხოლოდ ახლა გაახსენ-
და?.. არა, ძალიან უხეირო ტყუილი
თქვა!

— მოხერხებული ტყუილისათვის
გაწაფულობაა საჭირო...

ეკას კარგ სმენას არ გამოჰპარვია
ამ საუბრის არც ერთი სიტყვა.

— შე კიდევ მინდა შამპანური!.. —
უთხრა მან გურამს.

— ბატონი ბრძანდები, ოღონდ მე
პირადად მეტს არ დავლევ. მანქანის
საჭესთან ვზივარ და ავტონისპექტო-
რები...

— არ მიყვარს მამაკაცები, რომ-
ლებსაც ყველაფრის ეშინიათ.

• • •

გივი კვერცხის გამყიდველის ყვი-
რილმა გამოაღვიძა. ხისფეხიანი მოხუ-
ცი, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო
ქუჩაში მოსიარულე გამყიდველთა შო-
რის.

— იაიციები... იაიციები!.. — ყვირო-
და იგი ყოველთვის მათ ფანჯრებთან
მას მერე, რაც ერთხელ ბიკოლამ სა-
უბედუროდ იყიდა მისგან კვერცხები.

ქართულ ბრუნვაში მოქცეული ეს
რუსული სიტყვა წინათ გივის სიცილს
ჰგვრიდა, მაგრამ დროთა ვითარებაში
ყველაფერი მოსაბეზრებელი და მერე
გამაღიზიანებელიც კი ხდება.

გივიმ სივარტის მოუყიდა და დაი-
წყო ფუნიაკულიორზე მომხდარ წუხან-
დულ ამბავზე ფიქრი. მათი ტელეფო-
ნით ლაპარაკის შემდეგ, ეკას არა ჰქონ-
და უფლება ასე გამომწვევად გაეღიმა
მისთვის... — ჰო, ეკა ძალიან ლამა-
ზია... იცის და სარგებლობს ამით... რა
მეშარტება, რატომ ვერ ამომიგდია თა-
ვიდან ის განებივრებული თოჯინა?!

კარი ჩუმად გაიღო. ნინო ბიკოლა
თვალეზმობუტული აკვირდებოდა, სძი-
ნავს თუ არაო.

— გინდა რამე?

— არა გძინავს, გივი?

— არა.

— ბაზარში მივდივარ... ^{არც ერთი}
შემოვიდა და მის გვერდით დაჭდა. —
ამ დილით არსად არა ხარ წასასვლე-
ლი?

— ჯანმრთელობის სამინისტროში
გამომიძახეს, მაგრამ შემიძლია მოგვი-
ანებით წავიდე. რა გინდოდა?

— არაფერი... საუშმე მაგიდაზეა,
ოღონდ ცალკე შეითბე რძე და ცალკე
ყავა.

— კეთილი, — გივი მიუხვდა ბი-
კოლას, რომ ლაპარაკი უნდოდა და
ვერ ბედავდა.

— გივი...

— ვიცი, ცალ-ცალკე უნდა შევი-
თბო.

— გივი, შენ ხომ იცი, რომ გიორ-
გისთვის და ჩემთვის... შენზე ძვირფა-
სი...

— რა თქმა უნდა, ვიცი!.. — შეა-
წყვეტინა მან იმ იმედით, რომ შეს-
ძლებდა თავი აერიდებინა ამ ლაპარა-
კისათვის. — ბაზარში ასე ადრე არა-
ფერი არ იქნება, სჯობია ცოტა გვიან
წახვიდე.

— როგორც წუხელის იყავი, ისე-
თი არასოდეს არ გვინახიხარ... მითხა-
რი, რა დაგემართა?

— მე?.. არაფერი.

— მთელი ღამე არა მძინებია... მი-
თხარი ერთი, შეილო, რა მოხდა?

— თავი მტკიოდა საშინლად... ასე
მეგონა, გამისკდებოდა.

— თავი?.. — მის მსხვილსა და
ზრუნვეთ სავსე თვალეზში უნდობ-
ლობა გამოსკვიოდა.

— ჰო, ჰო... ასე რამდენჯერმე და-
მემართა აფრიკაშიც...

— კარგი, მაშ წავედი მე აფრიკა-
ში... უჰ, ბაზარში, დასწყველოს ღმერთ-
მა.

ბიკოლა ადგა და წავიდა, ცოტა გა-
ნაწყენებული და სევდიანი.

ათ საათზე გივი უკვე სამინისტრო-
ში იყო. მდივანმა ქალმა უთხრა კად-
რების განყოფილების უფროსთან შე-
სულაყო.

— გილოცავთ სამშობლოში დაბრუნებას!.. — კადრების განყოფილების უფროსი მაგიდას მოსცილდა და ხელი ჩამოართვა, — მე მინდა მადლობა გამოვიცხადოთ, რომ თქვენ დირსეულად დაიცავით ავტორიტეტი ჩვენი რესპუბლიკისა... და მედიცინისა მთლიანად. აი, ალვირის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის მინისტრის ატესტაცია.

გივიმ გამოართვა ქალაღი. დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო, გადაწყვიტა, შინ წაეკითხა.

— ეს, ალბათ, საერთოდ წესია ასეთი, — თქვა მან.

კადრების განყოფილების უფროსმა შეზღლის ქვეშიდან გახედა გივის, ცდილობდა გაეგო, მორიდებულობა ხომ არ გაითამაშაო.

ალბათ ეწყინა, რომ ასე უცებ შეაწყვეტინა სიტყვა და ჩაუჭრო ამ ახალგაზრდა ექიმმა ეს საზეიმო განწყობილება.

— დიახ, ახლა კი მთავარი... — მშრალად და საქმიანად თქვა მან.

— გისმენთ.

— რამდენადაც ვიცო, თქვენ იქ წასვლამდე გულის არეში ოპერაციებზე მუშაობდით და თქვენი დისერტაციაც ამ თემაზე იყო.

— დიახ, მაგრამ ალვირში ზოგად ქირურგიაში ვმუშაობდი. ჩემი დისერტაციის თემა კი ტოპოგრაფიულ ანატომიას ეხებოდა.

— გასაგებია. ქირურგს დღეს ღრმა თეორიული ცოდნა სჭირდება. მაშ ასე, სამინისტროს კოლეგიამ დაადგინა ვაგზავენონ თქვენ...

— მოიცათ... — შეაწყვეტინა გივიმ. — კანონის მიხედვით მე ხომ ჩემი ძველი ადგილი მენახება?!

— რასაკვირველია!.. მაგრამ, ნება მომეცით დავამთავრო. მხედველობაში იქნა მიღებული თქვენი, — კადრების განყოფილების უფროსმა მალლა ასწია საქალაღდე, რომელშიც გივის საქმეები იყო, — დამსახურება, მონაცემები და სამინისტროს სურვილია ვაგზავნილ

იქნათ კლინიკაში, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი მალლა მუჭირი.

— მუჭირი?

— ვარაუდია განყოფილების გამგედ. იქ ახლა ძალიან სერიოზული და პასუხსაგები სამუშაოები მიმდინარეობს... და ბატონ შალვას არაფერი აქვს საწინააღმდეგო თქვენი კანდიდატურის მიმართ.

„ეკას მამა... ღმერთო, ნუთუ ქვეყანა ასე პატარაა, რომ ის, ვინც მე ასეთი დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მომაყენა, მუღამ“...

— მე ვფიქრობ, ამაზე უკეთესს ვერ მოიხსურებხ კაცი. — განაგრძო კადრების განყოფილების უფროსმა. — რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ უარი თქვათ... და მინისტრს სთხოვოთ რაიმე სხვა.

— თანახმა ვარ. მუშაობა როდის უნდა დავიწყო?

— თუ გნებავთ, ხვალდანვე. პროფესორმა მუჭირმა პირველსავე დღიდან, როგორც კი ჩაუდგა კლინიკას სათავეში, გაათავისუფლა ზოგიერთი ექიმი, ვინც მას ხელს არ აძლევდა.

— როგორ თუ გაათავისუფლა?

— ეს პირობად წამოგვიყენა. მაგრამ ჩვენ ეს ძვირად დაგვიჯდა... თუმცა ვეცადეთ ყველაფერი, ასე თუ ისე, ტაქტიურ ჩაგვეტარებინა.

— დიახ, შესისხ.

— პროფესორი კურსს ახალგაზრდებზე იღებს, და მე ეს, საღდაც სწორად მიმაჩნია...

გივი წაეღა, არ იცოდა კმაყოფილი იყო თუ არა, თუმცა საქმისათვის, ეს სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

როცა გივი შინ მივიდა, ბიცილამ უთხრა, ეილაც ქალმა ორჯერ დაურჯა და თქვა კიდევ დავრეკავო.

— ვინ ქალმა?

— მე „დეიდა ნინოთი“ მომპართა, მაგრამ ვერ ვიცანი და მომერია შევკითხებოდი. მგონი ის შენს სკოლის

ამხანაგი უნდა იყოს, მხატვარს რომ გაჰყვა ცოლად.

— მანანა ცისკარიშვილი?

— ჰო, ჰო, ისა.

ნახევარი საათის შემდეგ ტელეფონმა დარეკა. ეს მანანა იყო.

— ალო!.. ალო, გივი, შენა ხარ?

— ჰო, მე ვარ. გამარჯობა, მანანა! შენთან შენ დამირეკე?

— ჰო, არა გრცხვნიია, ამდენი ხანია ჩამოხვედი და არც ერთხელ არ შემოიარე ჩვენთან.

— ხომ გნახე მე შენ...

— ქუჩაში. ჩემი გოგოები კი არ გინახავს. ორ წელიწადში იცი, როგორ გაიზარდნენ!.. დღეს, საღამოს შეიდი საათისთვის ვახშმად გელი!

— მანანა, გენაცვალე, არაფრით არ შემიძლია. ხვალ ახალ ადგილზე ვიწყებ მუშაობას და იმდენი საქმე მაქვს...

— გივი, გთხოვ!.. თორემ ძალიან მეწყინება.

მანანა არ მოეშვა და გივი იძულებული იყო დათანხმებულიყო.

გივიმ „ბავშვთა სამყაროში“ ორი ერთნაირი თოჯინა იყიდა ტყულების — ნინიკოსთვის და თინიკოსთვის.

მანანა საბურთალოზე ცხოვრობდა, პატარა კოტეჯში, რომლის მთელი მეორე სართული სამხრეთისკენ მიმართული ვიტრაჟით მხატვრის ატელიეს ეკავა.

— როგორც იქნა, ჩამოხვედი!.. — არშიამოვლებულ აბრეშუმის კაბაზე მანანას წინსაფარი ეკეთა.

— გოგონები სად არიან? — იკითხა გივიმ, რადგან უნდოდა მალე განთავისუფლებულიყო ორი ვეებერთელა თოჯინისაგან.

— მამამ ბებიასთან და პაპასთან წაიყვანა. შემოდი, შემოდი... ეგენი აქ დააწყე.

მისაღებ ოთახში მაგიდა სამი სულისთვის იყო გაწყობილი, მოპირდაპირე კუთხეში კი, ლომბერის მაგიდასთან იდგა ვოლტერიანული სავარძლები, და ერთის ახლოს, ზევით მიიკლავნებოდა

და ჰაერში იშლებოდა სიგარეტის კვამლი.

— გაიცანიო!.. — წაიყვანა გივი იქითკენ მანანამ, — უიმე, სამზარეულოში რაღაცა მეწვის!..

მანანა სამზარეულოში გაიქცა, გივი კი იდგა მორიდებულად მომღიმარ ეკას წინ, რომელმაც არ იცოდა ხელი გაეწოდებინა თუ არა.

ეს ყველაფერი მოწყობილი იყო და საქმოდ გულუბრყვილოდაც.

გივის სახემ, ეტყობა, აშკარად გამოხატა ეს აზრები, იმიტომ, რომ ეკა გაწითლდა და თავი ჩალუნა.

— ჰო, ყველაფერი ეს მოწყობილია, — ყრუდ თქვა მან და თან თავის სიგარეტს ათვალეირებდა, — მე ყველაფერი ვუამბე მანანას და მან...

— რატომ?.. რისთვის?.. — გივი ეკას გვერდით მდგარ სავარძელში ჩაჯდა და თან თვალს არ აშორებდა მის სახეს. კონტად მოყვანილ ცხვირზე ძლივს შეიმჩნეოდა გადასარევედ მიშნადველი ჰორფლი, რომელსაც თვალეებქვეშ ნახევარწრიულად თარავდა დახრილი, ვრძელი წამწამები, შესუპებულები, მშვენივრად გამოკვეთილი ტუჩები, უმწიკვლო სახის ოვალი... ღმერთო, რა ლამაზია, — გაიფიქრა გივიმ.

— გუშინ ფუნქცილიორზე აშკარად მიგხვდი, რარც გაწყენინეთ. ბოდიშს ვიხდი, გივი!..

ახლა მსხვილი, ზურმუხტისფერი თვალეები უმზერდა მას... და გივიმ იგრძნო, რომ რაღაც ძალიან თბილი და სასიხარულო აფხვებს მის გულს, ნაცვლად ლოდივით მძიმედ დაწოლილი შელახული მამაკაცური თავმოყვარეობისა.

— არა, რას ბრძანებთ. მე თვითონა ვარ დამნაშავე... დაგიწყეთ მოყოლა, რომ ციხეში ვიჭექი...

— მანანამ ყველაფერი მიაძმო. მე მხოლოდ უფრო მეტად გცემთ პატივს იმ ყველაფრისათვის... — ეკას მზერა დაკიაფობდა მის სახეზე, ამაყი, თითქმის დედობრივი სიყვარულით.

— არა, როგორ... რასა ბრძანებთ...
— მთლად დაიბნა გივი.

— მაშ... თქვენ ჩემზე აღარა ხართ
გაჭაგრებული, გივი? — ეკამ ხელი გა-
უწოდა.

გივის დიდხანს ეპირა მისი პატარა
ხელი და დუმდა.

უეცრად გივიმ შეიგრძნო, რომ
არავის დაუთმობს მის თავს ამქვეყნად.
ხომ მისთვის ცოცხლობდა, სწავლობ-
და, მუშაობდა... ყველაფერი, რაც აქა-
მდე იყო მის ცხოვრებაში, მისთვის
იყო!..

კარებში გამოჩენილ მანანას რაღა-
ცის თქმა უნდოდა, მაგრამ მიტრიალდა
და კვლავ გაქრა.

ეკამ და გივიმ ვერც შენიშნეს იგი.

— არ ვიცი... როგორ ავიხსნათ... —
ბოლოს მოერია თავს გივი, — მაგრამ
ძალიან განვიცდიდი. სადღაც თავმოყ-
ვარეობაც იყო... მაგრამ... სიყვარული
ერთი შეხედვით ხომ არ შეიძლება!

გივიმ გაათავისუფლა მისი ხელი,
მაგრამ ეკამ არ შეიმჩნია.

— რატომ ერთი შეხედვით?... აქი
ამდენი გვქონდა საერთო, ვთქვათ, შე-
ხედულებანი ხელოვნებაზე!.. მერე ის
ბებუთიანი ტრიგლოდიტი, რომელმაც
კინაღამ არ მოგვლათ. — ეკამ იგრძნო,
რომ თითქმის სიყვარულს უხსნიდა, გა-
წითლდა და გაჩუმდა. საბედნიეროდ
მანანა შემოვიდა.

— ბავშვებო, მაგიდასთან!.. ჰო, ჯერ
წადით, ხელები დაიბანეთ!..

როცა ეკა დაბრუნდა, გივი წავიდა.

— უ, შე ძველო მაქანკალო! —
უთხრა გივიმ სუფთა პირსახოცი
ხელში მდგარ მანანას. და როცა მან
გაოცებით შეხედა გივის, იგი დაიხარა
და ლოყაზე ნაზად აკოცა. — შენ არ
იცი, რა გააკეთე ჩემთვის.

ეს არ შეეფერებოდა გივის ხასიათს
და მანანამ ღირსეულად შეაფასა.

— აი, მე ვეტყვი ზურაბს, რომ მა-
კოცე. — ხუმრობით დაემუქრა იგი.

— შენც შემაშინე, რა! მე შენს ზუ-
რაბზე უფრო ღონიერი ვარ!..

— ტყუილია! ჩემი ზურაბი ყველა-

ზე ღონიერია, ყველაზე ღამიერი და ყვე-
ლაზე ჭკვიანი ამქვეყნად, და მისთვის
შვილები, როგორც მე მყავს, არავისა
ჰყავს მთელ მზის სისტემაში.

— ეგ მართალია, — დაეთანხმა გი-
ვი.

ვახშამმა სასიამოვნო საუბარში ჩაი-
არა.

გივი კარგ ხასიათზე იყო, ბევრს
ხუმრობდა... და როგორც ჩიორა, მო-
ჯადოებული მამალი ჩიტის გალობით,
ეკა თვალმოუშორებლივ უსმენდა მას.

ათი საათისათვის დაბრუნდა ზურა-
ბი ბავშვებთანად.

ექვს-ექვსი წლის ბუთხუზა გოგო-
ნებს ეძინებოდათ და ცუდ გუნებაზე
იყვნენ. ისინი ისე ძალიან ჰგავდნენ ერ-
თმანეთს, რომ მათი გარჩევა მხოლოდ
ხალხით შეიძლებოდა. თინას მარცხენა
ლოყაზე ჰქონდა, ნინოს კი — მარჯვე-
ნაზე.

— ნინიკო, თინიკო, გამარჯობათ!..
— მაგრამ მათ გივის არ უპასუხეს და
ეკასკენ გაიქცნენ.

— ორი წელი ამათთვის მთელი სა-
უქუნეა... — მოიბოდიშა ბავშვების გა-
მო ზურაბმა და მერე ცუდად დაფარუ-
ლი ღიმილით ჰკითხა. — შენი საქმეე-
ბი როგორაა, გივი!

— არა უჭირს... — გივი მიხვდა,
რომ იგი ყველაფრის კერძში იყო.

მოვიდა ეკა გოგონებთან ხელგადა-
ხვეული, მერე კი მანანა, რომელიც
ქმარს ეკა:

— ხომ გითხარი, ცხრა საათისათვის
დაბრუნდით-მეთქი, ახლა რომელია?
ვიდრე დაიძინებენ, თერთმეტი გახდე-
ბა!

— ეგ ჩემი ბრაღია, ბოდიშს ვიხ-
დი. — თქვა ეკამ.

— აბა, თქვენ რა შუაში ხართ...
ტელევიზიით კრივს აჩვენებდნენ და
ვიდრე არ დამთავრდა, მე...

— კრივი საშინელი სპორტია. —
თქვა თინამ.

— ნუ იმეორებ, თუ ღმერთი გწამს,
ბებიაშენის სიტყვებს! — მკაცრად
უთხრა მამამ.

— კრივი, ეს სპორტი ვაზკა... ვაზკა-
ცებისა! — დარწმუნებით წარმოთქვა
ნინომ და ყველას გაეცინა.

— რატომ უნდა გაიმეოროს თინი-
კომ მამის სიტყვები, მე კი ბებოსი —
არა?! — იწყინა ნინომ.

მანანამ საყვედურით შეხედა ქმარს,
რომელმაც პედაგოგიის საკითხებში
ესოდენი უვიცობა გამოიჩინა.

— ზო, მე თქვენ რაღაც მოგიტანეთ
გოგონებო! — გამოიყვანა ზურაბი
უხერხულ მდგომარეობიდან გვიმი.

ორივე გოგონას შვეთმიანი თოჯინა
უფრო მოეწონა, და ისინი წაიხზუნენ.

— მოიცადეთ... — გულწრფელად
გაუყვირა გვიის, — რატომ არ მოგ-
წონთ ეს თოჯინა, დეიდა ეკასანიირი
თმა რომ აქვს?

მამინ ორივე გოგონამ მონიღობა
წაბლისფერთმიანი თოჯინა, გაჭირვე-
ულდნენ და ატირდნენ.

მანანა იძულებული გახდა თოჯინე-
ბი წაერთმია და ბავშვები ძალით წაი-
ყვანა დასაძინებლად.

ეკამ და გვიმი ამით ისარგებლეს,
მასპინძლებს გამოემშვიდობნენ და წა-
ვიდნენ.

გვიის მანქანა ძალიან ნელა მიჰ-
ყავდა, მაგრამ რამდენიმე წუთში ისი-
ნი უკვე ეკას სახლთან იყვნენ.

— ჩემს სიცოცხლეში ისე არ და-
ვლლიღვარ, როგორც დღეს... — უკვე
ლიფტთან უთხრა ეკამ, — დამირეკეთ,
თუ არ დავავიწყდათ ჩემი ტელეფონის
ნომერი.

— აკი თქვენ თვითონ მთხოვეთ,
ყველაფერი დაივიწყეთ! — იხუმრა გი-
ვიმი.

— მაშ, მე თვითონ დაგირეკავთ.
თქვენ ზომ გულღვარძლიანი არა ხართ,
სამაგიეროს არ გადამიხდით?

— ო, არა, მე ჩემი თავის მტერი
არა ვარ...

— ნახვამდის.

• • •

მეორე დღეს გვიმი მანქანით წავიდა
საავადმყოფოში, რომელიც მისი აქ არ

ყოფნის დროს აეშენებინათ ქალაქის
ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში.

რკინის ლობეშემოვლებული უხარ-
მაზარი ტერიტორია მოასფალტებული
ხეივანებით და ნორჩი ნარგავებით იყო
მოყვნილი. მთლად სიღრმეში კი, ყვე-
ლაზე მაღალ ადგილზე საავადმყოფოს
ოთხსართულიანი გრძელი შენობა იდ-
გა.

გვიმი მანქანა ღია ალაყაფის კართან
დააყენა და ფეხით გაემართა საავად-
მყოფოსკენ.

შესასვლელი კარის წინ, ფართო კი-
ბეზე და მის მოცემენტებულ ბაქანზე
თავი მოეყარათ ჩანთებითა და შეკრუ-
ლებით ხელში მნახველებს, თუმცა მი-
ღების საათამდე ჯერ კიდევ დიდი ღრო
იყო.

— მე პროფესორ მუჯირთან მივდი-
ვარ. — უთხრა გვიმი კარისკაცს,
რომელიც მკაცრად უყურებდა მას. გი-
ვიმი პასუხს არ დაუცადა და გაიარა.

— იმ დერეფნით, მარჯვნივ! — მია-
ძახა მას დარაჯმა.

დიდი ჰოლი, აქეთ-იქით, დერეფნის
ორივე მხარეს, ლიფტებით, ფართო
ფანჯრები და მაღალი ჭერი მეტყვე-
ლებდნენ იმაზე, რომ პალატებიც დი-
დი და ნათელი უნდა ყოფილიყო. ბო-
ლოს გვიმი იპოვა კარი, რომელზედაც
გაკრული იყო ფირფიტა წარწერით:
პროფესორი შ. მ. მუჯირი.

კოპწია მდივანმა ქალმა უთხრა გი-
ვის, თათბირიო, მაგრამ მაინც ჰკითხა
გვარი და პროფესორს მოახსენა.

— შებრძანდით! — უთხრა კაბინე-
ტიდან გამოსულმა მდივანმა გვიის და
მიბნედილად შეხედა.

— მაგრამ, თუ თათბირია?..

— არა უჭირს, ტექნიკური პერსო-
ნალი ჰყავს.

გვიმი შევიდა საკმაოდ მოზრდილ,
ლამაზად მოწყობილ კაბინეტში. სა-
წერ მაგიდას უჯდა ახალგაზრდულად
მოხდენილი, წმინდა სახისნაკეთებიანი,
დაბუჩქულწარბებიანი მამაკაცი.

„ღმერთო, როგორ ჰგავს ეკას!“ —

გაიფქრა გვიმ და დაბნეული გაჩერდა.

— მობრძანდით... მობრძანდით!.. — პროფესორი გამოსცილდა მაგიდას და ხელი ჩამოართვა, — გამარჯობათ!.. დაბრძანდით. მე თქვენთან ბევრი სალაპარაკო მექნება, ამათთან კი ახლავე მოვრჩები.

გივი დაჯდა და ცდილობდა არ გამოემყდარებინა რა ინტერესით აღევნებდა თვალს აღმაიანს, რომელიც ახლა მისთვის ამდენს ნიშნავდა.

— ხომ გაიგეთ, რაც გითხარით!.. — მკაცრად მიმართა პროფესორმა იქვე, სკამის კიდეზე მჯდარ მსუქან, მელოტ კაცს, — დაუყოვნებლივ მოხსენით სამუშაოდან.

— ბატონო შალვა, მისთვის ეს პირველი შემთხვევაა... და ასე ამბობს, იმ ქალმა თვითონ ჩამიდო ჭიბეში ათი შაური.

— და მერე შეეიდა საავადმყოფოში, არა? მაშ, რაღა საჭიროა მისი კარებში დგომა?

— მაგრამ, ვიდრე მეორე დარაჯს ვიშოვი, ვინ დადგება იქ?

— თქვენ თვითონ! თუ თქვენს უსაქმურთა შორის ვერ ნახავთ დროებით ვინმეს.

— ერთი-ორი დღე მაინც დამაცადეთ!..

— დავამთავროთ! — ბატონი შალვას არც თუ ისეთმა დიდმა, მაგრამ მძლავრთითებიანმა ხელმა მაგიდაზე ტყლაშანი გაადინა.

მნე წამოდგა და გავიდა.

— ხედავთ, რა საქმეების მოწესრიგება მიხდება, ვიდრე ახალ დირექტორს დაგვინიშნავენ, — მიმართა პროფესორმა გივის. — ჰო, გაიცანით — მეცნიერებათა კანდიდატი გივი კაპანაძე, ჩვენი ახალი ქირურგი და ჩვენი მთავარი ინჟინერი ელექტროაპარატურის დარგში — კონსტანტინე გავუა.

— კოტე! — უთხრა ხელის ჩამორთმევისას გივის გამხდარმა, გაურკვეველი ასაკის კაცმა.

— ჰო, სხვათა შორის, იქნებ კიდევ

მოგვცეთ რაიმე რჩევა თქვენი იქ ყოფნის გამოცდილებიდან, მაშინ შემაბრძანებთ გივის პროფესორმა.

— დიდი სიამოვნებით, თუკი შემიძლია რამეში გამოგადგეთ.

— მე მინდა ეს კატორღული შრომა — ავადმყოფთა ისტორიების შევსება შევცვალო მაგნიტოფონის ჩანაწერით. თითქმის თავის ნახევარ დროს ექიმები წერას ანდომებენ.

— დიას, რასაკვირველია!.. — აენტო ინჟინერი გაგუა, — ამას დასჭირდება მაგნიტოფონური კარტოთეების შექმნა, არქივები...

— ბოდიშს ვიხდი, რომ გაწყვეტილებთ... — თქვა პროფესორმა, არა ბოდიშის მოსახდელი, არამედ მბრძანებლური კილოთი... — თქვენ მაგის თაობაზე ბატონ გივის ესაუბრეთ, როცა თავისუფალი დრო ექნება. ასლა კი გადავიდეთ მეორე საკითხზე.

— კი ბატონო, — დაეთანხმა გავუა.

— თქვენ გიყვართ დეტექტივები?

— ბოდიში, ბატონო შალვა, მაგრამ ეგ რა შუაშია?.. — მოსწავლესავეთ გაწითლდა გავუა.

ეტყობა, ეს კარგი ბიჭი უნდა იყოს, გაიფქრა გვიმ.

— შეკითხვაზე შეკითხვითვე ნუ მაძლევთ პასუხს.

— დეტექტივები... დიას, წამიკითხავს... ვანსაკუთრებით ბავშვობისას... ხანდახან კარგადაც არის ხოლმე დაწერილი...

— ეს ამბავი მესამე სართულზე, ქალთა ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში ხდება.

— საინტერესოა! — უნებურად წამოსცდა გავუას.

— ჰო... თავისი სისაძაგლით! იქ, გვერდით ჰოლში, დგას ორი მაცივარი, რომლებშიც ავადმყოფები და მათი ახლობლები ინახავენ თავიანთ პროდუქტებს და ხანდახან წამლებსაც. ჰოდა, ვილაცხა არამზადები ამ მაცივრებიდან იპარავენ — ლორს, ქათმებს, ფორ-

თონლებს, წვენებს და რამდენჯერმე ძვირფასი წამლებიც დაიკარგა.

— უნდა ვუთვალთვალთ და ქურდი ადგილზე დაფიქროთ! — აღშფოთებით თქვა გავუამ.

ბატონმა შალვამ საყვედურით გააქნია თავი და გვიმ ვერ გაიგო ეს ვის ეხებოდა, ქურდს თუ გავუას.

— ვცადეთ. ღამდამოებით ვუთვალთვალეზღით საპირფარეშოებიდან, პალატებიდან... არაფერი შედეგი არ გამოიღო. ძალიან მოხერხებული ქურდია. ან იქნება ვინმესთან ერთადაც კი მუშაობს.

— მე... მე რა შემიძლია? — გაუკვირდა გავუას.

— რომ არ შეგეძლოთ, არ მოგმართავდით! — ცივად უთხრა პროფესორმა.

— ბოდიშს ვიხდი.

— პოლში შუქი სულ ანთია. საჭიროა საღმე ფოტოაპარატი შენიღბულად დავდგათ, რომ ვინც კი ღამით მაცივრებს გაალებს, სურათი გადაუღოს.

— ხანდახან ავადმყოფებიც ალებენ ხოლმე ღამდამოებით მაცივრებს.

— არაუშავს, გააღონ, ჩვენ გავერკვევით.

— კარგია... — კვლავ აენტო გავუა. — იქ კედელზე ჰკიდია აივაზოვის „მეცხრე ტალღის“ რეპროდუქცია, მის უკან მოვაწყობთ ფოტოაპარატს. ოღონდ სურათი რამდენიმე დღით უნდა ჩამოვხსნათ, ისე... ვითომ სარესტავრაციოდ.

— შეიძლება. აივაზოვის თქვენ იმდენ ზიანს ვერ მიაყენებთ, რაც მისი სურათის გადამხატველმა მიაყენა, ოღონდ კონტაქტები მაცივრების კარებებზე ისე უნდა იქნას გაყვანილი, რომ ვერაფერს მიხვდეს.

— ეგ არაფერია. — ადგზნებული ღიმილით უბასუხა გავუამ.

— დავამთავროთ! — ბატონი შალვას ხელმა ტყლამანი მოადინა მაგიდაზე.

გავუა ადგა და ისე წავიდა, რომ სა-

ხეზე კვლავ ადგზნებული ღიმილით მამებდა.

ბატონი შალვა მას უკან გაჰყვა, კარი დაკეტა, მერე მაცივართან მივიდა, გამოიღო მუცლიანი ბოთლი და ორი ჭიქა.

გვიმ შენიშნა, რომ მას მშვენიერად შეეყრილი კოსტუმი ეცვა, და ისიც, რა მოხდენილად ხსნიდა ბოთლს, ანდა როგორ ასხამდა ჭიქებში.

— თქვენ კი ათიადე დღის შემდეგ გელოდით, შვებულება რომ დავამთავრებოდათ.

— მომბეზრდა უსაქმოდ ჯდომა. თუ ნებას მომცემთ, ზვალიდანვე შევუდგები მუშაობას.

— შესანიშნავია!.. მირთვით, გეთავუა... ეს კონიაკი საფრანგეთიდან ჩამოვიტანე. საუკეთესოდ ითვლება მსოფლიოში... მაგრამ მე ჩვენი მირჩევნია.

მათ დალიეს და ბატონმა შალვამ კვლავ შეავსო ჭიქები.

— მაშ თქვენ იქ ზოგად ქირურგიაში მუშაობდით?

— დიას. პატარა პროვინციული ქალაქის პირობებში, სადაც არ იყო რთული აპარატურა...

— მაგრამ, რთული ოპერაციების ჩატარება ხომ ვიხდებოდათ... მაგალითად?

„იწყება თავზიანი, მაგრამ მინც გამოცდა“, გაიფიქრა გვიმ.

— მაგალითად... ექიმოკოკით დაავადებული ფილტვის ნაწილის აბლაცია, აბლაცია თირკმელების, პროსტატა... კუჭის სხვადასხვა რეზექციები... და რამდენიმე ტრეპანაცია, როცა არ შეიძლებოდა დაცლა, ვიდრე ალყირიდან ან კონსტანტინიდან ნეიროქირურგი ჩამოვიდოდა.

— შესანიშნავია!.. მერე?

— ჩვეულებრივსამებრ... დაჩირქებები, სიღამწვრები, მოტეხილობები, თიაქარი და ამგვარი რამეები.

— და რაიმე განსაკუთრებული?

პასუხის ნაცვლად გვიმ მობოდიშებით გაიღრმა და მათ კვლავ დალიეს.

— დიახ... — ბატონი შალვა საოცრად მოხერხებულად, ეონგლიოროვით ათამაშებდა ხელში თავის ჭიქას, — რატომ ხართ მორიდებული, ძვირფასო კოლეგა?... მე მანვენეს იქაური ჯანმრთელობის მინისტრის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ თქვენ ჩაგიტარებიათ ოპერაცია ღია გულზე, რომელსაც კარგად ჩაუვლია.

— კი მაგრამ... — ჩაიძინა გვიმ. — ჩვენ ორივეს, შეიძლება ითქვას, ძალიან გაგვიღიმა ბედმა.

— ვინ ორივეს?

— მე და დაჭრილს. დანა რომ ატაკეს, სამი წუთის შემდეგ უკვე საოპერაციო მაგიდაზე იწვა. უნდა გამებედა... და მოვახერხე გულზე ორი ნაეკრის დაღება.

— ყოჩაღ!

— მანამდე კი, ისეთივე კრილობით, ჩემს ხელში ერთი ახალგაზრდა ბიჭი გარდაიცვალა... რა იმედით კი შემომცქეროდა?!

— ჰო... ასეც ხდება ხოლმე.

— მე, ჯერ კიდევ თბილისში ვსწავლობდი ამ ნაკერის დაღებას. — გულწრფელად გამოუტყდა გვიმი.

— აბა, მაშ როგორ, თავისთავად არაფერი არ მოდის. მაშ ასე... ჩვენს განკარგულებაშია ყველაზე თანამედროვე აპარატურა და თითქოს სავსებით კვალიფიციური კადრები... და მაინც, კვლავ ადამიანი გვეჭირდება!

— ქირურგი, რომელსაც ოქროს ხელები ექნება?

— ეგ ცოტაა! ქირურგს სჭირდება კიდევ ღრმა თეორიული ცოდნა, ფიზიოლოგიის, იმუნოლოგიის და ანატომიის! — ეს ელერდა უაპელაციოდ და პროფესორმა გადაწყვიტა შეერბილება, — ისეთი საავადმყოფოსათვის, როგორის შექმნაზეც მე ვოცნებობ...

— ამ შემთხვევაში, უნდა გამოვიტყუდეთ, ბატონო შალვა, რომ...

— მოითმინეთ! — მედიდური ექსტით შეაჩერა იგი ბატონმა შალვამ. — მე ვიცი, თქვენი დისერტაციის თემა, რაც ჩვენი საქმისათვის მისწრებაა. და-

ნარჩენი კი თქვენზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომაც, ^{მრჩმ შემთქმ} ჩემს იმედებს ახალგაზრდობაზე უამყარებ.

— ვეცდები გავაყეთო ყველაფერი, რაც შემიძლია! — უბრალოდ, მაგრამ ღირსებით თქვა გვიმი.

ჭიქები შევსებული იყო, მაგრამ ბატონ შალვას დაავიწყდა მათ შესახებ.

— ამიერიდან თქვენ განაგებთ ქალთა ტრავმატოლოგიურ განყოფილებას. უფრო კონკრეტულად ხვალ ვილაპარაკებთ.

— ნლობისთვის მადლობას მოვასწავებ.

— ახლა კი, ჩვენი ერთად მუშაობისა იყოს!.. — მათ ჭიქები მიაჭახუნეს, — ვფიქრობ, რომ ფსიქოლოგიური ფაქტორი, ლამაზი მკურნალი ექიმი... გავლენას მოახდენს თქვენი ავადმყოფების სწრაფ განკურნებაზე. თქვენ როგორ ფიქრობთ?

გვიმი მოიღუშა და არაფერი უპასუხა.

— რასაკვირველია, მე ვხუმრობ... მაგრამ, თქვენ, ალბათ იცით, რომ ზოგიერთი ფსიქიატრი სარგებლობს ამ ფაქტორით თავისი ავადმყოფების მკურნალობისას... თუმცა ეს აკრძალულია.

— მე ვეცდები აკრძალული არაფერი გავაყეთო, ბატონო შალვა, — ხუმრობაში ჩაატარა გვიმი.

— ჩინებულია!.. ახლა მდივანი წაგიყვანთ კადრების განყოფილებაში, ხვალ კი პერსონალთან წარგადგენთ.

გვიმი მოათავა ფორმალური მხარე და გაემართა გასასვლელისკენ, თუმცა ასე მალე წასასვლელად გული არ მიუწყევდა.

ღერეფანში უეცრად ვილაცამ, უკან დიან რომ მიეპარა მას, თვალები აუხვია. თითებს ძვირფასი ფრანგული სუნამოსა და წამლების სუნის სდიოდა, ხოლო მკვრივი მკერდი ზურგზე საკმაოდ მაღლა მიებჯინა. ქალი დაბალი არ უნდა ყოფილიყო... მაგრამ ვინ იქნებოდა?

გვიმი მაჯებზე ხელი წაავლო,

ფრთხილად, მაგრამ ღონიერად მოიცი-
ლა თვალებიდან უცნობის ხელები და
მოტრიალდა. ეს იყო ლამარა, თეთრ
ხალათში გამოწყობილი.

— გივი, გენაცვალე!.. — ლამარამ
თავისკენ მიიზიდა გივი და ტუჩებში
აყოცა.

— მოიცა, უხერხულია! — ქალი-
შვილივით წამოწითლდა გივი.

— ჯანდაბას ყველას თავი. მე კი
მიტხრეს, ალყირშიაო. როდის ჩამოხვე-
დი!

— ერთ თვეზე მეტია. შენა? შენ
აქ მუშაობ?

— უკვე ორი კვირაა. ბატონი შალ-
ვა სვერდლოვსკი იყო სიმპოზიუმზე
და იქიდან წამომიყვანა.

— ქმარი სადა გყავს?

— ალბათ ისევ მოსკოვშია. მე დი-
დი ხანია დავცილდი. შენ უფრო გა-
ლამაზებულხარ, გივი...

— შენ სრულებით არ გამოცვლილ-
ხარ... ისეთივე სექს-ბომბა ხარ, როგო-
რიც იყავი!

— კიდევ მოგწონვარ?

— მაგას რა კითხვა უნდა? მე ხვა-
ლიდან აქ ვიწყებ მუშაობას.

— რა მშვენიერია!.. ჩვენ ერთად ვი-
ქნებით...

გივი მოიკმუხნა, თვალწინ რატომ-
ღაც წარმოუდგა წუხანდელი ვოლტე-
რიანისეული სავარძლის ზურგი, საი-
დანაც ზევით მიიკლაკნებოდა სი-
გარეტის კვამლი.

— ლამარა, უფროსი გეძახის! —
შორიდან შეეხმინა მას ვიღაც ქალი.

— უპ, დასწყევლოს ღმერთმა!.. გი-
ვი, დამიცადე პოლში ერთი ნახევარი
საათი.

— არა. მე მივდივარ.

— მოდი, დღეს ერთად ვისადი-
ლოთ, ახლა მე სრულიად მარტო ვარ.

— არ შემიძლია. ხვალ შევხვდებით.

როდესაც გივი მანქანით მივიდა
მთავარ მაგისტრალამდე, იმის მაგივ-
რად, რომ გაეხვია მარცხნივ და ქლა-
ქისკენ წასულიყო, მან მარჯვნივ გაუ-
ხვია.

ეს მოულოდნელი შეხვედრა ლამა-
რასთან, რომელსაც არც ისე დიდი
ხნის წინ ისე მოუთმენლად ელოდა, ახ-
ლა გივისთვის ნამდვილი კოშმარი იყო.
ლამარა იყო პირველი ქალი, რომე-
ლიც მას უყვარდა, რომელსაც ვნებით
ნატრობდა მთელი ის დრო, რაც ლამა-
რა ქმარს გაჰყვა მოსკოვში და ის ორი
წელი, რაც ალყირში იყო. ახლა კი, ახ-
ლა კი რა?.. აღარავის ნახვა არ მინ-
და... აღარავის.. ეს წყეული გზა შუა-
ში ტრამვაის ლიანდაგებით, არა და
არ თავდებოდა, თუმცა მარჯვნივ და
მარცხნივ ხშირად გაიეღებდნენ ხოლ-
მე უშენი ადგილები.

ავტონისპექტორმა დაუსტვინა და
ხელით ანიშნა გივის გზის პირას გაჩე-
რებულს.

მისალმების შემდეგ ავტონისპექ-
ტორმა მოსთხოვა მანქანის ტარების
უფლება.

— თქვენ აქარბებთ სიჩქარეს,
ახალგაზრდაე! — უთხრა ავტონისპექ-
ტორმა გივის, როცა ქალადებს უბრუ-
ნებდა.

— შეიძლება.

— მე შემიძლია დაგაჯარიმოთ.

— შეგიძლიათ.

— თავს ცუდად ხომ არა გრძნობ?

— მოულოდნელი მზრუნველობით შე-
ეკითხა ავტონისპექტორი.

გაოცებულმა გივიმ მხოლოდ ახლა
შეხედა დაკვირვებით ავტონისპექ-
ტორს. მას მზემოკიდებული, მეოჯახე
კაცის კეთილი სახე ჰქონდა.

— არა. — გაელღმა გივის. — მე
თვითონ ექიმი ვარ და ვიცი რაშია საქ-
მე. პიროვნების გაორება მჭირს, რო-
მილიც სხვებისთვის ყოვლად უვნებუ-
ლია.

ავტონისპექტორი ცოტა ჩაფიქრ-
და.

— წადით. — უთხრა მან.

საოცარია, მაგრამ ავტონისპექტორ-
თან შეხვედრამ დაამშვიდა გივი. ცოტა
კიდევ გაიარა, შემდეგ მანქანა შემოა-
ტრიალა და შინ წავიდა.

ძია და ბიცოლა სამსახურში იყუ-

ნენ. ვიგი დივანზე წამოწვა და სიგარეტს მოუკიდა.

თვალწინ წარმოუდგა საავადმყოფო, სადაც იგი აღრე მუშაობდა.

— შემოიარეთ ჩემთან, სალამოს დაახლოებით რვა საათზე და მე თქვენ გათხოვებთ ექსპერიმენტული ენდოკრინოლოგიისა და ჰორმონთა ქიმიის ძალიან საინტერესო პუბლიკაციას. — ლამარამ ეს გივის უთხრა, თუმცა დერეფანში, მის გარდა, სამნი იყვნენ.

— მეც ძალიან მინდა მავის წაქითხვა!.. — თქვა ახალგაზრდა ექიმმა, გივის კოლეგამ.

— სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ეგზემპლარი მაქვს... — ლამარა „შეტრი“ აღდა და წავიდა, სამივემ გააყოლა თვალი.

— რა გასაგებებელი ფეხები, რა მძალი თეძოები და რა წერილი წელი აქვს!.. — ოცნებით თქვა ახალგაზრდა ექიმმა, თან თვალს არ აშორებდა მიმავალ ქალს.

— და კიდევ... — ცუდად დაფარული სიავით, კბილებში გამოსცრა გამხდარმა, უქმურმა კოლეგა ქალმა, — სქელი, ზანგისებური ტუჩები და ის ყალბი, ნახევარფუთიანი შინიონი რომ ადევს თავზე...

— არა, ის მისი საკუთარი თმაა!.. თვალები კი, რა თვალები აქვს! — შეყვარებულად განაგრძობდა კაცი და არ ახსოვდა რომ გვერდით ედგა ქალიშვილი, ახალგაზრდა ექიმი.

— ნეტავი ყველანი რაზე გიედებით მისთვის? თითქოს სხვა აღარავინ იყოს... უფრო სათნო, ჰკვიანი და პატრიოსანი ქალი.

— სათნოება, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, ლამაზ გარსს საჭიროებს, — ბოროტად მოუჭრა ახალგაზრდა ექიმმა.

— თუ ეს შანსონეტის შესახებაობა შენ მიგაჩნია „ლამაზ გარსად“?!

— გეყოფათ! — შეწყვიტა დაწყებული ჩხუბი გივიმ, შერე მიუბრუნდა შეყვარებულ ექიმს, — თუ გინდა, ერთად მივიდეთ მასთან.

— სიამოვნებით. — მაშინვე დათანხმდა იგი.

— ასე შეთანხმდებიან ხოლმე, როცა იმნაირებთან მიდიან... — მავრამ გივიმ არ მისცა საშუალება დაემთავრებინა.

— რამდენი ღვარძლია შენში! — უთხრა გივიმ ქალს, — თუმცა არც მე წავალ.

ალეირიდან ჩამოსვლის შერე გივი იყო იმ საავადმყოფოში, სადაც აღრე მუშაობდა. ახალგაზრდა ექიმმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს არ შეემჩნის. ის „სათნო“ ექიმი ქალი კი ცოლად გაჰყოლოდა არც ისე სათნო გინეკოლოგ-აბორტმახერს.

იმ სალამოს გივი მაინც წავიდა ლამარასთან. როგორც ვარაუდობდა, იგი შინ მარტო დახვდა.

— დალიეთ ჩემთან ერთად ჩაი, ჩემი ქმარი მივლინებამა... და მარტო ძალიან მოწყენილი ვარ!..

მათ წყნარად ისაუბრეს ერთი საათი, შერე კი გივიმ წასვლა დააპირა, ლამარამ კარებამდე მიაცილა და როცა გივიმ კარი გააღო... თითის წვერებზე აიწია და ტუჩებში აკოცა.

გივის იატაკზე დაუვარდა პუბლიკაციის ფურცლები და შემოდებული კარი მიხურა. მეორე დილამდე ლამარასთან დარჩა.

ლამარა იყო ვნებიანი, მომთხოვნი საყვარელი და, იმავე დროს, ძალიან ქალური და ნაზი.

რამდენიმე ხნის შემდეგ გივი მიხვდა, რომ ეს „წუთიერი ვატცება“ გაცილებით უფრო სერიოზული იყო, ვიდრე თვითონ ეგონა. იგი უკვე მის ქმარზეც ეჭვიანობდა, საკმაოდ ცნობილ ეურნალისტზე, რომელსაც ხშირად უხდებოდა მივლინებებში ყოფნა.

— მომბეზრდა ასე!.. მე მინდა მუდამ ჩემი იყო, გესმის, მუდამ!..

— ჩემო ბიჭუნავ!.. მე მუდამ შენი ვარ!.. — ლამარა ხელის გულებში ათავსებდა მის სახეს და თვალებში ჩასტკეროდა, მისი შავი თმა კი ნაკადებად ეფინებოდა სახეზე, ხედავდა მხოლოდ

მის თვალებს. მაშინ გვიე უკოცნიდა ამ თვალებს, ვნებიან ტუჩებს, კისერს და ქალიშვილივით მკვრივ მკერდს.

ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ქალაქგარეთ, სასტუმროებში, სადაც გვიე რამდენიმე დღით იკავებდა ნომრებს... და გვიე ვეღარ გარკვეულიყო, ეს იყო მხოლოდ ვნება თუ სიყვარულიც.

საავადმყოფოში, სადაც ისინი მუშაობდნენ, მათი ურთიერთობის ამბავი თითქმის ყველამ იცოდა. ლამაზა თვითონაც მაინცა და მაინც არ ცდილობდა ამის დაფარვას, აშკარად ექვიანობდა სხვა ქალებზე, თითქოს ეამაყებოდა კიდევ ეს სიყვარული.

ასე გრძელდებოდა ერთ წელზე მეტი, მერე ლამაზას ქმარი მოსკოვში, ინფორმაციათა სააგენტოში გადაიყვანეს და ისინი როგორღაც ერთბაშად იქ გადასახლდნენ.

ლამაზა ძალიან განიცდიდა, ეფიცებოდა ჩამოვალ ხოლმეო, გამოუგზავნა სამი ვრცელი წერილი... და ყველაფერი ამით დამთავრდა.

გვიე ამას არ მოელოდა და, როგორც ეჩვენებოდა, განიცდიდა.

ექვსი თვის შემდეგ გვიე აფრიკაში გაემგზავრა.

• • •

ფართოდ გაღებულ ფანჯარაში მოჩანდა ფირუზისფერი ცა, ზედ მოლივივე პატარა, თითქმის გამჭვირვალე ღრუბლებით, შემდეგ მამადავითი ფუნჯულიორის შენობებითა და სატელევიზიო კოშკით, რომლის წვერზე საპაერო ბუშტივით თითქოს ძაფით იყო მიბმული კაშკაშა, ყვითელი, ოქტომბრის მზე.

ფანჯრის რაფაზე დაყრილ პურის ნამცეცებს ეღურტულით კენკავდა ბედურების გუნდი. ლევანი იცნობდა მათ ყველას — საქმიანად ვაბლენძილ, მოქუფრულბუმბულიან ბებრებს, ჯერ ზამთრის სუსხგამოუვლელ, უფრო ღია ფერის ჩიტებს და განსაკუთრებით ერთს, რომელსაც მოტეხილი და, ეტყო-

ბა, მრუდედ შეხორცებული ფეხი ჰქონდა. ახალგაზრდები ნამცეცებს ზედ ნისკარტის ქვეშიდან სტაცებდნენ უფროსებს და მარჯვედ ხტებოდნენ გვერდით, რომ მათი წყრომა თავიდან აერიდებინათ.

ლევანისთვის ახლა ეს ჩვეული სამყარო იყო, ერთადერთი რეალური სამყარო... თუმცა ფანტაზია ხშირად ტოვებდა ხოლმე ლოგინში მის უძლურ სხეულს და ატარებდა მთებითა და ველებით, ქალაქის ქუჩებითა და მოედნებით, სადაც იდგა მისი პროექტით აშენებული შესანიშნავი შენობები... შენობები, რომლებსაც იგი ააშენებდა, რომ...

საღამოს ექვსი საათი იყო და დღეს, როგორც ყოველ კვირა დღეს, მასთან უნდა შეკრებილიყვნენ მეგობრები. ისინი სხვა დღეებშიც მოდიოდნენ ხოლმე შეძლებისდაგვარად, მაგრამ კვირაობით რვისნახევრისთვის ყოველთვის აქ იყვნენ და ეს ლევანისთვის დიდი დღესასწაული იყო. მარცხა ცდილობდა ამ დროს აქ არ ყოფილიყო, რადგან თვლიდა, რომ მეგობრებს ხელს უშლიდა.

შესასვლელში ზარი დაირეკა და სამზარეულოდან გამოსული დედა კარის გასაღებად წავიდა.

ალბათ მეზობელია, — გაიფიქრა ლევანმა, მაგრამ მისმა მახვილმა სმენამ იცნო ლიანას ხმა, რომელმაც იკითხა შეიძლება თუ არა მასთან შესვლია.

როდესაც ლიანა შემოვიდა, ლევანმა შეამჩნია, რომ იგი მოტეხილი და ძალიან აღვზნებული იყო.

— გამარჯობა ლიანა, დათო სადღაა?

— გვიე ჯერ არ მოსულა? — უბასუხა ლიანამ შეკითხვაზე შეკითხვით, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ გვიე აქ არ იყო.

— დაჯექი, რა მოხდა? ლიანა დაჯდა და შეხედა ქალბატონ თამარს, რომელიც მიხვდა, გვიედა და კარი გაიხურა.

— აბა, თქვი, რაშეა საქმე.

— გივის დავურეკე, რომ შენთან მოსულყო ექვსი საათისათვის. მე თქვენთან სერიოზული სალაპარაკო მაქვს.

— კეთილი... აგერ, შგონი ის რეკავს.

შემოსულმა გვიმ თითქოს თან შემოიტანა რაღაც ხალისი და კარგი განწყობილება.

— ბოდიშს ვიხდი, ლიანა, დავაგვიანე სრული ზუთი წუთით. გამარჯობა, ლევან, შენი თუთიყუში სად არის?

— სამზარეულოში ყოფნა ურჩევნია. სხვათა შორის, ისევე, როგორც დედაჩემს. ბოლოს, არ იტყვი, რაშია საქმე?

— მე ვეყრები დათოს, — თქვა ლიანამ.

— ეს რა ახალი ამბავია, რატომ?

— ლიანა ახლა ყველაფერს გვიამბობს... — გვიმ აღერსიანად გაუღიშა ლიანას, — ოღონდ ნუ იღელვებ, ლიანა... გთხოვ!

— არ მესმის, თქვენ ხომ ყველანი ახლო მეგობრები ხართ და რატომ არის, რომ დათო არც ერთ თქვენგანს არა ჰკავს.

— ეჰ, ჩემო კარგო, რაკილა ვმეგობრობთ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ანგელოზები ვართ და ფრთებიღა გვაქვია. თითოეულს აქვს თავისი კარგი მზარეც და ცუდიც...

— მე კი აღარ შემიძლია მისი უსაქციელობის ატანა. თან კიდევ იმისი ის შინაბერა და... არა, მე აღარ შემიძლია იქ ცხოვრება და არც მინდა.

— თქვი, კონკრეტულად რა მოხდება? — მტკიცედ უთხრა გვიმ.

— იმათ მე შვილი წამართვეს!.. მე დედა ვარ თუ არა, ბოლოს და ბოლოს? მე არა მაქვს უფლება ბავშვს ჩემებურად ჩავაცვა, ვაჭამო, გავასეირნო... ანდა დავსაჯო კიდევ?!

— როგორც მე ვიცი, — თქვა ლევანმა, — ისინი ყველანი გიყვებიან შენი გივისთვის. ის ბავშვი მთელი მათი ცხოვრების მიზანია.

— ამასწინათ მინდოდა ბავშვი დე-

დაჩემთან წამეყვანა და არ მომცეს ამის უფლება. პატარა ნიღვე უბერავდა და მითხრეს გაცივდებაო, თითქოს მე იმათზე ნაკლებ მიყვარდეს ჩემი შვილი. დედაჩემი კი ერიდება ჩვენთან სიარულს. ის უბრალო გამყიდველია, ეს კი ყოფილი მინისტრის ოჯახია. სხვათა შორის, დედაჩემმა, მარტომ, უქმროდ დაჩენილმა მე ნაკლები ცოდნა კი არ მომცა, ვიდრე მათ, თავიანთ ვაჟიშვილს!

— აბა, ეგ ყველაფერი რა შუაშია? — გაუკვირდა გივის.

— იმაში, რომ დათომ დედაჩემს უთხრა — სულელი ბებერი ხარ და უბრალო რამეები არ გესმისო.

— მთვრალი იყო? — იკითხა ლევანმა.

— ჰო. მის მერე, რაც გამოვუცხადე, რომ დედაჩემთან მივდივარ-მეთქი, განუწყვეტილად სვამს.

— დიდი ხანია გამოუცხადე? — ვერ შეიკავა თავი გვიმ.

— უკვე ორი კვირაა. თუ უყვართ შვილიშვილი, დაე, ახლა მის სანახავად დედაჩემთან იარონ.

— ჰო, მაგრამ შენ უყვარხარ დათოს.

— იმას არავინ არ უყვარს! გუშინ თავისი და ისე გალანძლა, რომ შეშინებულმა ქალმა მეზობელთან შეაფარა თავი, თავის დედას კი უთხრა — უსულგულო ეგოისტი ხარო. მამას კი ინფარქტი აქვს გადატანილი და მისთვის მღელვარება მაცნებელია.

— მთვრალი იყო? — თითქმის ერთდროულად იკითხეს ლევანმა და გვიმ.

— გახეტქილი. განებივრებული ჰყავთ და ყველაფერს უთმენენ. არა, არ იფიქროთ, იმათ მეც ძალიან ვუყვარვარ და მეც ისინი, მაგრამ... ასე ცხოვრება აღარ მინდა. მე მინდა ჩემი სახლის დიასახლისი მე ვიყო. ნუთუ ამის გაგება არ შეგიძლიათ?

— რატომ გვონია, რომ არ შეგვიძლია?... საერთოდ კი, ახალგაზრდებმა ცალკე უნდა იცხოვრონ. — თქვა გი-

ვიმ, — მოითმინე, ვიდრე ბინას მიიღებს და ყველაფერი მოწესრიგდება.

— მე მზალა ვარ მოველა ის, როცა მთვრალი მოდის ხოლმე.

— არა უშავს, ცოტაც მოითმინე, ლიანა, გენაცვალე! — უთხრა ლევანმა, — ეს ყველაფერი მათ ემართებათ გადაჭარბებული სიყვარულით ბავშვისადმი, შენდამი, შენ კი ჰირვეულობას იწყებ? აი, ახლა დათო მოვა და ჩვენ სერიოზულად მოვილაპარაკებთ.

— არა, მე იმან აქ არ უნდა მნახოს, წავალ!

— შენ მანქანით წავიყვან. — შესთავაზა გივიმ.

— არავითარ შემთხვევაში... ჭერ ერთი დედაჩემს უნდა გავუარო სამუშაოზე, ეს სულ რამდენიმე ვაჩერება.

ლიანა წავიდა, ლევანი და გივი ჭერ ჩაფიქრებულები დუმდნენ.

— შენ იცი, — ბოლოს დაიწყო ლევანმა, — მიუხედავად მისი ნაწყენობისა, ლიანა მართალია. დათო ძალიანაა განებივრებული მშობლებისაგან. სმაც იმიტომ დაიწყო, რომ ვერ გამოუღდის ის, რასაც ფიქრობს. ყველაფერი აქვს იმ კაცს, სხვა რაღა უნდა!

გივი დუმდა, რადგან ლევანის უკანასკნელ ფრაზაში ისეთი სულიერი ტკივილი იგრძნო, მიხვდა, თავის გამოუვალ მდგომარეობას უჩიოდა მისი მეგობარი. მერე გივიმ სიტყვა ჩამოაგდო თავის ახალ სამსახურზე, ძალიან აქებდა პროფესორ მუჯირს.

— მეტად მოქნილი კეუის და მტკიცე ნებისყოფის ადამიანია, ხელები კი პირდაპირ ოქროსი აქვს.

— მაშ, კმაყოფილი ხარ?

— ჰო, ვგრძნობ, რომ მისი ხელმძღვანელობით ბევრის გაყვებას შევძლებ. პირადად მე კარგად მეტყევა, თუმცა ზოგიერთებთან უღმობელიც არის.

— უღმობელი? რაში გამოიხატება?

— აბა, როგორ გითხრა... ვერ იტანს მზღალებს, პედანტებს, ამპარტავენებს... და აბუჩად იგდებს მათ. ხან

დასცინის, ხან გაზვიადებული ზრდილობით ემტყევა. მუჯირს ან ალმურთებენ, ანდა სძულთ.

დოდო და დათო ერთად მოვიდნენ.

— დღეს თეატრში ჩემი სპექტაკლი მიდის და კანონით იქ უნდა ვიყო, მაგრამ... — თქვა დოდომ.

— კარგი ერთი, თავს ნუ იფასებ. — წაიბურტყუნა გივიმ, — სად აიკიდე ეს ლოთობისგან სახეგასიებული ტიპი?

— ვინ გითხრა, რომ ლოთობისაგან? — ჰკითხა დათომ და ჩაახველა.

— ზედ გეტყობა. — გივის მაგიერ უბასუბა ლევანმა.

— ჰო, აბა ჩემსავით ერთი მშენებლობიდან მეორეზე ირბინეთ და ნახავთ მაშინ... — დაიწყო თავის მართლება დათომ.

— მე კარგი ღვინო მაქვს. — თქვა ლევანმა.

— ეშმაკსაც წაუღია... — ვაბრაზებით თქვა დათომ.

— კარგი, თავი დაანებე ამ კაცს. — წაექომაგა დათოს დოდო, — მე ლევანთან სერიოზული ლაპარაკი მექნება.

— შენ ნუ იმუქრები, მე არ მეშინია! — გაიციინა ლევანმა.

— არქიტექტურის შესახებ... მაგრამ სად არის დედაშენის განთქმული ყავა?

— დედა!.. — დაიყვირა ლევანმა. — ყავა მალე იქნება?

— მომაქვს!.. — კარებში გამოჩნდა ქალბატონი თამარი სინით ხელში, — ეს წუთია, რაც მოვიდნენ.

— კონიაკი სადღაა? — ჰკითხა დოდომ ქალბატონ თამარს, რომელიც ტუმბურზე ფინჯნებს აწყობდა.

— უიშე, შვილო, დამაფიწყდა მეყიდა, ძველი კი გაგვითავდა...

— მე კი დავინახე სამზარეულოში, კარს უკან, სავსე ბოთლი იდგა, სინდისს ვეფიცებით.

— აბა, რას ამბობ, საიდან? — მაგრამ, ქალბატონი თამარი მაინც წავიდა შესამოწმებლად. სულ მალე დაბრუნდა, ხელში კონიაკის გაუხსნელი ბოთლი ეჭირა.

— აჲ, თურმე რა ძუნწები ყოფილ-
ხართ... — გაიცინა დოდომ.

— უჰ, შე საძაგელო, ალბათ მაშინ
დადგი, როცა მე კარს ვკეტავდი და
როგორ ვერ შევნიშნე?

— შენ დაღევ? — ირონიით შეე-
კითხა გივი წარბებშეკრულ დათოს,
როცა კონიაკს ასხამდა.

— დღეს თქვენ ჩემგან რა გინდათ?

— აბა, რა მორიგი სისულელის
თქმა გინდა არქიტექტურის შესახებ? —
მიმართა დოდოს ლევანმა იმ სურვი-
ლით, რომ ხელი შეეშალა დათოსა და
გივის კინკლაობისათვის.

— გახსოვს, გვთხოვე, შენთან ძვე-
ლებურად გულახდილად გველაპარაკა.

— მახსოვს.

— ჰოდა, ახლაც ასე ვაპირებ შენ-
თან ლაპარაკს.

— დავანებოთ ამისთანებს თავი,
მეტი აღარ შემიძლია, — შეეხვეწა გი-
ვი.

— არა, ამაზე მე მთელი თვენახევი-
რი ვფიქრობდი, ისე რომ კეთილ ინებე
და მომისმინე.

— ჰო, თქვი, თქვი, — გამომწვე-
ვად თქვა ლევანმა.

— იქნებ არაა საჭირო? — თქვა
დათომ, — თუმცა, არც კი ვიცი, რის
თქმას აპირებს.

— რატომაც არ არის საჭირო? ისევ
იწყებთ ამ კომედიას?

ლევანს ხმა გაბოროტებული ჰქონ-
და და დაუფარავი სიმულვილით უყუ-
რებდა მათ.

გივი კოვზით ურევდა ყავას, დათო
კი ჩაფიქრებული იყურებოდა ფანჯარა-
ში.

— მაშ ასე... — დოდო ცდილობდა
დამაჯერებლად და საქმიანად ელაპარა-
კა. — მე მგონია, არქიტექტურას უნდა
გამოეთხოვო.

— შენ რა, ჭკუიდან შეიშალე! —
აფეთქდა გივი.

— ეს აღრეც არ მეთანხმებოდა, —
უთხრა ლევანს დოდომ და გივისკენ
თავი გააქნია, — მაგრამ, დამიჯერე, ლე-

ვან, შენ ისეთ საქმეს უნდა მოკიდო ხე-
ლი, რომ სიარული არ დაგჭირდეს.

— ეგ უკვე თავხედობაა! — მიუ-
ბრუნდა დოდოს დათო.

— თავხედობა?! — გაიცინა ლე-
ვანს, — ვერ ხედავთ რა დღეში ვარ!

გივი მიხვდა, რომ რაღაც დათომ და-
იწყა, ამ ლაპარაკს ველარ გაექცეოდ-
ნენ. მართალია, არაჩვეულებრივად
ეცოდებოდა ლევანი, მაგრამ, ყველაფ-
რის მიუხედავად, საკითხი უნდა გარ-
კვეთლიყო.

— ჰო, მე გრძნობებს ავყევი... —
პატიოსნად გამოტყდა გივი, — მაგ-
რამ, სიმათლე ვითხრა, იმისთვის, რომ
ცხოვრების მიმართ ინტერესი გქონდეს,
ისეთ საქმეს უნდა მოკიდო ხელი, რაც
შენს მდგომარეობას შეეხამება.

— ჩვენ კი დაგვხმარებოთ. — დაუ-
მატა დათომ.

ეს არც თუ ისე დიდი ტაქტიკა იყო
ნათქვამი და გივი შეეცადა გამოესწო-
რებინა:

— სუფთა ტექნიკურ ნაწილში, თუ-
კი ასეთი იქნება.

— რის ტექნიკურ ნაწილში? — ლე-
ვანს ირონიულად ეღიმიებოდა, — მან-
ქანაზე თქვენ დამიბეჭდავთ?

— ჰო, — თქვა გივიმ, თუმცა არ
იცოდა საქმე რას ეხებოდა.

— იმ პირობით, თუ ხელნაწერი ვა-
რკვეული იქნება... — მიუხვდა და წიფ-
შველა გივის დოდო.

— სახელდობრ რა? — იკითხა და-
თომ, რომელიც ვერაფერს ვერ მიხვდა.

— შენ ჯერ ცოტა გამოფიზნლდი —
გივიმ ისე შეხვდა დათოს, რომ მას ყო-
ველგვარი დავის სურვილი დაეკარგა.

— იცით, ჩემო კარგებო... — ლე-
ვანი მშვენიერ ხასიათზე იყო, — თქვენ
ახლა შეუძლებელს ეპოტინებით. მთე-
ლი თქვენი სამუშაო დრო არ გეყო-
ფათ, რომ დაწერილი ვადამიბეჭდოთ.

მაშ, ეტყობა დიდი ხანია რალაცას
წერს, გთხარდა გულში გივის. მოთვა-
რია, რომ რალაც სერიოზულს მოსჭი-
დებია.

დათომ და გივიმ ერთმანეთს ვადა-

ხედეს და გაუგეს — მეტს არაფერს აღარ უნდა შეჰკითხოოდნენ.

განაწყენებული დათო კი კვლავინდებურად უღიმღამოდ იყურებოდა ფანჯარაში და რაღაცას თავისთვის ფიქრობდა.

სიჩუმე საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. გვიმ რაღაცის სათქმელად თავი მაღლა ასწია, დაინახა, რომ ლევანს თვალები გადმოეკარკლა და უცნაურად მანქანა ფართოდ გაღებულ პირს.

გვიმ ლევანს ეცა.

— ლევან, რა დაგემართა?

— მე... მე ფეხის თითები ავამოძრავე!

გვიმ ერთი ხელის აკვრით საბანი გვერდით ისროლა, ვიდაცის თავს თავით დაეჯახა და დაუწყო ყურება ლევანის გამხდარი ფეხების თითებს.

— ხედავ?... ხედავ! მარჯვენა ფეხის თითებს გამოძრავებ!.. — ზურგს უკან დან ესმოდა ლევანსაგან აკანკალებული ლევანის ხმა.

— აბა, ერთი კიდევ!.. კიდევ!.. — ახლა ეს იყო მშვიდი და მომთხროვენი ექიმის ხმა, — ამოძრავე თითები!..

— აჰა!.. აი, აჰა!.. აი!.. — აღტაცებით იმეორებდა ლევანი, — აი, ხედავ?!..

თავუღებლივ, შუბლქვეშოდან დათო და დოდო დასტურისათვის შესცქეროდნენ თვალებში გვიმს. თითები უსიციოცხლო იყო. გვიმ გამაფრთხილებლად ჩაუკრა მათ თვალი, წარბები შეიკმუხნა და მერე ლევანს მიმართა:

— აბა, ახლა მარცხენა თითები სცადე!

— მარცხენა არ შემძლია... თუმცა, აი!.. ხედავ?! გამოძრავებ. მე ვიცი... მე ვიცოცხლებ!.. ხომ მართალია, გვიმ, ხომ გავივლი?

— რა თქმა უნდა, — გვიმ წელში გაიშალა და ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, — მე ვიცი, რომ გამოკეთდებოდი! სხვანაირად არც შეიძლებოდა!

ლევანს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ წელში მოძვნილმა ქვეთინმა ხელი შეუშალა და იგი ატირდა, ხმამაღლა,

სლუკუნით, როგორც პატარა ბავშვი.

გვიმ დააკერდა ოდესღაც ისეთ ლამაზ, კუნთოვან, მშვენიერი სპორტსმენის ფეხებს, ახლა რომ ტყავგადაკრულ ძვლებად ქცეულიყვნენ, და თვითონაც ტირილი მოუწნდა.

გაფითრებული დათო აკანკალებული ხელით ისხამდა ყავის ფინჯანში კონიას და ზედიზედ სვამდა.

— გეყოფა, ცოტა მეც დამიტოვე, — დოდომ თითქმის ძალით გამოგლიჯა ბოთლი და პირდაპირ მიიყუდა.

— დალიეთ, დალიეთ ბიჭებო, ჩემი გამოჩანმართელების!.. — თან ტიროდა, თან იცინოდა ლევანი.

— სწორედ მაგას ვსვამთ!.. — ბედნიერი ღიმილით გაბრწყინდა დოდო, — შენი მალე წამოდგომისა იყოს, ლევან!

* * *

შაბათს, თუმცა დასვენების დღე იყო, დათო სამშენებლო ობიექტზე წავიდა. სანტექნიკოსების ბრიგადამ, როგორც იქნა, მიიღო მიღები და სასწრაფოდ ამთავრებდა მათ გაყვანას შენობის უკანასკნელ ორ სართულზე. ორშაბათიდან მებათქაშეებს უნდა დაეწყოთ მუშაობა.

სასიამოვნო სანახავი იყო, რა კარგად და რა მარჯვედ მუშაობდნენ თავისი საქმის ოსტატები. „რა ყოჩაღები არიან, — გააფიქრა დათომ, — ოღონდ შონდომონ, და მთებსაც გადაატრიალებენ“.

შესვენებაზე დათო და ბრიგადირი სასაუზმოდ წავიდნენ შიფერისაგან გაცეთებულ ფარდულში, მერე კი დათო არც თუ ისე მტკიცე ნაბიჯით გაემართა ქუჩაში, შემთხვევითი ტაქსის საშოვნელად და თან ეს ახლახან მიერთებული საუზმე — სამი კათხა არყით კარგად შეზავებული ლუდი და ერთი ცალი უვარგისი სარდელი გულს ურევდა.

სახლთან დათო მანქანიდან გადმოვიდა, ერთი პირობა სადარბაზოში შე-

ჩერდა. მას აზიღებდა იმ წყვეული სარდელის გამო, მერე თმა გადაივარცხნა და პალსტუხი გაისწორა. «კოტას დავისვენებ ჩემს ოთახში და მერე გამოვალ», გადაწყვიტა მან.

მართლაც, არავის ვაუვია როგორ გააღო მან შესასვლელი კარი და შევიდა თავის ოთახში.

ოთახი, როგორც ყოველთვის, დალაგებული იყო, პატარა გივის სათამაშოები წესიერად ეწყო კუთხეში და მხოლოდ ფეხმოგლეჯილი ბურატიწიო ეგდო იატაკზე, კართან.

«ეს ჩემი პატარა გივის ყველაზე საყვარელი სათამაშოა», — გაიფიქრა შეზარბიანებულმა, სენტიმენტალურად განწყობილმა დათომ, საწოლზე ჩამოჯდა და ანგარიშმიუცემლად ფეხსაცმელების შესხნა დაიწყო... თან უაზროდ მიაცქერდა კედელს, რომელსაც რაღაცა აყლდა.

დათომ გონება მოიკრიბა. ჰო, კედელზე აღარ იყო ფოტოსურათი, საბანო კოსტიუმში გამოწყობილი ლიანა არაგვიშო რომ აბანავებდა გივიკოს...

ყველა ქალი ტუტუცია... რა კარგი ტანი აქვს და რცხენია იმ ფოტოსი! — გაიფიქრა დათომ და მხოლოდ მერე გაუელვა აზრმა, მართლა ხომ არ წავიდა სახლიდან, ისე რომ იმუქრებოდაო?... დათომ ტანისამოსის კარადა გამოაღო და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ლიანა წასულიყო, მისი ტანსაცმელი შიგ აღარ დახვდა.

წყენითა და გულისწყრომით აღსავსე დათო თავისიანების საქებნელად გავმართა. თან სარკესავით გაპრიანებულ პარკეტზე გახსნილი ფეხსაცმლის ზონარს მიათრევდა.

სასადილო ოთახში და მამის კაბინეტში არავინ იყო. დათომ რიგრიგობით გააღო დედისა და დის საძინებელი ოთახის კარები, მაგრამ იქაც არავინ იყო.

მაშინ დათო დაბრუნდა ჰოლში, გააღო კარი, რომელიც მისი ოთახის პირდაპირ იყო და დერეფნიდანვე დაინახა, რომ ყველა ისინი დიდ, ყვითელი

ჩეხური კაფელით მოპირკეთებულ სამზარეულოში ისხდნენ.

მამა მაგიდის შუაში იჯდა, ზორზოხი, ქალარათმიანი. მას ორივე ვეება ხელი იღაყვებით მაგიდაზე ედო და რაღაცით სფინქსს წააგავდა. დედა და და, მის გვერდით ძალიან პატარებად მოჩანდნენ.

ისინი დუმილით შესცქეროდნენ მოახლოებულ დათოს.

— სად არიან?... — მწყრალად იკითხა დათომ და სკამზე დაენარცხა. პასუხი რომ ვერ მიიღო, უფრო მშვიდად გაიძეოდა: — სად არიან?

— წავიდნენ. — თქვა დედამ.
— მერე, დასწყევლოს ეშმაკმა, თქვენ ვერ დააკავეთ?

— ჰო, დააკავებ მისას... — ვერიკო პირმეტი წლით უფროსი იყო დათოზე. მის აღზრდაში აქტიური მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, და ამიტომ მას ყოველთვის მფარველური კილოთი ელაპარაკებოდა.

— ვერ შესძელით!.. ვერ მოახერხეთ გაგეყოთ ასოციაჩვიდმეტ მეტრიანი ბინას!.. — დათოს, როგორც მშენებელი ინჟინერს, სიტყვა „ბინის“ ხსენებაზე ყოველთვის „მეტრაიკი“ ახსენდებოდა.

— ეგ რა შუაშია?! — ბატონი ილიას დაბალი და ბოხი ხმა მთელ სახლში გაისმა.

— ჩვენ მაშინ-ღა დავინახეთ, როცა ბავშვითა და ჩემოდნით ხელში უკვე გასული იყო კიბის მოედანზე. აბა, იქ ხომ არ დაეუწყებდით კამათს?! — აუხსნა დედამ.

— მამ სახლში ხომ შეიძლება ჩხუბი და კამათი, როცა მეზობლებს არ ესმით!.. — დათოს ნამდვილად ნაწამები სახე ჰქონდა. იმ წყვეულ სარდელს არაფრით არ უნდოდა კუჭში გაჩერება, კვლავ უკან დაბრუნებას ლამობდა.

— ჰო, ის წყვეული, — ბოროტად დაუდასტურა ვერიკომ, — ის წაქეზებდა, წაიყვანე ბავშვი და წადიო!

— სახელმწიფო მინც რატომ არ უნდა უწევდეს კონტროლს, როცა ასეთ

რამეს ამზადებენ?! — დაიკყანა დათო.

— რამდენადაც მე ვერკვევი ამგვარ საქმეებში, ეს სრულიად შეუძლებელია!.. — მოუჭრა ენამწარე ვერიკომ, მერე კი მსწრაფლ მოისხარა, — შენ სისულელეს ლაპარაკობ!

— შე შტერო, მე სარდელზე ვამბობ!

— გეყოფათ, ნუ ჩხუბობთ!.. — თქვა მამამ.

დღეა უხმოდ ტიროდა, თან ცხვირსახოციტ ცრემლებს იწმენდდა.

— მე მივდივარ იმასთან!.. — მტკიცე გადაწყვეტილებით წამოიღო სკამიდან დათო, — ბავშვი მარტო იმისი კი არა, ჩემიც არის!.. — უკვე დერეფნიდან დაიყვარა მან, მერე ზონარზე ფეხი დაიდგა და კინაღამ ფატაკზე გაიშხლართა.

როდესაც ის ქუჩაში გავიდა, თითქმის ფხიზელი იყო, მაგრამ ადრინდელი გამბედაობა აღარა ჰქონდა.

„თან ვინმე უნდა გავიყოლო, გივი ან დოდო, გაიფიქრა დათომ, მაგრამ გივი შორსაა, და დღის ბოლომდე ვერც შესძლებს წამოსვლას“.

დათო თეატრისაკენ გაეშურა დოდოს სანახავად.

— თქვენ საით, ამხანაგო? — მიიძახა მას შეშის ჯიხურში მჯდომმა ვახტორმა.

— მე რეჟისორი ვაჩნძე მინდა.

— არ შეიძლება, რეპეტიციაა!

— მე პირველად კი არ მივდივარ...

— მით უმეტეს, უნდა იცოდეთ. დირექტორს დაურეკეთ.

საბედნიეროდ, ამ დროს შესულმა ახალგაზრდამ ჰკითხა დათოს, ვინა გნებათო და შეჰპირდა დოდოს გამოძახებას.

დათო ქუჩაში ელოდებოდა მეგობარს. თითქოს მის ჯიბრზე გვერდით მიმოდიოდნენ ახალგაზრდა მშობლები თავიანთი შვილებით, და ყველაფერზე ეტყობოდათ, რომ ძალიან ბედნიერები იყვნენ.

ახლთმეტოადე წუთის შემდეგ, რაც

დათოს საუკუნედ მოეჩვენა, დოდო გამოვიდა.

— სალამი... გეტყობა ნაზნუსებ ხარ. წამოდი, გამოგაცოცლებ, — უთხრა დოდომ, როცა შეხედა სახეზე.

— არა, მე შენთან სალაპარაკო მაქვს!

— სწორედ იქ ვილაპარაკებთ, თანაც ძალიან მშობი!

— არა, შენ უნდა წამომყვე...

— სად? — გაუკვირდა დოდოს.

— ნავთლულში. ლიანამ ბავშვი წაიყვანა და დედასთან წავიდა...

— ასეც ვიცოდი... — ჩაფიქრებით თქვა დოდომ, მერე კი რაღაც უგულოდ ჰკითხა, — აბა, მე რითი შემიძლია დაგეხმარო?

— წავიდე, მოველაპარაკოთ იმით... ბოლოს და ბოლოს, ლიანას არა აქვს უფლება ასე დაანგრის ოჯახი.

— ეს ჯერ კიდევ სკითხავია, ვინ ანგრევს ოჯახს!..

— მაშ, არ გამომყვები?

— არა!

— თან მეგობარი გქვია!

— ავკვე ყველაფერში, ეს არ არის მეგობრობა... ვაგათამამეს... შენ კი იმდენი ჰკუთარ გეყო, მიმხედარიყავი, რომ მარტო შენსკენ არ უნდა მიითალო, იქითაც უნდა გასცე ხოლმე.

— ჩუმი, ნუ ყვირი, ზალხი გაიგებს! მაშ, არ მოდიხარ?

— წამოვალ იმ პირობით, თუ სიტყვას მომცემ, რომ აღარ დალევ.

— ეს უკვე ჩემი პირადი საქმეა.

— მაშ, ოჯახური საქმეებიც შენ თვითონ მოაწესრიგე... — დოდო მიბრუნდა და წასვლას აპირებდა, მაგრამ მერე შეეცოდა მეგობარი. — დამიჭერე, დაანებე სმას თავი და ყველაფერი მოწესრიგდება!.. იქ წამოსვლით კი... არა, შენ მარტო უნდა წახვიდე, შე მხოლოდ ხელს შეგიშლით. ლიანა შებოჭილად იგრძნობს თავს.

— მერე, ლიანას დედა?

— ჩემი თანდასწრებით ვერც ის შესძლებს ყველაფერი იმის თქმას, რაც ენდომება.

— მე სწორედ მაგისი მეშინია...

— არ ვიცოდა, რომ ასეთი ჩვერი იყავი. ხვალ ლევანთან შევხვდებით. — და დოდო წავიდა ისე, რომ დათომ ვერ მოასწრო მოესაზრა პასუხი.

„უნდა ჩამოვიდე წმინდა ბარბარეს ვკლესამდე. დიდ სახლთან, რომლის პირველ სართულზე გასტრონომია“, — მოაგონდა დათოს. ლიანას დედამ ბინა მიიღო ქალიშვილის გათხოვების შემდეგ, და დათო იქ მხოლოდ ერთხელ, ახალ ბინის მიღების გამო გამართულ წვეულებაზე იყო.

ბოლოს დათომ იპოვა სახლი, მაგრამ რადგან დღეს არაფერში ბედი არ სწყალობდა, სხვა სადარბაზოში შევიდა და მთელი რვა სართული ამოდ ეძებდა სიდერის ბინას. ბოლოს, როცა მეორე სადარბაზოში მიავნო ბინას, სულის მოუთქმელად დარეკა ზარი.

ერთ-ერთი უპირატესობა პატარა ბინისა ისაა, რომ კარს მაშინვე აღებენ ხოლმე. გაღებულ კარში იდგა ლიანა და მღუმარედ უყურებდა დათოს.

— ვინ არის? — მოისმა სამზარეულოდან დედის ხმა.

— არავინ. — უპასუხა ლიანამ.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. დათომ ლიანას გვერდი აუარა და ბინაში შევიდა. ქალს იმის მეტი არაფერი დარჩენოდა, რომ კარი დაეხურა.

— ბავშვი სად არის? — მკაცრად იკითხა დათომ, ხმაურით გამოსწია სკამი და დაჯდა.

— დედა საუზმეს აკმევს სამზარეულოში.

— გამარჯობათ. — სიდერის ხელში ეჭირა ფაფით სახეამოგანგლული ბავშვი.

— გამარჯობათ, ქალბატონო ზინაია. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ... ისე გამოვიდა...

— ეგ თქვენი და ლიანას საქმეა... და თუ დღემთი გწამთ, თქვენს ჩხუბში მე ნუ გამრევთ...

— მართალს ბრძანებთ, — დაუდასტურა ამ ამბით გახარებულმა დათომ:

მარტო ლიანასთან ლაპარაკი ბევრად უფრო იოლი იქნებოდა, რადგონ კი ბებიაშვილი სააბაზანოში წაიყვანა დასაბანად, მან საყვედურით კითხა ცოლს:

— ლიანა, ეს რატომ ჩაიღინე?

— ძალიან კარგად იცი... და არც დაგიბრუნდები, ვიდრე სმას თავს არ დაანებებ!

— გიყვარვარ, ლიანა?

— არ ვიცი... მაგრამ შენ კი ნამდვილად არ გიყვარვარ.

ერთი სიტყვით, ყველაფერი არც თუ ისე ცუდად ეწყობოდა, ოღონდ ერთი ეს იყო, პატარა გიგის მანცადა-მანც არ გახარებია მამის მოსვლა და სულ იმას იმეორებდა, შინ წასვლა არ მინდოდა.

„ბავშვი ახალმა გარემომ გაიტაცა“ — თავი დაიმშვიდა დათომ.

დათომ იქ დაჰყო მთელი ორი საათი და წამოვიდა მაშინ, როცა შესთავაზეს ერთად ევასშმათ.

„არსებითად ყველაფერი ძალზე მარტივია — მე სმას თავს დავანებებ და ლიანა დამიბრუნდება, — ფიქრობდა იგი, როცა რუსთაველის პროსპექტზე მიდიოდა, — ჯერჯერობით კი, ვიდრე სმისთვის თავი არ დამინებებია, შეიძლება ცოტა ჯანზე მოვიდე“... და დათო მტკიცე ნაბიჯებით გაემართა რესტორან „თბილისისკენ“.

სამშობაოს, მუშაობის შემდეგ დათო კვლავ წავიდა ბავშვის სანახავად. გზად იყიდა ნამცხვარი და ყველაზე ძვირი კონსტრუქტორი, რაც კი მაღაზიაში იყო: ასეთ კონსტრუქტორში ათიოდე წლის ბიჭი თუ გაერკვეოდა.

ლიანამ და მისმა დედამ დაინახეს თუ არა კარებში დათო, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა, კარი ცხვირწინ მიუხურეს.

დათო დაბრუნდა შინ აზელილი ნამცხვრით ხელში, ხოლო კონსტრუქტორი მოხალტურე შოფრის მანქანაში დარჩენოდა.

ვერიკომ და დედამ დათოს გახადეს და ლოგინში ჩააწვინეს, მერე ორივენი.

სასადილო ოთახში გავიდნენ, სადაც მამა ტელევიზორს უყურებდა.

— მე შენ სერიოზულად უნდა გელაპარაკო... — უთხრა დედამ მამას და ტელევიზორის შტეფსელი გამოართო, სრულებით აღარ ახსოვდა, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ ქმარს ინფარქტი ჰქონდა გადატანილი. — ნუთუ არ შეგიძლია შვილზე ზემოქმედება იქონიო?

პოლიტიკური მიმომხილველი, რომელიც საინტერესო ამბებს ჰყვებოდა, წამსვე გაქრა ტელევიზორის ეკრანიდან; ამან ძალიან გააბრაზა ბატონი ილია.

— შენს შვილს მე რას ვუშველი, მაგას ფსიქიატრი სჭირდება... — დამარცვლით თქვა მან, — დედის მხრით ისეთი მემკვიდრეობა აქვს.

— როგორ ბედავ ჩემი ძმის აუგად ხსენებას?

— არაყმა იმას მოუღო ბოლო, მე კი არა... მე რაც მომკლავს, ის კარგად ვიცი...

ეს აუგად ხსენებაზე უფრო მეტი იყო და თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, ქალებმა საშხარეულოსკენ გასწიეს.

წასვლისას ვერიკომ მიინც საკმაოდ ხმამაღლა თქვა:

— მიცვალებულზე ასე არ ლაპარაკობენ, მამა!

ბატონმა ილიამ ჯიბიდან ამოიღო კოლოფი, გახსნა და ერთი ტაბლეტი პირში ჩაიდო, შემდეგ გაჭირვებით წამოღდა და ტელევიზორი ჩართო.

• • •

სალამობით, როდესაც სიმპოზიუმ-მიდან და თათბირებიდან თავისუფალი იყო, ბატონი შალვა ჩაის მერე მაშინვე გადიოდა ხოლმე თავის კაბინეტში და გვიანობამდე მუშაობდა.

ეკაც უმეტესი დრო გართული იყო თავისი საქმეებით და მხოლოდ ქალბატონი ელენე, რომელიც ამაოდ ცდილობდა გაება საყვარელ შვილთან მასლაათი, განმარტოებული რჩებოდა თა-

ვისი დრომოკმული და მოსაწყენი არისტოკრატიზმით.

არა, ელენეს არაფერი ჰქონდა სასაყვედურო: ქმარი მას ნატიფი ზრდილობით ექცეოდა, არაფერზე უარს არ ეუბნებოდა და ჩანდა, რომ უყვარდა კიდევ. მაგრამ ის რომანტიკული დამოკიდებულება, რომელზეც ეს ორმოცდახუთი წლის ქალი კვლავ ოცნებობდა, მათ შორის უკვე აღარ იყო.

ელენე გრძნობდა, რომ უიმედოდ ჩამორჩა ქმარსაც და ქალიშვილსაც და სანანებლად ჰქონდა გადაქეუული, რომ მთლიანად ოჯახს დაუმორჩილა თავი და არ იფიქრა თავის მომავალზე, როცა სამედიცინო ფაქულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ცოლად გაჰყვა ახალგაზრდა ექიმს და სწავლას თავი დაანება.

აი, ახლაც, თუმცა ეს საკმაოდ იშვიათად ხდებოდა, ქმარი არ გავიდა თავის კაბინეტში და ქალიშვილს ემუსაიფებოდა, ელენე კი, მართალია, შიგა და შიგ თითო-ოროლა სიტყვას ჩაურთავდა ხოლმე, მაგრამ არც მამა და არც შვილი ამას ყურადღებას არ აქცევდნენ.

საუბარი ეხებოდა მათს ახლო, სკვერში დადგმულ ერთ ქანდაკებას. ეს ქანდაკება ორივეს უხეიროდ მიაჩნდა, მაგრამ ამის მიზეზებზე მამასა და შვილს სხვადასხვა შეხედულება ჰქონდათ.

— მე მომწონდა ამ მოქანდაკის ადრინდელი ნამუშევრები, — ამბობდა ეკა, — მაგრამ ბოლო ხანებში იგი გაიტაცა სხვა და სხვა „იზმებმა“ და აი, როგორ ჩამოქვეითდა მისი ხელოვნება.

— მე ეგ ქანდაკება ვნახე შორიდან, მანქანით რომ ჩავუარე, — თქვა ელენემ.

ბატონმა შალვამ დააცადა იქნებ კიდევ უნდა რამის თქმაო და მერე ქალიშვილს მიმართა:

— შენ ერთ რამეში ცდები, ეკა, უნდა შესძლო განასხვავო... არსებობს მხატვრების, კომპოზიტორების, მწერლების ზოგიერთი ნაწარმოები, რომ-

ლებიც, სამწუხაროდ, არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ხელოვნება!

— მაგრამ, ეს ქანდაკება, მთელი თავისი შეუსაბამობის მიუხედავად, მინც ხელოვნების ნაწარმოებია.

— შეეშვება... მე დიდხანს ვათვალიერე ის ქანდაკება და იცი, რა დასკვნამდე მივედი?

— რა დასკვნამდე?

— რომ მის შემქმნელს აზროვნების პათოლოგიური სიზარმაცე სჭირს. ჰო, ჰო... სწორედ აზროვნების ის სიზარმაცე, რომელიც სუსტ ადამიანს უბიძგებს მიბაძოს რაღაც გაბერილს, ჩვენთვის უცხო ავტორიტეტებს.

— იქნებ ჩვენ ჩამოვრჩით დასავლეთის ხელოვნებას? — ჩაუბრუნო რებელიკა ელენემ, მაგრამ არავის არ მიუცქევია ამისთვის ყურადღება.

— მამა, ნუ გავიწყდება, რომ ის მოქანდაკე ბევრი კარგი ნაწარმოების ავტორია.

— რა ვუყოთ მერე... ადამიანს შეუძლია მწვერვალს მიაღწიოს და მერე ასეთივე წარმატებით დაეშვას მთლად ფსკერამდეც.

— მამ, შენ ის არარაობად მიგაჩნია?

— ამ ქანდაკების მიხედვით, კი. ისევე, როგორც ოდესღაც არცთუ უნიჭო მწერლები, შემდეგში არარაობად რომ იქცნენ.

— კი, მაგრამ ის ქანდაკება ხომ მიიღო რომელიღაც კომისიამ? — თქვა ქალბატონმა ელენემ.

— ჰო, თანამზრახველთა კომისიამ.

— შენ ძალიან სასტიკი ხარ, მამა!

— არ გედავები... მაგრამ ხანდახან ესეც საჭიროა. აი, მე კლინიკაში მყავდა ისეთი ხალხი, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათ იმდენი დამსახურება აქვთ, შეუძლიათ აღარ დაიცივან საზოგადოებრივი მორალის ნორმები. რაღა თქმა უნდა, მე ვცადე, პირველ რიგში, სწორედ ასეთი ადამიანებისაგან გავნთავისუფლებულიყავი.

— სწორი ხარ, — თქვა ქალბატონმა ელენემ.

— მათი შეცვლა განა ადვილი იყო?

— ჰკითხა ეკამ.

— ვინ ამბობს, რომ ადვილი იყო!

ბატონი შალვა წამოდგა და თავის კაბინეტისკენ გასწია.

* * *

ლამის ორი საათი იქნებოდა. გივი ქირურგების სამორიგეო ოთახში, რბილ სავარძელში იჯდა და ისვენებდა. მან ურთულესი ოპერაცია ჩაატარა და ახლა ცდილობდა გამოთიშვოდა იმ მძიმე განცდებს, სულ ცოტა ხნის წინ მთელი არსებით შეპყრობილი რომ ჰყავდათ.

გაზეთით ხელში, გივის გვერდით მძიმე ნაბიჯებით ჩაუბრა ყელ-ყურის ექიმმა სხირტლაძემ. ხნიერი კაცი იყო, დაბლა დაშვებულ მხრებზე ეტყობოდა, ისიც ძალიან დაღლილიყო.

საწერ მაგიდასთან, ქალაღის ფურცელზე თითებმოკრუნჩხული მარჯვენა ხელი დაედო, მარცხენით კი რაღაცას წერდა ანესთეზიოლოგი ფხაკაძე.

ათიოდე წლის წინ იგი დასტაქრად მუშაობდა სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში და ერთმა ალგუნებულმა მთვრალმა დაქრილმა, რომლის გადაჩენას ფხაკაძე ცდილობდა, დანით დაუსხრა თითები, რითაც საშუღამოდ ჩამოაშორა თავის მოწოდებას.

ლამარა მოპირდაპირე კედელთან სავარძელში იჯდა, გამალეხით ეწეოდა სიგარეტს და წამდაუწუმ მიდიოდა საწერ მაგიდასთან, სადაც საფერფლე იღო.

ფხაკაძე ყოველთვის, როცა კი ლამარა ბრუნდებოდა თავის ადგილზე, თვალს გააყოლებდა ზოლზე მას და მერე ნერვიულად განავრძობდა წერას.

ატმოსფერო დაძაბული იყო და მხოლოდ ორი საოპერაციო და მოკალათებულყო პატარა, ქურნალეების მაგიდასთან, და თითქოს არაფერი მომხდარაო, ხაჭაპურს მიირთმევდნენ, თურმოსიდან რაღაც სასმელს აყოლებდნენ და მხიარულად მასლაათობდნენ.

„აი, მეც რომ შემეძლოს ამთსა-

ვით ასევე მშვიდად გადავიტანო ყვე-
ლაფერი... — შურით გაიფიქრა გი-
ვიმ. — არადა, ეს საჭიროა. აღამიანმა
უნდა აიძულოს თავისი თავი...“

ლაპარაკე კვლავ მივიდა საწერ მაგი-
დასთან, ჩასრისა საფერფლეში დაუ-
მთავრებელი სიგარეტი, მერე გივის
მიუახლოვდა, გვერდით მიუჭდა და
ჰკითხა:

— რატომ არ მომეცი საოპერაციო-
ში შემოსვლის უფლება?

— იმიტომ, რომ ხელს შემიშლიდი.

— ახლა ყოველთვის ხელს გიშლი,
გივი... რატომ აღარ გიყვარვარ?

პასუხის ნაცვლად გივიმ მხოლოდ
მხრები აიჩეჩა.

— შენ სხვა გიყვარს?

— ყველაფერი შესაძლებელია. სა-
ოპერაციოში კი არ შეგიშვი იმიტომ,
რომ წეიროქიურურგს იქ არაფერი საქმე
არა ჰქონდა.

ლაპარაკე აღგა და კარისკენ გაემარ-
თა.

— მე აქვე, მეზობელ პალატაში
ვიქნები, — უთხრა მან დაფინებით მო-
მზირალ ფხაკაძეს და გავიდა.

დაჭრილი საღამოს ამ საათზე მოი-
ყვანეს. იგი თურმე ელექტროხერხზე
მუშაობდა და საშინელი სიჩქარით
მბრუნავ დაკბილულ დისკოს მორზე
მოეწყვიტა დიდი წვეტეიანი ნაფოტი,
რომელსაც იმ საცოდავისთვის ყელი
უურებამდე გადაეფატრა.

დაჭრილი სასწრაფოდ მოიყვანეს
მორტოციკლით და აღბათ სწორედ ამან
იხსნა იგი გაგუდვისაგან, რაც შეიძლე-
ბოდა დამართვოდა, ფილტვებში რომ
სისხლი მოხვედრილიყო.

სხირტლაძემ მყისვე ჩაუდგა მილი
გაფატრულ ტრაქეაში, საიდანაც ყოველ
ამოსუნთქვაზე სისხლის ჭაფი ამოსდი-
ოდა და ისინი სასწრაფოდ საოპერაციო
შზადებას შეუდგნენ.

— მე რაღაც ცუდად ვგრძნობ
თავს... — მობოდიშებით თქვა სხირტ-
ლაძემ, როცა ისინი ხელებს იბანდნენ.

მართლაც, სხირტლაძეს ტუჩები გა-

ფითრებული ჰქონდა და ახლა ის გივის
ნამდვილ მოხუცად მოეჩვენა.

— კარგი, ასისტენტობა გამიწიეთ,
— უთხრა გივიმ.

ოპერაცია უსასრულობამდე გა-
გრძელდა. უფრო და უფრო ხშირად
სწმენდდნენ საოპერაციო დები სახეე-
ბიდან ოფლს გივის და მის ხშიერ ასის-
ტენტს. მაგრამ ყველაზე მთავარი ის
იყო, რომ აღამიანი მგონი გადაარჩა სიკ-
ვდილს.

საოპერაციევი ინტენსიური და-
კვირვების პალატაში წაიყვანეს.

— მე მგონია, ვადარჩება, — ცო-
ტა პირმოთნებით მიმართა გივის სხირ-
ტლაძემ; წესით, მას უნდა გაეკეთები-
ნა ეს ოპერაცია.

— არ ვიცი... — გივი რატომღაც
გაბოროტებული იყო, თუმცა გახარე-
ბული უნდა ყოფილიყო იმით, რომ და-
ჭრილმა საოპერაციო მაგიდაზე არ გა-
ნუტევა სულა.

— უნდა მაპატიოთ... ჩანს, პენსი-
ზე გასვლის დრო დამიდგა. — სიმწრით
თქვა სხირტლაძემ და რეზინის ხელ-
თათმანების გაძრობა დაიწყო.

მოხუცი შეცოდების ღირსი იყო,
მაგრამ გივის ამის ძალა აღარ შესწევ-
და.

— ხშირად ინახულებთ ხოლმე.

— დიახ, უსათუოდ.

— ექთანნი, რომელიც სასთუმალ-
თან უხის, არ ვიცი, გამოცდილია თუ
არა.

— გამოცდილია... ნუ შეწუხდებით...
თქვენ კი ძალიან ყოჩაღი ყოფილხართ!

— რატომ მართო მე? ჩვენი.. აი,
ოდონდ ის საცოდავი, ლაპარაკს ვერ
შესძლებს... თუ ვადარჩა...

მერე მათ სთხოვეს დაბლა ჩასუ-
ლიყვნენ, სადაც მოსაცდელ დარბაზში
დაჭრილის ახლობლები იყვნენ.

ატირებული დედაკაცი და ჩვიდმე-
ტიოდე წლის ქალიშვილი მისცვიდნენ
გივის და სხირტლაძეს. დანარჩენები
უფრო თავშეკავებულად უახლოვდე-
ბოდნენ. გივი გვერდით გადგა და

მთელი ახსნა-განმარტება სხირტლაძეს მიანდო.

გივი უკვე მეორე სიგარეტს სწევდა, როცა მას შემოესმა სხირტლაძის სიტყვები:

— ბედი ჰქონია, ოპერაცია შესანიშნავმა დასტაქარმა გაუკეთა!.. აგერ, იმან, ფანჯარაში რომ იყურება.

გივის მაშინვე გარს შემოეხვია ხალხი... თვალეში შესცქეროდნენ... და აჲ, ამ მის შემყურე ადამიანთა თვალებში, წამის რაღაც მონაკვეთში, გაიღვია ეკვმა: ძალიან ახალგაზრდა ჩანდა ეს უმაწვილი იმისათვის, რომ „შესანიშნავ დასტაქარად მიეჩნიათ“.

მერე მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს გივის, ჭალიშვილის დედას კი მისთვის ხელზე კოცნაც უნდოდა.

გივიმ და სხირტლაძემ კიდევ ერთხელ დაარწმუნეს ახლობლები, რომ ჟვიალური კარგად იქნებოდა, ლიფტს გვირდი აუარეს და ნელა დაიწყეს ასვლა ფართო, ხალიჩით მოფენილი კიბით.

გივი ახლა უკვე ნამდვილად გაბრაზებული იყო.

— იცით რა... — მშრალად მიმართა მან სხირტლაძეს, — ეგ თქვენი „შესანიშნავი დასტაქარი“, ცოტა არ იყოს, მაიმებლურად ჟღერს. მე, სულ ერთია, ხვალ მოვახსენებ ბატონ შალვას, რომ ოპერაცია თქვენ კი არა, მე ჩავატარე.

— ღმერთო ჩემო, აბა, მაშ როგორ! — სხირტლაძე შეჩერდა და მძიმედ მიეყრდნო კედელს, — მაგრამ იმას, რომ თქვენ ოპერაცია შესანიშნავად ჩატარეთ, მე ყველას ვეტყვი.

მხოლოდ ახლა მიხვდა გივი, რომ სხირტლაძე ნამდვილად თავს ცუდად გრძნობდა, იქნებ იმ საშინელი კრილოზის დანახვის გამოც კი, და რომ პირადად მისთვის, გივისთვის, ამას არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა.

— მომიტყევთ, მე თქვენ სისულელე გითხარით. დამიჯერეთ, მე თვითონ არა ვცემ პატივს ჩემს თავს ამის გამო... ალბათ ნერვული დაძაბულობა...

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ!..

ბოდიში მე უნდა მოვიხდეთ თქვენს წინაშე, — სხირტლაძემ დაღვრისთანად მოკრდა მკლავზე ხელი გივის.

ახლა ისინი კიბეებზე დაწყნარებულნი და გახარებულნი აღიოდნენ. იქ, პალატაში, მესამე სართულზე იწვა მათ მიერ სრკვდილს გადაარჩენილი ადამიანი.

საოპერაციო დებმა ხმამალა გაიცინეს, მერე კი ერთდროულად გაჩუმდნენ და ტუჩებზე ხელი მიიფარეს.

— არა უჭირს, არა უჭირს... — დაბლა დასწია გაზეთი სხირტლაძემ, — ეგ ანექდოტი იქნებ ჩვენც გვიამბოთ?

სხირტლაძეს სევდიანი გამომეტყველება ჰქონდა და გივი მიხვდა, რომ ანექდოტები მას სრულიად არ აინტერესებდა.

— არ შეიძლება, — უპასუხა ანექდოტის მომყოლმა საოპერაციო დამ, — სათქმელად ძალიან უხერხულია...

ფხაკაძემ დაინახა, რომ გივის სიგარეტს ცეცხლი არ ჰქონდა მოკიდებულნი, მიუახლოვდა და სანთებელა ცხვირწინ დაუჩხაკუნა.

— რა ბედნიერი ხართ... — ყრულ უთხრა მან, პასუხს არ დაუცადა, ისე დაუბრუნდა თავის მაგიდას.

გივიმ სიგარეტის ბოლი ღრმად ჩაისუნთქა. რატომღაც გაახსენდა დღევანდელი ლაპარაკი „ავტოსერვიზის“ მექანიკოსთან, სადაც მანქანა გასაზეთად მიიყვანა.

მექანიკოსი ახალგაზრდა, გულკეთილი და ლაპარაკის მოყვარული ბიჭი იყო.

— მთლად ახალია, — ხელი გადაუსვა მან „ვოლგის“ ფრთას, რომელიც ჰიდრაულიკური ამწეს შემწეობით მალა მიდიოდა, — რაც მეტი იქნება მანქანები, მით მეტი სამუშაო გვექნება.

— რაო, ასე ვიყვარს ფული? — გაეღიმა გივის.

— ფული ვის არ უყვარს! ცოლი ახალი მოყვანილი მყავს, და ფული ძალიან მჭირდება. რაც მეტ მანქანებს ვავარემონტებთ, ხომ გასაგებია... თქვენ სად შეშაობთ?

— მე?... არ ელოდა ამ შეკითხვას გივი. — მეც ვარემონტებ.

— ალბათ, რალაცას ძალიან რთულს? — ბიჭმა ერთი შეხედვით შეაფასა გივის კარგად შეკერილი კოსტიუმი, მერე კი მზერა „ვოლგაზე“ გადაიტანა, — ეტყობა ფულს ბლომად იღებთ.

— ჰო, არა უჭირს.

როცა გაზეთვა დაამთავრა, ბიჭმა მაინც ჰკითხა:

— ბოდიში და, მაინც რას არემონტებთ?

— ჩვენ ვარემონტებთ ყველაზე რთულ მექანიზმებს — ადამიანებს!

ბიქს ეს შაყირი ეგონა, არაფერი უპასუხა და გივი წავიდა.

სხირტლაძე გივის გვერდით იჯდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს გაზეთს კითხულობდა, მაგრამ გივი ხშირად იჭერდა მის საღლაც, შორს მიმართულ, სევდიოთა და განდგომილებით საესე მზერას... მზერას ადამიანისას, რომელმაც უეცრად შეიგრძნო უწყალო სიბერის ეამი.

შემოვიდა თერაპიული განყოფილების მორიგე ექიმი ახვლედიანი.

— შენი ავადმყოფი როგორ არის?

— ჰკითხა მან გივის და გვერდით საგარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

— იმედი გვაქვს, გადარჩება. შენ ამდენ ხანს სად იყავი? — ისინი ერთმანეთს იცნობდნენ ჭერ კიდეც სამედიცინო ინსტიტუტიდან, რომელიც ანზორმა გივიზე ერთი წლით ადრე დაამთავრა.

— როგორ თუ სად? განა არ იცი?... თუმცა, შენ ოპერაციასზე იყავი. ოთხი დედაყავი მოიყვანეს მუშათა უბნიდან. ვიდრე მათი ქმრები სამუშაოდ ყოფილან, ამათ დალევა ვადაუწყვეტიათ... დამთვრალან შენ გამობდილი არაყით. შიმშიე მოწამვლა რახის ზეთით — ძლიერმოქმედი ალკოლოიდების შხამით. ყველაზე ახალგაზრდა ეს-ეს არის გარდაიცვალა.

— დანარჩენები?

— გავუკეთეთ ყველაფერი, რაც კი

შეგვეძლო... ორნი ძალიან ცუდად არიან... მოხუცი დედაბერიც მგონია გადარჩება. დავისვენებ ერთ ოც წუთს და მერე წავალ. იქ ახლა პროფესორია, რომელიც შუალამისას გამოვიძახებთ.

— რა მშვიდად ჰყვები ამ საშინელ ამბებს!

— მშვიდად? — მწარედ ჩაიციხა ანზორმა. — შეფმა იქიდან სწორედ იმიტომ გამომაგდო, რომ დავმშვიდებულიყავი.

ათი წუთის შემდეგ ანზორი წავიდა.

გივი კვლავ თავის ფიქრებს დაუბრუნდა. ახლა იგი ლამარაზე ფიქრობდა; ამ ქალის ბუნებაში რალაც უცნაურად არის შეთავსებული სრულიად საპირისპირო მხარეები: ერთის მხრივ სერიოზულობა სავსებით კვალიფიციური ექიმისა, და მეორე მხრივ — ახირებული არასერიოზულობა გართობის მაძებარი ქალისა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამის მიზეზი არის მისი გამომწვევი გარეგნობა... და მოუწყობელი პირადი ცხოვრება... თუმცა აქაც თვითონვეა დამნაშავე... ბევრ ძალიან ლამაზ ქალს ჰკუთვანება არ აწუხებს, არა იმიტომ, რომ ასეთებად არიან დაბადებულები, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრებაში ისინი ყველაფერს უფრო ადვილად აღწევენ, ვიდრე სხვები, არ სჭირდებათ ჰკუთვანება.

ლამარა კი სრულებით არ არის უკეთო ქალი. — ჰქვეცნობიერად ცდილობდა ლამარას გამართლებას გივი იმიტომ, რომ საღლაც, მისი სულის სიღრმეში ჭერ კიდეც ღვიოდა ნაპერწკალი იმ ცეცხლისა, რომელიც დაუნთო ლამარამ თავისი სიყვარულით... და თვითონვე ჩაუჭრო.

საოპერაციო ღებმა ფხაკაძეს გადახედეს და ჩაიხიზითეს. მას თავჩაქინდრულსა და პირდაღებულს ჩამოსძინებოდა. ჭანსალი ხელით კი მკერდზე დასახიჩრებული ხელი მიეხუტებინა.

სხირტლაძე დიდხანს უყურებდა მძინარეს და ვერ გაეგო, რა იყო იქ სა-

საცილო. მერე ღრმად ამოიოხრა და მიბრუნდა.

შემდეგ გივი ფიქრობდა პროფესორ ლევან თედორაშვილზე, ნეიროქირურგზე; ეს კაცი, ცხადია, თავის სპეციალობაში, პროფესორ მუჯირზე ნაკლები სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო.

პროფესორმა თედორაშვილმა აი, ახლაც ხელი მოჰკიდა თითქოს შეუძლებელს, მაგრამ მის ბიოგრაფიაში არც თუ ცოტა იყო ასეთი „სასწაულები“, და გივის სჯეროდა, რომ ამ შემთხვევაშიც ის თავისას გაიტანდა.

შემთხვევა კი ძალზე უაზრო და ტრაგიკული იყო: თურმე ახალგაზრდა ქალს, გადაჭვარებულ მკლავებში სხეჩარგულს, თვიაზე გულდაღმა ეძინა. ასეთ ღროს მიუახლოვდა ქმარი, ხელში ბავშვი ჰყავდა აყვანილი. მან ზუმრობით ბავშვი წელზე დაუდგო დედას. უნდოდა ქალი გაეღვიძებინა.

და აი, უკვე სამ წელიწადნახევარია, რაც ეს ლამაზი ქალი, ხერხემლის მალეობის გადანაცვლების გამო, ლოგინად იყო ჩავარდნილი, და მედიცინა აქ თითქოს უძლური ჩანდა.

ქმარი სამხედრო პირი იყო, ლეიტენანტი. ეს ამბავიც რუსეთში მომხდარიყო. ახლა ეს კაცი, უკვე კაპიტანი, თბილისში გადმოეყვანათ. თვეზე მეტია, რაც ქალი გივის განყოფილებაში წევს, სადაც პროფესორი თედორაშვილი მას საოპერაციოდ იკვლევს.

გივიმ იპოვა საბაბი და თედორაშვილს დაწვრილებით მოუთხრო ლევანის ავადმყოფობის ამბავი.

— ჩემი სუხნია ყოფილა, მაშასადამე... უნდა ვნახო. თუმცა, ყველა იმის მიხედვით, რაც თქვენ მითხარით, იმედი ძალზე მცირეა.

— დიახ, მაგრამ ხომ ხდება ხოლმე სასწაული! — არ ჰკარგავდა გივი იმედს.

— სასწაული ხდება ხოლმე. მე თვითონ მრავალჯერ ვყოფილვარ მოწმე... მაგრამ მაგეების არა მჭერა.

— როგორ თუ არა?!.. თქვენ თვითონ ბრძანებთ, რომ ხდება ხოლმე,

და თან არა გჯერათ? — მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ლევანს ეხებოდა, შეედავა გივი.

— პო, ხანდახან ხდება რაღაც არაჩვეულებრივი, სრულიად მოულოდნელი... ჩვენი დახმარებით, ან თავისთავად... მერე კი ჩვენ იმას მოვუნახავთ ხოლმე მეცნიერულ ახსნას — და სასწაული უკვე აღარ არის! — თედორაშვილმა თანაგრძნობით შეხედა გივის თვალებში, — ის ავადმყოფი თქვენი მეგობარია?

— დიახ, ბავშვობიდანვე, და ყველაზე ახლობელი...

— კეთილი. აი, ამ დღეებში ოპერაციას გავუკეთებ იმ ლამაზ ქალს და მერე ვნახოთ ჩემი სუხნია. პო... თქვენი როგორც ექიმს, მის მდგომარეობაში არავითარი ცვლილებები არ შეგინიშნავთ?

— არავითარი... გარდა იმისა, რომ ეჩვენება, თითქოს ფეხის თითებს ამოძრავებს. ეს ხომ ხშირად ემართება ადამიანს, რომელსაც ფეხი აქვს მოკვეთილი. მაგრამ იქნებ აქ რაღაც სხვაა!

— საინტერესოა!.. კარგი. შეეთანხმით. ნახვამდის.

გივი და სხირტლაძე რეგულარულად დადიოდნენ ყელგამოფატრულის სანახავად და ყოველთვის უკან ბრუნდებოდნენ იმ იმედით, რომ ავადმყოფი გადარჩებოდა. პატარა, გამხდარი კაცი მძლავრი გულის პატრონი გახლდათ და ეს იყო მთავარი.

ამჯერად, როცა ისინი უკან ბრუნდებოდნენ, ლამარა მარტო იჯდა ცარიელ ჰოლში და გივიმ სიბრალულით უთხრა:

— აქ მარტოდ რატომ ზიხარ, წამოდი ჩვენთან.

— მე მძულხარ, შენი დანახვაც არ მინდა.

— პო... მაშინ... — გივი მიტრიალდა და წასვლა დააპირა.

— მოიცა... სიგარეტი მომეცი! — ლამარამ მოუკიდა, — დაჭექი, ნუ გეშინია, არ შეგჭამ!

— რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ეს? — დაქლომისას თქვა გივიმ.

— მიყვარხარ, მე შენ მინდისხარ, გივი!

— კომედიას ნუ აწყობ! საკმარისია წახვიდე სადმე და ყველაფერი დაგვიწყდება. შენ მშვენიერად იცოდი, მე ისეთი კაცი არ ვიყავი, რომ ვინმესთან სიყვარული გამეყო.

— მაგრამ მე ხომ მივატოვე ქმარი!

— მე არ გელაპარაკები ქმარზე. ის გყავდა მაშინაც, როცა ჩვენ...

— გეფიცები, მე აქ დავბრუნდი შენი გულისთვის. სულ შენზე ვფიქრობდი, სხვები კი...

— სამწუხაროდ, იყო დრო, როცა იმ სხვების კატეგორიაში მეც ვიყავი ჩარიცხული! — ამოფეთქა გივის გულში ძველმა, მაგრამ დაუფიწყარმა წყენამ. — ჩვენს შორის ყველაფერი მოთავებულა ერთხელ და სამუდამოდ.

— ხომ იცი, რომ არ შემიძლია უშენოდ ყოფნა, გივი!.. ნუთუ დაგავიწყდა ჩენი...

— არ დამვიწყებია და არც არასოდეს დამავიწყდება. ის ჩემთვის კარგი გავფეთილი იყო. უნდა იცოდეს შენი თავის ფასი და შენი გრძნობებისაც... და არ მისცე უფლება ვილაღ-ვილაღეხს ეს გრძნობები ფეხქვეშ გათელონ.

ეს სიტყვები იყო ნაყარნახევი არა მხოლოდ ძველი წყენით, არამედ სხვისადმი დიდი და ნამდვილი სიყვარულითაც.

— მაშ მე ვილაღ-ვილაღე ვარ, არა?! ფრთხილად იყავი, მე შემიძლია დიდი ხისულელე ჩავიდინო.

— შენ იცი... — ცივად უთხრა გივიმ და მერე თითქმის ალერსიანად დაუმატა, — შენ ერთი სულელი და ახირებული გოგო ხარ...

— გივი! აქედან ჩემთან წავიდეთ. მე შენი ვიქნები, მარტო შენი.

— არა.

— ნუთუ დაგავიწყდა, რა ბედნიერები ვიყავით, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი?!

— არასოდეს! — გივი წავიდა რო-

გორღაც კმაყოფილი თავისი შურისძიებით; თუმცა ლამაზა მაინც ეცოდა.

* * *

ეკასთვის დადგა მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დრო, იგი ყოველდღე ხედებოდა გივის.

ეს იყო უცნაური გაღვიძება გრძნობებისა, რომელთა არსებობა მას აქამდე არც კი წარმოედგინა. უსაზღვრო ბედნიერებამ მოიცილა იგი... ყველა ირგვლივ მყოფიც და, რაც მთავარია, გივი — ყველაზე ჰკვიანი, ლამაზი და ძლიერი, ეკა ეტრფოდა და თვითონაც საეტრფო იყო.

ეკას ყველაფერი მოსწონდა თავისი საქმროსი, ყოველი მისი მოძრაობა, ისიც, როგორ ლაპარაკობდა, ან როგორ იცინოდა, და მისი შეუდარებელი გულახდილობა.

თუმცა, ეს განმარტება სჭირდება მხოლოდ მათ, ვისაც ნამდვილად ჯერ არავინ ჰყვარებია.

პირველმა კოცნამ ფუნიკულიორის ხეივნის ჩრდილში იმდენივე ბედნიერება მოჰგვარა, რამდენიც მაშინ სევდა, როცა გივი რესტორანში მისი დანახვისას სუფრიდან ადგა და წავიდა. მისი პირდაპირობაც მოსწონდა, თუმცა შეიძლება ბევრ ქალს სწყენოდა კიდევაც როცა გივიმ უთხრა:

— ღმერთო ჩემო, შენ კოცნაც არა გჯოდნია!

არა... ეკამ ძალიან მალე ისწავლა ეს კოცნა... კისერზე ხელგამომხვეული, მთელი სხეულით, ვნებით ეკვროდა, თავდავიწყებით ჰკოცნიდა... და სიგიჟემდე მისულს თავბრუ ეხვეოდა.

ერთხელ კი, ჩაბარუხის ხეობაში, ფასანაურის მახლობლად, უღრანსა და იღუმალეებით სავსე ტყეში, სადაც ფრინველების გალობაც კი არ ისმოდა, და მხოლოდ სადღაც შორიდან ყრუდ აღწევდა ჩანჩქერის შხუილი, ეკა შეევედრა:

— გივი, გეხვეწები, ნუ... გემუდარები ნუ... ნუ...

და გივი უცებ გონს მოვიდა, ეკას მოსცილდა, დაჯდა და სახეზე ხელები აიფარა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!
— გივი თვალბეჭეში შეხედვას ვერ უბედავდა.

ეკა შარშანდელი ფოთლების რბილ ხალიჩაზე იწვა, შესცქეროდა ხეების ტევრში გაპარულ, მის ხუჭუჭა თმებში მოციმციმე მზის სხივების თამაშს... და ნანობდა, რომ გივიმ შეიწყნარა მისი თხოვნა.

— შენ ჩემი ცოლი უნდა გახდე!
ეს უფრო ბრძანებას წაგავდა, ვიდრე სიყვარულის ახსნას. მაგრამ განა სიტყვებს მერტის თქმა შეუძლია, ვიდრე გრძნობებს?

— ჰო! — უპასუხა ეკამ, — ჰო!...
უკვე ერთ კვირაზე მეტი გავიდა მას შემდეგ და მთელი ეს დრო ეკას ვერ დაეძლია სურვილი გაეზიარებინა ვინმესთვის ეს გრძნობა, რომელსაც გულში ველარ იტევდა.

ყველაზე ახლობელი მისთვის მამა იყო, მაგრამ მამა საფრანგეთში და ბელგიაში წასასვლელად ეშვადებოდა, სადაც რამდენიმე მოხსენება ჰქონდა, და ეკამ გადაწყვიტა ჩამოსვლის მერე ელაპარაკა მასთან.

— დედა... — ბოლოს მიმართა დედას, რომელიც რომანს კითხულობდა. — შე გურაშს არ გავყვები ცოლად.

— რატომ? — წიგნი დახურა, თან თითი ჩატოვა მისთვის საპირო გვერდზე, ის ჯერ კიდევ წაითხულის შთაბეჭდილებებით იყო აღსავსე. — გურამი ხომ ძალიან კარგი ბიჭია?

— არ ვიცი... — ეკა თავისი ოთახისკენ გაემართა.

საღამოთი, როცა მარო სამზარეულოში მურაბას ხარშავდა, ეკა იქ გავიდა ყავის მოსადუღებლად.

— რად გინდა ახლა ყავა, მთელი ღამე არ დაგეძინება. გინდა, მურაბის ქაფს გადმოგიღებ, ბავშვობაში ისე ძალიან რომ გიყვარდა.

— ჰო... მარო, შე გურაშს არ გავყვები ცოლად.

მარომ წინსაფარზე ხელები შეიწმინდა, მიუახლოვდა და ტაბურეტზე მჯდომს გვერდით დაუდგა.

— სხვა გიყვარს?

— ჰო...

მარომ ეკა თავით მკერდზე მიიკრა და ეკა ატირდა... ტკბილი, ბედნიერების ცრემლებით.

— ძალიან კარგი. ის თავისთავზე შეყვარებული ჯეელი შე არასოდეს არ მომწონდა!.. ისე მელაპარაკება ხოლმე, თითქოს მე ტუტუცი ვიყო, ის კი ხელმწიფის ვეზირი. კარგი, გეყოფა ტირილი... — მარომ კაბის კალთით ეკას ცრემლები მოსწმინდა, — ეს, ეს კარგი ბიჭია?

— უჰ, ძალიან!

— ბედნიერი იყავი, შვილო!.. განა არა, გული მიგრძნობდა. ძალიან კი გააკვირვებდა ეს თქვენი სიყვარული...

— შე და გივი მალე ვიქორწინებთ... — გულუბრყვილოდ, პატარა ბავშვივით უთხრა ეკამ.

— რასაკვირველია, ასე უნდა იყოს... როცა ნამდვილი გრძნობაა!..

მერე მით ღამე გვიანობამდე ილაპარაკეს, და სულ გივიზე.

ახლა ეკა იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ეთქვა ეს გურამისთვის. ჯერ გადაწყვიტა მასთან სახლში მისულიყო, რადგან ბოლო ხანებში ისინი სულ ჩხუბობდნენ და გურამი იშვიათად მოდიოდა ხოლმე, დაებრუნებინა ბეჭედი და აეხსნა კიდევ რატომ სჩადიოდა ამას. მაგრამ მერე მაინც გადაწყვიტა თავისთან მოეხმო, როცა მამა შინ არ იქნებოდა.

ეკას აღარ შეეძლო ლოდინი, როცა გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო.

— ალო!.. გურამი ხარ? გურამ, არ შეგიძლია ცოტახნით სამუშაო დატოვო და ჩემთან მოხვიდე?

— შენთვის ყველაფერი შემობლია. — აღტაცებით უპასუხა გურამმა. — ოც წუთში შენთან გავჩნდებ.

დედამ გურამი ძალიან მზიარულად მიიღო.

— დედა, იქნებ მარტო დავგეტოვო?

— სიამოვნებით... — ეწყინა დედას, — გურამი ეს წუთია მოვიდა, მინდოდა მეკითხა, გურამ, ნახეთ თქვენ უკანასკნელი ტელედადგმა, არ მახსოვს სათაური... მავრამ...

— მაშინ ჩვენ მამას კაბინეტში გავალთ. — შეაწყვეტინა დედას ეკამ, თუმცა მას თავისი მშვენიერი ოთახი ჰქონდა.

— მივდივარ... მივდივარ!.. — დედა წავიდა გაურკვეველი და შეურაცხყოფილი.

იმის მიხედვით, თუ როგორ შეხვდა მას ეკა, გურამი რაღაცას ხედებოდა.

— მთელი ყურადღებით გისმენ. — უთხრა მან და თან უცებ გაფითრებული სახე ცხვირსახოციით მოიწმინდა. — მოხდა რამე?

— ჰო...

ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი რატომღაც ძლიერად გაწყარუნდა ვაპრიანლებული მაგიდის ზედაპირზე.

• • •

იმ კვირა დღეს ვიგი ლევანთან ერთი საათით გვიან მივიდა.

დოდოსა და დათოს გარდა, იქ იყვნენ მარიკა და დაბალ-დაბალი, ჩასუჭებული მელოტი კაცი, რომელსაც ღია ყვითელი ფერის ყავისფერზოლებიანი კოსტიუმი ეცვა.

— ერთმანეთს არ იცნობთ?.. — გაიცანით, ჩემი მეგობარი ვიგი კაპანაძე, ეს კი ჩემი ყოფილი თანამშრომელია — რიჩარდ გულისაშვილი. ერთად ვმუშაობდით საარქიტექტორო სახელოსნოში.

— თითქმის ისე ეღერს, როგორც რიჩარდ ლომგული, — ჩაურთო დოდომ.

— ეს... — განავრძო ლევანმა, — ცნობილი მოჭადრაკეა, ოსტატობის კანდიდატი.

— კანდიდატი ჭერ არა ვარ... — ხელის ჩამორთმევისას განმარტა ჩასუჭე-

ბულმა კაცუნამ, — ოსტატობის კანდიდატობამდე მხოლოდ ერთი გამსვლელი ქულაა მაკლია.

— ორმოცი წლის ასაკში, ალბათ ვახდებით, — წაიბურტყუნა დათომ.

— არა, რასა ბრძანებთ? ხუთი წელიწადი ველოდო? იმედი მაქვს ვაისისთვის...

ეს კაცი ან ძალიან სულელია, ანდა ცდილობს არ შეიმჩნიოს, რომ დასცინიან, გაიფიქრა ვივამ.

— ბოდიში, მე ვიცი, რომ თქვენ ამ დროს... განსაკუთრებულად მეგობრული შეხვედრა გაქვთ ხოლმე, პოდა, მე და მარიკა წავალთ. ნახვამდის.

მარიკა უხალისოდ წამოდგა.

— მოიცა, მარიკა! მე შენთან სერიოზული საქმე მაქვს... — უთხრა მარიკას ვივამ, როცა შენიშნა, რა საყვედურით შეხვდა მან ლევანს. — ნახვამდის რიჩარდ... მე არ ვიცი თქვენი მამის სახელი.

— გრამიტონი, ბატონო!

— რიჩარდ გრამიტონოვიჩ!

კაცუნას იმის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, რომ წასულიყო, და იგი ცხვირჩამოშვებული კარისკენ გაემართა, თანაც დასამშვიდებლად კოტიტა თითები დაუქნია.

და სწორედ ამ დროს დოდომ ყველა გააოცა:

— ჰო, რიჩარდ გრამიტონოვიჩ, პარასკევს, ცამეტ დეკემბერს ჩვენ ლევანის დაბადების დღეს ვიზეიმებთ... მხოლოდ შინაურები ვიქნებით, და ყველანი ძალიან გთხოვთ, გვეწვიოთ! მარიკამ შესანიშნავი საქმელების მომზადება იცის.

— მე?..

— ჰო, რა თქმა უნდა, მოდი!.. — ზრდილობისთვის უთხრა ლევანმა, რადგან თავი მასპინძლად იგრძნო.

— გმადლობთ... უსათუოდ მოვალ!.. — კვლავ ხელი დაუქნია და წავიდა.

— უხერხულია, ვერც ერთი ვერ მიხედით, რომ კარამდე გაგეცილებინათ.

— თქვა ლევანმა.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონის!.. — აღ-

შფოთებით თქვა მარიკამ, — ნეტავი რისი იმედი აქვს?

— ვერ გამოვიგია, აღმოიან ჯერ დასცინით და მერე დაბადების დღეზე ეპატივებით... — გაიკვირვა გვიმ.

— აი, ამ იდიოტს ჰკითხე. — მინიშნა დოდოზე ლევანმა. — და მაინც შეგეძლო გეკითხა ჩემთვის, მაგის სტუმრობა გამიხარდებოდა თუ არა!

— იდიოტს თავისი მოსაზრებები აქვს, — დოდო სრულებით არ იყო ნაწყენი, — იმას ერთი კარგი ჭკუის სწავლება მოუხდება.

— რისთვის?... ამიხსენით, რაშია საქმე? — ჰკითხა გვიმ.

— ჩემო ძვირფასო, შენ აქ მარტო გვირახობით რომ არ მოდიოდე ხოლმე, როგორც ამ ბოლო ხანებში იქცევი, ვველაფერი გეცოდინებოდა! — გესლიანი ღიმილით მოუჭრა დოდომ.

— ხომ იცი, რომ ძალიან ცოტა დრო მაქვს, — დაიწყო თავის მართლებას გვიმი.

— არამზადა!.. — უცებ აფეთქდა დათო, — ერთხელ მოვიდა ლევანის სანახავად, როგორც ყოფილი თანამშრომელი... დაინახა მარიკა, სახლამდე მიაცილა იმიტომ, რომ გვიანი იყო... და ახლა ყოველდღე აქ დაეთრევა!

— მერე გამააცილებს ხოლმე. მომბეზრდა ეს, ბოლოს და ბოლოს! ლევანი კი დიდსულოვნებას იჩენს და ხმას არ იღებს.

— არა, ამას დიდსულოვნება არ ჰქვია. განახევრებული კაცი ვარ. იმის მეტი აღარაფერი დამრჩენია, რომ... ჩემად ვიყო...

— გაჩუმდი შე სულელი!.. არა... მაპატიე ლევან... ძალიან გთხოვ მაპატიე!.. — მარიკა ლევანის საწოლთან მივიდა და შუბლზე ჩამოვარდნილი თმის კულული ნაზი, დედური მზრუნველობით გადაუწია, — მეც აღარ მემორჩილება ნერვები...

— შე არ მწყინს... — უთხრა ლევანმა. — კარგი, დამშვიდდი... დაჩქევი.

— ჰო... შე წარმოდგენაც არა მქონდა. არამზადა!.. თურმე ვისზე გადაუ-

წყვეტია ნადირობა? — მტკარით გამოსცრა კბილებში გვიმი.

— არა, არამზადა არ არის... — ლევანი მათ შორის ყველაზე მშვიდი იყო, — ის ცოტა უჭკუოა და ძალიან შეყვარებული.

— და მაინც არამზადაა! — დაურთო დათომ.

— ყოველ შემთხვევაში, შენ მაინც ჩემად უნდა იყო! — მიუტრიალდა მას გაბრაზებული გვიმი.

დათომ ვერ აიტანა მისი მზერა და თვალი აარიდა.

— რაშია საქმე? — სიჩუმეში გაისმა დოდოს ხმა.

— იმიტომ დამაგვიანდა, — თქვა გვიმი, — რომ ნათლულში ვიყავი ლიანასთან. დამირეკა, პატარა გვიის სიცხე ჰქონია 39.8...

დათო წამოხტა და დაბნეული ხან ერთსა და ხან მეორეს შესცქეროდა.

— დაჩქევი!.. ყველა საჭირო ზომა მიღებულია. კარგი ბავშვთა ექიმი მივგვარე და სიცხე ცოტა დაეწვიეთ. ხვალ გვეცოდინება რა სჭირს.

— ბიჭებო... მე წავედი... ბავშვს მივხედავ...

— არ მიგიშვებენ! მეგობრებს გივი ასე გაბრაზებული არასოდეს უნახავთ.

— რატომ, რატომ არ მიმიშვებენ?

— იმიტომ, რომ თურმე შენ იქ გახეთქილი მთვრალი დადიხარ ხოლმე, და თანაც... ქალბატონმა ზინამ მითხრა, ლიანას აბორტის ვაკეთებდა უნდაო... ექვსი თვის ფეხმძიმესათვის კი ეს ძალიან სახიფათოა.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა მარიკას.

გააყვებული გვიის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო:

— ეს განებივრებული. უნებისყოფო ეგოისტი კი მარტო იმაზე ფიქრობს, რაც შეიძლება მეტი ღვინო და არაყი ჩაისხას მუცელში! შენ ან სმაზე უნდა აიღო ხელი, ან ჩემს მეგობრობაზე!

— და ჩემს მეგობრობაზეც! — თქვა დოდომ.

დათო, მოდი ჩემთან, მოდი!
დათო ავტომატურად მიუახლოვდა
ლევანის სასთუმალს.

— რა გინდა?

— დაიხარე... ჩემსკენ დაიხარე!..

ირაკლივ მსხდომებმა თვალი მო-
ჰკრეს გრძელი და გამხდარი ხელის
მოჭიხევას, მძლავრმა სილამ დათო კინა-
ლამ წააქცია.

— შენი ფეხი აღარ იყოს ჩემს სახ-
ლში!.. — და ქალღღივით გაფითრე-
ბულმა ლევანმა თვალები მილულა.

— შენა?.. შენ გამარტყი!.. ლევან...
შენ მე გამარტყი? — ამოდ მიმარ-
თავდა ლოყაზე ხელმიფარებული და
წელში მოხრილი დათო გრძნობდაკარ-
გულ ლევანს.

ძვერე მარიკამ ხელი ჰკრა საწოლ-
თან მდგომ დათოს და გვივს დახმარე-
ბით ლევანის გონზე მოყვანას შეუდგა.

სანამ მარიკა და გვი თავს ევლე-
ბოდნენ ახლა უკვე ნაძღვილად მიცვა-
ლებულის მსგავს ლევანს, დათო ძალ-
ღური ერთგულებით შესცქეროდა მათ
თვალებში და ევედრებოდა:

— გადაარჩინეთ!.. გადამირჩინეთ
ლევანი!..

მარიკა გაიქცა სამზარეულოში
შპრიცის გამოსასარმავად, რომ ნემსი
გაეკეთებინა. მოხუცი მშობლები დას-
ჯილი მოწაფეებივით მღუმარედ კე-
დელთან ატუხულიყვინ, ახლოს მისე-
ლა ეშინოდით, რომ ხელი არ შეეშა-
ლათ.

დოდო გვივს ერთი გამოხედვით
ხედებოდა, რაც სჭირდებოდა და ყვე-
ლაფერს უსიტყვოდ ასრულებდა.

ლევანი დიდხანს ვერ მოიყვანეს
გონს. ბოლოს, როგორც იქნა, ლევანმა
თვალები გაახილა.

— უჰ, როგორ მეტყინა!

— რა? — ერთდროულად ჰკითხეს
მარიკამ და გვივამ.

— განა ვერ გაიგეთ, როგორ გი-
ტყუენა ხერხეშალმა?.. არა უშავს, ახ-
ლა უკვე ისე აღარა მტყივს.

მარიკამ და გვივამ ერთმანეთს გადა-
ხედეს.

— მარიკა, თედორაშვილის მოსა-
ყვანად მივდივარ. შენ კი, დეიდა თა-
მარსა და ძია შაქროს მიხედე, და-
მშვიდე... —

პროფესორ თედორაშვილს სტუმ-
რები ჰყავდა.

— ახლა არაფრის გაეკეთება არ შეი-
ძლება. — უთხრა პროფესორმა, როცა
გვივამ უამბო რაც მოხდა, — ხვალ მო-
ძრავი რენტგენის აპარატს მოვიტანთ
და მაშინ... თუმცა შეიძლება ახლავე
ვნახო. მერე კი — მანქანაში ჰკითხა:

— იმ არამზადას რა უყავით?

— რომელ არამზადას?

— იმას, რომელმაც კაცი ამ დღეში
ჩაავდო...

— არა, ის არ არის არამზადა. ის
ჩვენი საუკეთესო მეგობარია!

— ჰმ... ძალზე უცნაური მეგობა-
რი ყოფილა...

პროფესორმა ლევანი გასინჯა.

— ყველაფერი რიგზეა, ოღონდ
მეტს ნუ იჩხუბებთ... ყოველ შემთხვე-
ვაში, ხვალამდე მიინც. შენ აქ რა ვინ-
და, მარიკა?

— ჩემი საქმროა. — უბრალოდ და
ღირსებით უთხრა მარიკამ.

როცა გვივს პროფესორი შინ მიჰ-
ყავდა, გზაში გულახდილი ლაპარაკი
ჰქონდათ.

— იცით რა, ჩემო ძვირფასო კო-
ლეგა, ავადმყოფის მდგომარეობის გა-
უარესება ძალზე მოსალოდნელია. რაც
არ უნდა იყოს, ახალი ტრავმა მის
მდგომარეობაში... თუმცა, ძალიან ყო-
ჩადად დამხვდა. ეს, ცოტა არ იყოს,
იმედს მაძლევს.

— რის იმედს, ბატონო?

— სასწაული არასოდეს თავისთა-
ვად არ ხდება ხოლმე.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ სასწაუ-
ლების არ გჭერათ.

— იქამდე, ვიდრე ახსნა არ მოე-
ძებნება, მჭერა.

როცა გვივ ლევანთან დაბრუნდა,
დათოს გარდა ყველა სამზარეულოში
იყო.

— აქ რატომ სხედხარ?

— ლევანმა ყველას გვთხოვა გა-
მოესულიყვივით. — აუხსნა მარიკამ.

— ლევანი დათოს სახარებას უკით-
ხავს. — მრავალმნიშვნელოვნად თქვა
დოდომ.

ბიორგი კახახიძე

ქ ი ლ ე ე ე ნ თ ი

ფერმიშქრალი ნუ გვეხილოს სოფლის შარა,
რას ინატრებს დედის გული შვილის ბადალს!
გაიხარეთ,
გაიხროლეთ თოფი ჩქარა,
კიდევ ერთი გვარის ბურჯი შეგვემატა.

ფულას გულში უკვე ბინა გაიჩინა,
რა მოაწყენს ცხრა ცქრიალა და-ძმის პატრონს!
გაიზარდოს ქვეყნის ღონედ, თვალისაზინად,
შრომით მდიდარს სხვისი ბუდი არ ენატროს.

არასოდეს გაეზომოს მრუდე ადლით
მამა-პაპის ნაფუძარი, ტყე და ჭალა.
ამაღლებდეს დედაენის დიდი მადლი,
საბრძენკაცო, სხივიანი სიტყვის ძალა.

შორს იმედით ახედებდეს ერისკაცებს
ქვეყნისათვის მისი გარჯა, თავდადება.
გაიხროლეთ ჩქარა თოფი,
მამულს ამცნეთ
კიდევ ვერთი ამირანის დაბადება.

როის დანგული როის შობილვს

ბაღში ტრიალებს ზაფხულის თვალი,
მაცოცხლებელი სინათლის მქონე.
დამწიფებულა ოქროსფრად მსხალი
და მისცემია სიტკბო და ღონე.

თუ გულობს გული, მისწვდი და კრიფე,
ხე ადგას მიწას ვეება კარვად.
ტოტს ვარხვე,
ცვივა ნაყოფი მწიფე —
თაფლად ქცეული ოქრო და ჭარვა.

დარბიან, ყრიან კალათში ნაყოფს
შეღიშვილები ჩემი და სხვისი.
მათი ფუსფუსით ვხარობ და ვლალბო,
გადავიყარე მოწყენის ნისლი.

ჩემს ბავშვობაშიც ამათებრ ამ დროს
ახე ვხარობდი ამ ხის ნობათით.

წრფელი გულის და ოცნების პატრონს
წინ მედო მთელი გზა და მყობადი.

ხე კი დღევრძელი დღესაც ფოფინებს,
ჯან-ღონისაგან ჩანს არ იცლება,
როდის დარგული, როდის შობილებს
თავს აყვარებს და ემასპინძლება.

ან გავიწყდება ერთი კმობილიც

ვერ დავივიწყებ მტრის ვერაგობა,
მსხვერპლი ომისა, გმირი ლომები.
როგორც ძმის თვალში შუქის ჩაქრობა,
იმ ცეცხლს მასხენებს ნატრილობევი.

ომმა მეც დამჭრა,
მეც მაზიარა
სიკვდილ-სიცოცხლის მებსა და მეწყერს.
ისეთი მძიმე იყო იარა,
ჯერაც ვერ ვუსმენ გულმშვიდად მერცხლებს.

არ მაგიწყდება ერთი კმობილიც
გალომებული,
მტრის შემშუსერელი.

შვის მადიდებლად ხელაპყრობილი
მეცხადებიან შინმოუსვლელნი.

მოსდევს იმ ომის ხმა საუკუნეს —
საშვილთაშვილო დიდი ტკივილის.
დაკარგულ ტოლებს ვინ დამიბრუნებს,
ვინ შემიმხედავს მათი ღიმილით!

მაინც ვკივიებ,
ვძრავ შეყვილებით
ნახანძრალ მათთა შებოლილ კალთებს,
სამშო საფლაგებს ვრთავ ყვაველებით
და ზედ დიდების ვარსკვლავებს ვანთებ.



ყრმობა ჩემი ისევ უხმოდ გიგალობდა,
ვერც წუბილი გაგრძნობინა,
ვერც წვა სულის.
გოგო იყავ ანგელოზი, ღუთის წყალობა,
ვარსკვლავიდან ხაციმციმოდ ჩამოსული.

უგზო-უკვლო ნატურის ბინდში თვლემდა სიტყვა,
მდუმარება მაწვალებდა სახაყელივით...
რა ვიცოდი მაშინ, კარგო, შენც თუ იყავ
ხაამჭევენო წვა-დაგვისთვის გაჩენილი!

მაინც გავუღს ღაქსი უნდა...

სათქმელს კალმით დახტრიალებს,
წერს და რანდავს,
რა სჯობს ხალხში მადლიანი ლექსით ვასვლას.
ხიტყვა ექცა ტვის წუნწულად,
ნუკრის დარდად,
აიტაცა და სტრიქონში ფრთხილად წახვა.



მზე აახლა მწიფობაში შესულ ატამს,
ყვავილეთში სიზმრის ეტლით შეჰყავს ბავშვი,
შემორჩენილ ღამის ნატრად კამეზს ხატავს
და ზოზინით დაატარებს ლელიანში.

მერცხლებს ცისკენ ღვთის ჩიტებად უშვებს გუნდად,
სერზე ფიჭუნარს აჭალარებს თეთრი ნისლით...
რიგზე არის ყველაფერი, — კარგი თუნდაც,
სამეჯლისო შეხვედრებში ტაშის ღირსი,
მაინც მამულს...

მაინც მამულს ლექსი უნდა,
სიბრძნე უნდა შოთას ქვეყნის საკადრისი.

გ უ ღ ი გ ნ ყ რ ე ბ ა

პატავს არ მდებს ადრინდულად მუბლის ღონე,
მომეძალა საფიქრალი და სადარდო.

მომინატრე...

კითხვა-კითხვით ძლივს გიპოვნე,
ცხრა მთის აქეთ რა გრიგალმა გადმოგაგდო!
დაგტყობია ნაღვლიანი ფიქრის კვალი,
ღვთის სათქმელი გვაგრძობინეს უკვე წლებმა.
ასე კარგად როგორ ახსოვს დრო-ჯამს ვალი, —
ვბერდებით და გული მწყდება.

ცხოვრება კი ისევ ღელვა-დუღილია,
ისევ ისე უსაზღვროა დრო და სიერცე,
ვარსკვლავები ისევ გმირებს უღიმიან,
შზად არიან აიტაცონ, ხელი მისცენ.

ბედი გულში რას ბუტბუტებს, თქმა ძნელია,
სიბრძნევა ავი ლანდის დავიწყება.

მსურდა სიტკბო შხამზე მეტი დამელია,
ვერ ვასწრებ და გული მწყდება.

თავს მახსენებს ყრმობის ცეცხლი, გატაცება,
გასაფრენად შემართული ნატვრის რაში.

ადრე გესურდა შეღერება, დაკაცება,
აუთანდილად,

ტარიელად გატრა ხალხში.

ხსოვნის თვალში ბევრი რამე ჩაწვა ბინდად,
ჩაიარეს გაზაფხულის გიჟმა წყლებმა...

ო, იმ წლების დაბრუნება კი არ მინდა,
რომ დავკარგე, გული მწყდება.

სახლებს თუ ბაძრებს

ფიცსობს აგვისტო.

თბილისის ალხი

ამ მთებშიც მომყვა და ძლივს ქაქანებს...

ტალღად დაძრული გუგუნის ხალხის

და მანქანების ხმა შემაქანებს.

ლექის სტრიქონი წასცდება ბაგეს, —

სუნთქავს ცემენტით, რკინით თუ კირით...

ხეაღინდელი დღის დიდ ქალაქს აგებს

ჩვენი მქუხარე დღეების გმირი.

უძველეს კაზრეთს —

მადნეულს ახალს,

ხორცშესხმულ აზრებს,

ცასავით მაღალს,

სახლებს თუ ტაძრებს,

შემართულთ ლაღად, —

სალამი ჩემი!

გზებს — სისხლით სავეს დაჭიმულ ძარღვებს,

კალმით და თეთრი ფურცლებით მოვყე...

მთის მაგარ ქანებს არყვეს და არღვევს

ჩვენი დღეების ერთგული მოყმე.

მიწის ხელუხლებ წიაღს რომ სწვდება,

მთაზე ჯიქურ დგას კაცე — თვითონ მთა

და ჩემი ქვეყნის გვირგვინში ჯდება

ციაგი ქართულ ფერად ლითონთა.

მხრებგამართული

მამულის მწვერვალს,

ჩვენი ქართული

მადანის ელვას,

მზით მოხატული

ფერების დეღვას —

სიმღერა ჩემი!

ამოუესიათ მთებს უბეები

სპილენძით,

ტყვიით,

კვარცხით,

ბარბიტით,

მზეზე ბზინავენ კრისტალთ წრეები,

ვით უთვალავი თვალმარგალიტი.

ძლივს ისწორებენ მხრებს ამწეები

და თვითმცლელების არის წრიალი...

გულშიც ჩატვირთე ფერთა შრეები,

სტეჟე სიმღერა ხალისიანი.

სულის მადანსაც ასე შეები

და სამზეოზე ამოაშუქე,

საქართველოს დიდი დღეები

გაზიარებენ კვლავ სიჭაბუკეს.

ზერებით, ყანებით, ახალ ბალებით,

ლექსით, ქესით თუ საბადოებით

მამულის ჩვენი ასამაღლებლად

ეწეროთ ახალი კაბადონები!

უძველეს კაზრეთს —

მადნეულს ახალს,

ფრთაშესხმულ აზრებს,

ცასავით მაღალს,

მხრებშემართული

მამულის მწვერვალს,

ჩვენი ქართული

მადანის ელვას —

სიმღერა ჩვენი!

იმ პორიზონტზე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინახულოთ კარიერები, —
სამთო ოსტატი გამოგვეყვა თვითონ;
კრტიან ბარიტის მკრთალი ფერები,
ლოდებში ლექსად ვკითხულობ ლითონს.
ფერების ლიცლიცს შეჰხარის ნინო —
ჩემი პატარა მხატვარი გოგო;
ამგვარ საღებავთ სად ნახავ, შეილო,
ამ ელვას
ტილოს გადასცემ როგორ...
ამ ფერადოვან ვეება ლოდებს
ვით გაუზომო სიგრძე და განი...
აგერ, ციაგობს სპილენძის ზოდიც
(ოსტატს სპილენძის ფერი აქვს კანი).

— იმ პორიზონტზე
ტყვიის საბადოა,
აგიდეთ, ვნახოთ ის პორიზონტიც.
როგორც კი ოსტატმა
„ტყვია“ გამაგონა,
იმ წამსვე თვალწინ დამიდგა ფრონტი.
(მე აფეთქების ხმაც მომწვედა მაშინ!)
შეტოკდა ძველი ტრილობის კვალი,
ამეწვა ტყვიადარული ძვალი,
ალბათ, ჭადარაც მეტკინა თმაში...

დავბუჭე თვალი და უმძაფრესი
დღენი გაცოცხლდნენ ზათქით, ქუხილით...
— შეხედე, მამა! — ნაზი ხმა მესმის,
უმალ ვფხიზლდები და შეილს ვუღიმი.
ნინოს პატარა ხელში ციმციმებს
მადნის ნატეხი, მზით დანაფერი,
აშფოთებს მხოლოდ ტყვიის სიმძიმე,
სხვა არაფერი...
სხვა არაფერი...
ანდა ამ გოგომ სხვა რა უწყოდეს,
და ნუმც უწყოდეს!

ოქროს ბადალი
ისეთ უნაზეს, ისეთ უცოდველ
ხელის გულზე დევს ტყვიის მადანი,
რომ მეც დაგვარგე ყველა ტკივილი
და სიხარულად გამოვიკვეთე,
ვიხილე თვითონ ტყვიის ღიმილი,
ვიწამე მხოლოდ მისი სიკეთე.

აფეთქებათა კვლავ მოგვეწვდა ხმები
საბადოების სხვა პორიზონტით,
— გაშალე ფრთები,
გამართე მხრები,
გეძახის შრომის გაშლილი ფრონტი!

ციკლიდან „მამული“

ნ ნ შ ე ნ ა

თითქოს დღითიდღე ხდება ნათელი
რისთვის ვიბრძოდი,
რისთვის ვწვალობდი,
ვარ განბანული შენი სიკეთით,
ვით უკვდავების ზღაპრულ წყაროთი.
რადგან ყოველთვის წარმოადგენდი
ჩემთვის პირველს და
ჩემთვის ძირითადს,
ალბათ, კაცურად მიტომ ვამაყობ
შენთვის მიღწეულ
იმ სიმცირიდაც!
ისევ მამშვიდებს ფიქრი ფარული —
იქნებ შევიძლო,
რაც ვერ შევძელი,
აღვაჯღენ ასე ნაცნობ სურვილებს:
იყავ მაღალი,
მტკიცე,
დღეგრძელი!
მედება შენი ველების ქარი,
გრილი მხეფებით ისევ ესველდები,
რა სურნელებით ივსება მზარე
ატმის ყვავილით,
ვაზით,
ბელტებით.

ხმაური ავსებს მყუდრო ხეობებს,
რძისფერი ნისლი წვება ქედებზე,
ისევ მღერიან დაჭრილ არწივზე,
შავი ზღვისპირას დაფრილ გედებზე.
ისევ ადგია ოქროს ვარაყი
გაკრიალბულ მთათა გრეხილებს,
ვეალერსები ღრუბლებში გაჭრილ
შენს ულამაზეს უღელტეხილებს.
შენს ულამაზეს სოფლებს, ქალაქებს,
განათებულებს რწმენით ცინცხალით,
ვარ აესებული შენი სიკეთით,
შენი სიღინჯით,
შენი სიცხარით.
ვარ აესებული შენი მიღწევის
გამძაფრებული გარდუვალობით,
ახლა დღითიდღე ხდება ნათელი
რისთვის ვიბრძოდი,
რისთვის ვწვალობდი!
და ვაფენ,
როგორც დროშას ალისფერს,
არშეჩერების ნიშანს შეძენილს,
კვლავ გემსახურო,
რომ ერთგულებით
ისიც შევიძლო,
რაც ვერ შევძელი.

გ ა გ უ ლ ი ს ღ ი ღ ა

ს ა რ ა მ ა ნ ე ლ ი
გ ი ზ ლ ი მ ი თ ი ა ნ ა

მძიმე ტვირთივით დროებით დაედგი
მოხდვადგული წლების ჭაპანი,
როდესაც შემხვდა თეთრად მორთული
წვეა, საღვინე და შორაპანი.
ვით ბავშვობაში კაეის კენჭები,
სული დაღლილი ისე აკვესდა,
და თოვლისფერი აკაციები
ცას შეენარცხენ წიფლაგაკესთან!
კლდეების ზემოთ
ხარირემივით
გადმოჰყურებდა დაბლობს ილეში,
ო, რა კარგია, მოგონებებო,
იმედებით რომ არ ილევიო.
ძირულასა და ყვირილას შორის,
მიწაე შეკრულო მცირე კუნძულად,
ისე მეხება ეს სიახლოვე,
როგორც ალუბლის თეთრი კუნწულა.
ძირულასა და ყვირილას შორის,
ჩემო ციხეე და ჩემო მამულო,
ყანით,
ვენახით,
ანწლით,

კოპიტით,
აყალო მიწით გადალამულო.
მე თქვენით ვსუნთქავ,
თუმცა ფანჯრიდან
დარცხენილივით გიცქვრთ მდუმარი,
წლები გაფრინდნენ
და მერვენება
თქვენთვის ნელ-ნელა ვხდები სტუმარი.
როგორ დაგცილდით,
ვერ გავეშვები,
ვერ დავადწვიე თავი ქალაქებს,
როდესაც თქვენი ერთი შეხედვაც
სიყვარულისთვის მაღაპარაკებს.
როცა ვიგონებ:
პატარა დარდით
მალალ აღმართებს როგორ ვუტყვი,
ფრილოვებზე თეთრი ტყეწლები,
ეკიდნენ როგორც პარასუტები.
გამოზაფხულის მსუყე ჰაერი,
ახლაც ღვარივით აწყდება ფანჯრებს
და ისევ ვიძენ ძალას, რომელიც
შორეულ გზებზე უღმერთოდ ვხარჯე!

ა ლ ა ზ ნ ი ს ვ ე ლ ი ღ ა ო მ ზ ო მ ბ ე რ ი

რა სურნელება აესებდა კახეთს,
მაჭრობას ედგა მზიანი დარი,
და შემოდგომის ქარვის ფერებით
ალაზნის ველზე თერებოდა ქარი.
მზე მტყვანავით ვკიდა გომბორს,
ელენთებოდა სითბო შუამთას,
მარტო ვიყავით ჩვენს სურვილებთან,
ჩვენს თანხმობასთან,
ფიქრთან,
უართან.
გვქონდა გახსნილი ყველა ხაფალი,
ყველა შუკა და ყველა კარები,
თვისკენ გვიხმობდა და გვატყვევებდა
კახეთის კოხტა შემოგარენი.
მთებით მორკალულ ლამაზ მიდამოს
ქარვაშერთული ეკრა ხავერდი,
საუკუნეებს გადასცქეროდნენ
გრემი, იყალთო და ალავერდი.

ტოლდაუდებელ კახურ ოქტომბერს,
სხვა ფერებით და სხვა აკვარელით,
გადაეხატა შორით ახმეტა,
აქეთ თელავი,
იქით ყვარელი,
ყველა კერასთან დაუცვედრები
გველოდა სიტყვა,
სითბო,
პურღვინო,
როდესაც გიპყრობს დიდი სურვილი,
რომ ყველას ენდო და გაულიმო,
როცა ცას ურტყამს ოხშივარივით
სურნელი სველი საწნახელების
და თითქოს გვმურდა გლეხის მარჯვენის,
დაკოჭრებული გამარჯ ხელების.
ვადღეგრძელებდით ახოვან კახეთს,
სულს რომ გვივსებდა მზიანი დარით
და საამური კახური მაჭრით
ალაზნის ველზე თერებოდა ქარი.

შიქიანი შემოღობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზებზე გაზიდულ გვიან ოქტომბერს,
გადმოეფინა დროშა ყვითელი,
ბევრი რამეა ჯერ ასახსნელი:
ფიჭრობ, მიყურებ
და მაკვირდები.
გამიშვლებულნი დგანან გზის პირას
დაჯგუფებული ხეთა გუნდები,
მივდივარ, მაგრამ
გულში იმედი
გაბმით გუგუნებს:
მე დაგბრუნდები.
მე ისევ მოვალ ოქროს ჩქერები
როს დასცვივდება ნაცნობ ოქტომბერს,
რათა ბოლომდე გაუგებარი,
გაუბზარავი განცდა მომქონდეს.

რომ ისევ ვიგრძნო
იმ გარდასული,
იმ უწყვეტელი
წლების სიცხადე
და არასოდეს არ მაფიჭრებდეს
მიღწევა რაღაც ზოგად რიცხვამდე.
მელოდოს წითლად განათებული
კლდეზე ასკილი,
ტყეში მოცხარი,
მანალისებდეს მხოლოდ მამული:
პური არსობის,
გზა და მოძღვარი,
მან გამიზომოს ყველა ნაბიჯი,
კვლავაც გულდაგულ გადასადგმელი,
ალალი იყოს თქმული მისდამი
და უფრო მეტად
აწი სათქმელი.

მ ი ბ უ რ ე ბ უ

ცხოვრებას ჩემსას
შენი აღმასვლის
დაუშრეტელი ძალაც ერია,
არაფერია გასაკვირველი
და გასარკვევიც არაფერია!
შენ მიღწიე რასაც ფიჭრობდი
და აასრულე რასაც დამპირდი,
დღე დადგა თბილი და უნაპირო,
გზა კი ვრცელია
და პირდაპირი,
ალარ მასვენებს სურვილი მძაფრი,
რომ გაკაფული გზა არ გათავდეს,
და ბალ-ვენახებს ისევ დავევლი
ზემო-ქედიდან
განთიადამდე.
შეცურებულებს შირაქის ზღვამი
კომბაინების სრილს გავხედავ,
გამახსენდება:
გომბორის კართან
ქარი წიფელებს როგორ არხვედა,
როგორ მოჩანდა შორით თბილისი
გაელვებული ცეცხლის რკალივით,
ამიშხინებულ მწვადზე ვყარა

აღზევანური მსხვილი მარილი.
ციხის სიახლოვეს მშვიდად ვიდექი,
იყალბოური საეხე ფილით,
მაშინ სხვაგვარი იყო ტყვილი,
სხვაგვარი იყო ქვეყნის ტრიალიც.
ის ერთგულება იყო მარადი,
რაც მიზანივით მოსდევს ცხოვრებას,
ყოველი წუთი
შენს სიყვარულთან
შეუჩერებლად მათხლოვებდა.
არაფერია გასაკვირი და
არაფერია გასარკვეველი,
ისევე მავსებს შენი სურნელი,
ყანა,
ვენახი,
მიწა,
ტყე-ველი.
ისევე ველი მოხედვას შენსას,
რომ გულმოწყალებ ნებას დამრთავდე,
თავს გველებოდეს
თვლი ფხიზელი,
ზემო-ქედიდან
განთიადამდე.

რა გვიან მოხდა შეხვედრა ჩვენი,
მაინც რამხელა ხანი გასულა,
წამით ძლიერი მიწისძვრასავით
შემაბარბაცა ფიქრმა თუ შიშმა,
როცა გადაწვდა გონების თვალი
განვლილ მესამედს
ბოხოქარი საუკუნისას.

ცხელი აგვისტოს ღამეულ ბინდში
მეჩვენებოდა შორეული მწვანე ტყეები,
ღრმა ხეობაში მომქუხარე
თეთრი მდინარე.

ზედ ხიდებივით გადაბული გრძელი
ნაძვები

და ცისკენ აშლილ ფიჭუების ტვრში
სოკოებივით ჩამალული კოხტა სახლები,
რასაც თან ახლდა იმ პირველი შეხვედრის
გემო,

იმ დაუვიწყარ წლების სურნელი.

რა გვიან მოხდა შეხვედრა ჩვენი
და რა შორს დარჩა ეს ყველაფერი
ბავშვობის ღამას მოგონებებთან.

დუმილი ადევს ხეებს თოვლივით
და ბილიკების ღვედებს მიმოყრილს,
აქ წყდება ყველა გზა გამოვლილი
ათასნაირი სიგრძე-სიმოკლით.

უეცრად ვხედები სხვა სამყაროში,
გაქავებული ვნებების წრეში
და ტკივილიან ფიქრებს წამოშლის
ფუტქვეშ ხმაურად ქცეული სრეში.

შენ ისევ ცხოვრობ ცხოვრებით წყნარით,
მომავალს მეტი ნათელი უჩანს
და თქვენი სახლის მაღალი კარი
ისევ ამშვენებს პუშკინის ქუჩას.
ახლა თოვლია მოსკოვში ალბათ
და გაშიშვლებულ ბულვარებს ყინავს,
ყველა აშურებს კაფეს და ღარბაზს,
ანდა უბრალოდ:

სახლსა და ბინას.

სიცივე რჩება დახურულ კართან,
სახლებს აცვივა რუხი სინათლე,
შენ ძველებურად მუსიკას ჩართავ

და სულ უბრალო რამეს ინატრებ.
ფართო ფანჯრებთან მიმდგარი ყურად,
სიხარულივით მთელი წერილს
და მანქანები სერავენ ქუჩას,
შენი ფიქრით სხვადასხვა ფერის!
იწყება ქროლვა იანვრის ქართა,
გაშლილ ქუჩებს და ბულვარებს ყინავს,
სიცივე რჩება დახურულ კართან,
სიმშვიდე აცემს სახლსა და ბინას.
შენ ისევ ცხოვრობ ცხოვრებით წყნარით,
მომავალს მეტი ხალისი უჩანს,
და თქვენი სახლის მაღალი კარი
ისევ ამშვენებს პუშკინის ქუჩას.

რა უცებ მორჩა მაინც აგვისტო,
გადიშხულია ქარმა ქალაქზე,
და გაგვახსენა ზოგჯერ ამისთვის
როგორ გავრბოდით მთებში არაგვზე!

გადიშხაპუნა წვიმამ ქალაქზე,
ჩამოასველა ხმელი ტატნობი,
და გაგვახსენა როცა მრავალჯერ
ქართლის მინდვრებში წვიმას ვნატრობდით.

რა უცებ ქრება,
 რა უცებ მიქრის,
 ის, რაც ოდესღაც გვევონა შორი,
 გამჭოლი ქართი ივსება ფიქრი,
 როგორც არაგვის ხეობა თქორით.

შეგვაბარბაცებს სისწრაფე სრბოლის,
 როგორც შეცვლილი თვალთა იერი,

გვემსხვრევა ხელში ბოლოს და ბოლოს
 დღეები რთული და წამიერი

და სიმატოვის, ანდა ნადიმის
 ძველი სურვილი როცა იახვებს,
 როგორც ტყისაკენ გარბის ნადირი
 ისე ავრბივარ ბეთანიაზე!

თ რ ვ ი 1970

მოვიდა თოვლი ბოლოს და ბოლოს,
 მოვიდა თოვლი მრატე და რბილი,
 გადათეთრებულს დანისლულ თოვლით
 ასე შგონია ველარ ვცნობ თბილისს.

ედება ნაძვებს თეთრი ხალიჩა,
 რომელიც ტოტებს რთავს და ამძიმებს,

და მე ამ დილით ისევ გამიჩნდა
 ძველი ოცნება გზის და მანძილის.

ის იმედოვნით შემოჰყვა თოვას,
 განვლილი წლების მძიმე ემბლემით,
 რომ დამაჯეროს: ნამდვილად მოვა,
 რისიყ ამდენ ხანს ვიყავ მძებნელი.

ზამთრის მსუსხავ და გარინდულ დილას
 ხარბად ისრუტავს გამშრალი ყელი,
 და შეჩვენება
 ვიღაცა ცდილა
 მთები მოერთო მზარუნველი ხელით.

მე კი ვაწყდები უბილავ კებირს,
 უხმო ჭიდილი იწყება ქართან,
 თან შენი შავად გაშლილი თმების
 თბილი სურნელი
 ქსელივით მსლართავს.

ვე სილამაზე მაგულიანებს,
 ხულს თუ ეცემა სიშორის ჩრდილი,
 თეთრად ნათდება ბაკურიანი
 შენი ლამაზი თვალების ჭრილით.

შეწყვილებული სიმღერაც ქართან
 მკარნახობს,
 რომ ვერ გადაგირჩები
 და მძაფრი ვნებით შემოსულ ზამთარს
 აცვივა ნაძვის
 ხმელი გირჩები.

მიხეილ მიქაძე

ი უ ლ კ ა

მოთხრობა

ის ჩემს თვალწინ გაიზარდა. პატარა გოგონა იყო, ჩვენს სახლში რომ შემოასახლეს დედასთან ერთად. კარგად არ მახსოვს რამდენი წლისა იქნებოდა, მაგრამ ჭერ კიდევ იმ ასაკს არ იყო მიღწეული, როცა გოგონებს უკვე ერცხვინებათ მოკლე კაბაში პერანგის ამხანაგის გამოჩენა.

ეს იყო ომის დროს. ორმოცდაერთის თუ ორმოცდაორის შემოდგომა იწურებოდა. რუსეთის რომელიღაც ქალაქიდან ოკუპირებული დედა-შვილი სწორედ ჩვენს გვერდით დაბინავდა პატარა ოთახში.

წინათ აქ სტუდენტი ძმები ცხოვრობდნენ. ომის დაწყებისთანავე ორივე ჯარში გაიწვიეს და ოთახი დაკეთილი დატოვეს. მერე ბიჭების დედა ჩამოვიდა სოფლიდან და ბარგი წაიღო. ბინა კი ისევ დაკეტილი დარჩა.

მთელი ჩვენი სახლისათვის საყვარელი ძმების ნაცვლად უცხოები რომ შემოგვიასახლეს, ცოტა კი გვეწყინა ყველას, მაგრამ არაფერი შევიმჩნიეთ. საწყენი რა იყო, უბრალოდ გული გვეტკინა ჩვენი ბიჭების გამო, თორემ სიტყვა როგორ მოგვიბრუნდებოდა ლტოლვილებზე.

ახალ მუზობლებს მალე შევეჩვიეთ

და შევეთვისეთ. დედა-შვილმა ოჯახის მამის პირველი წერილი რომ მიიღო ფრონტიდან ახალ მისამართზე, ახლო მუზობლები ყველანი მათთან შევიკრიბეთ პატარა ოთახში და ერთად წავიკითხეთ წერილი, ხოლო ერთი წლის შემდეგ ნუგეშის მომცემ სამკუთხა ბარათებს შავი წერილი რომ მოჰყვა, მწუხარებაშიც მათთან ვიყავით. ამის შემდეგ ისინი უცხოებად არ ჩაგვითვლია და იმათაც თავისიანებად მივაჩნდით.

იულკა (ასე ეძახდა მას დედა) მთელი ჩვენი სახლის საყვარელი გოგონა გახდა — სიცოცხლით სავსე, ხალისიანი და მოსიყვარულე. სულ მალე შეითვისა ქართული ენა. პირველად აქცენტით ლაპარაკობდა და რალაცნაირად, საყვარლად გამოთქვამდა ქართულ სიტყვებს, მერე და მერე კი ისე კარგად ისწავლა ქართული, ჩვენი ეზოს ვერც ერთი ბავშვი გვერდით ვერ დაუდგებოდა ვერც შაირობასა და კაფიაობაში, ვერც ლექსების თქმაში. ქალაქური ეარგონი და კუთხური დიალექტი ისე მოხდენილად და ბუნებრივად გაიღვებდა. მის მეტყველებაში, გაგვიცნებოდა და გიკვირდა კიდევ რუსი გოგონასაგან. ვიკვირდა იმიტომ, რომ შესა-

ხედავად ტიპური რუსი იყო: ჭერა, ცისფერთვალემა, ოდნავ ცხვირაკურტნილი, კბილები და ტუჩების მოყვანილობაც კი ისეთი ჰქონდა, რუსულის გარდა სუფთად, დაუმხინჯებლად წარმოთქმულს ერთ სიტყვასაც არ მოელოდა კაცი მის ბავთავანს.

ჩვენს ძველ ხუთსართულიან სახლში, რომელშიც რევოლუციამდე სასტუმრო ყოფილიყო მოთავსებული, ასამდე ოჯახი ცხოვრობდა. ბინები სართულის თავით ბოლომდე გაკიმული დერეფნის აქეთ-იქით იყო განლაგებული, სახლს ეზოს მხარესაც ერთიანი აივნები დაუყვებოდა.

იულკა ყველა სართულის აივანსა და დერეფანს დიდიდან საღამომდე ერთი ათჯერ მიინც შემოირბენდა, იგი ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი იყო, შინაური და ახლობელი. თამამად, დაურიდებლად შედიოდა ყველასთან. ამის სრული უფლებაც ჰქონდა მოპოვებული, ყველას გაეგზავნა-გამოეგზავნებოდა ხოლმე, ეზოში ბავშვების მებრეკა გვყავდა, მაგრამ ყოველ წვრილმანზე იულკას ვეძახდით, რადგან ჰკვიანი, გამგონე და დაუნარელი გოგონა იყო.

„იულკა, წიგნაკები წაიღე და პური მომირბენინე, გენაცვალე“, „იულკა, ნატო დეიდასთან მიდი და ამ თასით სიმინდის ფქვილი მასესხე-თქო, ჩამოვიტან სოფლიდან და მაშინვე მოგიტან-თქო“. „იულკა, მაშო ბებიას ერთი პატარა ნაჭერი საპონი ხომ არ გექნება-თქო“, „იულკა, გაიქეცი და ერთი ორი ღერი ასანთი მიშოენე საღმე, კოლოფი მაქვს“. „იულკა აქეთ, იულკა იქით“ და ისიც ხალისით დარბოდა აღმა-დაღმა. მეზობლობაში კი არა, ყველა მახლობელ მალაზიამი, მთელ ამ უბანში იცნობდნენ ამ პატარა ქერა გოგონას, მუდამ ღიმილით რომ შემოგანათებდა ცისფერ თვალებს.

ომი რომ დამთავრდა, იულკას დედა აჩქარდა დაბრუნებოდა მშობლიურ ქალაქს (მგონი მას რცხვენოდა და ეშო-

ნოდა ბინის პატრონს არ მოეწონა გამა-
დათიელი მდგმურებისათვის). გოგონა
დატოვა და ჯერ მარტოცა წავიდა თა-
ვის სახლისა და კერის მოსანახულე-
ლად. მაგრამ საღმა იყო სახლი და
კერა! ნასახლარსაც კი ვერ მიაგნო
თურმე. ერთი ნაცნობიც ვერ იპოვნა
ქალაქში. ნათესავები და მახლობლებიც
აღარაინ პყავდა და გადაწყვიტა ჩვენს
ქალაქში დარჩენილიყო საცხოვრებლად
თავის გოგონათურთ. ის სტუდენტი
ძმებიც არ დაბრუნებულან ომიდან და
დედა-მეილი სამუდამოდ დამკვიდრდა
ჩვენს მეზობლად, იმ პატარა ოთახში.

მერე ის იყო, ახალი უბედურება
დაატყდა თავს იულკას: დედა გარდაე-
ცვალა და დარჩა გოგონა მარტოდ-
მარტო, უდედამამოდ, უთვისტომოდ,
უთავისიანოდ.

მაშინ იულკა ათი-თერთმეტი წლი-
სა თუ იქნებოდა, მეოთხე თუ მეხუთე
კლასში სწავლობდა. დედის დასაფლავ-
ების მეორე დღესვე განათლების გან-
ყოფილებიდან მოვიდნენ გოგონას წა-
საყვანად, საბავშვო სახლში უნდა მი-
ვამართოთ. მაგრამ მეზობლებმა არა
ქნეს, ჩვენ ვუპატრონებთო, თვით
იულკამაც არ მოისურვა საბავშვო სახ-
ლში წასვლა.

არ ვიცი, მგონი ამაზე მაშინ რა-
ღაც საბუთებიც გაფორმდა, რომ მე-
ზობლები მის მოვლა-პატრონობას კის-
რულობდნენ, ამის შემდეგ მართლაც
ჩვენ ვიყავით მისთვის ყველაფერი —
დედაც, მამაც, ძმებიც და დებიც, ყვე-
ლა იმედი და ნუგეში.

მაგრამ არც ერთი ჩვენგანი სერი-
ოზულად არ დაფიქრებულა ამაზე და
გულსხმა არ უყვია, თუ რაოდენ
ჭვირფასი ვიყავით ჩვენ იულკასათვის,
და რომ არა ერთი შემთხვევით შექმ-
ნილი საგანგებო გარემოება, ალბათ,
ვერასოდეს მივხვდებოდით, თუ რა გა-
მორჩევით გვიყვარდა ეს ერთი ციკქნა
გოგონა და რა ძლიერ ვუყვარდით ყვე-
ლანი თვითონ მას.

ჩვენი სახლი რევოლუციის ზო-

ნაში მოხვდა და იმ გაზაფხულზე უკვე დასანგრევად მოგვადგნენ. ყველას უხაროდა: ახალ ბინებს დაგვირიგებენო. ჩვენი ძველი სახლი საცხოვრებლად ისედაც მოუწყობელი და მოუხერხებელი იყო, ამ ბოლო დროს კი მთლად დაიქონქა. ახალ, კეთილმოწყობილ იზოლირებულ ბინებს გვპირდებოდნენ, საკუთარი სააბაზანოთი და ყველა სხვა სიკეთით, ცოტა ჩვენც სულს მოვითქვამდით, რაღა თქმა უნდა, გვიხაროდა.

მარტო იუღა ჩანდა მოწყენილი და გულჩათხრობილი. ქალაქის საბჭოდან რომ მოვიდნენ მობინადრეთა სიების დასაზუსტებლად და იმის საუწყებლად, სად რომელ სახლში იყო ნავარაუდები ჩვენთვის ახალი ბინების გამოყოფა, იუღა სადღაც გაჰქრა, დაიკარგა. ბოლოს ძლივს ვიპოვნეთ, თავის პატარა ოთახში ჩაკეტილიყო და გულამოჭდარი ტიროდა... თვალები დასიებული ჰქონდა. „არ წავალ, არსადაც არ წავალ“. ჭიუტად იმეორებდა გოგონა და სახელოთი იმშრალებდა ცრემლებს.

ყველამ კარგად გავიგეთ ამ ცრემლების ფასი და ამის შემდეგ კიდევ უფრო შეგვიყვარდა პატარა იუღა.

ვამწიღებდით გოგონას, იქაც მეზობლები ვიქნებოდათ, იქაც ჩვენთან იქნებოდათ, მაგრამ სულ ტყუილი ნუგეში გამოდგა: არ ვიცო ქალაქის საბჭოს უთაობა იყო თუ რა, თითქმის ყველა, ძველი მეზობლები, სხვადასხვა უბანში დაგვასახლეს. ორი-სამი ძველი მეზობელია თუ მოვხვდით ერთად, ერთ სახლში.

იუღას აქაც არ გაუღიმა ბედმა. მას საერთოდ უარი უთხრეს ბინის მიცემასზე. მკირეწლოვანზე მხოლოდ მაშინ შეგვიძლია გავცეთ ბინის ორდერი, თუ ვინმე ბავშვის მეურვეობას იკისრებს და ამის ყველა საჭირო დოკუმენტი შეიქმნებაო.

ვინ, ვინო, ითათბირეს მეზობლებმა და ბოლოს რატომღაც ჩემზე შეაჩერეს არჩევანი, შენ დაუდები მეურვეთო.

სწორედ ის-ის იყო შემისრულდა თვრამეტი წელი და სრულუფლებიანი მოქალაქე ვიყავი, უარი რატომ უნდა მეტქვა, გამიხარდა კიდევ.

ერთი სიტყვით, ისე გაფორმდა ყველაფერი, როგორც საჭირო იყო და იუღამაც ერთოთახიანი მშვენიერი ბინა მიიღო ჩემი მეშვეობით. მაგრამ ამასობაში დრო გავიდა — ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჩვენი სახლის ყველა მობინადრე უკვე დაბინავებული იყო ახალ ბინაში და იუღა სულ სხვა უბანში, ყველა ჩვენგანისაგან მოშორებით დაბინავდა.

გადაცვლა ვცადეთ, მაგრამ არ მოხერხდა და იმ შემოდგომაზე არმიაში რომ გამიწვიეს, იუღა იმ ბინაში დაეტოვებოდა.

თუმცა არა, იქ კი არ ცხოვრობდა, კვირაში ერთხელ მიდიოდა იქ ბინის მოსანახულებლად, ჩვენებთან იყო შეხიზნული.

შინ გასაგზავნი ბარათის დასაწერად რომ დაგვდებოდა და ჩემიანებზე დაფიქრდებოდა, სულ იუღა მედგა თვალწინ. მიხაროდა და მემამყებოდა, რომ იგი ჩემი ოჯახის წევრივით იყო და მე მის მეურვედ და პატრონად ვითვლებოდი. გავიფიქრებდი ამას და რაღაც საამო სიტბო ჩამიდგებოდა გულში.

და მინც პირველი წერილი რომ გავგზავნე შინ, სათურად ასე დავეწერე: „სალამი დედას, მამას და ირინეს“ (ირინე ჩემი და გახლავთ), ხოლო იუღას ჩვენი ოჯახის სხვა მახლობლებთან და მოკეთებთან ერთად მოკითხვას ვუთვლიდი.

ჩემს შეცდომას მაშინლა მივხვდი, როცა ირინემ მომწერა: შენი წერილი რომ ნახა, იუღამ იტერა და მერეც მთელი კვირა თვალზე ცრემლი არ შესრობიაო, რამდენჯერმე შევესწარი, გაკვთილების დასასწავლად რომ დაჭდებოდა შენს ოთახში, ჩუმად ტიროდა და თავს გვარიდებდაო.

ამის შემდეგ ჩემი წერილები მუდამ

ასე იწყებოდა: „სალამი დედას, მამას, ირინეს და იულას“.

სავალდებულო სამხედრო სამსახური ისე მოვიხადე, შევებულეებით ერთხელაც ვერ ჩამოვედი. ასაკობრივ ცვლილებებს იულას ფოტოსურათებზეც ვატყობდი. მაგრამ სამი წლის შემდეგ შინ რომ დავბრუნდი, ბატარა იულას ნაცვლად, უკვე ნამდვილი ქალიშვილი დამხვდა. მერე რა ქალიშვილი! მალალი, ტანაშოლტილი, მკერდი ის-ის იყო ეფურჩქნებოდა. სახეზე ჯერ ისევ ბავშვური იერი შერჩენოდა. მაგრამ მის მიმოხვრაში, გამოხედვაში რადიკანაირი სიამაყე და მედიდურობა გამოსჭვივოდა, საკუთარი სილამაზის შეგნება თუ ანიჭებდა ამ სიამაყეს.

ყველაზე მეტად კი იმან გამაკვირვა, რომ ამ სამი წლის განმავლობაში თითქოს რამდენიმე წლით შემცირებულიყო ასაკობრივი განსხვავება ჩემსა და იულას შორის. მე მასზე რვა წლით უფროსი ვიყავი და ადრე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე სხვა თვალით დავუწყებდი ყურებას...

ეტყობა, ქვეცნობიერად თვითონაც იგრძნო ეს. არმიიდან დემობილიზებული დილაადრიან შინ რომ მივედი, გახარებული იულა ღამის პერანგა წამოხატა და დიდხანს მეხვეოდა და მკოცნიდა. უცებ თითქოს გონს მოვიდაო, შეკრთა და მოშშორდა. მერე ჩემიანების მხერა რომ დაიჭირა, თავისივე შეკრთობის გამოც უხერხულობა იგრძნო, შერცხვა და გაწითლდა. ეს არ იყო ბავშვის დამორცხვება. ეს, ალბათ, მისი ქალიშვილობის პირველი გამეღავენება იყო.

ახლაც თვალწინ მიდგას როგორ იდგა ის ჩემს წინ რადიკანაირად მობუზული და თავდაბრილი და ცდილობდა შიშველი მკლავებით დაეფარა ღამის პერანგის ღია გულსპირი, სადაც ვარდის კოკრები ჰქონდა დამალული, მერე გაიქცა და ხალათი გადაიცვა.

იულას უმთავრესი ნიჭი სიყვარულის ნიჭი იყო. მას ყველა უყვარდა მის

ვარშემო მყოფნი, თითქოს მთელი ქვეყანა უნდოდა ჩაეკრა ვულშინებში და ჩემიანები და სხვებიც გრძობდნენ, რომ საგანგებოდ და გამოსარჩევად მაინც მე ვუყვარდი.

წინათ, ბავშვები რომ ვიყავით, ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, მაგრამ ახლა, როცა მე უკვე ვაკეცი მეტქმოდა და იულამაც ქალიშვილობაში შედგა ფეხი, ეჭვით დავვიწყეს ყურება.

დედაჩემი ერთად რომ დავგინახავდა, იულას დაუტატანებდა: „ეგ შენი ტოლი არ არის, შენს გაკვეთილებს მიხედე“, მამაჩემიც ვაგლახად იმღვირებოდა.

მერე და მერე ისიც შევამჩნიე, რომ მას უკვე ზედმეტად თვლიდნენ ოჯახში და მგონი ცოტათი სიყვარულიც გაუნელდათ მისადმი, მხოლოდ ჩემს დას არ შეცვლია გული იულაზე.

ჩემიანების ეჭვი და შეშფოთება მაძულებდა სერიოზულად დავფიქრებულიყავი და ჩემს გულში ჩამეხედა. და მივხვდი, რომ მე ის მიყვარდა, მიყვარდა არა როგორც დიდი და მახლობელი, არამედ გაცილებით უფრო ღრმა და სხვანაირი სიყვარულით.

ცოტათი კი შრცხვენოდა ამაში გამოვცდომოდი ჩემს თავს, მაგრამ ეს უკვე დღესავე ნათელი იყო ჩემთვის.

თვით იულას კი აინუნშიაც არ ჩაუგდია ჩვენს ოჯახში ჩამოწოლილი ეჭვის საავდრო ღრუბლები. იგი იმდენად წმინდა, ალაღმართალი და გულუბრყვილო იყო, რომ ვერც კი იგრძნო ეს. ისევ და ისევ ვუყვარდით ყველა, ხოლო მე რომ გამორჩევით და განსაკუთრებული სიყვარულით ვუყვარდი, ეს ბუნებრივად მიიჩნდა და ამისათვის ანგარიში არ მიუცია თავის თავისათვის.

დედაჩემის და მამაჩემის თვალში კი ჩვენი ურთიერთობა თანდათან საბიფათო ხასიათს იღებდა.

იულა ერთი წუთით არ შშორდებოდა. თვითონ ალბათ არც კი იცოდა, რა იზიდავდა მას ჩემსკენ. ეს იყო ქალ-

წულის პირველი უმანკო სიყვარულის ქვეცნობიერი განცდა. და მე ვხედავდი როგორ იზრდებოდა და იფურჩქნებოდა ეს სიყვარული იულკასთან ერთად.

თქვენ ყველას გინახავთ გაშლილი, მოღალანე ვარდებიც და ჭერაც გაუშლელი ვარდის კოკრებიც. მაგრამ თქვენ შეიძლება არ დაკვირვებინართ როგორ იშლებიან და იფურჩქნებიან კოკრები და თანდათან როგორ იქცევიან ვარდებად.

მე მქონდა ბედნიერება დაკვირვებოდი და მენახა ეს. ის ჩემს თვალწინ იზრდებოდა და იფურჩქნებოდა როგორც ქალი და ამის კვალობაზე იფურჩქნებოდა მისი ჩემდამი სიყვარულიც.

მე მას ვუყვარდი პირველქმნილი სიყვარულის უმანკაობით.

ახლაც ქრუანტელი მივლის და გულს სევდით მევსება იმ წმინდა, გულუბრყვილო, ბავშვურ სიყვარულს რომ ვიგონებ.

ერთხელ, სახლს რომ აღაგებდა, შევესწარი როგორ დაიხოქა მან ჩემს ლოგინთან, სახით დაემხო ჩემს ბალიშს და დიდხანს იყო ასე მლოცველივით გარინდებული. მერე წამოდგა, ამოიოხრა და ნეტარებით დაიწყო გულზე ხელები, და იმ წუთს მის თვალბეჭდში მე დავინახე ის პირველქმნილი, რაც არავის არასოდეს არ დაუნახავს.

რაც არმიიდან დაებრუნდი, მე ლოჯიაში ვიძინებდი მარტო, ირინე და იულკა მომიჯნავე ოთახში წვებოდნენ. განიერი კარები ხშირად ღია იყო და ზოგჯერ ის ჩემი თანდასწრებით იხდიდა ტანთ, „არ გამოიხედო“, მეტყობდა და ერთი წამით შიშველი იდგა ნახევრადბნელში, მერე უცებ გადაიცვამდა ღამის პერანგს და მისი ხმის ტონსა და ელფერში, როგორც ის ამ ფრანკს წარმოსთქვამდა, მის მოძრაობასა და ღმილში იყო ის, რასაც მე პირველქმნილი სიყვარული ვუწოდებ, რის ნახვის ბედნიერებაც არ შეიძლება ყველას ჰქონდეს.

ერთხელ მე მას ბანაობისას შევე-

სწარი. აბაზანის კარი დაუქცტავი და რჩენოდა და მოულოდნელად შევედი. „არ შემოხვიდე!“ — შეკვივლა მან და აბაზანაში ჩაცუცქდა მობუხული და შემკრთალი. და იყო რაღაც შეუდარებელი და განუმეორებელი, ის პირველქმნილი, მის დამორცხვებასა და კდებამში... არ ვიცი რატომ, იმ ღამეს ძილი გამიტყდა, ვატყობდი იულკასაც არ ეძინა, გვიან ღამით, როცა ბოლოს და ბოლოს ჩამთვლიმა, კისერთან რბილი, ნახი შეხება ვიგრძენი და მისი თმების ნაცნობი სურნელება შევიცნოსე. მაგრამ ვიდრე გონს მოვიდოდი, ის უკვე თავის საწოლისკენ გარბოდა. ნახევრადბნელში მისმა ღამის პერანგმა გაიღვავა თეთრად და იატაკზე შიშველი ფეხების რბილი შეხება გავიგონე: მაკოცა და გაიქცა.

მე და იულკას გვიყვარდა ერთმანეთი და ეს რომ დამპური სიყვარული არ იყო, ამას ყველა გრძნობდა და ხედავდა ჩვენს ოჯახში. მამამ გამაფრთხილა კოდეც. ცალკე გამიხმო და მკაცრად და სერიოზულად მითხრა: „შენ, ყმაწვილო, ცეცხლს ნუ ეთამაშები, ამ ობოლი ვოვოს ცოდვა არ მოიკიდო“.

იულკა უკვე თექვსმეტი წლისა შესრულდა, საშუალო სკოლას ამთავრებდა. ჩვენს ოჯახში მდგომარეობა ისე დაიძაბა, შეუძლებელი იყო ეს იულკასაც არ ეგრძნო. დედა და მამა აღრინდულად თბილად და აღერსიანად აღარ ეპყრობოდნენ მას.

იულკა არც ისე მიაშიტი და სულელი იყო, ვერაფერს მიმხვდარიყო. ერთ დღეს ის თვითონ მისულა დედაჩემთან და უთქვამს:

— დედიკო, მე უკვე დიდი ვარ, შეიძლება ჩემს ბინაში რომ გადავიდე საცხოვრებლად, თქვენ ზომ არ გეწყინებათ?

დედაჩემი არ მოელოდა ამას და სახტად დარჩა თურმე:

— რატომ მიღიხარ, შვილო, ზომ არაფერი გაწყენინეთ.

— არა, დედიკო, მაგრამ დროა...

დღეა გააკვირვა ამ გოგოს ტაქტმა და მიხედვრილობამ. წყენა არც კი დაი-
მნნია. ისე დაიჭირა თავი, თითქოს მარ-
თლაც თვითონ სურდა გადასვლა. და
დღეა მიხვდა, რომ ამ პატარა გოგომ
აჯობა მას სულგრძელობითა და კე-
თილშობილებით. თავი ვერ შეიკავა და
ცრემლი მოერია. გულში ჩაიკრა იულ-
კა და ატირდა:

— გვაპატიე, დედიკო, მაპატიე შეი-
ლო, ცუდად ნუ გავგივებ. ასეა საჭი-
რო, ასე სჯობს, შენ ჭკვიანი გოგო ხარ
და მიხვდები.

იულკაც ტიროდა და ცრემლიან
თვალეზს უკოცნიდა დედაჩემს.

ის მეორე დღესვე გადაბარგდა თა-
ვის ბინაში. თუმცა რა გადაბარგება უნ-
დოდა, ერთი ჩემოდნის მეტი არაფერი
აღმოაჩნდა წასადები. მას იქ უკვე ყვე-
ლაფერი ჰქონდა, ავეჯიც, ლოგინიც.
დედამისის მიერ დატოვებული ცოტა-
ოდენი ფულით და შეიღისათვის და-
ნიშნული მისივე პენსიის დანახოვით
ყველაფერი შეუძინეს და მოუწყვეს
ჩვენებმა.

პირველ ხანებში, ვიდრე შეეჩვეოდა
მარტო ცხოვრებას, ირინე რჩებოდა
დამდამობით იულკასთან ახალ ბინაში.

მისი წასვლის შემდეგ სიცივე და
სიცარიელე იგრძნობოდა ჩვენს სახლ-
ში. სითბო და სილამაზე მოაკლდა ჩვენს
კერას. საღამოობით შინ რომ შევიკრი-
ბებოდით, ყველას თვალში გვაკლდა
იულკა, მწვავედ განვიცდიდით უმისო-
ბას, მდუმარედ ვისხედით და ხმის ამო-
ღება ვერ გავკვებდა.

იულკა ხშირად მოდიოდა ჩვენთან,
მაგრამ ახლა ესეც სევდას იწვევდა.
იმის შეგნება, რომ ის ახლა ჩვე-
ნი სტუმარი იყო და არა ჩვენი ოჯა-
ხის წევრი, რაღაც ნალვლიან გრძნობას
ბადებდა.

ჩვენ ასე გავვიჭირდა უმისობა,
წარმოიდგინეთ ახლა ის რა დღეში იქ-
ნებოდა! ჩემი და ერთ კვირას ათევედა
მასთან ღამეს. მერე კი თვით იულკამ

არა ქნა: უკვე შევეჩვიე, არ მეშინია,
მარტო დავრჩები.

იმ ღამეს ირინე შინ რომ მოვიდა,
გულმა არ მომიბოძინა და გვიან ღამით
წავედი იულკასთან.

ხარი დავრევე თუ არა, მაშინვე მი-
სი ფეხის ხმა გავიგონე, თითქოს მე-
ლოდაო. იგი კარებთან მოვიდა. ერთ-
ხანს ჩუმად იდგა და აყურადებდა. მე-
რე შემკრთალი ხმით იკითხა: „ვინ
არის?“

მე ვარ-მეთქი რომ ვუთხარი, სწრა-
ფად გააღო კარი და კისერზე მომეხვია.
ისე გაუხარდა ჩემი დანახვა, თითქოს
ხანგრძლივი გადასახლებიდან ჩამოვსუ-
ლიყავი.

მას ნამტირალევი თვალეზი ჰქონდა
და ახლაც უძნელდებოდა ცრემლების
შეკავება. როგორღაც დარცხვენილი და
დანალვლიანებული მელაპარაკებოდა
და მშერას მარიდებდა.

— არ მელოდი?
არაო, ოდნავ შეარხია მან მხრებზე
ჩამოშლილი თმები და თავი ჩაღუნა.

— არ გეშინოდა მარტო?
— ცოტათი, — თქვა მან და უკვე
ვერ შეძლო ცრემლების დამალვა, კალ-
თაზე ჩამოუგორდა ორი კურცხალი.

ის ჩემს გვერდით იჭდა ტახტზე და
მუხლებზე დაწყობილ თავისსავე თი-
თებს აწვალებდა, სახეზე ჩამოშლილი
თმა ვადავუწიე და ყვრიმალთან ოდნავ
შევეხე ტუჩებით.

უცებ ის შემობრუნდა, მომეხვია და
ჩემს მკერდში თავჩარგული აქვითინ-
და.

დიდხანს ტიროდა, არ მიცდია მისი
დაწყნარება, მხოლოდ თმებზე ვეფერე-
ბოდი უხმოდ.

— დარჩები ჩემთან? — მითხრა მან,
როცა ტირილით გული მოიჭრა.

დავრჩები-მეთქი, დავპირდი, თუმცა
იქ ღამის გასათეველ არ ვიყავი მისუ-
ლი.

— დავრჩები, ოღონდ შენ უნდა
დავრეკო.

— ეტყვი რომ ჩემთანა ხარ?

— ვუთხრა?

— არა, ნუ ეტყვი.

ჭიბები მოვიქექე, ორკაპიკიანი ვიპოვნე და ქვევით ჩავირბინე დასარეკად. ტელეფონზე ირინე გამომეპასუხა. ამხანაგთან ვარ სამეცადინოდ და იქნებ ამაღამ მასთან დავრჩე-მეთქო, ვუთხარი (იმ დროს მე სტუდენტი ვიყავი და მართლაც გამოცდები ახლოვდებოდა).

— ჰკვიანად იყავი, იცოდე! — ისე მითხრა ტელეფონში ირინემ, მგონი მიხვდა ვისთანაც და სადაც ვაპირებდი დარჩენას. მაგრამ არც წყენა გამოუხატავს, არც გაკვირვება, ჰკვიანად იყავიო, გამაფრთხილა მხოლოდ.

იუწყასთან რომ შეგვბრუნდი, რალაცნაირად შეფიქრებულნი იყო და შეიტხა:

— დარეკე?.. რა უთხარი?

— ამხანაგთან ვრჩები სამეცადინოდ-მეთქი.

— რატომ მოატყუე, სიმართლე რომ გეტყვა, ეწყინებოდათ?

— არ ვიცი. რატომ უნდა წყენოდათ!

— მაშინ რატომ მოატყუე?

— შენ რატომ არ გინდოდა სიმართლე მეთქვა.

— არ ვიცი...

იგი დაფიქრდა და თვლებში ნალველი ჩაუდგა, მერე მომიბრუნდა და მუუბნება:

— მე თქვენებს ვუყვარვარ?

„თქვენებსო“, ეს სიტყვა ახლა მან პირველად იხმარა და კვლავ ნალვლიანი შუქი ჩაუდგა თვლებში, ამას რომ ამბობდა.

— რას ამბობ იუწყა, განა ეკვი გეპარება?

— არა, არ მეპარება ეკვი, ისე გკითხე. — თქვა მან და მოიწყინა.

— შენ ყველას ძალიან უყვარხარ, დედასაც, მამასაც, ირინესაც, ყველა ჩვენს ნათესავენს. მაგრამ ყველაზე მეტად მე მიყვარხარ.

— მაინც როგორ, — უცებ გადაი-

ყარა მან ნალველი და თვლები გაუბრწყინდა, — ირინეზე უფრო ვიყვარვარ?

— ირინეზე უფრო?.. არ ვიცი, მე შენ სულ სხვანაირი სიყვარულით მიყვარხარ.

— მაინც როგორი სხვანაირი?

— მე შენ ცოლად უნდა შეგირთო. ეტყობა იგი ამას არ მოელოდა.

— რას ამბობ, ზაზა, გაგიჟდი! — შეტყვირა მან და განცვიფრებული მომაჩერდა.

მის თვლებში არც სიხარული იხატებოდა, არც წყენა, არამედ რალაც სხვა, შიშის ელდასავით...

მე მაინც ვგრძნობდი, ვიცოდი, რომ ვუყვარდი არა როგორც მახლობელი და კეთილისმყოფელი, არამედ როგორც ვაჟი, მამაკაცი, მაგრამ ეს შეგნებული არ ჰქონდა მას. ეს იყო გაუცნობიერებელი გრძნობა, ქალწულის პირველი უმანკო სიყვარული, რომელიც არაფერს არ გულისხმობს, არაფერს არ შეიცავს თვით ამ წმინდა, გრძნობის მეტს. ასეთ სიყვარულში ოცნებაც კი გამორიცხებულია, რადგან ასეთი სიყვარული დროის საზღვრებში ვერ ეტევა, იგი უსაზღვრო და მარადიულია, ხოლო მისი არადისობას დროის მიჯნები არა აქვს — არც წარსული, არც მომავალი...

ცოლად უნდა შეგირთო-მეთქი რომ ვუთხარი, იუწყას შეეშინდა, იგი ახლა პირველად დაფიქრდა ამაზე და რალაც გამოუტენობი სევდა ჩაუდგა თვლებში. მომეჩვენა, რომ რალაცით შევლაზე მისი სიწმინდე და უმანკოება ამის შემდეგ მთელი საღამო ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის...

დივანზე დამიგო მისი საწოლიდან სამიოდე მეტრის მოშორებით, ტანთ რომ იხდიდა, რათა დამის პერანგი ჩაეცვა, მან შემომხედა, გაიღიმა და მითხრა: „არ გამოიხედო“, როგორც მრავალჯერ უთქვამს წინათაც. იქ, ჩვენს სახლში. მაგრამ ამჯერად როგორღაც ის

ძველებური მომხიბლაობა აკლდა მის ღიმილსაც, ხმასაც და მოძრაობასაც.

ან იქნებ მე თავად დავჯარჯე ამ ღიალი წუთის მთელი მომხიბვლელობის შეგრძნების უნარი? რადგან მაშინ პირველად ჩემს სიცოცხლეში არ შევასრულე მისი თხოვნა და მივიხიდე...

იულკა მთელი ღამე მოუსვენრად ბორბავდა ლოგინში. არც მე მეძინა, მაგრამ თავს ვიძმინარებდი და ყოველ წუთს ველოდი, რომ წამოხტებოდა იულკა, ჩუქმად მოარბენდა ჩემთან და მაკოცებდა, როგორც იმ ღამეს.

მაგრამ იგი არ მოსულა. ამან შემაფიქრინა და დამაღონა. ნუ თუ ეწყინა, ნუ თუ მართლა უბრალო მეურვე და კეთილისმყოფელი ვარ მისთვის და მეტი არაფერი!

არა, ჩემი ეჭვი უსაფუძვლო იყო. მე მას ვუყვარდი მთელი თავისი ქალური სინაზითა და ახალგაზრდული მგზნებარებით.

და მე ვინანე, რომ მას ვუთხარი ცოლად უნდა შეგიერთო-მეთქი. ჯერ ადრე იყო, არ უნდა მეთქვა, არაფერი არ უნდა მეთქვა!

თვალნათლივ დაეინახე როგორ ჩამოფრინდა იულკა ციდან მიწაზე. მაგრამ იგი აქაც, მიწაზეც ანგელოზად დარჩა. ჩემდამი მის სიყვარულში მომავალზე ფიქრი და ზრუნვა გაჩნდა, იქნებ დარდიც, მაგრამ ეს ფიქრებიც ადრინდელად წმინდა და შეურყვანელი იყო.

პირველი შეცბუნების შემდეგ, რამაც იგი დააფიქრა და დააღონა, მან თანდათან გადაიყარა ნაღველი და გული მოიბრუნა ჩემზე. ოღონდ ეს იყო: ადრინდელად არ მეტამამებოდა, დამორცხვებულებით იყო, შეხვედრისას ძველებურად არ მეხვეოდა კისერზე და არ მაკოცინდა.

მისი განწყობილება მეც გადმომედო. თუმცა ის ჩემთან შედარებით ბავშვი იყო (აქი ვითხარით, მთელი რვა წლით უფროსი ვიყავი მასზე), მაინც მართო რომ დავრჩებოდი მასთან,

ვკრთოდი, რაღაც ბიჭური თბილევად და მღელვარება ამიტანდა ხოლმე. მოჩინა, იულკა ბავშვი აღარ იყო! ამას უკვე თვითონაც კარგად გრძნობდა. თავს ნება მისცა მეტი მზრუნველობა გამოეჩინა ჩაცმა-დახურვასა და კოხტობაზე. ამაყი და გულზვიადი არ იყო, მაგრამ აქი ვითხარით, საკუთარი სილამაზის შეგნება რაღაც სიღიადეს ანიჭებდა მის გარეგნობას-მეთქი. მართლაც, მთელ ქალაქში შესამჩნევი ქალიშვილი იყო და ვიცოდი თავყანის-მცემლებიც გამოუჩნდებოდნენ.

ერთხელ ამაში თვითონ იულკა გამომიტყდა. საშუალო სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით ბანკეტზე რომ მიდიოდა, მისამართი დამიტოვა და მთხოვა წამოსაყვანად მომაკითხეო. ერთი ჩვენი სკოლელი ბიჭია გადაკიდებული, შარშანწინ დაამთავრა, სამედიცინოზე სწავლობს, ჩემი კლასელის ძმა არის, ბანკეტზე იქნება, დათვრება და მოსვენებას არ მომცემს, გამოცილებას მოინდომებსო.

ბანკეტი ამხანაგის სახლში ჰქონდათ, ქალაქის გარეუბანში. მე ცოტა ადრე მომივიდა პაემანზე მისვლა. იძულებული გავხდი ქუჩაში დავლოდებოდი. მყუდრო უბანი იყო, ქუჩის ორივე მხარეს ჩამწყობილებული კოხტა, ეზოები და სახლები მწვანეში იყო ჩაფლული, სასიამოვნოდ ვრილოდა. ხეს მივყუდებულეში, პაპიროსს ვაბოლებდი და ყურს ვუგდებდი ახალგაზრდების ხმებს, ხანგამოშვებით სახლიდან რომ გამოიჭრებოდა ხოლმე. რამდენჯერმე იულკას სიცილიც ვავარჩიე და გულმა რეჩხი მიყო. არ ვიცი, იქნებ ეს ეჭვის პირველი გავლენა იყო: „ის უჩემოდაც კარგად მხიარულობს“.

კარგახანს ველოდე. ბოლოს ღამის მყუდროებაში მკვეთრად გაისმა მოქეიფეთა მხიარული ხმები, ჭიშკარი გაიღო და ახალგაზრდები ქუჩაში გამოიშალნენ.

— იულკა, მოიცა, მართო მიდიხარ? გავაცილებე. — კვლადაკვალ

აედევნა მას მალალი, გამხდარი ჰაბუ-
კი და დაღმართზე სირბილით დაეწია.

— არა, არ მინდა გაცილება, წა-
ვალ მე...

მაგრამ ბიჭი არ ეშვებოდა. მაგრად
ეჭირა მისი მკლავი და არ უშვებდა.
იგი მთვრალი იყო.

ქუჩის მეორე მხარეს ვიდექი. გა-
მოვედი ხის ჩრდილიდან, სადაც თავ-
შეფარებული ვიყავი, და მის შესა-
ხვედრად გავემართე.

— თუღია!

ღივილივით მერე და შევჩერდი. იგი
მაშინვე გაუსხლტა კავალერს და ქუჩა
გადმოჭრა.

— წავედი მე, თამაზ! — გასძახა
მან ვაჟს, როცა ჩემთან მოიჭრინა და
ხელი დაუქნია გამოთხოვების ნიშნად.

ბიჭი ერთხანს გაშეშებული იდგა.
მერე ხელი ჩაიქნია, რაღაც ჩაიბუზ-
ლუნა და უკან შებრუნდა ამხანაგები-
საკენ.

იულკა აგზნებული იყო, ხელზე
ხელს მიჭერდა და მოურიდებლად მე-
კვროდა, ეტყობოდა ცოტა ღვინო დაე-
ლია.

ჩვენ ნელა მივეყვებოდით გაუნათე-
ბელ, ხეებით დაბურულ ქუჩას. კარგად
არც კი ვიცოდით გავიყვანდა თუ არა
ეს ქუჩა მთავარ გზატკეცილზე, სადაც
შეგვეძლო ავტობუსს ან ტაქსის დაე-
ლოდებოდით. მაგრამ ეს გზა განგებ
ავირჩიეთ, რომ იულკას ამხანაგები არ
დაგვეყოფნენ გზაში.

— დიდხანს მელიოდე?

იულკამ ოდნავ წინ გამისწრო, მო-
ბრუნდა, მერე ჩემი ორივე ხელი ლო-
ყებზე მიიღო აქეთ-იქით და მითხრა:

— ზაზა, მართლა ძალიან გიყვარ-
ვარ?

მე უსიტყვოდ ჩავიკარი იგი გულში
და ვაკოცე.

ჩვენი ტუჩები სხვა დროსაც შეხე-
ბიან ერთმანეთს, მაგრამ მე ვიცოდი,
შევხვდი, რომ იულკასათვის ის იყო
პირველი კოცნა და პირველი ქალური

მღელვარება ვაჟის სიბავშვით... გამო-
წვეული.

გამოწვეული.

სახეზე აღმური ასდიოდა, თითქოს
ნაკოცნად ადგილებზე ცეცხლი ედებო,
ტუჩებიც ცეცხლივით ჰქონდა.

რალაცნაირი სიტყბო და სურნელება
ახლდა მის ტუჩებს. ეს მხოლოდ ის
გემო და სურნელება არ იყო, ახალ-
გაზრდა ქალის ტუჩებს რომ ასდის
ხოლმე, ეს თვით სიყვარულის გემო
და სურნელება იყო.

მე ის შინამდე მივაცილე. უკვე შე-
ჩვეული იყო მარტო ცხოვრებას, მაგ-
რამ იმ დამეს მას არ შეეძლო მარტო
დარჩენა და არც მე შეეძლო უმი-
სოდ...

მე მეშინია იმ დამის გახსენება. არის
გრძნობები, რომლებიც ხელშეუხებ-
ლად უნდა შეინახო გულში. როგორც
კი მათ სიტყვებად და აზრებად აქცევ,
მაშინვე ჰკარგავენ სილამაზეს და მომ-
ხიბველობას. არსებობს სიტყვათმე-
წვდომელი, აზრთმეწვდომელი, ფიქრ-
მთმეწვდომელი სილამაზე და ბედნიე-
რება.

— ზაზა, შვილი რომ გავვიჩინდეს?

— მერე რა, შენ რა, უშვილოდ
ხომ არ გინდა გადავეგოთ.

— კი, მაგრამ...

არ დამათავრა მან. თვალეში რა-
ღაც სევდა და წუხილი ჩაუდგა.

— ახლავე წავიდეთ და ვანცხადება
შევიტანოთ მამაჩის ბიუროში. ერთი
თვის შემდეგ მივალთ, პასპორტებს მი-
ვიტანთ და ხელს მოვაწერთ, მგონი
ასეა წესი.

იულკამ ნდობითა და მადლიერე-
ბით შემომხედა და ცრემლი გაუ-
ბრწყინდა თვალეში. ეს სიხარულის
ცრემლები იყო.

მერე ის ჩაფიქრდა და მითხრა:

— ჩვენები რას იტყვიან, ზაზა?

მის ხმაში წუხილი და შესფოთება
ისმოდა (ღმერთო ჩემო, რა ჰქვიანი
იყო).

— ჩვენებმა რა უნდა თქვან, — მი-
ვუგე, მაგრამ ახლა მეც დამაფიქრა ამ

საკითხმა: როგორ შეხვდებიან ჩვენები ამ ამბავს.

სამი თვის შემდეგ, როცა იულკამ მითხრა ფეხმძიმედ ვარო, ჩვენ უკვე კანონიერი ცოლ-ქმარი ვიყავით, მაგრამ ჩემი კურსის ორი ამხანაგის შეტმა, რომლებიც ხელის მომკიდებლად მივიყვანე მშაჩის ბიუროში ქორწინების გაფორმების დროს, არავინ იცოდა ეს. ირინესაც კი არაფერი ვუთხარი.

იულკა ნამდვილ ოჯახის ქალად იქცა. ბინის მორთვას და გალამაზებას მიჰყო ხელი. იმ ზაფხულს უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ბედმა რომ უშტყუნა, დიდად არ უდარლია. მაშინვე მუშაობა დაიწყო და კაპიკს კაპიკზე ადებდა, რომ სახლისთვის რაიმე შეემატებინა. ხანდახან მეც სტიპენდიას შევაშველებდი და ჩვენი პაწია ბინა თანდათან ივსებოდა და მშვენივლოდა.

ისეთი რა უნდა ეყიდა თავის მცირე ხელფასით, ქვეყანა რომ გაეკვირვებინა, მაგრამ ჰქონდა რაღაც ჯადო და თილისმა ამ გოგოს. მის ხელში გამოვლილი ყოველი ნივთი რაღაც საოცარ სილამაზესა და მიმზიდველობას იძენდა. გემოვნებით იცოდა ყველაფრის შერჩევა და შეხამება. ნამდვილი მხატვარი იყო.

მარტო ბინის მოწყობაზე კი არა, რაც ფეხმძიმობა იგრძნო, უკვე შეიღზეც დაიწყო ზრუნვა. ერთხელ პაწია ფეხსაცმელები და ბავშვის ფუმფულა ცისფერი პერანგები დამახვედრა. სათუთად იხუტებდა გულში და მეუბნებოდა:

— შეხედე, რა ლამაზია! ჩვენი ბიჭუნასია.

— რა იცი ბიჭი იქნება?

— ვიცი, შენ ხომ ბიჭი გინდა პირველი?.. მეც.

იულია უკვე ოთხი თვის ფეხმძიმე იყო, ჩვენებისათვის უნდა მეთქვა ყველაფერი.

პირველად ირინეს ვუთხარი. გაეხარდა, ეტყობა მისთვის მოულოდნელი

არც იყო ეს. მგონი იცოდა კარგად, რომ ურთიერთობის ამბავი.

უფროსებთან ცოტა მეუბერხულე-ბოლა ამაზე ლაპარაკი და ირინეს ვთხოვე ჭერ მას დედასთვის ეთქვა, ხოლო მერე დედა მამასაც ეტყოდა.

სალამოს ინსტიტუტიდან შინ რომ დავბრუნდი, დედა შეწუხებული და ამრეზილი დამხვდა. მაშინვე ცალკე გამიხმო და რჩევა-დარიგებების მოცემა დამიწყო.

ეს რა გიქნია შვილოო, გინდა ქვეყანაში თავი მოგვჭრა, რას იტყვის ხალხი, უპატრონო ბავშვი შვილივით გამოვხარდეთ სახლში და ახლა რძალად როგორ უნდა შემოვიყვანოთო.

ჩემს სიცოცხლეში პირველად შევნიშნე, რომ დედა არაფულწრფელად მელაპარაკებოდა. სიბრაზე მომერია და ბევრი ბოდიში არ დამიწყია, პირდაპირ მივახალე:

— სასირცხვოს მე აქ არაფერს ვხედავ. იგი ჩემი ცოლია, მორჩა და გათავდა!

— რას ამბობ, რას ამბობ, ბიჭო, ეს რომ მამაშენმა გაიგოს, იმ წუთში ინფარქტი მოუვა, — ხელები გაასავსავა დედამ და მაშინვე შევატყე, ახლაც ტყუოდა: მამამ ყველაფერი იცოდა და წინასწარ იყენებ მოლაპარაკებულ როგორმე გადაეთქმევივინათ ჩემთვის იულკას შერთვა, ვისგანაც უკვე შვილს ველოდი.

ამან მთლად ცეცხლი მომიკიდა გულზე, არაფრად ჩავაგდე დედაჩემის გაფრთხილება. მამაშენს ინფარქტი დაემართებოდა (ბოლო დროს გულს მართლა უჩიოდა) და გაცხარებულმა მკვახე მკვახები ვკადრე, არც მამაჩემი დამიზოგავს. ვიცოდი, დედა იმას მელაპარაკებოდა, რაც მამამ დაარია.

ამ დროს თვით მამაჩემი დამადგათავზე, თურმე სახლში ყოფილიყო.

— უკვე ცოლია? — კისერიც გიტეხიათ. ჩემს ოჯახში ფეხს ვერ შემოადგემთ და რით იცხოვრებთ, იმასაც

შეხებად, ჩემს ლუკმაზე რომ ხართ მოხერხებული.

ღმერთო ჩემო, ეს რა თქვა, ეს რა ფაილა მამაჩემმა! არა, ამას არასგზით არ მოველოდი, ძარღვებში სისხლი გაშეყინა და ენა ჩამივარდა, ვგრძობდი, თუ ხმას ამოვიღებდი, რაღაც საშინელს ვიტყვოდი და მოვიმოქმედებდი. პაჩაი ჩაიცივი და უსიტყვოდ გამოვედი ამ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ სამუდამოდ მივდიოდი მშობლების სახლიდან.

სუფთა ჰაერზე რომ გამოვედი, ცოტათი დავმშვიდდი და აზრი მოვიკრიბე. ნუ თუ მართლა არ უყვარდათ იულკა? ნუ თუ ყველაფერი ფარისევლობა იყო და მეტი არაფერი, ნუ თუ მხოლოდ პატივმოყვარეობა და სიბრაველი აიძულებდათ ეპატრონათ მისთვის. ის ხომ ჩვენს სახლში, ჩვენს გვერდით იზრდებოდა, როგორ შეიძლება იყო შეილივით არ შეყვარებოდათ! ნუ თუ რაღაც გენები და ცხოველური ინსტინქტები განაგებენ ჩვენს გრძნობებს?!

იულკამ იცოდა, შინ რომ უნდა შემეტყუობინებინა ჩვენი ამბავი და მღელვარებით მოელოდა პასუხს.

გაციცხლებული ვიყავი და ყველაფერი ენაზე, არაფერი დამიმაღაეს და ჩემი გადაწყვეტილება ვაუწყე. ამერიდან დამოუქიდებლად უნდა ვიცხოვროთ-მეთქი.

იულკა გაცილებით უფრო მშვიდად შეხედა ამ ამბავს, ვიდრე მეგონა. გამოუცდლობის მიუხედავად, იგი ჩემზე ქვეიანი იყო და ეტყობა ელოდა კიდევ ამას. იგი ცოტათი კმაყოფილიც კი დარჩა. ჩანს, აწუხებდა ეს და გულზე მოეშვა, რომ ბოლოს და ბოლოს მშობლებთან მოლაპარაკებაც დამთავრდა. ალბათ ისიც უზაროდა, რომ ერთხელ კიდევ დარწმუნდა ჩემს სიმტკიცესა და ერთგულებაში.

ერთმანეთის ამარა, ერთმანეთის მოიმედენიდა დავრჩით და ეს კიდევ უფრო აღრმავებდა და აძლიერებდა

ჩვენს სიყვარულს, მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში ცარიელი სიყვარული ვერაფერი ნუგეში იყო. არსებობდა ხომ გეინდოდა! მე სტუდენტი ვიყავი, იულკა მუშაობდა, მაგრამ ამა რა სამუშაო ჰქონდა, მისი ხელფასით და ჩემი სტიპენდიით იქნებ როგორმე თავი გაგვეტანა ისე, რომ შიმშილით არ დავხოცილიყავით, მაგრამ ჭამის გარდა სხვაც ხომ გვინდოდა: ჩაცმა-დახურვა, მტერ-მოყვრის დახვედრა და ათასი რამ — მაინც ოჯახი გვეთქმოდა.

მთავარი ის იყო, რომ შეიღს ველოდით. ბავშვს გაზრდა ხომ უნდოდა! იულკას ვუთხარი დაუსწრებელზე გადავალ და მუშაობას დაიწყო-მეთქი.

არაო, მესამე კურსზე ხარ, სჯობს გავიქირვოთ და ბარემ დამამთავრო, თორემ სწავლას ჩამორჩები და მერე უფრო გავწვალდებითო.

გავიკვირდებოდათ, ისეთი ქვეიანი იყო, დიდი გამოცდილი ქალივით მსჯელობდა.

— შეილი რომ არ გაგჩენოდა, კიდევ არა გვიქირდა რა, როგორმე მოვიდოდით თავს... მე სწავლას დავამთავრებდი, შეილების გაჩენას მერეც მოვასწრებდით. — როგორღაც წამომცდა ერთხელ იულკასთან.

მან საყვედურით შემომშედა.

— კარგი რა, ზაზა, ნუ ამბობ მაგას. არ გრცხვენია, პატარას აბრალებ ყველაფერს, ჯერ არ დაბადებულა და გაჩენას აყვედრი.

არ უნდოდა მის თვალებზე მომდგარი ცრემლი დამენახა. სატკაცუნებელი აიღო და ოთახში საიდანღაც შემოპარულ მსხვილ მწვანე ბუხს დაუწყო დევნა, ფარღის იქით, ფანჯარასთან რომ ბზუოდა.

ერთი კვირის შემდეგ კი მოვიდა და თვითონ მეუბნება:

— ზაზა, მოვიშორე ბავშვი?

ეს ჩამოქცევას მოველოდი ჩვენს თავზე, ამას კი არა. ვიცოდი როგორ უყვარდა მას იგი, ჯერ ქვეყანას მო-

უვლინებელი ჩვენი შვილი და მივხვდი, თუ რა ტანჯვითა და ვაებით იყო მიღებული ეს გადაწყვეტილება. მაგრამ იგი ხელდავდა, როგორ ვიყავი ჩვენი მდგომარეობით შეწუხებული. მე მას შვილზე მეტად ვუყვარდი და ჩემთვის გაიღო ეს მსხვერპლი.

და მე სულელმა სიხარულით მივიღე იგი. იუდასს ცრემლიანი თვალები ამოვუკოცნე და მაშინვე ირინეს დავეურყვე მოსულიყო.

საავადმყოფოში უარი თქვეს აბორტის გაკეთებაზე — უკვე ოთხი თვის ფეხშიძე იყო იუდასი. მაშინ ირინემ საჭირო ფული გვიშოვნა და კერძო ექიმი მოვინახეთ, ცნობილი გინეკოლოგი. შინ საიდუმლოდ აკეთებდა ოპერაციებს.

ირინესთან ერთად ექიმთან რომ შედიოდა, იუდასს ვკითხვ:

— გეშინია?

არაო, თავი გააქნია მან და მცირე ხნის შემდეგ თქვა:

— მე მხოლოდ ზანუკა მეცოდება.

— ვინა?

— პატარა ზანა, მე მას შენი სახელი დავარქვე.

მან გამიღიმა და საყვარლად მოკუტა ორივე თვალი, როგორც იცოდა ხოლმე, ვითომ თვალი ჩამიკრა. ცალი თვალის ჩაპაქუნებას ვერ ახერხებდა.

ექიმთან რომ შედიოდა ირინესთან ერთად, ერთხელ კიდევ მომხედა და რაღაცნაირად, საწყალობლად შემომღიმიდა, აქ დაიცადე, არხად წახვიდეო, დამიბარა და შევიდა.

ექიმის კაბინეტიდან გამოსვლა ძალიან დაავიანდათ და მოთმინება დავკარგე. ბოლოს, როცა გამოვიდნენ, იუდასს შევხედე და ელდა მეცა: ვერც კი წარმოვიდგენდი თუ შესაძლებელი იყო ასე შეცვლილიყო ადამიანი ერთი საათის განმავლობაში. მკვდრის ფერი ედო, ტუჩები ჩალურჯებოდა, თვალები ჩაკვენიოდა. მე რომ დამინახა, გაღიმება სცადა, მაგრამ, ღმერთო, სადღა იყო ღმილი!..

— ეუღლად ხომ არა ხარ?

— არა, ახლა კარგადა ვარ, მაგრამ ექიმი ძალიან შევაშინე, სისხლის დენა ძლივს შემიჩერა.

ირინეც შემინებული და შემფოთებული ჩანდა. ჩქარა მანქანა მოიყვანეო, მითხრა და იუდასი იქვე დასვა სკამზე.

ექიმმა თვითონ გამოგვაცილა, რაღაც ტაბლეტები გამომატანა, ტელეფონის ნომერი მომცა და მითხრა, თუ საჭირო ვიყო, მაშინვე დამირეკეთ, არ მოგერიდოთო.

შინ რომ მივედი, იუდასი მაშინვე დაწვა, გაუჩივრებული იყო, და მალიმალ წყალს თხოულობდა, ცივ ოფლს ასხამდა, სიცხემ მოუმატა. ერთი საათის შემდეგ დამიძახა და მითხრა ექიმს დაურეკეო.

მეზობელთან გავედი დასარეკად, მაგრამ ექიმისთვის არ დამირეკავს. სასწრაფო დახმარება გამოვიძახე.

გვიან დამე იყო იუდასი საავადმყოფოში რომ მივიყვანეთ (ირინე არ მოგვშორებია), ყველა ზომა მიიღეს, პროფესორიც მოვიყვანეთ სახლიდან, მაგრამ ვერა და ვერა, სისხლის დენა ვერ შეუჩერეს, სისხლიც გადაუსხეს (ჩემი სისხლის ჭკუფი დაემთხვა), მაგრამ არაფერმა არ უშველა...

სიკვდილამდე ერთი საათით ადრე მან მანიშნა ახლო მივსულიყავი (უკვე ლაპარაკი უჭირდა), ხელზე ხელი მომკიდა და ძლივს გასაგონი ჩურჩულით მითხრა:

— ხომ გუუბნებოდი ბიჭი იქნება მეტეი... ბიჭი იყო... იცი მე მისი პაწია ხელი დავინახე.

მე ვერ გავბედე თვალებში შემეხედა მისთვის, ვერც ხმა დავძარი, ყელში რაღაც მაწეებოდა და სუნთქვას მიკრავდა.

მან ჩემი მარჯვენა ხელი თავის ყინულივით ცივი ხელებით გულთან ჩაიხუტა, მეძინება, შენ არ მიმატოვო, მითხრა და თვალები დახუჭა.

არ ვიცი როდის შეწყდა მისი სუნ-

გარეგნული

თქვა და გულისცემა, მაგრამ ვიდრე მისი ფუნჯულა ლოყა, რომლითაც იგი ჩემს ხელს ეყრდნობოდა, ჯერ კიდევ თბილი იყო, მე არ მინდოდა დამეჭვრებინა რომ ის ცოცხალი აღარ იყო.

უფლება არა მაქვს ბედს შევჩვილო ან ვინმეს რამე დავაყვედრო.

ის მე მოვკალა. ყველაფერში თავით ვარ დამნაშავე, მე ვაეკაცობა არ მეყო...

მე უნდა მცოდნოდა, რომ ოჯახი ფუფუნება არ არის. ოჯახი მძიმე ტვირთია და ვისაც არ ძალუძს ამ მძიმე ტვირთის მსუბუქად და ხალვათად ზიდვა, იგი სიყვარულის და ბედნიერების ღირსიც არ არის.

მაგრამ იულკამ რა დააშავა? ნუთუ მისი სიცოცხლე იყო საჭირო მსხვერპლად, რომ მე ამ სიბრძნეს ჩავწვდომოდი?!

ახლა მე უოველდლე მივდივარ იულ-

კასთან და ვარდის კოჭრებს ვაწყობ მის საფლავეზე, ასე საწყალობლად და ეულად რომ გამოიყურება მარმარილოთი და გრანიტით მორთულ საფლავებს შორის.

წინათ ვილაც სხვებიც მოდიოდნენ აქ და ვარდები და მიხაკები მოჰქონდათ იულკასათვის. ახლა აღარავინ მოდის ჩემს გარდა. და მე იმის გაფიქრებაც კი მეშინია, რომ შესაძლებელია ისეთი დღეც დადგეს, აღარც მე მოვიდე აქ.

არა, ეს არასოდეს მოხდება! მე არ მინდა მოვესწრო ამ დღეს. ყოველდლე მოვდივარ აქ იმ იმედით და იმ რწმენით, რომ ოდესმე მეც მის გვერდით დავიმარხები.

ეს სიკვდილის შემდეგაც დიდი იმედი იქნებოდა ჩემთვისაც და იულკასთვისაც.



ჩ ა კ რ უ ლ ო

ჩაკრულო, ბრძოლის აღმურო,
ფანტავ სიცოცხლის მავორებს;
შენ რომ მოსკდები, ქართული
მიწა ტკბილ-მწარედ მავრყოლებს.

ხალხის გულიდან დაძრულხარ,
როგორც კეთილი მეწყერი,
ამიტომაც ხარ სვიანი,
ამიტომაც ხარ დღევრძელი!

შენს ომახიან გუგუნში
წარსულის ბოღმა მოზვირთდა,
ოდეს ვერ ზრდიდნენ დგკეულს,
ვერც კალოს ლეწდნენ მოზვირითა.

ოდეს მხოოდნენ შოლტებად
დღეები უმარბათონი,
ოდეს ყმათა ბედს ტორავდა
მუხთალი მუხრან-ბატონი.

მუხრან-ბატონის ყმობითა
გული ნაღველმა მობინდა,
ადგა ხაწყალი კაცი და
სიმღერას დაუძმობილდა.

გათბო უსაყვარლესი
ქანგი სისხლით და ოფლითა
და სულის ამოძახილმა
ვარამი მიფლით-მოფლითა.

ეს რა მადლი გაქვს „ჩაკრულო“,
მდულარე ფიქრო გლუბკაცთა!
რამდენ გრიგალში გივლია,
ფრთები მინც არ შეგაცვდა.

ქოხების რისხვა ქუხილად
ჩვენამდე მოგიტანია;
შენი ყოველი მარცვალი
ბორკილთან მორკინალია:

„ხიდის თავს შევეკრათ პირობა,
ჩვენ გაუბდეთ დეიძლი ძმანია,
ჩავეუბტეთ მუხრან-ბატონსა,
თავს დავანგრიოთ ბანია“.

შენი ჭირიმე, „ჩაკრულო“
ავ გულში ლახურად ჩაკრულო!
გრგვინავ, რომ საუკუნეებს
უშრეტი ცეცხლი არგუნო.

მე წავიკითხე მუსა ჯალილი

გარეგნული
ზიგურიოთიქა

არის სიციცხლე, რომელიც სიკვდილის შემდეგ ხალხის შეგნებაში, მის ხსოვნაში ცოცხლობს. თუ მე სიციცხლეში ვაკეთებდი რაიმე მნიშვნელოვანს, უკვდავს, მაშინ მე დაემისახურე ის სხვა სიციცხლე, სიციცხლე სიკვდილის შემდეგ. ამაშია სიციცხლის მიზანიც; იცოცხლო ისე, რომ სიკვდილის შემდეგაც არ მოკვდე.

მუსა ჯალილი

მე წავიკითხე მუსა ჯალილი,
მისი ხმა მოხვდა გულს ხანჯალივით;
დავიჭერი და
ჯვრდნობ, ხისხლი წამლევს,
თუ არ მიფეცი
ეს სისხლი ამ ლექსს.

დამმარცხებელი ჯალათთა შანთის,
ჩემს წინ პოეტის ანრდილი დადის,
ნალარად ჰყივის,
ღუღუნებს მტრედად,
რომ ქვეყნად ომის არ ჰყეფდეს ბნელად.

სამშობლო თვისი მან გააღმერთა,
ლექსთა რეული დრომად აღმართა;
არდანებებად ის დრომა იშვა,
ძირს ვერ დახარა ტანჯვამ და შიშმა.

მგოსანმა იცის, მტრის ხელში ვინც კრთის,
ის უსახელოს მოიმიცის სიკვდილს.
ოცნებით ჰქროდა,
ხინამღვილე კი
იყო წამება,
იყო დილეგა.

ხალხისთვის ჯვარცმულს ურჩხულს ყბაშიც
ოქროს მაისის ესმოდა ტაში.
მის ზვარს (რომ ბრწყინავს
ალთა მტკენებად),

არ უწერია გადაშენება,
რადგან მოსისხლე უბიწო გულთა,
კაცობრიობის გზა ვისაც სჭულდა,
არ დაბრუნდება გლოვად, ბინდებად,
ოსვენციმებად, მოაბიტებად.

არა, არ არის მუსა ჯალილი
მუსა დაღლილი,
მუსა ჩავლილი;
ის მუდამ ფბიზლობს,
მას მარად ღვიძავს,
გულში იხუტებს ცასა და მიწას...

მე მოაბიტის ცხელი რეული
ხელში მიჭირავს, ფარ-ხმლად ქვეული;

იგი ფიცია და შემართება,
ზღვებს ტალღად შეგნის,
ბაღებს — ვარდებად;
მთიდან დაძრულა ნაკადულებად,
ვით უკვდავების განკარგულება.

პოეზია და ტყვეობა ვინ თქვა!
რწმენას ეკუთვნის პირველი სიტყვა;
მიზანს ეკუთვნის სიტყვა პირველი,
როგორც ლაქვარდთა ბრწყინვას —
ფრინველი.

თქვა კიდევ რწმენამ თვისი სათქმელი,
მიზანმაც გვიოხრა თვისი სათქმელი,
მგოსანმაც გვიოხრა თვისი სათქმელი,
ცეცხლს მისცა მწუხრი და განსაცდელი.

მიწა თათართა — სატრფო თათართა
მუსას ბწყარებად ამოთავთავდა;
და ის, ამ დღეს რომ სტყვდება, ელოდა,
ანთია, როგორც ქედუხრელობა.

მარადისობის მწვერვალებს ეძმო,
სიმაღლის შუქი ქანგებს უნათებს,
და გადასძახის ხუნდებთან მებრძოლოთ:
„სიკვდილი სიკვდილს! ღამეს კუნაბეტს!“

ნიკოლოზ გაბაონი

აივნისანი ქალაქი

რომანი

ქაკი პირველი

იმ ადგილებში იგი ვახლდით ნამდვილი ბატონი, ნამდვილი ფეოდალი. გლეხებს ცემა-ტყეპით უმასპინძლებოდა, ხოლო მათ ცოლებს, თუ ისინი პირმშვენიერნი იყვნენ, იტაცებდა.

კლოდ ტილდის, „ჩემი ძია ბენეშენი“

1. პირველი წამი

საყდარი ღრმა ხეობაში, მაღალ გორაკზე იყო ამართული.

წინ მდინარე ჩაუდმოდა.

რაც უფრო მაღლა მიდიოდა ადამიანი, მით უფრო ხშირდებოდა ტყე. პალის ტყეში, დაბლობზე, თეთრი ვერხვი, ოფი, გრძელყუნწა მუხა, იფანი, ნეკერჩხალი, პანტა, მთელი და თელა იყო გახშირებული, მთის ფერდობებზე რცხილა, უხრაფი, მუხა, ცაცხვი და წიფელი. გარემოს საყდარი ზემოდან ამაყად დაჰყურებდა, მაგრამ მდინარის ნაპირებიდან და სოფლის მინდვრებიდან სულ არა ჩანდა, თვალში არავის ხვდებოდა. ტყით დაბურული ხეობა ნადირის ბუნაგად იყო გადაქცეული.

საყდარი ბერთუბნიდან ისე შორს

იყო, რომ იქამდე მამლის ყვილი ვერ აღწევდა. მის დანგრეულ გალავანში ხალხი მხოლოდ აგვისტოში იკრიბებოდა ხატობასა და ობაზე. მარიამობას არავინ აკლდებოდა. სხვა დროს კი აქ მონადირე და მწყემსი თუ გაივლიდა ხოლმე.

ბერთუბნის ზვიად ფეოდალებს ღეთისმშობლის პატარა საყდარი სულ არ აგონდებოდათ, წირვა-ლოცვას კი კარის ეკლესიაში და დიდ საგვარეულო ტაძარში იხდიდნენ.

მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს აგურიით ნაგები საყდარი „ყიზილბაშობის“ დროს იყო მიტოვებული და გავერანებული. სამკვეთლოს და საღაროს კედლები დრო-ქამს მოერღვია და ჩამოექცია კიდეც. რამდენიმე სარკმელი იყო გადარჩენილი, ფრესკების უმეტესობა კი წვიმის წყლით გადაარცხილი. კედლებზე და კამარებში სა-

* წიგნი პირველი.

წილობრივ მოჩინდნენ უტანო, უთა-
ფო და უხელფეხო ანგელოსები, წინას-
წარმეტყველები, მოციქულები, მახა-
რობლები და წმინდანები. ზოგან ხე-
ლის მტევანი მოჩინდა, თითებზე და-
ხვეული გრძელი თეთრი გრაგნილებით
და გადასული ასომთავრული წარწე-
რებით, ზოგან თვალის გუგები და წარ-
ბები, ზოგან მხოლოდ ფეხის ტერფები
ფერად-ფერადი სანდლებით, ზოგან
გულდასმით შემოსილი წვივები და
ბრკვევილა დასამარებლებით შემკუ-
ლი მუხლის თავები. ალაგ-ალაგ კი გა-
დასული საღებავების ნაცრისფერი ზო-
ლები ჩანდა.

მეჩვიდმეტე საუკუნის წესისამებრ,
ერთი კედელი მთლიანად ფეოდალებს,
მათი ნადირობის, ომებისა და ყოველ-
დღიური ყოფაცხოვრების სცენებს
ჰქონდა დათმობილი. მაგრამ იმდროინ-
დელი მხატვრების ისედაც მშრალი,
უსიცოცხლო ფიგურების მხოლოდ რამ-
დენიმე ფრაგმენტი სტოვებდა მთლია-
ნობის შთაბეჭდილებას. თითქმის სავ-
სებით იყო გადარეცხილი ის ფრესკაც,
რომელზედაც, შერჩენილი წარწერების
მიხედვით, საყდრის ქტიტორი ზაალ
გერმანოზიშვილი, მისი თანამეცხედრე
ნათელა და ძე დავითი იყვნენ გამოსა-
ხული. მათი შესამოსელი და თავსა-
ბურავები ოქროთი უნდა ყოფილიყო
შესრულებული, მაგრამ ახლა ამის არა-
ვითარი კვალი აღარ ჩანდა.

თეთრსა და ნათელ საღებავებს მე-
ტი ფერები სჭარბობდა. მონაცრისფე-
რო-მიხაკისფერი და მოშავო-ლურჯი
ტონები საყდრის შინაგან ხედს მოღუ-
შულს ხდიდა, ზურთომოძვრის გან-
ზრახვის მიუხედავად, მის სივრცეს სა-
ოცრად აპატარაებდა და ჩუქურთმა-
საც და ნახატსაც იმ ელვარებას უქარ-
გავდა, რომელიც მეთერთმეტე-მეთორ-
მეტე საუკუნეების ყველა ფრესკაზე
ყოფილი იყო.

1832 წლის გაზაფხულზე, ერთ ავ-
დრიან ღამეს ამ მიტოვებულ საყდარში
ფარული ქორწინების წესი სრულდე-
ბოდა.

გვარს თხუთმეტი წლის ბიჭი და
ცამეტი წლის გოგო იწერდნენ.
იოსება და ნათია.

იარალ გერმანოზიშვილის ყმა და
მოახლე.

მექორწინეთ განგებ ბნელი და ავ-
დრიანი ღამე ამოერჩიათ, რათა პირვე-
ლი ღამის სირცხვილს გაჰქცეოდნენ.

მღვდელი, ნეფე-პატარძალი და ორი
მეჭვარე ანთებული სანთლებით სა-
კურთხევებს გარშემო უვლიდნენ.

მოშორებით პატარძლის მამა იდგა,
ცალ ხელში იმასაც თაფლის სანთელი
ეჭირა და დროგამოშვებით სასოებით
პირჯვარს იწერდა.

ცანგალანთ ნათია და ფანდურაანთ
იოსება აყენებშივე იყვნენ დანიშნული
და სულ ერთად იზრდებოდნენ, სანამ
გოგოს სასახლეში ბატონის ასულის
მანანა გერმანოზიშვილის მოახლედ წა-
იყვანდნენ. ბიჭი დადარდიანდა, გულ-
ჩათხრობილი გახდა. თან იმასაც ამ-
ჩნევდნენ, რომ ბატონი ნათიას სულ
თავს დასტრიალებდა, თვალს არ ამო-
რებდა და „პირველი ღამის უფლების“
აღსასრულებლად თადარიგს იჭერდა.

ქამიანობის დროს დახოცილი მშობ-
ლების ბიჭი ყველას ებრალებოდა. გან-
საკუთრებით მანანა გერმანოზიშვილის
გამდელ გაიანეს, რომელიც ბიჭს არც
მზრუნველობას აკლებდა, არც სიყვარ-
ულს. მაგრამ როცა გოგოს მამამ,
სოფლის ნაღბანდმა და თავკაცმა, ფა-
რული ქორწინების განზრახვა მღვდელს
და ორ მეზობელ გლეხს გაანდო, გაი-
ანეს არაფერი უთხრა, რადგან ამ უქმ-
როდ და უძეოდ გადაგებულ ქალს მზე
და მთვარე მანანა გერმანოზიშვილზე
ამოსდიოდა და ბატონების ძალღივით
ერთგული იყო.

პატარძალი ნიბლიასავით იყო განა-
ბული.

ნეფე ამაყად და თავმომწონედ იდ-
გა.

პატარა, მაგრამ ნაზი და პირმშვე-
ნიერი გოგო თავის ნეფეს მხრებამდე
ძლივს სწვდებოდა.

ბიჭი კი ახოვანი იყო და ვასაოცრად

ლამაზი.

გამხიარულებულ მეჯვარეებს ნეფე-პატარძლის თავებზე მალა, სულ მალა აეწიათ გრძელტოტებიანი სოფლური გვირგვინები.

მათ შიშის ნატამალი არ ეტყობოდათ. ისინი მუდამ მხარში ედგნენ ნალბანდს, რომელიც ალოობას და კალოობას რვა სოფლის ხარ-კამეჩს სჭედდა, სოფლიდან სოფელში გადადიოდა და კარს ყველგან პატივისცემით უღვინდნენ.

პატარძლის მეჯვარე მეწისქვილე იყო, ბრგე და თვალტანადი ახალგაზრდა გლეხი.

ნეფის მეჯვარე, ტანმორჩილი და თვალცუღლუტი ბიჭი, მენახიარე.

მღვდელი, შუახნის მამაკაცი, ღონიერიც ჩანდა, ღვთისნიერიც და წარბშეუხრელიც. ისეთივე მეტყველი სახე ჰქონდა, როგორც იოანე ნათლისმცემელს, რომლის თავიც საყდრის გადმონგრეული კედლის თავზე ეკიდა და ჩამოვარდნაზე იყო.

საყდარში ბნელოდა.

გარეთ ავდარი ბობოქრობდა. მრისხანედ ხმაურობდა ხევში მდინარე და მექორწინებებს საყდრიდან მშვიდობიანად გასვლის რწმენას უძლიერებდა.

ისინი სხვა რამესაც ვარაუდობდნენ, როცა ავდრიან ღამეში ღვთისმშობლის საყდარში მოდიოდნენ.

გიორგი XII-ის სოჰბათ-იასაული და ნახურის ბრძოლის მონაწილე იარაღ გერმანოზიშვილი, როცა რუსეთის წინააღმდეგ რამდენიმე აჯანყება მარცხით დამთავრდა და განზე გადავა, მან სპარსეთში დაექსანდრე ბატონიშვილთან გაქცეული თავისი ვაჟი, დავითი უკან დააბრუნა და გავლენიანი თავადების დახმარებით ჰუსართა პოლკში შეიყვანა.

შინ ფეხმოუცვლელად იჯდა, წამებულს თამაშობდა და ყველგან „პეტერბურჰელი იასაულები“ ელანდებოდა. სულ დაქერაზე ლაპარაკობდა, მაგრამ არავინ იჰერდა. პოლიტიკისაგან მოცილილი თავადი ან ნარდს თამაშობდა,

ან ტაბლას უჭდა, ან მაჯამებს წერდა, ან წირვაზე გლეხის ლამაზ ვაგონებზე თვალი ექირა, ან სასახლის მოახლეებს და პირისფარეშებს ელაციცებოდა.

მექორწინეთ სწორედ იმის იმედი ჰქონდათ, რომ იარაღ გერმანოზიშვილი ქოშებს აღარ იძრობდა და შინიდან გარეთ ცხვირს აღარ ჰყოფდა.

მღვდელი მაინც ჩქარობდა.

პატარძლის მამასაც ყური ხაყდრის ნებზე ელო.

გარეთ ავდარი ძლიერდებოდა. საყდრის სარკმლებში ელვა ეტლიანებოდა.

ჰქუხდა.

შეშინებული პატარძალი ნუერივით თრთოდა.

როცა ელვა ერთი წამით საყდარს ანათებდა, უთავო, უტანო და უხელფეხო ანგელოსების და წმინდანების ნავლელებით მოფენილი საყდრის კედლები შემზარავ შთაბეჭდილებას სტოვებდა, განსაკუთრებით შიშით აჯანყებულ პატარძალზე, რომლის გამხნეეებას ნეფე ამაოდ ცდილობდა.

— მოდი, მეკრღში ჩაიკარი შენი შვილები! — მოესმა მღვდლის სიტყვები ნალბანდს.

ნალბანდი გატეხილი ნაბიჯით გაემართა ახლად დაქორწინებულებისაკენ, თვალებიდან ორად-ორი ჯურცხალი ჩამოეწურა, ქალს მოეხვია, გულში ჩაიხუტა და გაბზარული ხმით ძლივს აღმოხდა:

— შვილო, ნათია, შენ დაგენაცვლოს მამილო!

მერმე სიძეს გადაეხვია და გულმხურვალედ გადაეკოცა.

2. გათოქილი გეგორჯინედი

ყმის ყველაფერია, სულს გარდა ბატონსაა.

გაბტანგ IV

მექორწინეთა სისარული დიდხანს არ გავრძელებულა.

გარეთ თითქოს ცხენის ჭიხვინი გაიხსმა.

ვევლამ ურები ცევიტა.

— ქარია! — უდარდელად წამოიძახა ნეფის მეჭვარემ.

— ქარია! მაშ არა და! — კვერი დაუკრა პატარძლის მეჭვარემ.

— არა, არა, ბატონია! — ანქარებით წარმოთქვა წინათგარძნობით შესფოთებულმა ნალბანდმა.

გარედან მკაფიოდ მოისმა ადამიანთა არეულ-დარეული ხმები, ბოლოს კივილ-ხვილიც.

— ბატონია! — დაადასტურა მღვდელმაც და სახე მოელეშა.

საყდრის რკინის კარს იარალ გერმანოზიშვილი მუშტებსა და წიხლებს უშენდა, თან ყვიროდა და იმუქრებოდა.

— არ გიუღო კარო! — უთხრა ნალბანდს მეწისქვილემ.

— არამც და არამც! — მიაყოლა სიტყვა მენახირემ.

ნალბანდმა მღვდელს შეხედა.

— რა გქნათ, პავლე მღვდელო?

— რაკი ამ აგდარში თავზე დავგადგა, — თქვა მღვდელმა, — კუტივით შინ დაგდებულმა ბუხარიც დასთმო და ქოშებიც, ვედარსად წავუვალთ.

ნალბანდმა კარის ურდული გამოწვია.

იარალ გერმანოზიშვილი ღრიალით შევარდა საყდარში. მას თან შინაყმებიც შეჰყვნენ ანთებული მასხალებით. დაბნელებული საყდარი წითლად განათდა. ახლა უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ჩამორეცხილი ფრესკები, აქა-იქ გადარჩენილი ანგელოსების, წინასწარმეტყველების, მოციქულების, მახარობლების, წმინდანების და ფეოდალების გამოსახულებანი.

იარალ გერმანოზიშვილმა ავიდა შეათვალიერა მექორწინენი.

მღვდელს მიადგა და მიახალა:

— პავლე მღვდელო! ბატონის ურნობა გაიოზ რექტორმა გასწავლა?

იარალ გერმანოზიშვილი მუდამ ირონიით ლაპარაკობდა თელავის და ანჩისხატის სემინარიებზე, სადაც

ღვთისმეტყველებას რუსეთის სემინარიების პროგრამებით ასწავლიდნენ.

მღვდელმა მშვიდად მიუგო.

— მე უფლის ნება შევესრულე, თავადო!

— უფლის? რომელი უფლის? — ვერ გაიგო იარალ გერმანოზიშვილმა, დაიბნა და პირი დაალო.

— ქორწინება ზეცაში ხდება! — უფრო მტკიცე ხმით მოაგონა მღვდელმა.

— ვეუო და! — გაბრაზდა იარალი, — აქაოდა რუსთ ხელმწიფემ ყმობიდან ამოგიფხვანა, რუს სალდათს ვახტანგ მეფის სამართალი გაათელინა, ყმები უნდა ამიბუნტო?!

— რა კარგი გქენი, — გაიფიქრა მღვდელმა, — რომ არც მაგას ვენდე და არც მაგის ვაჟს დავითს“.

მღვდელს ახლაც უბეში ჰქონდა გადაძალული ფილადელფოს კიკნაძის წერილი, რომლის შინაარსს მხოლოდ სანდო აზნაურებს და თავადებს უკითხავდა იარალი ნეფის მეჭვარეს მიუბრუნდა.

— შენც გამყიდე, ქიტესავ?

ქიტესამ ახალუხის სახელოთი ცხვირი მოიხოცა, მაგრამ თავი მინც არ ჩაქინდრა.

— ბიჭო, ფილო! — მოინდომა გახუმრება იარალმა, — შენ ნახირში არ უნდა იყო, აქ რა გინდა?!

ფილომ ცუდლუტად გაიღიმა, მაგრამ მარჯვენა ხელით მალა აწეული გრძელტოტიანი სოფლური გვირგვინი დაბლა არ დაეშვა.

იარალი ცუდად ანთებული ნაფოტივით ქრებოდა, სიბრაზე თანდათან უწელდებოდა და ჩამოშვებულ ლოყებზე გულუბრყვილად ღიმილი ეფინებოდა. ნეფეს დააცქერდა და ერთხელ კიდევ გაუკვირდა:

— ბიჭო, სოსიკო, შენ უფრო ლამაზი ხარ, თუ შენი ცოლი?

პატარძალი შეათვალიერა და ნაკლული კბილებით ბილწურად გაუღიმა.

— შენ რალა ღმერთი გაგიწყრა, თევდორე, სოფლის თავაკაცა და ჰუის

დამრიგებელს? — გულწრფელი საყვედურით მიმართა პატარძლის მამას იარალმა. ნალბანდი მუხლებზე დაეცა, ბატონს შეპლალადა:

— ნუ წაგვახდენ, ბატონო, შენი მუხლების კირიმე!

პავლე მღვდელი უფრო მოიღუშა და პირქვედამხოზილ ნალბანდს თვალი აარიდა.

მეჭვარეებმაც განზე გაიხედეს.

ფანდურაანთ იოსებმაც თავი ჩალუნა.

იარალ გერმანოზიშვილი თითებით დიდხანს აწვალებდა გრძელი თეთრი უღვაშის ბოლოს, დიდხანს უყურებდა მის წინ მუხლებზე დაცემულ ნალბანდს, სიამოვნებას ჰგვრიდა მისი ყმური მორჩილება, და მრგვალი, ოდნავ შეშუპებული პირისაზე სულ უფრო და უფრო ლმობიერი უხდებოდა. ისევ საყვედურით უთხრა თავის ყმას:

— კარგი კაცი ხარ, თევდორეგ, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ ის, რაც ბატონისაა, იმას წინ რათ უღებო? ღმერთი გიწყენს. არ გაგიგონია, კვისარსა კვისარისაო! ასე არ არის, პავლე მღვდელი?

რაკი იარალ გერმანოზიშვილმა მღვდლის დაგრძელებულ სახეზე ერთდროულად რისხვაც ამოაქოთხა და ზიზღიც, კვლავ წაეკიდა სიბრაზის ცეცხლი, წელანდელივით აყვირდა, აღრიჟა და მოურავს გადასძახა:

— პატარძალი გარეთ გაიყვანეთ!

ნეფემ პატარძლისაკენ გაიწია, მაგრამ მკლავებში მყისვე ბატონის შინაყმები ჩააფრინდნენ.

— ეგენი გათოკეთ და აქ დაყარეთ, — გასცა განკარგულება იარალმა, — ამ ავდარსა და ღამეში სად უნდა ვართოთ? გათენდება და ყველაფერს დაწვრილებით მოგკითხავთ, პავლე მღვდელსაც სამართლის იმ მუხლს ვაპოვინებთ, სადაც ყმის ყველაფერი, სულს ვარდა, ბატონის კრძალ არის დადგენილი. — თქვა და საყდრიდან გააბოტა.

შინაყმებმა მექორწინეთ საყდრის რკინის კარები გადაუკეტეს. იარალ გერმანოზიშვილმა აბობლდა თავის ცხენზე და მოურავს, რომლის მკლავებზე გულწასული ნათია იყო გადასვენებული, ყველას გასაგონად ხმამალა დაუყვირა:

— გეზი ფონისაკენ დაიჭირეთ!

მაშხალეზიანი შინაყმები წინ გაიძლოლა და ცხენი აღიდებული მდინარისაკენ დაძრა.

8. დახსენილი ბლანდები

— პა, დიდება მოწყალესა
ჩემი საქმე არის ეს!
არსენა ლექია

გათოკილი მექორწინენი მღუმარენი ეყარნენ საყდრის ცივ ფილაქანზე. ერთხანს მხოლოდ ფანდურაანთ იოსებმა ბორგავდა, წრიალებდა და თითქოს ბოდავდა კიდევ. მღვდელს შეეცოდა და დაუჭვავა:

— მოისვენე, ბიჭო, ყველა ის ლოცვა თქვი, მე რომ ვასწავლე, გულზე მოგეშვება.

რაკი სასულიეროსთან ერთად სიერო ლიტერატურაც კარგად იცოდა, მაშინვე დასძინა: — კირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითყირსა.

— პაი, პაი, რომ ეგრეთ — ამოიგმინა მეწისქვილემ.

— ეგრეთ, მაშა! — აღტყინებით აიტაცა უფროსების სიტყვა მენახირემაც და თანაგრძნობით გადახედა ურებჩამოყრილ ნეფეს.

— არა ნახეთ, ხალხო! ამ უღვთო ბატონმა არც ლომკაცის ნამიერი დაინდო! — აღშფოთებით წარმოთქვა მღვდელმა.

გლეხებმა თავები გიდიქნ-გადმოიქნიეს. ლომკაც ფანდურაშვილი გერმანოზიანთ აღამდარი იყო, ერეკლე მეფის ომების მონაწილე, მათ ყველგან ახლდა და ერთგულად ემსახურებოდა.

აქამდე თავჩაქინდრულმა, ღრმა ფიქრებში წასულმა თუ დარეტიანებულიმა ნალბანდმა მუხლის თავებიდან თავი იღო და სიძეს ვასძახა:

— აბა, ერთი ჩემკენ ზურგით მონოჩდი, სოსიკო!

თევდორე ნალბანდმა, რომელსაც ხარ-კამეჩის დასაქედად ათასჯერ ჰქონდა გაკვანძული და ვახსნილი საბულები, ჯერ თითების ნელი და ფრთხილი, ხოლო შემდეგ აჩქარებული მოძრაობით სულ ადვილად გაუხსნა თოკის ბლანდები საგულდაგულოდ გათოკილ ნეფეს. სოსიკომ სიმამრს თოკის ყველა ხლართი ხანჭლით გადააქრა და მღვდლისაკენ დაიხარა. სიმამრმა ხელით შეაჩერა.

— არა, ეგენი ეგრე იყვენენ, მაგათ ცოდო-ბრალს ნუ დაეიდებთ. — სიძეს მხარზე ხელი დაადო და უთხრა: — იცი რა უნდა გააკეთო?

— ვიცი! — კბილებში გამოსცრა სიძემ და მყისვე ჰკითხა სიმამრს: — შენა?

— მენა? — თევდორემ თვალდან ცრემლი მოიწმინდა და ძლივს ამოღერდა: — მენა? მენა?... მე ნათია უნდა დავმარხო, ცრემლი დავაყარო. გვირგვინი პავლე მღვდელმა უკურთხა, ანდერძსაც ეგ აუტეხს!

— რას ამბობ, თევდორე! — შესძახა შეძრწუნებულმა ნეფემ.

— ჩემი შვილია, ჩემი ვაზრდილი. შერცხვენილი თავს არ იცოცხლებს.

— თავი როგორ უნდა გაიმეტოს ბლარტივით გოგომ... — აუკანკალდა ხმა გულმაგარ მეწისქვილეს.

— ნათიას სიკვდილი როგორ იფიქრე, კაცო! — დაიყვირა თავგზადაკარგულმა მენახირემ და ხმაში ცრემლი გაუჟრია.

— რაღას ვიზამთ? — დინჯად წარმოთქვა ნალბანდმა. — ნათიას ველარაფერს ვუშველით, თავლაფდასხმული სოფელში არ გამოჩნდება. მაგრამ... არც ბატონს შევარჩინთ ავკაცობას.

თუ პავლე მღვდელს პატარძლის მამის წყლანდელმა თავის დამცირებამ ზიზღის მსგავსი რაღაც გრძნობა მოკგვარა, ახლა ანთებული თვალებით აღტაცებით უყურებდა მას. თქმით კი

კრინტს არა სძრავდა, რადგან ლეთის მსახურს მკვლელობის წაქეზება არ შეეძლო.

სიმამრმა სიძე გადმონგრეულ კედელთან მიიყვანა და ერთხელ კიდევ დაარიაგა:

— მოსახდენს რომ მოახდენ, ნურც თრიალეთის გზას დაადგები, ნურც დმანურს. ქალაქის გზას დაადექი, იქ ძებნას არ დაგიწყებენ.

თოკების გრეხასა და ნალების ქედვაში გაწაფული თითები ერთმანეთში მაგრად ჩაქდო, ხელის გადაქდობილ გულებზე სიძეს ფეხი შეადგმევიანა და თან მხარიც მიაშველა.

როცა ფანდურაანთ იოსება ჩამონგრეული კედლის ხერხელში გადაძრომის ცდილობდა, ზურგით ჩამოშლილ ფრესკას მოედო და კიდევ უფრო ჩამოანგრია.

იოანე ნათლისმცემლის თავი ზრიალით დაენარცხა საყდრის იატაკზე და ქოქში გაიშალა.

4. მკვლელი

მაგრამ ვანგებამ დაწერა მათი საქმე იმ ფურცელზედ, რომლისგანაც არა იწმინდება რა უსისხლოდ.

გრიგოლ ჩრეულიშვილი, „ანუა ბატონისშვილი“

ფანდურაანთ იოსებს გზას ელვა უნათებდა. თითქმის სირბილით ჩარბოდა თავდაღმართში. ამ მიდამოებს კარგად იცნობდა, რადგან აქაურ ტყეში თევდორე ნალბანდთან ერთად ნადირობდა, მდინარეზე კი ბადესა შლიდა.

დაუბრკოლებლივ ჩაირბინა საურამე გზა, რომელიც მარიამობას ჩარდახიანი ურმებით იყო გაქვდილი. ფონს მიაღდა, გაღმა გავიდა და სოფლის გზას შეუყვა. სამღებროსთან გაშეშებული გაჩერდა. უცებ მოაგონდა, რომ როცა მექორწინენი სოფლიდან გადიოდნენ, ძველი საბაჟოს ნანგრევებთან ბატონის მოურავი დალანდა, მაგრამ ბედნიერებისაგან თავბრუდახვეულმა ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ყოყმან-

ნობდა, ვერაგზით ვერ იხსენებდა მოეჩვენა თუ ნამდვილად ის იყო: ჭერ თხუთმეტი წლისაც არ იყო, მაგრამ სხვა გლეხებივით კარგად იცნობდა აცუციობით განთქმულ მოურავს, რომელიც გერმანოზიშვილის ყმებს ზურგზე ბოლს ადენდა.

ბატონიც, ალბათ, იმან შეაგულიანა. იარაღი დარში გარეთ არ გამოდიოდა, ავდარში რა გამოიყვანდა?!

არც გზას მოერიდა, არც მდინარეს, ქალას, ტყეს და ღვთისმშობლის საყდრის აღმართებს.

არა, სამღებროსთან ნამდვილად მისმა ლანდმა გაიელვა და ისე სწრაფად გაქრა, რომ ვერავინ იფიქრებდა ძეხორციელი იყო, თუ ჩრდილის უბრალო თამაში ნანგრევების კედელზე.

ასეთი ფიქრები უტრიალებდა თავში ბედლამწვარ ქაბუჯს.

სიბრაზე უარესად შემოენთო. შურისძიების გრძნობა გაუორკეცდა.

ფეხს აუჩქარა.

სოფელს ღრმა ძილით ეძინა.

სინუშეს მხოლოდ ძაღლების ყეფა და გნისი არღვევდა.

გლეხების ქოხმახები და მიწურები რომ გამოჩნდა, ფანდურაანთ იოსებმა ნაბიჯი შეანელა, ყურადღება დაძაბა. არსაიდან არც ჩქამი მოისმოდა, არსად არც ცეცხლი ბეუტავდა.

თევდორე ნალბანდის სახლიდან მკაფიოდ მოესმა დედაკაცის ტირილი.

გაუკვირდა. შეჩერდა.

ნალბანდის სახლში დედაკაცთაგან არავინ ცხოვრობდა. ნათიას დედაც ეამიანობის დროს იყო გარდაცვლილი. ჭერ ისევ ჭარმაგი ნალბანდი ცოლს არ ირთავდა. დაობლებულ ნათიას, ისევე როგორც იოსებს, გაიანე უვლიდა და პატრონობდა.

ფანდურაანთ იოსები მყისვე მიხვდა, რომ ნალბანდის სახლში მისი ნათლია მოსთქვამდა და ვიშვიშებდა.

გაიანე ცხარე ცრემლსა ღვრიდა და ურვით იძახდა:

— ეს რა მიყავი, ბიჭო, სოსიკო!

ყელი რაზე გამომჟერი?! ნათიას ვილა უშველის, მაგრამ შენ რომ რამე დაგე მართოს, მე რაღა მეშველებმა!

ფანდურაანთ იოსებს გული აუჩუყდა.

მოდუნდა.

მაგრამ მას გაიანეს ქუეის დარიგებანიც გაახსენდა.

მისი ნათლია ხშირად ეუბნებოდა ხოლმე:

— ბიჭო, სოსიკო, გაიანე შემოგველოს! უფლისა და ბატონის ნებას წინ არ უნდა დაეუღდეთ. ღმერთმა ზოგი ბატონად გააჩინა, ზოგი ყმად. მამაზე-ციერმა ასე ინება.

ფანდურაანთ იოსებს ახლა პავლე მღვდლის ნათქვამიც აგონდებოდა. ეს ღვთისნიერი კაცი, როცა გერმანოზიანთ დიდი ტაძრის ვალავანში გლეხებს შორის იჭდა თავის ვაცვეთილი ანაფორით, სულ სხვა რამეს ლაპარაკობდა. უფლის სიყვარულს ისიც ქადაგებდა, მაგრამ ბატონის მორჩილებაზე კრინტს არა სძრავდა. პირიქით, სახარებიდან მაშვრალთა განკითხვის, და ხელისაპყრობის მაგალითებს ასახელებდა.

იოსებს თვალწინ ისევ ერთბაშად დაბერებული და კიდევ უფრო გათეთრებული თევდორე ნალბანდი დაუდგა.

საჩქაროდ გასცდა სოფლის ქოხმახებსა და მიწურებს და ბატონის სასახლის გზას დაადგა.

სასახლეში ნავალიც იყო და ვარშემოც უტრიალებდა, რადგან სულ იმას ცდილობდა, რათა შორიდან ან ახლოდან ნათიასათვის მოეკრა თვალი. ზანსად უხვდებოდა და ზანსად.

სად არ უთვალთვალებდა!

ბატონიანთ წყაროსთან, როცა ახალგაზრდა ქალბატონი ვერხვებთან სეირნობდა, წირვავზე ტაძარში, როცა ბატონის ასული ხატებთან დაჩოქილი გულმხურვალედ ლოცულობდა, ნათია მას მლოცველებში თვალით დაეძებდა.

ფანდურაანთ იოსები ბატონის სასახლეშიც ხშირად დადიოდა, ვითომც გაიანეს სანახავად და მოსაკითხად. მხოლოდ მისმა ნათლიამ იცოდა, რომ

ეს ობოლი, მაგრამ ძალზე ლამაზი ბიჭი მასთან თავლის კვერისა და ნათელ-მირონობის გამო არ მიდიოდა. თანდათან შიში იპყრობდა, რადგან ნათიას ბატონი ისეთი თვლით უყურებდა, რომ მისგან იმასვე მოითხოვდა, რასაც გლეხის სხვა ლამაზი ქალებსაგან თხოვლობდა.

თან იმასაც გრძნობდა, რომ არც ქალის მამა და არც მისი საქმრო იმას ვერ აიტანდნენ, რასაც ზოგიერთები იტანდნენ.

მისი შიშის მიზეზიც სწორედ ეს იყო.

ამიტომ თავის გაზრდილ და ნათელულს წამდაუწუმ ამას ეუბნებოდა:

— ბატონი იმისთვისაა ბატონი, რომ ჩვენისთანებზე იბატონოს, ჩვენ იმისთვისაა ვართ ყმები, რომ ბატონს ვემსახუროთ. ღმერთს ასე გაუჩენია და ყველა ქრისტიანი ადამიანი ისე უნდა მოიქცეს, როგორც ზეცაში დაუდგენიათ.

პაეღ მღვდლის ნათქვამს ფანდურაანთ იოსები კარგად იმახსოვრებდა, ნათლიის ჩამოკრულებს კი ივიწყებდა. მხოლოდ ხანდახან ტეტოური გულუბრყვილობით წამოსცდებოდა ხოლმე ის, რასაც მას გაიანე ეუბნებოდა. ნაცადი, ათასნაირ ჭირში გამოვლილი ნალბანდი სწრაფად უღებდა ალღოს ბატონიანთ გამდელის ნათქვამის აზრსაც და მნიშვნელობასაც. ამან კიდევ უფრო დააჩქარა ფარული ქორწინების განზრახვა.

როცა ფანდურაანთ იოსები ბატონის სასახლეში გაიანესთან მიდიოდა ან მისგან ბრუნდებოდა, სასახლის კიბეებზე, ტალანებსა და დერეფნებში იმდენხანს ტრიალებდა, სანამ მანა გერმანოზაშვილს და მის მოახლეს წაწყდებოდა ხოლმე. ახალგაზრდა ქალბატონი მას განცვიფრებული ამტერდებოდა. მისი სილამაზით მოხიბლულს ტუჩები ეპობოდა და თვალები ენისლებოდა, რადციით შეშფოთებული სწრაფად პირჯვარს იწერდა და უფრო გარბოდა, ვიდრე მიდიოდა.

იოსებმა ქურდის სიფრთხილით აიარა სასახლის ჩაბნელებულნი კამრები. დერეფნებში ლანდივით კედელზე აკრულმა იარა და ბატონის საწოლ ოთახს დაუბრკოლებლივ მიადწია. კარს ჩაუქეტავი დახვდა. ნელა მიაწვა და ჩუმად გააღო. საწოლ ოთახში, ბუხრის თავზე თითბრის ძველებურ შანდალში ერთადერთი სანთელი წკაპუნით იწვოდა. ბნელ ოთახში მხოლოდ საწოლი იყო ნახევრად განათებული. გაშიშვლებული და თმაგაწეწილი ნათია საწოლთან იატაკზე უშწეოდ გართხმულიყო, თავი ხის მრგვალ საკარცულზე დაედო და გულამოსკვნით სლუკუნებდა. ბატონი სარეცელზე გაშხვართულიყო. როკინა თავი სასთუმალზე უდარდელად მიედო და ხვრინავდა.

ახალგაზრდა გლეხი ზიზღმა და სიძულვილმა გააკავა. ნამუსახილი ცოლის დანახვამ კი უფრო მეტად აღანთო შურისსაძიებლად. მის გულს ამ დროს ისეთი ბაგა-ბუგი გაჰქონდა, რომ ჩუმი ხმით მტირალმა ნათიამ უნებლიედ თავი მაღლა აიღო და გაშტერდა. მის წინ მისი უბედური ნეფე ხანჯალამოდებულ იდგა. ბედკრული ქალი სირცხვილმა დასწვა და ქმარს თვალი ვერ გაუსწორა. იოსები ერთი ნახტომით სარეცელთან გაჩნდა, ბატონს თავზე დაადგა და ჩასძახა:

— ბატონო!

იარალ გერმანოზიშვილმა გვიან გაახილა გაწითლებული თვალი და განცვიფრებისაგან პირი ღია დარჩა. წამოიწია, მაგრამ იოსებმა დაყვირება და წამოდგომა არ დააცალა, ორღესული ხანჯალი მკერდში ჩასცა და იქვე ვაათავა. მერმე სისხლიანი ხანჯალი სასთუმალზე გულმოდგინედ გაწმინდა, რათა ცოლისათვის კალთაში ჩაედო, მაგრამ როცა მისკენ მოტრიალდა, დაინახა, რომ მას დაწინდული დანა ეჭირა ხელში. იოსები მიხვდა, აიმღვრა, თვალებზე ცრემლები მოაწვა და ოთახიდან გავარდა.

როცა მკვლელი დერეფანში მირბოდა, ერთ-ერთი ოთახიდან ტანმალალი

გოგო გამოვიდა ანთებული სანთლით ხელში და უცნობის დანახვისთანვე შინარავე ყვირილი მორათო:

— ქურდი... ქურდი...

ბატონის ასული იყო, მანანა გერმანოზიშვილი.

იოსები ბნელ კიბეებზე კისრისტებით დაეშვა.

მკვლელი გაიქცა.

თავი ტყვეს მისცა.

მღევარი ხელცარიელი დაბრუნდა.

5. გირეზის მსახური

ეს იყო ძველი სათო ჩვეულება, რომელსაც უმეტესად ლამაზი ფეხების მქონე ასულები ველმოღინე კეთილსინდისიერებით ასრულებენ; მლოცველი ქალები და საწყისიშვიე წინდებსა და ფეხსაქმელებს იხდიან და ფეხშიშველნი წმინდა დავითის გელესიაში მიეშურებიან.

ფრიდრიხ ზოდენშტედტი, „1001 ღღე“

უშვილო ქალების წყაროსთან მამა დავითის მონასტრის ბერები შიმშილით გულშელონებულ ჰაბუკს წააწყდნენ. მწირი ეგონათ, შორიდან მომავალი მოგზაური მლოცველი. წყალი აკურეს, მოასულიერეს, სათუთად ასწიეს და საკანში შეიტანეს. როცა უცნობმა ჰაბუკმა შიმშილი და წყურვილი მოიკლა, ბერებმა ვინაობა გამოკითხეს. მწირმა კეთილ ბერებს მადლობა გადაუხადა და დასძინა, რომ თქვენთან ღვთისადმი ღტოლვამ მომიყვანაო, ძალზე შორი მზრიდან მოვდივარ და ამ ტაძრამდის დიდი გაჭირვებით და ვაივავლახით ძლივს მოვალწიეო. ბოლოს ბერებს შეეხვეწა თავიანთ წმინდა რკანში მიეღოთ და მსახურად დაეყენებიანთ. ბერები დათანხმდნენ, რადგან შეებრაღათ და თანაც ძალზე მოეწონათ ჰაბუკის გამზდარი და ფერმიხდილი, მაგრამ ლამაზი და სანდომიანი სახე. მას მზებდნილი ტანი ჰქონდა, საუცხოო წვერ-ულვაში და გრძელი დიდი ხნის მოუყვეცილი თმები. მწირი სახითა და გარეგნობით გერმანელების ქრისტეს

ჰგავდა, მკმუნეგარეს, მაგრამ ძალღონით აღსავსეს.

ახალგაზრდა მწირი დაუხარებლად ემსახურებოდა მონასტრის ბერებს.

წყაროდან კოცებით წყალს ეზიდებოდა. საკნებს ჰგვიდა. ტაძარში დამწვარ სანთელს აგროვებდა. ღამისმთველებს სუფრის გაშლაში შველოდა. და როცა მთაწმინდის შემოღამება დგებოდა, დაღლილი და დაქანცული ტაძრის გაღავანთან ჯდებოდა და ქალაქის სუსტი ცეცხლის კრთომას გარინდებული ვასცქეროდა.

ფანდურაანთ იოსები დიდხანს, დიდხანს იჯდა ხოლმე გაღავანთან, თავიჩინდრული და გულწაღვლიანი. მისი მუდამ დაღონებული, ნატანჯი და გაყვითლებული პირისახე ყველას ყურადღებას იქცევდა. ყველა გაკვირვებული უყურებდა. ჰაბუკს სულ არ უხდებოდა ბერის შავი სამოსი. ლოცვის დროს მოუხერხებლად იჩოქებდა და ამ დროს უფრო ზორბა მოჭიდავეს ჰგავდა, ვიდრე ღვთისმოსავ მწირს, თუმცა იგი ყოველთვის გულმხურვალედ ღოცულობდა ხატების წინ პირქვე დამხობილი და თვალებიდან ღამა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. დუღუნით წარმოთქვამდა პაულე მღვდელთან ნასწავლ ღოცვებს და არაფერი ეშლეებოდა. ბერებს მოსწონდათ ღოცვებით გართული, გულჩათხრობილი და მუდამ დაღვრემილი ჰაბუკი. არც ერთ მათგანს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ეს უცნაური მწირი გამოქცეული გლეხი იყო.

ბერების ახალგაზრდა მსახური მამადავითში სალოცავად მოსულთ იქვენულად ათვალეირებდა, წარბებს ქვემოდან ფრთხილი მზერით იყურებოდა, ოთხივე კუთხივე თვალი ეჭირა და გარეგარე დაიარებოდა, თითქოს ხალხში ყოფნა და ყრიაშული აწუხებდო. სამაგიეროდ თითო-ოროლა მლოცველს და ღამისმთვეელს, რომელთაც შეთქმული ცხვარი მამა-დავითში დასაქლავად აყავდათ, ხალისით ხედებოდა და რასაც ეუზნებოდნენ, ყველაფერს უსიტყვოდ

აკეთებდა. ეს დამფრთხალი და რაღაცით შეშინებული ქაბუკი ადამიანებს შორიანლო უტრიალებდა, მათთან კი მშვიდად მიდიოდა.

გულშემოყრილი ყმაწვილი ბერებმა იმ ადგილზე იბოვნეს, სადაც გარყვნილი დედაკაცის მიერ შეურაცხყოფილმა მამა დავითმა კვერთხი დაპყრა და წყარო გააჩინა. აქ დროული და ჭერ ისევ ახალგაზრდა ქალები მოდიოდნენ. წყაროს წყალს ეწაფებოდნენ და ღმერთს შვილის წყალობას ევედრებოდნენ. ფანდურაანთ იოსები უფრო ხშირად ამ წყაროსთან იყო. აქ მამაკაცთაგან არავინ ჩანდა, რადგან ქალების რიტუალის დარღვევას ერიდებოდნენ. ბალახებში გაშოტილ მწირს კი ყურადღებას არავინ აქცევდა. ღვთის შვილად თვლიდნენ და ზოგჯერ პურით და ყველით უმასპინძლებოდნენ.

მაგრამ მწირი მოვალე იყო დროდარო იჭ, მალა, ტაძრის გალავანში კოკით წყალი აეტანა და ეკლესიის მსახურებთან ერთად კენჭები დაერიგებინა ვასათხოვარი და უშვილო ქალებისათვის. ძველისძველ ჩვეულებას ქალები იმით ასრულებდნენ, რომ ეკლესიას გარშემო სამჯერ უვლიდნენ და ბედის გამოსაცდელად კენჭებს კედლებზე აყრავდნენ.

ყოველ ხუთშაბათს მამა-დავითის დაკლავილ ბილიკებზე ერთიმეორეს თეთრი ბატებივით მისდევდნენ თავდაბრილი, თეთრ ჩადრებში გახვეული და ფეხშიშველი მლოცველი ქალები. ამ დღეს ტაძრის ეზო ვასათხოვარი ქალებით და უშვილო დედაკაცებით ივსებოდა. სწორედ ხუთშაბათ დღეს ახალგაზრდა მწიფი მოთარებულებში დაბორილებდა, ან საკანში იყო ჩაკეტოლი. ბერებს ასე ეგონათ ეს პირმშვენიერი, ღონიერი და წარმოსადგეი ქაბუკი ქალებს იმიტომ ემალებოდა, რომ ცდუნებას არ აპყვეს და დედაკაცის გამო სული არ წაიწყმიდოსო. მისი ლამაზი პირისახის და ახოვანი გარეგნობის შემყურე ბერებს სხვა არაფერი არ შეიძლებოდა ეფიქრათ.

ერთ საღამოს ტაძრის გალავანში მანანა გერმანოზიშვილი გამოჩნდა. მას თან გაიანეც ახლდა. შავებში ჩაცმული ვადია და თეთრკაბიანი ყმაწვილი ქალი ტაძარში შევიდნენ, სანთლები დაანთეს, ილოცეს, მერე ტაძარს გარშემო შემოუარეს და ჩრდილოეთ კედლისკენ გაემართნენ. გერმანოზიშვილის ასულმა მორცხვად მიაკრა თეთრი კენჭი კედელს და მეტად გაუხარდა, რომ კენჭი კედელზე მაგრად დამაგრდა და დაბლა არ ჩამოვარდა. ეს წესი ვასათხოვარი ქალის რიტუალი იყო ქორწინების დასაჩქარებლად. თავადის ასული ამ წესს ისევე ასრულებდა, როგორც ვლებების, ვაჭრების და ხელოსნების ქალები ასრულებდნენ.

გახარებულ მანანას ბაგეზე ბედნიერების ღიმილი უერთოდა და სათნო სახეც ოდნავ შეფაცლოდა. აღტაცებული გაიანე მას შეფრფვივით შესცქეროდა და ტუჩების ცმატუნით ლოცვებს ბუტბუტებდა.

სწორედ ამ დროს ჩვეულებრივზე უფრო დაღონებული ბერების მსახური ქვის პატარა კიბეზე ამოდიოდა. წყლით სახსე კოკა მხარზე ჰქონდა შედგმული. როცა მან გალავნის ფოლორცზე ფეხი შედგა, უცებ მანანას გამდელს მოჰკრა თვალი და მაშინვე იცნო. ქალბატონი და გამდელი ზურგით იდგნენ. იოსებს ფერი ეცვალა და შეტორტმანდა. ზურგით ვალავნის კედელს მიეყრდნო, რათა უეცრად მუხლმოკვეთილი არ წაქცეულიყო. როდესაც მანანამ თავი მისკენ წყნარად მოაბრუნა, იგი ტყვიანაკრავივით მოსწყდა ფოლორცს და კიბეზე ისე დაეშვა, როგორც იმ საბედისწერო ღამეს ბატონის სასაზღის ბნელ კიბეებზე.

როცა გონებადაკარგული იოსები დაბლა ჩარბოდა, მან კინალამ ვადაწყარა კიბის ვიწრო საფეხურებზე მდგარი მლოცველი ქალები. ისინი დროზე გადგნენ ვანზე და შიშით პირჯვარი გადაიწერეს, თითქოს ავი სული მოვლანდათო.

იარალ გერმანოზიშვილის მკვლელობა

ქვევით თავქუდმოგლეჯილი გარბოდა და ისეთი სახე ჰქონდა, რომ ბილიეებზე გამწკრივებული თეთრჩადრიანი ქალები გაკვირვებით და შიშით გზას უთმობდნენ.

ბერებმა დამტვრეული კოკა იპოვნეს. მსახური კი ცამ ჩაყლაპა.

— უბრალო კოკის გატეხვამ ისეთნაირად იმოქმედა იმ ლეთისნიერ ყრმაზე, რომ იმულებული გახდა ჩვენგან გაქცეულიყო. — გაკვირვებით და სინანულით თქვა მონასტრის წინამძღვარმა. — განა თიხის დამტვრევისათვის მას ვინმე გაუწყრებოდა?

ბერებმა გვიან გაიგეს, რომ მათი ყოფილი მსახური მთაწმინდის შუკაბანდებში მოწყალეებას თხოულობდა და სახლის იაქთალებთან ხელგაშვებით იდგა.

6. გლახა

დამაიწყდა რაცა ვეყვ ოდენსე!
და აწ მხოლოდ დამშთა ესე ჩემს ბედად.
გრიგოლ ორბელიანი, „მეუა ბოქუღაძე“

ახოვანი და ბრგე აღნავობის ქაბუკი გლახა მხოლოდ ზიზღსა და გაოცებას იწვევდა მთაწმინდელებში.

თითო-ოროლა გულკეთილი ადამიანი თუ ჩაუგდებდა ხოლმე გროსს უფერულ პინაში, რომელიც მას მუდამ ხელში ეჭირა.

— ეი, ვირგლავ! — უყვიროდნენ გლახას თავმობეზრებული გამვლელები, — წადი იმუშავე. ხელი გაანძრე. ნუ მუქთახორობ. გრცხვენოდეს, ბიჭო!

არავინ იბრალებდა.

მაჰაკაეები დასცინოდნენ. დედაკაეები სწყევლიდნენ. გოგოებს მისი ლამაზი სახე მოსწონდათ, მაგრამ გლახას თავს როგორ გაუყადრებდნენ? ბანებზე გადმომდგარი შოლტივით გოგოები მას ქოქოლას აყრიდნენ, თან ცელქი კისკასით იძახდნენ: „ზარმაცობა თუ მკლავს უხუთავს, ქვრივ დედაკაცს მაინც შეუჩინდეს, ეგ ცოცხლად დასამარხი, ეგა!“ გოგოები სიცილით იხოცებოდნენ და თან ცდილობდნენ ეს სიტყვები ყურებ-

დაცქვეტილ დედებს, ბებიებს, მამიდები, დეიდებს და ძალუებს არაფერს გონათ. დეიდები, ბებიები, მამიდები, ძალუები, დედამთილები, სიდედრები და რძლები იქვე, ბანზე, პაწია სკამებზე ისხდნენ, ჭორიკანობდნენ, თითისტარებს გაჩქარებით ატრიალებდნენ, თავებს უკმაყოფილოდ აქნევდნენ და „იპის“ წამოძახებით ხელს იქნევდნენ ზორბა გარეგნობის გლახისაკენ, რომელიც იაქთაღთან საცოდავად ატუზული დაღონებული იდგა.

უბნის თავმომწონე ბიჭები ამრეზით გვერდში ჩაუვლიდნენ ხოლმე ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე გლახას. ბავშვები ამასხარაევდნენ, ათასგვარ სასაცილო სახელებს ეძახდნენ, აბრაზებდნენ და ძალუებს უსევდნენ. მიუხედავად ასეთი დამცირებისა, გლახა ერთხელ ამოჩემებულ უბანს არ შორდებოდა. ხალხით გაკედილ ქუჩებს, მოედნებს, ბალებს, ბაზრებს და ქარვასლებს ერიდებოდა. მარტო ვიწრო და ბნელ შუკებსა და ქუჩაბანდებში დაეხეტებოდა მუდამ რალაციით შეშინებული, დამფრთხალი და მშვიერად აღლილი და ძალღებისგან დაკბენილი.

იოსები ღამეს ცის ქვეშ ათენებდნენ განდობურული აივნის ქვეშ ეგდო და ეძინა. ცივ, ნაწვიმარ და თოვლიან ღამეს კი ეზოების თბილ თონეში ატარებდა. ძალღ-უმადღურად ცხოვრობდა. მოწყალეებით ნაშოვნ ლუქმან ლოდნიდა და წყალსაც კი თხოულობდა. ბევრჯერ გაუჩერებია კეთილ მეთულუხანეს თავისი ცხენი და მისთვის ჯამში წყალი ჩაუსხამს. მისი საქციელით ყველანი გაკვირვებული იყვნენ. უყვირდათ, რომ საღ-საღამათი ქაბუკი შიშშილით თავს იკლავდა და ხელის გაშვერას არ თაკილობდა. ვინ იყო? სადაური? არავინ იცოდა. ზოგნი ამბობდნენ სულელი არისო, მაგრამ მთაწმინდელებს მისი შეშლილობა არ სჯეროდათ. „რა ბრძანებაა! უქნარა და ბედოვლათი გახლავთო!“ ერთმანეთს კვერს უკრავდნენ დედაბრები და რძლები, როცა საღამ-საღამოობით ბანებზე ადიოდნენ

და ვარსკვლავებით მოჭედული ცის ქვეშ საჭოროიანოდ სხდებოდნენ.

იარაღის ვაჟი დავითი მას ოსმალეთის ვაზებზე დაეძებდა და საშინელი, მტანჯველი საკვდილით ემუჭრებოდა. იოსები დავითს გლახის სამოსში ემალეებოდა. საესებით გამოცვლილიყო, მაგრამ მაინც ეშინოდა, ყველგან მდევარი ელანდებოდა და ფრთხილობდა, რადგან ბუნდოვნად მაინც გრძნობდა, რომ მისი გარეგნობა, გლახის ძონძების მიუხედავად, ირგვლივ მხოლოდ ექვს აღვიძებდა. გამუდმებულ შიშსა და შიმშილს ჯერ ვერ მოედრიკა მისი მაგარი აგებულება, ჩვიდმეტი წლის ნაგლეხარი ჯერ კიდევ არ იყო გადაქცეული ჯანგატიხილ, დასუსტებულ, დაურდომილ მათხოვრად. მის სახეზე მხოლოდ შიში იყო აღბეჭდილი. მას ეშინოდა, ეშინოდა ბატონის ვაჟის შურისძიებისა და თმა ყალყზე დაუდგებოდა, რომ სცოდნოდა — ფანდურაანთ იოსები ზოგჯერ დავით გერმანოზიშვილის სახლის აივანსა და ფანჯრებს წინ ჩაუვლიდა ხოლმე.

ახალგაზრდა ნაგლეხარს მათხოვრობის რცხვენიოდა. გულს უკლაგდა ბრბოს ძაბილი: „ვირგლა! ეი, ვირგლა!“ კბილთა ღრქენით ებრძოდა შემოსეულ ძაღლებს და ისე გარბოდა, უკან კი ქვის სროლა, ღრინაცელი, ყვირილი და ძაღლების ყუფა მისდევდა. რომელიმე სახლის იაქთაღთან სულს ძლივს იბრუნებდა, კვენსოდა და ოხრავდა, მაგრამ არაფერ იყო მისი გამკითხავი. მტკერში ამოვანგლული, სახე ვათხუპნული, გასისხლიანებული, ტანსაცმელჩამოვლეული და დაფხრეწილი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ისევ გასაქცევად ემზადებოდა.

ღევნილმა და მიუსათარმა არ იცოდა რა ექნა, ან როგორ მოქცეულიყო, სად წასულიყო და ვის მიჰკედლებოდა. არც ის იცოდა, თუ ვინ ან რა იხსნიდა მას ამ ყოფისაგან.

დარეტიანებული დაეთრეოდა ყველაზე ბნელ, ყველაზე ვიწრო და მიმალულ შუკებსა და ქუჩაბანდებში.

მის მრავალგზის მნახველებს ეს უკვირდათ და ხელებს შლიდნენ, რადგან ის მხოლოდ მთაწმინდის მეჩხრად დასახლებულ ქუჩებში დალასლასებდა და აქ თხოულობდა მოწყალეობას. ქვევით კი, ქალაქში, გლახები ხალხმრავალ ადგილებს, ეკლესიებს, დუქან-ბაზრებს ეტანებოდნენ და მოწყალეობასაც იქ უფრო შოულობდნენ. თან შაბათის მაღლის მორწმუნე მედუქნეები გლახას ისე არ გაუშვებდნენ, რომ მის სანთლით განათებულ თეფშზე ხურდა ფული არ დაეყარათ.

ასე იქცეოდა შაბათ დღეს მოგებით ნასიამოვნები ყველა ვაჭარი, მედუქნე და ხელოსანი.

ეს უცნაური გლახა კი შაბათ-კვირასაც არ სცილდებოდა მთაწმინდას, სადაც არც დუქანი იყო, არც სახელოსნო.

მალე მან ყველას ისე მოაბეზრა თავი, რომ მოწყალეობას მისთვის აღარავინ არ იმეტებდა.

7. დელბაში

სადაც წვიმა, იქ დარიც გამოვა.
გრივალ ჩიუელისეული, „თამარ ბატონისეული“

სექტემბრის მიწურული იყო. უღრუბლო, კრიალა ცა ცხრაათვალა მზით იყო გაკაშკაშებული.

ცხელი, თეთრი ქალაქი, მიუხედავად უამრავი ბაღებისა, ვენახებისა და წილკოტებისა, მზის აღმურში თეთრად იწვოდა. სექტემბრისათვის უჩვეულო თაკირა პაპანაქება იდგა. სულის შემხუთავი ბული ზეცაში ოქროს მტკერივით იყო გაბნეული. ადამიანს სუნთქვა უჭირდა და ჩრდილს ეძებდა.

შიშშილისაგან მისუსტებული გლახა დიდრონი თუთების ჩრდილში მიგდებულიყო, ხილის ბაღის მაღალ ღობესთან. პირქვე გართხმულს გაბურძნეული თავი ყვითელ-მწვანე, ნახევრად გამხმარ ბალახებში ჩაედო და ჩასძინებოდა. ძილში იმუშუნებოდა, კვენსოდა,

ბუტბუტებდა, ხან ვილაცას უღიმოდა და უცინოდა, ხანაც ვილაცას უწყებოდა, უტევედა და ემუქრებოდა.

მზე შუბის ტარზე შედგა.

შუადღისას ცის დასავლეთ კაბადონზე ღრუბლის პატარა თეთრი ქულა გამოჩნდა. მთის გრებილზე იგი შეუმჩნევლად ამოცოცდა. თანდათან გადიდდა, გაიზარდა, დამრგვალდა, გაფართოვდა, წოწოლა გახდა, ბოლოს მოკრიალებულ ზეცაში გაიშალა და თოვლის ზვინივით დაიხვრა. ცარგვალი ერთბაშად მოუსვენრად მსრბოლავი ღრუბლებით გაივსო. ზეცა იღრუბლებოდა და იღუშებოდა. ჩრდილი სინათლეს სდევნიდა. ერთ მხარეს მზე რომ ჩახჩახებდა, მეორე მხარეს უკვე ბნელოდა. აკვალის მწვანე ქალები დაბნელებული იყო, შაიტახტის ტერასიანი ბალები კი ისევ მზეში ეკიდნენ.

დასავლეთის მხარეს თვალნათლივ გამოისახა წვიმის ფარდები. იქით უკვე წვიმდა. მრუმე ღრუბლები გასქელდნენ და მზის შარავანდედს ყველგან გზები მოუჭრეს. აქამდე მზიარულმა ბუნებამ მოიწყინა და გაიანბა. წვიმის წინ ქალაქი გაურკვევლად ხმაურობდა და ყრუდ დუღუნებდა. ბებერმა თუთებმა ტოტები სატირლად დაბლა ჩამოუშვეს. მერცხლებმა სულ დაბლა იწყეს სრიალი. ამღვრეთულ ზეცაში რომელიღაც მტაცებელი ფრინველი გაჩქარებით მიფრინავდა. ამოვარდნილმა ბორიომ მთაწმინდას თბილი სუნი მოჰბერა. ალაგ-ალაგ წინწყვლა დაიწყო. თვალი გარკვევით ამჩნევდა წვიმის მსხვილსა და გრძელ წვეთებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებით შუბილით ცვივოდნენ გაცხელებულ მიწაზე. წვიმის წვეთები მრავლდებოდნენ, ერთდებოდნენ, განიერ ზოლებად ლაგდებოდნენ და ეს მოძრავი ზოლები თვალისდაბნაშამებში ყველგან წვიმის ფარდებს ქსოვდნენ. წვიმა უკვე გაჩქარებით და ყინიანად მოდიოდა. წყლისჩხრიალი და ხმაური მატულობდა. უეცრად დაღვრემილი ზეცა ელვამ გააპო. ქვეყანა გაანათა, ქუზილმა დაი-

გრგვინა, პაერი შეირყა, სამგოჭთან მგუნი გავარდა. ერთი წამით ძრწოლს მთამგვრელი დუმილი დამკვიდრდა. მერე ცის ოთხივე კაბადონი ბნელში ჩაიღუბა, ცამ დაბლა ჩამოიწია და მთელი ქალაქი კოკისპირულ წვიმაში ჩაიძირა.

გლახა თოფნაკრავივით წამოვარდა ზეზე.

საშინელ დელგმაში გამოღვიძებული ერთხანს ერთ ადგილზე გიჟივით დარბოდა. მის თავზე ცა გრგვინავდა. ხეები საზარლად შრიალებდნენ. თუთის ფოთლებში წვიმის წყალმა გამოხეთქა და თავლია გლახა სულერთიანად გაწუწა. ციემა წვიმამ გამოაფხიზლა, ჩაბნელებულ ზეცას საყვედურით აპხედა და ფართოდ გაღებული თვალებიდან ლოყებზე სიმწრის ცრემლები ჩამოედინა. აქეთ-იქით გაიხედა, მაგრამ ახლომახლო ძე-ხორციელი არ ჩანდა, არც სახლი იდგა სადმე. ბოლოს კომბალი მოიშარჯვა და ქალაქის მიმართულებით ჯიუტად გააბოტა.

იოსებს წვიმა უმოწყალოდ სწუწავდა. შიშველი ფეხები წვიმის წყალსა და ტალახში ეფლობოდა. ყველგან გუბეები და ტბორები ხედებოდა გაჭირვებით მილაჯებდა და გაჩენის დღეს სწყველიდა. წინ კი არავინ და არაფერი ჩანდა. არც ადამიანი, არც სახლი, არც ყორე და კედლის ნაცლეკი, არც რამე თავშესაფარი. სიბნელე და წყედიადი სულ უფრო და უფრო მატულობდა. დამდებოდა. ვარემო განუჭკრეტი ხდებოდა. დროგამოშვებით მოკუმრულ ზეცას ელვა ბზარავდა და ჩაბნელებული ქალაქი ალიონივით ნათდებოდა.

წვიმა ძლიერდებოდა.

ადიდებული ნიაღვრები მამა-დავითის მთიდან ლოდებს ყურისწამლები ზათქით მოაქანებდნენ. ნიაღვრებში მოხვედრილი გლახა ძლივსღა იგნებდა გზას. ირგვლივ არაფრის დანახვა არ შეეძლო. ნიაღვარში მტხლებამდე მდგარი განწირულივით ყვიროდა, მშველელს უძახდა, მაგრამ მშველელი არსად ჩანდა. მოზვავებული ლოდები

მას წარამარა აქცევდნენ, ისევ ფეხზე დგებოდა, თვალების ცეცებით წინ მიდიოდა, მაგრამ ფეხებში მოხვედრილი ლოდი ისევ დაბლა ანარცებდა. გლახას თანდათან ძალა ელვოდა და სასოწარკვეთილს ასე ეგონა ღმერთი და ადამიანები შეთქმულიყვნენ, რათა იგი ნიღვრებში ამოეხრჩოთ. მხოლოდ სიცოცხლის წყურვილს და თავის ვადარჩენის წადილს მიჰყავდა იგი თავდაღმართში, რომლის ბოლოს უკვე მოჩანდა ნაგებობათა ბნელი სილუეტები, ზოგი სახლის ფანჯრებში კი წითლად მბუქრავი ცეცხლიც კრთოდა. იქ მას ადამიანები ეგულებოდა, თვალი იქითკენ ჰქონდა მიპყრობილი და ცდილობდა როგორმე ადამიანებთან მიეღწია.

დაღმართის ბოლოში გლახა ქუჩაზე გამოვიდა. ქუჩის ორსავე მხარეს ახლადაშენებული ორსართულიანი სახლები იყო აღმართული. ამ სახლების დაგმანული დარაბებიდან გამოსული მკრთალი სინათლე გლახას, ავად თუ კარგად, გზას უნათებდა.

შუა ქუჩაში, მხარმარჯვნივ, ერთ-ერთი სახლის მეორე სართულზე ოთხი ფანჯარა მკვეთრად იყო განათებული. აქ იოსებმა გარკვევით დაინახა გრძელი და განიერი ხის აივანი, რომლის ქვეშ მას გაჩერება და სულის მოთქმა შეეძლო. დაღლილ-დაჭანკული იმ სახლთან ვაინარობით მიფარფატდა, აივნის ქვეშ კედელს მიეყუდა, ღრმად ამოიხვნეშა, გული თან ამოაყოლა, თავი სველ აგურებს მიაღო და თვალები დახუჭა.

აივნის ქვეშ ჰოჭი იდგა, მაგრამ წვიმა არ ჩამოდიოდა. გლახა სულს ითქვამდა და თანდათან გონზე მოდიოდა.

მოსულიერებულს შიმშილმა თავი დაუყოვნებლივ მოაგონა. ორი დღე იყო, რაც პური არ გაეტეხა და პირში ნაწილი არ ჩაედო. ძალიერით შიოდა. შიმშილით სასომიხილს გული უღონდებოდა და თონიდან ახლადამოყრილი ცხელ-ცხელი პურები ელანდებოდა. თანდათან თვლემა და ბურანი ეუფლე-

ბოდა. მის გარშემო აღარც წვიმდა, აღარც ბნელოდა. იგი ოქროსფერად მობიბინე პურის ყანაში დააბოტებდა, ხანაც ვენახში ვაზებს ეხვეოდა და ბავშვივით გახარებულს ხელეში ღიდრონი ცხელი პურები და ყურძნის გრძელი, მწიფე მტევნები ეჭირა. ამ საამურმა ზმანებამ ისე მოადუნა, რომ თვლემამორეულმა ძირს ზღარათანი მოადინა. კენესით და ბურტყუნით წამოდგა ფეხზე. ხელიდან გავარდნილი კომბალი აიღო და ისევ კედელს მიაყუდა. ქუჩას თვალი გააყოლა, სახლებს თვალიერება დაუწყო, ადამიანებს თვალით ეძებდა. მაგრამ ახლომახლო არც ვინმე ჩანდა, არც ვისმეს კარი იყო გაღებული.

წვიმა თანდათან კლებულობდა. ნიაღვარი, წვლან ომახიანად რომ ღრიალებდა, ახლა ხმას უკლებდა და უკვე ნაკადულივით მიჩხრიალებდა. სიარული წვლანდელივით ძნელი არ იყო, მაგრამ სად შეეძლო წასვლა მიუსაფარ გლახას?

იოსები აივნის ქვეშ თავიჩინდრულნი იდგა და ადგილიდან არ იძროდა.

✓ 8. მეჯლისის წინ

მეჯლისებზე და მთავარმართებლის სახალეში გამართულ დღესასწაულებზე სამოსის ძნელი ნაირფეროვნება და ისეთი ფუფუნება, რომლის მსგავსი თვით კონსტანტინოპოლსა და პარიზში არსად მინახავს.

ფრიდრიხ ბოფენშტედტი, „1001 დღე“

ანაზღად სახლის სადარბაზოს კარი ჰრიალით გაიღო. იქიდან ვილაც მამაკაცი გამოვიდა და აივნის ქვეშ დაყუდებული უცნობი რომ დაინახა, ხმამალა დაუყვირა:

— ვინა ხარ?

გლახას ენა მუცელში ჩაუვარდა. შიმში აიტანა.

— ვინა ხარ? — გაიმეორა სახლიდან გამოსულმა და მისკენ წამოვიდა. იოსებმა გაქცევა მოინდომა, მაგრამ ფეხები არ დაემორჩილა.

— არ გეყურება, კაცო? — უფრო

აუმაღლა ხმას უცნობმა მამაკაცმა და მაშინვე დასძინა: — იქნებ ქართული არ გესმის? სომეხი ხარ? თათარი, თუ რუსი?

პასუხი აღარ დააცალა, დაკვირვებით ახედ-დახედა და უთხრა:

— სულერთია, ვინც უნდა იყო. ბრგე ჩანხარ და ნამდვილად გამოდგები. ჩემს ქალბატონს არ უნდა ჭოშები და კაბა წვიმის წყალში დაუსველდეს. ამაღამ კნიაენა სარდლის ბალში არის დაპატივებული. შენ ჩვენი ლამაზი მხარზე უნდა შეისვა და სასახლეში წაიყვანო. ამისთანა ავდარში სხვას მაინც ვერ ვიპოვნი. ძან იღბლად არ შემხვდი! აბა, მოემზადე!

გლახა დუმდა.

მსახურმა გაკვირვებით აათვალიერა და ჰკითხა:

— კაცო, ყრუ ხარ თუ მუნჯი? წაიყვან-მეთქი კნიაენას?

გლახა ხმას არ იღებდა. მისი დუმილი მსახურმა თანხმობად მიიღო, სადარბაზო კარისკენ გაიხედა.

იქ დავით გერმანოზიშვილი იდგა.

იმ დროს თბილისის ქუჩები ვიწრო, მოუკირწყლავე და იკრიბოყრო იყო. წვიმის დროს ქუჩებში აულბებული ტალახი, ლაფი და ჭოჭი დგებოდა. ევროპელი მოგზაურები თბილისში სამ რამეს ამჩნევდნენ: ლამაზ ქალებს, აბანოებს და გაუვლელ ტალახიან ქუჩებს. გამვლელები კედელ-კედელ დაიარებოდნენ, ჭვინვან ქვაზე ხტებოდნენ, ფეხშიშველა პატარა ბიჭების დახმარებით ლოდებზე გადაბული ფიცრებით ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეზე გადადიოდნენ და ისე სველდებოდნენ, როგორც მეთევზეები. ეტლი ქალაქში სპილოსავით იშვიათი იყო. ამიტომ სტუმრები მეჯლისებში ფეხით მიდიოდნენ, ანდა ცხენებზე და მუშის კურტნებზე ისხდნენ, განსაკუთრებით ავდარში, როცა წვიმდა ან თოვდა.

იმ სახლში, რომლის აივანს ფანდურაანთ იოსებმა თავი შეაფარა, დიდი ფაცა-ფუცი იდგა. თხუთმეტი წლის მანანა გერმანოზიშვილი მეჯლისში წასა-

სვლელად ემზადებოდა და ირთებოდა. ლელავდა. ეჩინებოდა, კაპარობდა. მოახლეს რამდენჯერმე სილა გააწნა და აღელვებულმა, შეცვლილი ხმით დაუყვირა: „კაბას რიგინად არ მაქმევ და გინდა მთავარმართებლის მეჯლისში უშნო გამოიჩნდეთ“. აცრემლებული მოახლე თავადის ასულს მუხლისჩოქვით გარშემო უვლიდა, ყველაფერს უსიტყვოდ უკეთებდა და უსრულებდა, მაგრამ გაღიზიანებული ქალბატონის დაწყენებას მაინც ვერ ახერხებდა.

იმ საღამოს მანანა გერმანოზიშვილი მალალი წრის საზოგადოებაში პირველად უნდა გამოჩენილიყო. მთელი დღის განმავლობაში სარკესთან ტრიალებდა, თავისი მშვენიერი სახის ცქერით ტყებოდა და ნორჩი, გამოუცდელი გული საამო მღელვარებით ევსებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ იგი ბარონ როზენის სასახლეში უნდა ყოფილიყო.

საღამო ხანზე უეცრად კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. მანანა დადონდა. მას შეეშინდა წვიმაში არ დასველებოდა ძვირფასი ყალამქრიაანი კაბა და ნატიფად ნაქარგი, პატროსანი თვლებით შემკული წითელი სპარსული ფეხსაცმელები. აწრიალებული თავადის ასული ხან ფანჯარასთან იდგა, ხან მაღალ ვენეციურ სარკესთან. გარეთ კი განუწყვეტლივ წვიმდა. მანანა ვერც ჯდებოდა, ვერც დგებოდა. წამდაუწუმ ფანჯრებთან მირბოდა და მოუთმენლად მოელოდა წვიმის გადაღებას. ჭექა-ქუხილი აფითრებდა, წარბს უტრავდა, უფრო მოუსვენარს ხდიდა. ყოველ გაღვებზე შეშინებული აჩერდებოდა მძას, ევებერთელა ტახტზე მხართმძოზე წამოწოლილ კავალერიის ახოვანსა და ბრგე ოფიცერს, რომელსაც მღელვარების ნიშანწყალი არ ეტყობოდა. იგი დამშვიდებული (მძის ეს სიმშვიდე აუტანელი იყო მანანასათვის) სწევდა ვრძელტარაიან ჩიბუხს, რომლის ანთებული თავი ძვირფას ნივთზე იდო. თავადს მუნდირის შესაკრავები გახსნილი ჰქონდა, თოვლივით თეთრი პერანგი

მოუჩანდა, მარცხენა ფეხი ირიბულად ჩამოეშვა ტახტიდან და დეზის თვალი იატაკისთვის მაგრად დაეხვინა. „ისეთ-ნაირად წევს, თითქოს საყვარელს ელოდებო“ — ფიქრობდა გაბრაზებული მანანა, თან ცდილობდა ძალიან არ აღელვებულყო, რათა მეჯლისში ფერ-მკრთალი არ გამოჩენილიყო.

წვიმა გადაღებას არ აპირებდა. მანანა მოთმინებას ჰკარგავდა.

სახლის ერთ-ერთ ოთახში, კუთხეში დასვენებული ხატების წინ მანანას გამდელი, შავებში ჩაცმული დედაბერი მუხლმორთხმული ლოცულობდა და ღმერთს წვიმის გადაღებას ევედრებოდა.

საათი წყნარად რეკდა.

მანანამ ათი დათვალა. სახეზე უსასოობა გამოეხატა

— დრო არი, წავიდეთ. — მოაგონა მას დავითმა.

— ვიცო, მაგრამ ჯერ ისევ წვიმს.

— არა, ეტყობა წვიმამ გადაიღო. ეხლა შეიძლება ქუჩაში გავიდეთ.

— რას ამბობ, დავით! — შესძახა მანანამ, — იმოდენა ნიაღვრის შემდეგ ჩემი ლამაზი ფეხსაცმელებით როგორ ვიარო? მეჯლისში გალუმპული ხომ არ მივალ?

— მაშ რა ვქნათ? საათმა ათჯერ დარეკა. გვაგვიანდება.

— ადრე რომ წავსულიყავით, წვიმას გავასწრებდით, — საყვედურით მიმართა მანანამ ძმას, — ნასადილევს დიდხანს გეძინა, შენი გალეიძება ვერ გავებდე. მაგრამ რა ვიცოდით, თუ იმ მზიან ამინდს ესრეთი ავდარი მოჰყვებოდა.

— მეჯლისში ადრე მისვლა მიღებული არ არის. — ცივად უპასუხა დავითმა. — გამოუცდელიობას ნუ შეიმჩნევ, კნიაჟნავ. პატარა აღარა ხარ. დღეიდან ახალი ცხოვრება უნდა დაიწყო. ეპ, ვინ იცის, ეს ავდარი რას გვეუბნება და რას გვიწინასწარმეტყველებს?

— ნუ მეუბნები მაგას, დავით! მეც ვიფიქრე ეგა, მაგრამ ძალით დაეთრგუ-

ნე მაგნაირი ფიქრი. პატარაობიდანვე მეჭავრებოდა წვიმა და კარგი მსაღი მა-მაჩვენიც ხომ იმ წყეულ, ქარიშხლიან ღამეს მოჰკლეს... მე მეშინია, დავით!

მანანა გაჩუმდა. სახე უფრო დაღონებული გაუხდა. დავითმა მკაცრი ხმით უთხრა:

— შიშს ნუ ახსენებ, კნიაჟნავ, გახსოვდეს, რომ შენ ჩემი დაი ხარ.

მანანას შერცხვა, გაწითლდა. დამანანი ერთხანს მდუმარედ შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ბოლოს დუმილი ისევ მანანამ დაარღვია, დავითს მიუახლოვდა და მოეხვია.

— სანამ ჩემს გვერდით მეგულები, დავით, არაფრის არ შემეშინდება.

დავითი მოლბა, სინანულით წარმო-სთქვა:

— ენაობ, რომ დილით, ყაზარაში, ცხენების მოყვანა არ დავავალე დენ-შიჩის. დარმა შემოყვანა შეცდომაში. ეხლა კი გვიან არის. პო, ჩვენი მსახური ბებერი რომ არ იყოს, ცხენის მაგივრობას გავიწევდა.

— დავით! — აღტაცებით წამოიძახა მანანამ და ხელი ხელს შემოჰკრა. — ეგ რა კარგი აზრი მოვივიდა! ერთი კვირის წინათ ფანჯრიდან დავინახე როგორ იჯდა კნეინა მაჰატა მუშის კურტანზე. „ჭორების ბოლინია“ კურტანზე ისე კობტად იჯდა, თითქოს ცხენის უნავირზე მჯდარიყოს. ხელში გაშლილი ქოლგაც კი სასაცილოდ ეჭირა. სიცილი წამსკდა, მაგრამ ეხლა მე თვითონ დიდი სიამოვნებით მოვიკალათებდი რომელიმე ღონიერი ქალაქელის მხარზე.

დავითმა ხარი დარეკა.

ოთახში ხნიერი მსახური შემოვიდა და კართან მოკრძალებით გაჩერდა. დავითმა მოკლედ აუხსნა, თუ რა უნდა გაეკეთებინა მას. მსახური ხმისამოუღებლად გატრიალდა კარებისკენ და თან თავისთვის წაიბუზღუნა: „ამ ნავედრეც ღამეში ვის ვიპოვნიო“. დავითმა მუნდირი შეიკრა, ხმალი წელზე ჩამოიკიდა, ქუდი დაიხურა, წამოსასხამი მოისხა და დეზების წკრაილით ფეხდ-

ფეხ მიჰყვა მსახურს, რათა საკუთარი თვალთ დარწმუნებულიყო იმ აღამიანის ღონეში, რომელსაც თავისი მხრით თავადის ასული სასახლემდის უნდა მიეყვანა.

მსახური აიწინის ქვეშ გლახას შეეფთა, საყელოში ხელი ჩასჭიდა, დავითსკენ მოიხედა და მოახსენა:

— თავადო! აი, ვინ წაიყვანს კნიაჟნას!

დავით გერმანოზიშვილი მათ მიუახლოვდა. წვიმიტ გაწუწული ახოვანი მამაკაცი ცხენივით დაათვალიერა. მისი განიერი მხარბეჭი მოეწონა, თვალში მოუვიდა, თათმანიანი ხელი მხარზე შეგობრულად დაჰკრა და უთხრა:

— ღონიერი ჩანხარ. შენი მხარი კავკასიურ უნაგირს სჯობია. მართალს ვამბობ, არ გეხუმრებ. მაგ მხარით კნიაჟნა სასახლემდის უნდა ატარო. ამაში მე თეთრს მოგცემ. — დავითმა გაკვირვებით შეხედა გლახას და ჰკითხა: — რისთვისა თრთი, ბიჭო! უპ, საბრალო! წვიმაში ხარ დამბალი განა?! ალბათ გცივა კიდევ. არა უშავს. ჩემი მსახური ძველ ჩოხას გამოგიტანს. ლაზარე! ამ კაცს ჩოხა გამოუტანე და მანანას მოუხმე. მე აქ დავიცდი.

მანანა უკვე მზად იყო. ქართულ კაბაზე თეთრი ჩადრი კოხტად წამოესხა, სახეზე გამჭვივრავლე პირბადე ჩამოეფარებინა, რათა წვიმის წინწყკლები არ შესხმოდა, ხელში ქოლგა აეღო და ცალი ხელითაც გაუთავებლად პირკვარს იწერდა. მსახურმა ჩოხა მკლავზე გადაიგდო, გზის გასანათებლად სამსანთლიან შანდალს დაავლო ხელი და თავადის ასულს წინ გაუძღვა. გამდელი თავის ქალბატონს უკან დაედევნა. შეჰხაროდა, შესციციენებდა, ისიც პირკვარს იწერდა და ხელაპყრობით ლოცულობდა.

როცა მსახური ქუჩაში გავიდა, ძლიერმა ქარმა შანდალის სანთლები ჩააქრო, მაგრამ მანანამ გლახის ძონძემდის დანახვა მოასწრო, აიმრინა და ზიზლით წამოიძახა:

— ფუჰ! ეგ გლახა ყოფილა!

დავითს არ უნდოდა ხელიდან გაეშვა მხარბეჭიანი ახალგაზრდა გლახა მანანას მიუბრუნდა და გადაუღაპარაკა:

— პო, გლახა არის... შენს მოსვლამდის ვარცხვენდი. ხედავ, გაჩუმებულა და სირცხვილით თავი მალლა ვერ აუწევია.

მსახური უკანვე შებრუნდა სადარბაზო კარში, კიბის უკანასკნელ საფეხურზე დაიჩოქა და ცდილობდა ხელახლად აენთო სანთლები, მაგრამ ეს მან ვერაგზით ვერ მოახერხა.

დავითმა მსახურს აღარ მოუცადა, თუმცა სიბნელეში გლახას ძლიერს ამჩნევდა, მის მხარზე ფრთხილად აიყვანა მანანა, თან დაეხმარა ბეჭზე კარგად გამაგრებულყო, გაშლილი ქოლგა მიაწოდა და გააფრთხილა მაგრად ჩაეგლო დაქორავებული მზიდავისათვის თმებში ხელი.

მანანამ კისკასით ჩაავლო ხელი გლახის გრძელ, დიდი ხნის მოტყვეველ თმებს, სადავესავით ჩაბლუჯა, მარჯვენა ხელით კი გაშლილი ქოლგა დაიჭირა. გლახა ნელი ტაატიტ დაიძრა. თავადის ასულმა გულიანად გადაიციკისა და მხიარულად შესძახა: „აიუ!“

თავადი გლახას გვერდში ამოუდგა, დას ხელი მიაშველა და ფხიზლად ეჭირა თავი, რათა სიარულის დროს დაბლა არ ჩამოვარდნილიყო.

ქუჩაში გამოსულმა მსახურმა მით თვალი გააყოლა და უნებლიედ წამოიძახა:

— ეპა, თუ ჩვენი ლამაზი დაბლა ჩამოვარდა და ტალახში გაიშხლორთა, მაშინ ნახე მეჯლისი!

ამ სიტყვების გაგონებაზე ვანრისხებულმა დედაბერმა მას წყევლა-კრულვის ისეთი კორიანტელი დააყარა და ისეთნაირად აიკლო, რომ დაბნეულმა მსახურმა აღარ იცოდა სად გაქცეულიყო.

9. თავადის ასულის მზინდავი

ატლა მბილისში იშვიათი იყო.
ქართული და უცხოელი მოგ-
ზარების ნაწერებიდან

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. იოსები მხოლოდ მაშინ მოვიდა გონზე, როცა მანანა გერმანოზიშვილი უკვე მის მარჯვენა მხარზე იჯდა. ანგარიშიმეორე მხარე მიდიოდა, რაღაც მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო რატომ და რისთვის. ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ მას არც რისმე მოსახრება შეეძლო და არც რაიმე გადაწყვეტილების მიღება. გზაში მას ქალის წკრილა კისკისი და განუწყვეტელი „აჩუ“ ესმოდა. მის გვერდით ვიღაც მამაკაცი ბოხი ხმით ლაპარაკობდა. ეს ნაცნობი, სადაც გაგონილი ხმა გაბრუნებულ იოსებს თანდათან აფხიზლებდა. მისი გონების თვალი და ყური უკვე გარკვევით არჩევდა საგნებსა და ხმებს, ამჩნევდა ქუჩაში აღმართულ სახლებს, იშვიათ გამვლულებს, გრძნობდა, თუ როგორ სცემდა პირისახეში ნაწიმიარი ღამის ცივი ქარი, რომელიც მას ისევე აფხიზლებდა, როგორც ქალის კისკისი და გვერდით მიმავალი მამაკაცის როხროხი. იოსებს თვალებიდან ბინდი გადაეყარა. ყველაფერი ცხადად გამოჩნდა. მის მხარზე ნებივრად მოკალათებული მანანა გერმანოზიშვილი კისკისებდა, ხოლო იქვე, სულ ახლოს, მხარმარცხნივ, დავით გერმანოზიშვილი მოსდევდა დეზების წკარუნით. „როგორ გადავეურჩე ჩემს მღვენელებს, — ფიქრობდა გაოცებული იოსები, — რატომ არავითარ ყურადღებას არ მაქცევს დავითი? რატომ მანანა თავის კისკისს არ შეწყვეტს და კვილით არ ეტყვის თავის ძმას: „მე ჩვენი მამის მკვლელის მხარზე ვზიგარო“. ნუთუ ისეთნაირად დაბრმავდნენ, რომ ვეღარა მცნობენ!“

იარალ გერმანოზიშვილის მკვლე-

ლი ვერც დავითმა იცნო და ვერც მანანამ. ფანდურაანთ ფრესხებერფულსაც დავით გერმანოზიშვილის კაცები ოსმალეთის საზღვრებზე და ავანჯების ბუნაგებში დაეძებდნენ, ან სიბნელეში გადაარჩინა, ანდა ხანგრძლივმა წანწალმა და შიმშილმა ისე გამოცვალა, რომ იარალის შვილებმა ის ვეღარ იცნეს. გერმანოზიშვილებს ამაყი და თავმოწონე ბიჭი ყაჩაღების ბრბოში ან ოსმალეთში ეგულებოდათ. ამ გასაცოდავებულმა და საწყალობელმა გლახამ კი არც ძმას და არც დას არავითარი ეჭვი არ აღუძრა. დავითი მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მკლავამართული ფხიზლად იყო, რათა თუ უცებ მანანა გადმოქანდებოდა, დროზე შეეშველებინა ხელი.

მანანა კი ხუმრობდა, კისკისებდა, ცელქობდა. ნაწიმიარ ღამეში მხიარულ სიტყვებს ჰვანტავდა. ცივი, საკმაოდ ძლიერი ქარი უბერავდა, მაგრამ თავადის ასული უშიშრად იჯდა გლახის მხარზე. ძმას სიცილით ეუბნებოდა: „თავს ისე ვგრძნობ, როგორც ნიქელი ჰუსარი თავის ქურანზეო! დავით, შენ ქვეიანი ცხენი დამიჭირავე!“ დავითი მხედრულად შეკრებილ ულვაშებში იღიმებოდა და თან დას აფრთხილებდა გლახის მხარზე წყნარად მჯდარიყო, რათა ქარს არ დაეძალა და დაბლა არ ჩამოეგდო. მაგრამ მანანა სიცილს ვერ იმავრებდა, ანცად ირწეოდა, თითქოს ცხენის ტახტაზე ზისო. „აჩუ“ — დაიძახებდა და სიცილი წასვლებოდა ხოლმე. დავითიც როხროხით აძლევდა ბანს. და ვინმე გამვლელს ეს ერთიმეორეზე აწოწილი, მოხარხარე ადამიანები რომ დაენახა, გიჟებად ჩათვლიდა.

გამოფხიზლებულ იოსებს მანანას სიცილი გონებას უმღვრევდა. გულში ჩხვლტდნენ მისი დამკინავი და დამამკირებელი წამოძახილები. და თუმცა იგი შიშითა და შიმშილით იყო დამახუნებული, ბატონის ნებიერი ასულის შეურაცხყოფელმა სიცილმა ერთბაშად გააღვიძა მასში ადამიანური თავმოყვარეობა და მთელი მისი არსება

შურისძიების გრძობამ გამსჭვალა. მას უცებ თვალწინ დაუდგა ნათიას ნამტი-რალევი სახე დაწინდული დანით ხელში. თვედორეს მოჩვენება კი განუწყვეტლივ უფრში ჩასძახოდა: „მოჰკალ! მოჰკალ! რალას უყურებ? ეგრე რამ გავადეღლა, ბიჭო?“ იოსები შეტორტმანდა. გაჩერდა. მანანა კინალამ გადმოვარდა მისი ბეჭიდან და შეშინებულმა დაბალი ხმით შეჰკვივლა.

დავითი ზიზლით მიუბრუნდა გლახას:

— დაილაღე: აე ღოიერი მეგონე. გამაგრდი. შორს აღარა ვართ.

მანანამ კვლავ სიცილი ასტეხა.

— გადავრჩი! მაგრამ რანაირად დავდის? მთვრალი ხომ არ არის, დავით?

— დაღმართი მშვიდობიანად ჩავიარეთ. მთავარი სწორედ ეს იყო, — უბახსუხა დას დავითმა და შეეხუმრა, — გოგო ხარ, მსუბუქი და ადვილად გიძლებს. დედაკაცი რომ ყოფილიყავი, ახლა ალბათ ტალახში ეგდებოდი შენი ოქრონაკერი კაბითა.

ფანდურაანთ იოსების გონებაში კვლავ გაიდვიდა შურისძიების აზრმა. შეუმჩნევლად გაისწორა კომბალი, რომელიც მას მარცხენა ხელით ეჭირა და მიწაზე მიათრევდა. იოსებს ახლა მხოლოდ ერთი განზრახვა ამოძრავებდა. უნდოდა მხრიდან ჩამოეგდო მანანა, ხელი ეკრა დავითისთვის და ორთავენი იქვე ამოეხტოცა. მას ხმლით შეიარაღებული მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ ამის არ ეშინოდა. ასე ეგონა, რომ იგი

ადვილად გაუსწორდებოდა დევეფს, თუ მას მოულოდნელად თავსუდაესხმოდა და ხმლის გამოყენების საშუალებას არ მისცემდა. მანანას მხოლოდ ყვირილი შეეძლო, მაგრამ მის ყვირალს ამ ბნელ ღამეში იშვიათად თუ ვინმე გაიგონებდა. იოსები ახლა იმაზედა ფიქრობდა, თუ როგორ წაექცია დავითი, რათა მას ხმლისთვის ხელი არ ეტაცნა და მისთვის არ შემოეთვია. მან კარგად იცოდა, რომ მისი მტერი გამოცდილი მხედარი იყო და თუ მარჯვედ არ მოიქცეოდა, არ დაასწრებდა და კომბლით თავს არ გაუხეთქავდა, გერმანოზიშვილების დახოცვის განზრახვა ძვირად დაუჯდებოდა. მაგრამ გვიანდა იყო ყველაფერი. ისინი ბნელი ქუჩიდან ნიკოლოზის ახმაურებულ მოედანზე გამოვიდნენ. იოსები ისევ მოდუნდა. ისევ დაუთრგუნველმა შიშმა შეიპყრო. სასახლის წინ აღარებელი მსახური მიდი-მოდიოდა მალლა აწეული ფარნებით ხელში.

იოსებმა თავისი უცნაური სამსახური შეასრულა. მან უვნებლად მიიყვანა თავადის ასული სასახლემდის.

მანანა ძმის დახმარებით მსუბუქად ჩამოხტა გლახის მოქანცული მხარიდან სასახლის კიბის განათებულ საფეხურზე.

დავით გერმანოზიშვილმა გლახას არ შეხედა, ხელში ვერცხლის გროში ჩაუდო, დას მკლავი მიაგება და მათ ამაყად გაიარეს ორ წყებად მდგარი მსახურების მოკრძალებით დახრილ თავებს შუა.

ადამიანის ტრაგედია

ბიზანტია... კონსტანტინოპოლი... მე-11 საუკუნის მიწურული და მეთორმეტის დამდეგი. ამ ხანებში დაიწყო ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა. მთელი ბიზანტიის იმპერია ვაიოცა და აღაშფოთა ევროპელი რაინდების საქციელმა, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში „ქრისტეს საუღლავის“ გამოსახსნელად ჩამოვიდნენ, მაგრამ სელჯუკებზე წაყლები სიხარბე როდი გამოიჩინეს თავთ ქრისტიანული ქვეყნების, პირველ რიგში, ბიზანტიის დარბევის დროს. მათ გამარცხეს კონსტანტინოპოლის ტაძრები და სასახლები, გააუპატიურეს ქალები, ჯვაროსნები გაშლილი დროშებით შემოდიან კონსტანტინოპოლში და ბიზანტიის მოქალაქენი თავზარდაცემულნი გარბიან, რათა თავშესაფარი მოძებნონ და თავიანთი ქალები გადაშალონ.

ამ ამბების აღწერით იწყება იმრე მადანის ეპოპეის „ადამიანის ტრაგედია“ მეშვიდე სცენა, რომელსაც მკითხველი ქვემოთ გავცნობა.

„ადამიანის ტრაგედია“ მეცხრამეტე საუკუნის უნგრული ლიტერატურის მშვენიება და სიამაუეა. მისი ავტორი იმრე მადანი (1823-1864) განთავსებით იურისტი იყო. ლექსების პირველი წიგნი „ლირის უფალებები“ მან გამოაქვეყნა 1840 წელს; 1843-1849 წლების უნგრეთის რევოლუციას ის გამოესმაურა ლარაიული ლექსების წიგნით „ბანაჟის სურათები“, სადაც ნაჩვენებია იყო უნგრეთის მშრომელთა თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს თავისუფლები-სათვის. მალე იმრე მადანი ერთი წლით საპროზოდული ჩამწვედიეს იმისათვის, რომ მან თავშესაფარი მისცა რევოლუციის მიერ დევნილ უნგრულ პატრიოტებს.

იმრე მადანის უველაზე დიდი ნაწარმოები არის ლექსად დაწერილი ფილოსოფიური დრამა „ადამიანის ტრაგედია“, რომელშიც ავტორმა სცადა ფანტასტიკურ-აღუგარიულ ფორმებში გადაქცევა და თავისებურად გაეაზრებინა მთელი კაცობრიობის ისტორია. ბიბლიური თქმულები ადამისა და ევანჯელის ისტორიის იქცა სიუჟეტის ღერძად, რათა გამოყოლოდა მთელ სივრცეზე კაცთა მოდგმის ისტორიას და ერეგებინა, რომ ამათა ადამიანის ოცნება ბედნიერებაზე, მაგრამ თავის ნაწარმოების ბოლოს ავტორმა შესძლო დამძალა ეს პესიმიზმი და წიგნი დაასრულა ბრძოლისაყენ მოწოდებით, სადაც იგი მკითხველს უნგრეგავდა უცეთისი მოშავლის რწმენას.

მადანის ფილოსოფიური დრამაში, ადამი ჯერ ბიბლიური პირველსახით გვევლინება, შემდეგ, ჭველ ეგვიპტეში, იგი ახალგაზრდა ფარაონია, ათენში — სარდალი მილტიადი, რომში — სერგიოლი, კონსტანტინოპოლში — ის ტანგრედა, ჯვაროსანთა ლაშქრის სარდალი, პრადავში — ის კეპლერია, გამოჩენილი ასტრონომი, პარიზში ის დანტონია, საფრანგეთის რევოლუციის ბელადი, ოცნებათ წარმოადგენილ მოშავლის საშუაროში — ის კვლავ ადამია.

ეპოქათა მიხედვით, ასევე სახეს იცვლის ევაც. ათენში მას ლეია ჰქვია, ჭველ რომში — იულია, კონსტანტინოპოლში — იზორა, პრადავში — ბარბარე, პარიზში — ის ლატაჟი ქალია, აქანუებულთა ბანკში რომ იბრძვის.

ამრიგად, მადანის ნაწარმოებში მკითხველის თვალწინ გაავლის კაცობრიობის თითქმის მთელი ისტორია, კეთილისა და ბოროტის ბრძოლა. და ავტორი ცდილობს ვერევენოს ისტორიის რომელ ეპოქაში როგორები იყვნენ და რას აკეთებდნენ ყოველ დროს ახლებურად ტრანსფორმირებული კაცო და ქალი — ადამი და ევა.

იმრე მადანის ეს ფილოსოფიური დრამა 1853 წლიდან დაწვებული მუდმივად იდგმება უნგრეთის ეროვნული თეატრის სცენაზე. „ადამიანის ტრაგედია“ თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე. საპიროს იყო იგი თარგმნილიყო ქართულ ენაზეც. ამას მიი-თხოვდა ინტერესი უნგრულ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობისა, რომელსაც საყმად ხანგრძლივი ისტორია აქვს და რომელიც წიგნს დროში, საბჭოთა ეპოქაში, კიდევ უფრო გაძლიერდა, ამ პიუნის თარგმნა თავს იდვა ნოდარ გურგენიძემ. მთარგმნელმა

კარგად გაართვა თავი აღებულ ამოცანას. მან გამართულ და ძარღვიან ქართულ ენაზე ამეტყველა უნგრული ლიტერატურის ეს ღირსშესანიშნავი ძეგლი.

საქართველო
გიორგი ნატროშვილი

კონსტანტინოპოლი, ბაზრის მოედანი, რამდენიმე მოხეტიალე მოქალაქე. შუაში — სასახლეა, მარჯვნივ — მონასტერი, მარცხნივ ქალაქის მოედანი. აღმოსავლეთი სხვა რაინდებთან ერთად მოუძღვება აზიიდან დაბრუნებულ ქვარისანთა ლაშქარს. ისინი დოლის სმარტით და გაშლილი დროშით შემოდიან. მათში ურევია ლეკოები — სპერველმჭირთვლი. საღამო, შემდეგ ღამდება.

პირველი მოქალაქე

ისევ გამოჩნდა ბარბაროსთა ველური ჯარი!
გაეიქცეთ ჩქარა და ჩაკეცოთ სახლებს კარი,
თორემ კვლავ მალე დაიწყება ძარცვა და გლეჯა!

მეორე მოქალაქე

თანაც ქალები გადაეშალათ. თავაშვებულნი
არ დაინდობენ კაბიანებს. უნდა ვიჩქაროთ.

პირველი მოქალაქე

ქალებსაც კარგად გაუგიათ, თუ რა უფლება
აქვთ გამარჯვების სიხარულით დამთვრალ შემორებს!

ალანი

რატომ გარბიხართ, შეიცადეთ! რა მოგივიდათ?
განა ვერ ხედავთ, ამ სიმბოლოს წმიდათაწმიდას!
ერთი მიზნისთვის დარაზმულებს რომ მიგვიძღვება!
ჩვენ, აზიასი სიყვარულის და რწმენის ლამპრით
მივედით, რათა, სულის შვება ხელახლა ვგრძნოთ
მილიონობით რწმენაშეცვლილს, რომელთა შორის
დარწმუნულია გადარჩენის ჩვენის აკვანი.
ნუთუ არა გაქვთ სიყვარული ჩვენი სრულიად?

პირველი მოქალაქე

ხშირად გვხმენია ჩვენ მაგგვარი სიტყვები მაგარი,
ისიც გვინახავს, არაფრისთვის, ტყუილუბრალოდ,
როგორ ცვივოდნენ მოკვეთილი თავები დაბლა!
(იშლებიან)

ალანი (რაინდებს)

ხედავთ, როგორი დაწყვეტილი ნაყოფი მოაქვს
იმას, რომ ზოგჯერ ბაირალი წმიდათაწმიდა
უვარდებოდა ხელში ათას ჯურის გარწმინდას!
მზაკერულ ხერხებით თამაშობენ ხალხის გრძნობებზე,
რომ შემდეგ გაძრწენ თვითმარტვია ბელადის როლში!
ო, რაინდებო! მანამ ვიდრე ჩვენს შიშველ ხმლებზე
არის დევიზი: ვემსახურეთ შემოქმედს წმინდას,
თავი გაწვიროთ დედათათვის, ღირსებისათვის,
გმირობისათვის, — მანამ უნდა ისე მაგარი
აღვირი მოვდოთ ეშმაკს ცბიერს და თავაშვებულს,
რომ წინააღმდეგ საკუთარი ნება-სურვილის
მხოლოდ კეთილი საქმე უნდა ვაკეთებინოთ!



ლუციფერი

ეს ლამაზად თქვი, ტანკრედ, მაგრამ თუ კი შენ ხალხი
თავის ბელადად აღარ ჩაგთვლის, მაშინ რას იზამ?

ალაში

უნდა იცოდე, გამარჯვება მალალ სულს ახლავს!
მე გავიმარჯვებ!

ლუციფერი

დაეშვები ხალხამდე მაშინ,

ვთქვათ, რომ იმასაც აღმოაჩნდეს მალალი სული?

ალაში

რატომ? არა სჯობს ავამალლო ხალხი ჩემამდე?
ხომ ცნობილია, არა ნაკლებს სამარცხვინოა
გაგქცე ბრძოლას, დაიმალო მხოლოდ იმიტომ,
რომ თან არ გახლავს გვერდით შენი თანამებრძოლი,
ვიდრემდე ის, რომ მოცილიო თანამებრძოლი
მხოლოდ იმისთვის, რომ ალაფი მას არ გაუყო.

ლუციფერი

ხედავ, რარიგად შეიბღალა იდეა იგი,
რაც წამებულებს უჯდებოდათ სიცოცხლის ფასად!
მხოლოდ ეს არის ნუთუ მართლა, სხვა არაფერი
თავისუფლება პიროვნების, მოყვასის ძმობა?

ალაში

ე! ნუ ქილიკობ. მე სულაც არ დამეფიწყებია
ჩვენი მოძღვრება დიდებული. მე მითი ვცოცხლობ!
ლუციური ცეცხლი ვის გულშიაც მძლავრად ბრიალებს,
დაე აღევზნოს კეთილშობილ გაბედულებით.
ვინც საკუთარ თავს აღიმადლებს მამაცურ ბრძოლით
და ვაგაკობით — გზა ხსნილი აქვს, მოვიდეს ჩვენთან.
ერთი შეხებით მახვილისა ჩვენი ორდენის
წვერი გახდება. ვალდებული ვართ მაინც ყველა,
მიუხედავად ათასგვარი არეუდარევის,
რომელიც კიდე მრავლადაა, თვალისჩინივით,
ყოველნაირად გაუფრთხილდეთ და მოეუაროთ
სიწმინდეს ჩვენი ორდენისას! ო, ნეტავ მალე,
მალე ჩამოდგეს ის საათი მონანიების,
როცა ზღუდენი საბოლოოდ დაეცემიან.
დაეცემიან ის ზღუდენი! ეჭვი არ არის!
მაგრამ უყურეთ აქ რარიგად გვეგებებიან?
ვართ ვით ობლები მოყავანე ქალაქელთ შორის.
ეტყობა უნდა ბანაკები ჭალაში დაეცეთ,
ვით შევეჩვიეთ ურწმუნოთა შორის ყოფნისას.
ჰე, რაინდებო! გაემურეთ! ყოველ თქვენთავანს
საკუთარ რაზმის ვეალება მოვლა-მოწყობა!
თან მიაკციეთ ყურადღება წესრიგის დაცვას!

(გვაროსნები ბანაკებიან ჭალაში).

ლუციფერი

ძალიან ვწუხვარ დიდებული შენი იდეა
ისევე ზადებს ლამაზ, მაგრამ მატლიან ნაყოფს!



ადამი

შენ ხომ ოდნავაც არა გჯერა კეთილი საქმის!
ლუმიწმირი

მე თუნდ მჯეროდეს, სახეირო არაფერია,
 რადგანაც შენს ჯიშს არა სჯერა. შენი ორდენი,
 როგორც შექურა აღელვებულ, შმაგ ტალღებს შორის
 სწორედ ისე სდგას. დაეცემა იგი შექურა,
 უმალ ჩაქრება და გზასამცდარ მუზღვურთათვის
 უფრო საშიში შეიქმნება, ვიდრე ბნელი კლდე.
 ყველა, ვინც ცოცხლობს, ყველა, რასაც სიკეთე მოაქვს
 კვდება და ქრება, გაფრინდება ჩიტივით სული.
 ხოლო სხეული, როგორც მძორი უსაზიზღრები
 მხოლოდ სიმყრალეს მოჰყენს ირგვლივ ახალ ქვეყანას,
 რომელიც ცოცხლობს და იზრდება. სწორედ ასევე
 ბუმბურაშები წარსულისა ჩანან ჩვენს თვალში!

ადამი

მაგრამ, სანამდე დაიშლება ჩვენი ორდენი,
 ბრბოში შეაღწევს უწმინდესი მოძღვრება მისი.
 აი, ეს არის უმთავრესი!

ლუმიწმირი

წმინდა მოძღვრება...

თქვენს ხელში იგი დაწვევლილად გადაიქცევა.
 იქვე ხომ მას ცდილობთ, რომ შერყუნათ და დაამახინჯოთ,
 კაკრიჭოთ იგი ან გარანდოთ, აშალაშინოთ,
 ვიდრე არ აქცევთ მას სიგიჟედ ან მძიმე უღლად!
 თუმცა ზუსტ ცნებებს აზროვნება ადამიანთა
 ვერ იტანს, მაინც, ყველგან იმას იკვლევთ და ეძებთ,
 ო, გულზვიადნო, თქვენივე თავის დასალუპავად!
 შეხედე ამ ხმალს! გრძელი იყოს, იგი თუნდ მოკლე
 არის ხომ მაინც არ იცვლება, ხმალი — ხმალია!
 არ გაქვთ უნარი დასასრული კპოვით ოდესმე!
 ვერ კპოვებთ წერტილს, რითაც ზღვარი უნდა დაედოს
 ლტოლვას ამას, თუნცა ყველგან იგრძნობა იგი!
 თუმცა ტყუილად ვლამპარაკობ ყველაფერ ამას:
 მიმოიხედე აბა ირგვლივ!

სხევ გამოჩნდება რამდენიმე მოქალაქე.

ადამი (მოქალაქეებს)

ო, მეგობრებო!

ჩემი მხედრები დაქანცულნი არიან ძლიერ
 და ქრისტიანთა დედაქალაქს ევედრებიან
 თავშესაფარი მისცეთ რამე, მე ვიმედოვნებ
 უარს არ გვეტყვიეთ ამ თხოვნაზე!

მესამე მოქალაქე

ჯერ ეს შევიტყვოთ.

იქნებ წარმართზე უარესი შენა ხარ მეტად,
 მგმობელი ღვთისა, ურწმუნო და ერეტიკოსი!

მეოთხე მოქალაქე

აბა ეს გვითხარ, შენ ამ სიტყვას როგორ წარმოსთქვამ:
 „კომოუზიონი“
 თუ „კომოიუზიონი“?



აღაპი

ვერ გავიგე...

ლუციშვირი

რომ ვერ გავიგე, ეგ ამბავი არ უნდა გეთქვა!
მეოთხე მუქალაქი

იგი ყოყმანობს. უმძველად ღუთისმგომობელია!
რამდენიმე ხმა

ჩქარა წავიდეთ! ჩავიკეტოთ ყველა სახლებში!
წყუღიმიც იყოს, ეინც გაუღოს ამათ კარები!

სისხლიდან გამოდის მდიდრულად ჩაქმული პატრიარქი,
თანხლები პირებით, მის უკან მოდიან ბერმონაზვნე-
ბი — მოკვავთ ბორჯილდადებული ვრეტოკოსები, სულ ბო-
ლოს მოდიან ქარისკაცები და ხალხი.

აღაპი

არა მჯერა, არა!.. ეს ვინ არის, ეს ბატონკაცი,
აქეთ რომ მოდის ქედმალღურად და ამპარტაუნად?

ლუციშვირი

თვით პატრიარქი, მოციქულთა მემკვიდრე გახლავთ.

აღაპი

ეს საზიზღარი, ფეხშიშველა მდაბითთ ხროვა,
ტუსალებს ასე გულბოროტად რომ მიაცილებს,
მოწვევებითი მორჩილებით და უწყინრობით
ვინლა არიან?

ლუციშვირი

ქრისტიანი — კინიკოსები

ბერ-მონაზვნები!

აღაპი

როგორც მახსოვს ჩემს ძველ კლდეებში
მე მათი მსგავსი არსებანი არსად მინახავს!

ლუციშვირი

ახლა ხომ ხედავ! დაინახავ კიდევ მრავალგზის!
ნელა ვრცელდება როგორც იგი კეთროვანება...
ერიდე მაგათ სადმე გზაზე არ შეეყარო
ამ კეთილისმქნელ, ესე იგი აუტანელ ხალხს!

აღაპი

ო, ნუთუ მაინც კეთილისქმნის შესწევთ უნარი?

ლუციშვირი

დიახ! ეს არის სიღატაკე და მარტვილობა,
რომელსაც პირველდასაბამი საწყისი მისცა
შენმა მეუფემ, შემდეგ ჯვარზე რომ გაიყვანეს.

აღაპი

მაგრამ მან ამით ყველას ცოდვა გამოისყიდა,
და ესენი კი ურცხვად ბღალვენ სახელს ღმერთისას,
შფოთს ავრცელებენ, მის წყალობას არად აგდებენ,
ის ვინაც კოლოს ებრძვის სწორედ იმ საპურველით,
რომლითაც დათვზე ნადირობენ, გივია მხოლოდ!

ლუციშვირი

განა არა აქვთ მათ უფლება პატარა კოლი
წარმოიდგინონ ატოტებულ სამინელ დათვად?

თავისთავს გმირად მიიჩნევენ და კვლა იმას,
ვისაც სიცოცხლე უყვარს, გულში შხამს აწვეთებენ
და უშნადებენ ჟოჯობეთურ ცეცხლს და გვენას!
მეც თომას მსგავსად კიდევ ვზედავ და არცა მჯერა!
უნდა წავიდე, იმ მწვალელებს შევხედოთ ერთი!
(მიდის პატრიარქთან).

მამაო ჩემო, ჩვენ სისხლსა ვღვრით წმინდა კუბოსთვის,
და, ამავე დროს, მცხოვრებლები თქვენი ქალაქის
სახლების კარებს არ გვიღებენ მოსასვენებლად.
ჩვენ დავიქანცეთ, დაგვებმარე! ყოვლად ძლიერო!

პატრიარქი

მე დრო არა მაქვს, ამნაირი წვრილმან საქმისთვის
რომ მოვიცალო, შეილო ჩემო! ჩემი ვალია
მაღალი ღმერთის სადიდებლად ხალხზე ვიზრუნო —
ერტიკოსებს შევუთვალო წყველა და კრულვა.
ისინი მსგავსად საზიზღარი სარეველასი
ყოველდღე უფრო მრავლდებიან... ჩვენ ვანადგურებთ
მათ შეჩვენებულ ბინძურ მოდგმას ხმლითა და ცეცხლით,
მაგრამ სიმყრალე ჟოჯობეთის მათ კვლავ წარმოშობს.
თუ კი თქვენ მართლა ხართ ერთგულნი წმინდა ჯვარისა
შორს რაღად ეძებთ სარაცინებს, როდესაც აქვე,
ჩვენს სიასლოვეს ბუდობს მტერი უფრო საშიში?
გაუნადგურეთ მათ სახლ-კარი, დაწვიეთ სოფლები
მუსრი გაავლეთ ბავშვებს, ქალებს და ხანდაზმულებს.

ალამი

მამაო, ვისაც ბრალი არ აქვს, ისინიც ველიტოთ?

პატრიარქი

გველის წიწილაც, ვიდრე იგი გაიზრდებოდეს,
არის უბრალო, ვერას გვაწინებს იგი მაშინაც,
როს დაბურდება და შხამიანს დაჰკარგავს კბილებს.
განა ამისთვის იმსახურებს იგი დანდობას?

ალამი

ეტყობა რაღაც საზარელი მიუქლვით ცოდვა,
რახან მოუცავს სიყვარულის ტაძარი რისხვას.

პატრიარქი

ცოდვასა სჩადის ვინაც ფიქრობს, რომ სიყვარული
მასშია, რომ ზორცს მიანიჭოს ცრუ ნეტარება.
ყოვლად მაღალი სიყვარულის არსი ის არის —
ბასრი მახვილით, თუ დასჭირდა გამწმენდი ცეცხლით
კვლავ დაუბრუნოს წმინდა სული მას, ვინაც ამბობს —
„არა მშვიდობით, მოედვიგარო მახვილით მხოლოდ“
შეურაცხყოფას აყენებენ ერესის შეილნი
წმინდა სამების საიდუმლოს, — ვინც აღიარებს
ჰომოუსიონს ნაცვლად ჰომოიუსიონისა,
რაც დაამტკიცა ეკლესიამ რწმენის დოგმატით.

ბერძენი

კოცონზე ჩქარა, ურწმუნონი უნდა დაიწვან!



აღსანი

ო, ნეციაბრებო შოდი დასთმეთ ეს ასო „ინი!“
 ნუთუ მასშია არსი მხოლოდ, არსი ის არის,
 ზიზღით შევსედოთ დამანგრეველ სიკვდილის აჩრდილს
 და არ დავხოვოთ თავი უფლის წმინდა კუბოსთვის!

მოსუმი პრეტიკოსი

გზას ნუ აგვიბნევე შენ, სატანავ, ჩამოგვეცალე.

ჩვენ სისხლს იქ დავღვრიოთ რწმენისათვის

ქეშმარიტისთვის,

სადაც გვიბრძანებს მამალმერთი!

ბერები

თავსაც იწონებს

რწმენას გამდგარი ეს ურწმუნო ქეშმარიტ რწმენით,
 ოპ, არამზადავ!

მოსუმი პრეტიკოსი

როგორ, ჩვენ არ გვემხრობა განა

წმინდა ტაძარნი რიშინისა და კიდევ სხვანი?

ბერები

დიახ, ისინი ვინც გადასცდა გზას სიმართლისას!
 მაგრამ იყოფე, ნიკესა და სხვა ბევრ ტაძარშიც,
 სადაც ერთგულად მსახურებენ ქეშმარიტ რწმენას,
 ყველგან ურყევად ამტკიცებენ სიმართლეს ჩვენსას!

მოსუმი პრეტიკოსი

რწმენას განმდგარნი! დაანებე თავი ოცნებას,
 რომ ფუტე კამათით დაგვამარცხებ. მამ ის მოთხარი
 თქვენს გულსიას თუ ჰყავს ერთი მაინც ისეთი
 ვით არიოზი, ანდაც როგორც ორი ვესევი?

ბერი

თქვენ თუ გყავთ ვინმე, ათანახეს მსგავსი რომ იყოს?

მოსუმი პრეტიკოსი

თქვენ თუ გყავთ ვინმე წამებული?

ბერი

აურაცხელი!

მოსუმი პრეტიკოსი

ცრუწამებულნი, ვინც სატანამ გზას ააცდინა
 და საუკუნოდ ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩააგდო!
 სწორედ თქვენა ხართ ბაბილონი აწდასანგრევი,
 მეძავეი ქალი იოანეს წმინდა წიგნიდან,
 რომელიც მიწის პირისაგან უნდა აღიგვეს.

ბერი

თქვენა ხართ სწორედ ის ურჩხული შეიდთავიანი,
 ანტიქრისტენი, იოანეს რომ უწერია!
 თქვენ ხართ ეშმაკის მიმდევარნი, არამზადები,
 მოლაღატენი!

მოსუმი პრეტიკოსი

ყაჩაღები და გველები ხართ

ღორმუცელები და გახრწნილნი სულით და ხორცილ!

პატრიარქი

შორს, განვედ ჩემგან! ჩვენ ისედაც დაეაგვიანეთ!

უფლის გულისათვის — ყველა, ყველა, ყველა კოცონზე!

მოსუნი პრემიუსი

ღვთის გულისათვის — ამ საქმეში შენ არა ტყუი!
ღვთის გულისათვის — მართალი ხარ ბოროტმოქმედო!
ღვთის სადიდებლად ემსხვერპლება მრავალთმარავალი!
თქვენ ძალა გაძლევთ თვითნებობის ამდენ უფლებას,
ხოლო ხიმართლეს თქვენსას განსჯის მაღალი ზეცა.
თქვენი ცოდვანი მიწიერი აღიკავება
და სისხლი ჩვენი კვლავ დაბადებს ასალ მებრძოლებს.
იღვა ჩვენი გაიმარჯვებს! კოცონის აღი
მომავლის დღეებს ნათლის შუქად მოეფინება!
წავიდეთ ძმანო, შევეწიროთ ჩვენს მტკიცე რწმენას!

პრემიუსები (მღერთან)

- ა. ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე,
რაისათვის დამიტყვებ მე,
შორს არიან ცხოვრებისა ჩემისაგან
სიტყვანი ბრალთა ჩემთანი.
- ბ. ღმერთო ჩემო, დღისი ხმა ვყავი შენდამი
და არ ისმინე ჩემი და ღამე არ იღვაწე ჩემთვის.
- დ. ხოლო შენ წმიდასა შინა.

(ფსალმუნი XXI)

პრემი (კუნდათ, აწვევებებზე)

- ა. საჯენ უჯალო მანებელნი ჩემნი და ბრძოდე
მბრძოლთა მათ ჩემთა.
- ბ. აღილე ჭური და ფარი და აღდეგ მწე ჩემდა.
- გ. განაწფინე მახელილი შენი და შეჰკრიბე წინა კერძო
მდეგართა ჩემთასა.

(ფსალმუნი XXXIV).

ამასობაში პატრიარქი თავისი ძმალთ გაღას. რამდენიმე
ბერი სიველებით ზელში შეერევა ქვაროსანთა ბრბოში.

ლუმიფერი (ადამს)

რამ დაგამუნჯა, ანდა ასე რატომ ცახცახებ?
ტრაგედიაში კომედიაც არის ჩაწული.
გამხიარულდი!

ადამი

ეს რა ვნახე, რა გებუმრება!
როგორ იქნება ერთი ასო „ინის“ გულისთვის
თავი გასწირო და სიკვდილი ირგუნო წილად?
მაშინ რაღაა ღამაში და ამაღლებული?

ლუმიფერი

იგია, რაც სხვას სიცილს მოჰგერის. განა რა არის,
ნაბიჯი მხოლოდ ნაბიჯია ამ ცნებებს შუა,
რაც ხან სიცილის ღირსი არის, ხან ამაღლების.
მხოლოდ გულის ხმას შეუძლია ამოირჩიოს
მათ შორის ერთი მათთაგანი, ხოლო რამდენად
მართალი არის არჩევანი, მსაჯული ამის
და იღუმალი განმკითხველი — თანაგრძნობაა:
ის გაგაღმერთებს, თუ არ მოგკლა დაცინვის შესაბამით!

ალაში

ო, ღმერთო ჩემო, რად ვიხილე ეს საზიზღრობა, აურზაური ატეხილი წმინდა წერილზე, განა ღამაზე და ხურნელოვან ყვავილის გულში მაინცდამაინც უნდა შხამი აღმოვაჩინოთ? მუ ეს ყვავილი უწმინდესი მახსოვს მაშინაც, როს რწმენა ჩვენი, დღეს დევნილი, მთლად ნორჩი იყო! რა საშინელმა ბოროტებამ დალუპა იგი?

ლუციფერი

ამ ბოროტებას გამარჯვება არ ჰქვია განა, ადამიანებს ერთმანეთს რომ აშორიშორებს და არის ათას ინტერესთა თავშესაფარი. გაჭირდება კი ადამიანთ აერთიანებთ, იგი წარმოშვებს წამებულებს და ძალასაც კი აძლევს იგი, როგორც ვხედავ, ერეტიკოსებს!

ალაში

მართლაც, რა მიღირს, გადავადო ეს ჩემი ხმალი და გავემართო მშობლიური მუხნარის ჩრდილში, იქ სადაც დღესაც, ამ წყველი ეპოქის შხამსა წინ აღუდგება ვაჭაკური სინდისი, რწმენა, პატიოსანი და უბრალო ზნეობა კაცის. მაგრამ ჩამძახის, არ მასვენებს ხმა იდუმალი, რომ ვარ მოგალე განვაახლო ეპოქა ჩვენი!

ლუციფერი

ამაოდ ცდილობ! არასოდეს ეს არ მოხდება, რომ პიროვნება წინაღუდგეს დროის ქარიშხალს, ეპოქის ზვირთი ან წაგილებს ანდა დაგახრჩობს. ბელადი მხოლოდ ის ძლიერი პიროვნებაა, ვინც კარგი ცურვით თან მიჰყვება ცხოვრების ტალღას. მემატიანე მხოლოდ მას რაცხს დიადთა შორის, ვინც მოქმედია, ვინც აუღებს აღლოს თავის დროს და არა იმას, ვინც ქმნის უცნობ, ჯერ ახალ ცნებას. მამლის ყვილით ჯერ არასდროს გათენებულა, მამალი ყვივის, როცა იგრძნობს დროს განთიადის! შეურაცხყოფით და დაცინვით ნაცარმიყრილი, ბორკილგაყრილი ვინც მიელტვის ხვედრსა მოწამის. დანარჩენებზე მხოლოდ გოჯით წინ იხედება! დაუზოგავად თავს სწირავენ ახალ იდეებს; და მას ყველაფერს, რასაც გვიან, დიდი ხნის მერე, სულ უზრუნველად, ქუჩის მტვერთან შეზავებულებს შეისუნთქავენ ალბათ მათი შთამომავალი... მაგრამ სჯობია ახლა, რომ შენს ბანაკს გააჩუქო! რას დაბობღავენ წვირიანი ბერ-მონაზვნები, ეს რა ბაზარი მოუწყევიათ, რა ხელს აქნევენ? ან რა ყაყანი გაუმართავეთ?

ბერიშვილი (ჯეაროსანთა შორის)

ჯარისკაცებო,

ალამი

არ ვიცი, სწორედ,

ვინატრო კია ახლა შენი გამოფხიზლება?

ვაი, თუ უცხად განიფრინდე ოცნების მსგავსად!
თვალს ვერ ვუკერებ, ნუთუ არის შესაძლებელი,
რომ ადამიანს ქვეყანაზე სხეული ასე
ჰქონდეს ღვთიურად მშვენიერი და სხივოსილი?

ლუციფერი

სხეული ასე სხივოსილი! არ შეიძლება,
ბედმა დასაჯოს უკუნური უფრო სასტიკად,
ვიდრე ის, როცა სიყვარულით დაბრმავებული
მიაწერს თავის ნანატრ სატრფოს ყველა სიკეთეს!

ალამი

მე შერვენება თითქოს გიცნობ, — დიდი ხნის წინათ
ერთად ვიდექით მამა-ღმერთის ტახტის წინაშე.

ლუციფერი

მინდა იცოდე, სიყვარულის არის თვისება:
მისი ნექტარით მხოლოდ თრის გული ივსება,
მესამეს ხედება სიმწარის და ნაღველის გემო!

ალამი

გონზე მოვიდა! მადლობა ღმერთს, ილიმის კიდევ!

მეა

რით გადავიხდი შენს მადლობას გმირო რაინდო!

ალამი

არ არის ჩემთვის შენს სიტყვებზე მაღალი ჯილდო!

ლუციფერი (ელენეს)

ვმ ვერაფერი ჯილდო არის! შენ კი ლამაზო,
ერთი ღიმილიც არ მაჩუქე!

ელენე

რისთვის გაჩუქო?

ლუციფერი

შენ როგორ ფიქრობ, ამ ამაყმა რაინდმა განა
შენც გამოვიხსნა? ვატყობ, რომ ხარ პატივმოყვარე!
მან ქალიშვილი იხსნა, განა მისი მსახური.
მსახურის დახსნა წილად ერგო შეაბარეს მისას!

ელენე

რა ხეირია? თუ მადლობა გადაგიხადე
იმითვე, რასაც წელან ძლივსლა გამოვექეცი,
მაგრამ რომ ვიყო უმადურა — ესეც ცოდვია!
ისე, რომ გითხრა, ის ოთხივე, ის ჯვაროსნები,
ცული ბიჭები როდი იყვნენ...

ალამი (გვას)

სად გაგაცილო?

მეა

არხად, აქვეა შესასვლელი მონასტერისა.

ალამი

მონასტერს მისვალ? მაგრამ კარი მონასტერისა
გულში ჩასახლეს იმედს ჩემსას ხომ ვერ დაფარავს?
მინდა ნიშანი რამე მომცე, ჯვარს დავაბარებ,

იყოს, ვიდრემდე მისიზობს იგი ბრძოლებსავე.
ნიშანი შენი გამამხნევებს და მომაგონებს,
რომ მოთმინებით გავატარო უშენოდ წლები,
რომლის ბოლოსაც სანეტარო ჯილდოს მოველი!

მეა

აჰა, ეს ბაბთა...

ადამი

ეს ბაბთა შავი, როგორც ღამე?

არა, იმედის ნიშანი მსურს და არა მწუხრის!

მეა

ნიშანი მხოლოდ ესა მაქვს მე. სხვა არაფერი.

არ იფურჩქნება მონასტერში იმედის ვარდი!

ადამი

არც სიყვარულის. მაგრამ სადაც შენ ხარ ქალწულო,

იქ სიყვარულიც არის მუდამ! ტანსაცმლით გატყობ

არა ხარ ჯერაც მონაზონად შენ აღკვეცილი!

მეა

გთხოვთ, ნუ მაწამებთ შეკითხვებით, ისედაც ვატყობ,

მისგან სევდა და მწუხარება რომ გემატება.

ლუციფერი

მაშ მიდიხარ და კედლის შიგნით დაიფარები?

მეა

ახე! მაგრამ, განა ზღვაში ვაგდებ გასაღებს.

ლუციფერი

სამწუხაროა! ასეთ ხაწყენ შემთხვევისათვის

მე მშვენიერი ელფია მსურდა მიმედგნა!

ელენა

თავიდან მომწყვდი შე ქილიკავ!

ლუციფერი

ნუ გაჯავრდები,

ახლა იდეა დიდებული გამიჩნდა უცებ —

უნდა ჩავეყინოთ ზღვაში მაგ შენ გასაღებისთვის!

ელენა

სულაც არ მინდა, შენ რომ ეს ქნა!

ლუციფერი

ხედავ, ჩავეყინოთ!

აბა უყურე: ზღვის უჩინო კბილთა ღრჭიალით

ნიახლოვდება, გადაყლაპავს მიპირებს უკვე!

ელენა

დაბრუნდი, თორემ შიშისაგან ლამის გავთავადე!

სარკმლის რაფაზე გასაღები ეძიე ჩემი!

ადამი (ევას)

რას გეძახიან მაინც მითხარ, რომ ჩემს ლოცვებში

მოგისხენიო სასოებით, რადგან არ მომეც

ნება იმისა, რომ გამეყო შენთან სიმწარე

და სიმძიმელი ერთობლივი უბედურების!

მეა

მე ვით მონაზონს უფრო მშვენივს ლოცვად დავარდნა...

იზორა მქვია, შენ ვით გიხმო რაინდო ჩემო?

ალაში

შე ტანკრედი ვარ!

მეა

მამა-ღმერთი გფარავდეს, ტანკრედ!

ალაში

ნუ აჩქარდები, ჯერ ნუ წახვალ, ჩემო იზორა!
 თორემ დაგწყველი გულმოკლული საკეთარ სახელს,
 შენ რომ პირველად დამიძახე ვაშს განშორების!
 ჰოი, შენ წამო წარმავალო! ვით გაგაგრძელო!
 ნუთუ იდუმალ გამოცანას ვსოდენ მწარეს
 ვერ ამოვკარგავ შენი ბედის ძვირფასი სიმით?

მეა

რახან ასე გსურს მოისმინე ჩემი ამბავი:
 მეზრდოლი იყო მამაჩემც ჯვაროსანთ ლაშქრის.
 ერთხელ, უცხრად, ღამის ბინდში, მტერი ვერაგი,
 ველურ ყიფინით თავს დაესხა მათ სადგომ ბანაკს.
 არავითარი ხსნის იმედი არსაით ჩანდა,
 და მამაჩემმა აღქმა მისცა ქალწულ-მარიამს,
 რომ თუ კი ცოცხლად დატოვებდა, სახელს ღვთისშობლის
 თავის ქალიშვილს შესწირავდა. იგი გადარჩა.
 იგი დაბრუნდა. აღქმას მისხს ვასრულე ახლა.

ალაში

ო, უწმინდესი სიყვარულის განსხეულებავ!
 მაგრამ შენ მაინც ღვთისმშობელო წმიდათა-წმიდავ,
 ვით არ შეძრწუნდი საშინელი ამ აღთქმის გამო,
 უბედურებად რომ აქცია წყალობა ზეცის
 და სიკეთის ქმნა საზარელ და საშინელ ცოდვად!

მღვწე (ლუციფერს)

შენ კი არა გსურს მოისმინო მე რა შეშემთხვა?

ლუციფერი

შე ყველაფერი კარგად ვიცი; ვიცი, გიყვარდა,
 ისიც ვიცი, რომ მოგატყუეს, ისევ გიყვარდა,
 მაგრამ უკვე შენ მოატყუე, კვლავაც გიყვარდა.
 მერე ის გმირიც მოგყვირჭა და ცარიელი
 გული ისევე ელის ახალ მფლობელის მოხელას!

მღვწე

ჰაო, უყურე, სულში ალბათ ეშმაკი გიზის,
 მაგრამ თავდაბლად კი იქცევი, რადგან ვერ ატყობ
 რომ ჩემი გული ახლა ისევ დაპყრობილია.

ლუციფერი (ალამს)

წავიდეო, ახლა, ისე როგორც შენ იზორასთან
 არ შეგიძლია განშორება, მეც აღარ ძალმიძს
 დიდბანს გადაედო გამარჯვების სიამოვნება.

ალაში

ყოველი სიტყვა გულს მიწამლავს შენი, იზორა,
 ის შხამი ერთი კოცნის თაფლით მაინც დამიტკემ!



მეა

რა ზენა, აღთქმა მაქვს მიცემული. ჩემო რაინდო!

ალამი

მაგრამ სიყვარულს შენსას ვინმე დამიშლის განა?

მეა

ო, ბედნიერო, დავიწყება ვით შევძლო შენი!

მე წავალ, თორემ, ვატყობ უკვე არ მყოფნის ძალა!

ღმერთი გფარავდეს! აწი ალბათ ცაში შევხვდებით!

ალამი

მე ვერასოდეს დავივიწყებ, ღმერთი გფარავდეს!

(ევა შედის მონასტერში)

მლენე (გვერდზე) ჰოი, ლაჩარი! ყველაფერი მე უნდა ვუთხრა!

(ხმამალა)

ზღვაში კი არა, გასაღები სარკმელთან ნახე!

(ევას მიყვება)

ალამი (გამორკვევა)

ახლა წავიდეთ!

ლუნიფერი

გვიანაა! ხედავ, როგორი

შეშლილი არის თქვენი მოდგმა! ქალი მას ზოგჯერ

მხოლოდ თავისი პირუტყვეული ვნებისთვის უნდა,

ველარც კი ამჩნევს მის პოეტურ პაეროვნებას

და ამით იკლებს სიყვარულის უნაზეს ყვავილს!

ზოგჯერ კი დიაცს წარმოიდგენს ღმერთქალის მსგავსად

და მეტოქეებს სასიკვდილო ბრძოლას უმართავს.

თვითონ სისხლისგან იწრითება, მაშინ როდესაც

ნანატრი სატრფო მოუწყვეტავ ვარდივით ტკნება.

რატომ ვერ ხედავს ის ქალში — ქალს, რად არ აფასებს

მის მოწოდებას ქალურს, ყოვლად ცხადს და გარკვეულს?

მთლად ბნელდება, ამოდის მთვარე, ევა და ელენე სარკმელთან დგანან.

მეა

როგორი ჭინით მიყურებდა! ან როგორ თრთოდა!

ასეთი გმირი — კანკალედა ჩემს დანახვაზე!

მაგრამ ქალური ჩემი კდენა და ჩემი რწმენა

მაძულებენ დავიოკო ჩემი გრძნობები

და აღთქმას ჩემსას შევეწირო წმინდად და ტანჯვით.

მლენე

ო, რა საოცრად უჭკუოა სქესი ქალური!

როგორც კი იგი მოიშორებს ცრურწმენის არტახს

გადაეშვება გამდაფრებულ ვნების მორვეში,

საკუთარ თავის ყოველგვარი ღირსების ფასად,

და ითხუანება უსაზიზღრეს წუმპით და შმორით.

ან მეორე აქვს უჭკუობა, უკიდურესი —

ხუმლმთლად უმწეოს ეშინია საკუთარ ლანდის,

ამაოდ ატკნობს სილამაზეს — სიმდიდრეს ღვთიურს,

ისე რომ არც სხვას, არც თავისთავს არაფერს არგებს!

გზა საშუალო უნდა იყოს აქ მონახული!

ვის რან უშავებს გალაღება, მცირე გართობა,
ნაზი გრძობების ააღება, აკეკლუცება.

ვნების აღმური, ზოგჯერ მეტად წესრიგიანიც.

ჩვენ სულთ მართო ხომ არ ვცხოვრობთ,

სხეულიც ხომ გვაქვს!

მეა

აბა ვლენე გაიხედე: ისევ იქა დგას?

ასე ადვილად წავიდოდა ვითომ აქედან?

ერთი, თუნდ ერთი სიტყვა მითხრას ნეტავი კიდევ!

ქალბი (ლუციფერს)

სარკმელს შეხედე, ხომ არა სჩანს სადმე იზორა?

ო, ღმერთო! კვლავაც დამანახვა იმისი ტანი

აღვის ხესავით ატყორცნილი. ჰეი, იზორა!

ნუ გაჯავრდები აქ რომ დავრჩი. ვერ შევძელ წასვლა.

მეა

ორივესათვის სჯობდა აღბათ რომ წასულიყავ!

გულის იარა უფრო ჩქარა ხორცდება, როცა

მას ხელმეორედ ახალ ტკივილს არ მივაყენებთ!

ქალბი

ყური მიუგდე, როგორც გული უზარმაზარი

ღამის სიჩუმე ისე ფეთქავს ჩვენს გარემოში

და მხოლოდ ჩვენ გვაქვს აკრძალული ტრფობის სიამე!

არ გემინია, რომ მოგედოს შენც მისი ხიბლი?

მეა

თითქოს დავფრინავ გამოუცნობ სიზმრის ბურუსში;

იქნება ციდან ჩამოგზავნეს საღბუნად ჩემდა —

სადღაც, მაღლიდან ჯადოსნური მომესმის ქანგი

და მოშრიალე ხეებიდან სულნი კეთილნი

ძმურ აღერსს ნაზად მიგზავნიან და მამხნევენ.

მაგრამ ჩვენ, ტანკრედ, არაფერი აღარ გვიშველის.

ქალბი

მაგას რად ამბობ? ეს კედლები ვეიშლიან განა?

ნუთუ ვერ შევძლებ მათ დაძლევას მე, მე, რომელსაც

ბასურმანების ქალაქები დამილაშქრია?

ლუციფერი

ვერა, ვერ შესძლებ! მტკიცე მცველი ამ კედლებისა

დროის სულია, შენზე უფრო ბევრად ძლიერი!

ქალბი

ეს, ეს რა არის?

(უკანა პლანზე კოცონი აბრიალდება)

მრეპტიმისმი (შორს, გუნდად მღერიან)

21. დაიხსენ მახვილისაგან სული ჩემი და ხელთაგან
ძალთასა მხოლოდ შობილება ჩემი.

22. მიხსენ მე პირისაგან ლომისა და რქათაგან მარტო
რქისათა სიმდაბლე ჩემი.

23. მიუთხრა სახელი შენი ძმათა ჩემთა, და შორის ვე-
ლესიასა გიგალობდე შენ.

(ფსალმუნი XXI)

მეა შეიწყალო ცოდვილნი ღმერთო!
 ალამი (ცაცაცხით) საშინელია!
 ლუციფერი

გესმის: ეს თქვენი საქორწინო სიმღერა არის!
 ალამი

ღე, ვერე იყოს. მე არაფრის არ შეშინია!
 შენი გულისთვის ვისაც გინდა შევებრძოლები!
 ბერბი (გუნდად, შორიდან)

26. შთაიცივედ სირცხვილი და კდება რომელნი მდიდ-
 რად იტყოდეს ჩემ ზედა.
27. იხარებდნენ და იშუებდნენ შენდამი ყოველნი, რომელთა ენება სიმართლე ჩემი, და თქუედ მარადის, დიდ არს უფალი, რომელთა უნდა მშვიდობა მონისა შენისა.

(ფსალმუნი XXXIV)

ალამი საგუნდო სიმღერის დაწვებისას უკვე მონასტრის კართან მისული ისევ ჩერდება. მონასტრის კოშკიდან ისმის კოტის ზმა, პაერში დაფრინავენ კუდიანები, ხოლო კარების წინ ამოიზრდება ჩოჩხი და მუქარით ჩერდება ალამის წინ.

მეა (სარკმელს მოაჯახუნებს) ღმერთო მიშველე!
 ჩონჩხი გაეცალე ამ წმინდა კარებს!
 ალამი

საშინელება! შენ ვინდა ხარ?
 ჩონჩხი
 მონაწილე ვარ უშუალო და პირდაპირი
 სუყველა შენი ზვეწისა და შენი კოცნისა!
 კუდიანები (ხარხარით)

სიმწარეს შესვამ სიტკბოს თუ ელი!
 მტრედის კვერცხიდან იშვება გველი!
 იზორა, ჩვენ შენ გეძახით, იზორა!

ალამი
 რა კოშმარია? ვერ გავიგე რა ხდება ირგვლივ,
 თქვენ შეიცვალეთ, თუ მე არ ვარ ის, რაც ვიყავი?
 როცა ღიმილის შუქი ედგა მაგ თქვენს სახეებს,
 მე თქვენ გიცნობდით. ესლა თავად ვერ გავარკვიე
 აქ რომელია მოჩვენება და რა სიცხადე?
 თქვენი ჯადოსგან მომიდუნდა სულმთლად ხელები.
 ლუციფერი

სწორედ ამაზე ვოცნებობდი, ბედი მქონია!
 სხვაგან სად ნახაუთ კამბანიას ასე მშვენიერს!
 ოი, თქვენ ნაზო, მშვენიერო კუდიანებო,
 თავხედობით რომ შიშველ ნიშნებს გადააკარბეთ!
 ან შენ სიკვდილო, თანაშემწევე ჩემო, ერთგულო,
 ამ სასაცილო ცოვ სიკეთის სპექტაკლს რომ მართავ,
 რომ შეიღმა მიწის წვეველა-კრულვით მოგიხსენიოს!
 მოგესალმებით თქვენ სულყველას! ძალიან ვწუხვარ,

რომ დრო არა მაქვს მთელი ღამე თქვენთან ყბედობის.
(მოჩვენებები ქრებიან)

აბა, გამავრდი ახლა, ტანკრედ! აღსდექი, ტანკრედ!

შენმა მიჯნურმა მოვიხურა უკვე სარკმელი.

აქ რაღას ედგაფართ? საშიშია, ქარი უბერავს,

არ გაგაციოს და წელკავი არ გაგიჩინოს.

ახლა ელენეც მალე მოვა. როგორ მოვიქცე?

ემშაქისათვის სიყვარული აკრძალულია.

მიჯნური ეშმა სასაცილოდ გეძნება ყველას

და ის დაპყარგავს ძლიერებას. საოცარია

ადამიანი, ავსებელი მსურველს სულით

ტრფობის წყურვილით იტანჯება, მისთვის, რომ მერე,

ტანჯვა-წამებად შეეცვალოს წყურვილი იგი.

გაყინულ სულით შეჯავშნული ეშმაკი ამდროს

უნდა გაჟექცე ჩემსკენ დაძრულ ტრფილის ტალღას!

აღამი

ახალ ცხოვრებას მივაშუროთ, ო, ლუციფერო!

ბევრი ვიბრძოლე უწმინდესი იდეებისთვის,

სამადლობლოდ შემხვდა მხოლოდ წყველა და კრულვა.

ადამიანი მსხვერპლად მიაქვთ ღმერთის სახელით.

ადამიანს კი როგორც ვატყობ არ შეუძლია

ჩემთა ოცნებათ ფრთების შესხმა. მსურდა რომ ქვეყნად

ვნებას ჰქონოდა მისწრაფება კეთილშობილი,

მაგრამ მას მხოლოდ შეცოდების დაღი დავასვი.

რაინდულ პატივს და ღირსებას მე ვკადაგებდი,

სამაგიეროდ თვით მე ჩამცეს გულში მახვილი.

ჩქარა წავიდეთ! გავეცალეთ აქაურობას,

ჩემი ცხოვრებით არაერთხელ დავადასტურე,

თუ რადაც ვღირვარ ბრძოლებსა და გაჭირვებაში!

ახლა გარეშე ყოველგვარი სინღისის ქეჯნის

უფლება მაქვს, რომ მივატოვო ჩემი ადგილი!

ვერავითარი ვერ აღმაგზნებს აღფრთოვანება,

დღე, ამ სამყარომ თვით იბრუნოს როგორც მას უნდა —

მე არ წარემართავ, არას დავდეგ მის ბორბლის ტრიალს,

გულგრილად ვუშურ მის ბორძიკს და არეულ ნაბიჯს,

ვარ დაქანცული, დასვენება მწყურია ახლა.

ლუციფერი

ეცადე! მაგრამ არა ვგონებ, რომ შენმა ხულმა

და ძალამ შენმა ბობოქარმა, დაუდგრომელმა,

შენ დასვენების ნება მოგცეს. მომყევი, ადამ!

თარგმანი ნოდარ გუგუშვილი





არსენ ბადალაშვილი

პარბი დასაწყისი

საბადლოს აღმართს რომ ავცდებით და საფაფაბს ქვედად გადავხედავთ, ჩვენს წინ პატარა სოფელი გამოჩნდება, მას პანტაონი ჰქვია. თეთრი წყაროს რაიონში შემავალი მანგლისის ზონაჲ აქედან იწყება.

შესხეთ-ჩავახეთისკენ მიმავალი ერთ-ერთი მთავარი გზა სწორედ აქ გადის; საბოლოოდ წლის წინათ, იგი ერთ ადგილას გადაქედული იყო, გზის პირას მორყეული ქიხური იდგა და შიგსახე დაჭორჭებული, ცხიბურის სმით გამოთავანებული კაცო ტრიალებდა. პალოზე მიღურსმული ფირსიჲც იქვე ერთო და ზედ, ოპრობოკრო ასოებით ეწერა:

„ზონაში თურქული მშენებარებს, პარტუტების ვატარა-გამოტარება საბტკად აკრძალულია“.

ნამდვილად კი იქ არავითარა თურქული არა მშენებარებდა; ეს ამბავი, რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელების ერთ-ერთი სავადალო ხერხი იყო, რომ კერძო პირებს თავიანთი საქონელი აუცილებლად ხორციის დამზადებაში ჩაებარებინათ, რაიონის ვარეთ არ გაეუფანათ; თორემ თურქული რაღა იმ კერძო პართათებს იყო, როცა ხორციის დამზადება მათგან საქონელს შეუფერხებლად იბარებდა და მერე ვაუთავებულ ნახირს ქალაქისკენ მიერეებოდა; თურქულის ვატარა-გამოტარებისა რატომღაც იმათგან არ ეშინოდათ.

მესამე წელიწადი ეს გზა გადაღობილი აღარ მინახავს, მაწქანებს ვასახსრეკად აღარ აბრებენ, შემოდგომაჲ თუ ზამთარი, თავისუფლად გაივლი და ასეთი დამამცირებელი რამ თა-

ვიდან რომ მოგვორდა, გულს უხარია. ვასაუბდი პირუტყვი გუავთ? მისი დამზადებაში ჩაბარება ხელს არ ვამლევთ? მაშინ დაკალით და ქალაქის ბაზარზე ვასაუბლად წაიდეთ, ამის დამშლელი აღარავინ არის.

პანტაონიდან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით, სოფელი ორბეთი სიგარტზე, გაიშობდა და როგორც უყვდებან, ისე აქც ომში დაღუპულთა ობელისკი ზედ გზის პირას აღმართავთ. სურათებიდან გადმოგურებენ შინმოუსვლელი ვაჟკაცები. ვინ იცის, თითოეულმა მათგანმა ამ სოფლის სამომავლო სიკეთის რამდენი ფაქრი და ოცნება გაიყოლია.

იქვე, ასიოდე ნაბიჯის მოშორებით, შრავალი წლის დუშოლის შემდეგ, რძის გადასამუშავებელი ქარხანა კვლავ აღმუშავებიათ. თვალებს არ ვუჭერებ, მაგრამ ნამდვილად ასეთი, თეთრი, ქათათა ტალოები გახაზრობად გამოყოფენათ, ნაღებით სავსე ბიღონები შესასვლელთან აწყვია.

რა დასამალია, შე ამ კუთხის შვილი ვარ, მანგლისის ზონაში შემავალ სოფლებში ზნორად მიხტიალია. მათი წარბულისა თუ აწმყოსი ცოტა რამ შეც ვიცხ და რძის გადასამუშავებელ ამ ქარხნის დანახვა ძალიან გამიბარდა. ახლა კი ნამდვილად ვერწმუნე, რომ აღრინდელი წლების დაქვეითების შემდეგ, საზოგადოებრივი მეცხოველეობა, მართლა აღმავლობის გზაზე შემდგარა.

ფულისს შუა რიცხვები იყო, სოფელ დიდი თონეთის საბჭოს თავმჯდომარე — არჩილ მგულაძე და მე შარავნაზე მივდიოდით. იგი მე-ზომბელ სოფლიდან გაბლავთ, მადლ-მადალი, პირხმელი ახალგაზრდა კაცია. პირველ შე-

ხელთ გულწაფლობის შთაბეჭდილებას ტოვებს, გაეცნობით და ენაწულანო, მაღლიანი მოხაუბრე შემოკრინებათ. ძალზე გულწრფელია და თავისი თუ სხვისი სოფლის საკეთიერათნაირად ახარებს, საუბრისას ესეც წაშისცდა:

— ჩვენს საბჭოში შემავალმა სოფლებმა დამწაფებებს ამდენი და ამდენი ტონა ხორცი ჩააბარესო, — აღარ მახსოვს რამდენი, მაგრამ რაღაცა დიდი ციფრი დაასახელა.

სიტყვა არ დაემთავრებინა, ორღობიდან ერთი ხანში შესული კაცი გამოვიდა, თავმჯდომარის სიტყვებისთვის ყური მოეკრა და უმალ გამოეძრა:

— შეილო, კარგია, რომ ბევრი ჩავიბარებთო, მაგრამ თავს ძალიან ნუ მოიწონებ.

თავმჯდომარე შეჩერდა, ბერკეაცს გაღაბდა და უფხრა:

— ძია მიხა, პირდაპირ მითხარი, რისი თქმა გინდა!

— ვიტყვი, განა მოგერიებები კერძოს ხარჯზე გამოხვედი. — მოხუცმა თავი სინანულით გადააქინა და მერე იქვე მოაყოლა, — კოლმეურნეობის ჩამოყალიბებიდან ათი წელიც არ იყო გასული და იმდენი საქონელი გავიჩინეთ, ანუღო დღეებოდა თუ არა, სოფლიდან ორ-მომცდაათზე მეტი გუთანი გაგვქონდა. კოლმეურნეობაში თორმეტი ბრიგადა იყო და გარდა გუთნეულისა, თითო ბრიგადას ორი უმბმული ურემი სხვა რჩებოდა. ახლა ვიანგარიშობ: გუთანში ექვს უღელა ხარი გვება, ურემს კი ყველაზე ხარკამერი ამუშავებდა. ზუთახი სულ მართო მუხა საქონელი გვავადა, ძროხებისა შენ დათავი: ასე რომ გაგრძელებულიყო და იმ ხარების ადგილზე ახლა ძროხებს ინახავდეთ, არცერთ ვლენკეას საკუთარი ძროხა აღარ დასჭირებოდა, ოჯახის მოხაზმარ რძეს, ყველსა და ერბოს კოლმეურნიობიდან წაიღებდა და ხორცის დაწვადების გეგმაც თვითონ კოლმეურნიობავე შეასრულებდა. თორემ რა გამოვიდა, აგერ კაცს ორი-სამი ძროხა ჰყავს, რძესა და მწონს ქალაქისკენ მიარბენინებს, ჰყიდის და მერე კარაქსა და ყველს მაღალია უღელულობს; საშუალოს, ძარველ საქმეს მოწყობელი კაცი, უფროსების უწესო ვარჯამ ვარჯენა და სარუას ეძებს. წითელ თუშნიანს გამოხდევნიბია და ამასობაში უფრო მეტი ევარგება, ვიდრე რამდენ იმდენს.

მიხა სამოცდაათ წელს მიტანებული კაცია, მოქაშაგარის მწარე ლუკმა და სხვათა კარზე წოწილი უწევია. ახალი ქვეყნის აშენება მისი ხასხბორცული საქმე იყო და კოლმეურნეობის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდა. სამაშულო ომის დროს კი წარისკაცის ფარაქა ჩაივდა, რევოლუციის მონაპოვნის დასაცავად თოფი აიღო და თონეთიდან ბერლინშიღის ფეხით ჩავიდა. რაღა თქმა უნდა,

რომ ასეთი ბიოგრაფიის მქონე კაცს შრომლიურო კუთხის საზოგადო შეტყობეულობის განაგებებაზე გული სტაქია, მისი წუხილისა კარგად მესმის, მომხდარი ამბების მცირეოდენი გათიერთება მიწა და იმ კაცს, რომელმაც ყველაფერი კარგად იცის და არც უნდა რომ მოტყუადეს, მაინც ამას ვუთხვებო:

— მიხა ძია, საერთოდ, საქონლის ასე შემცირება, აღბათ ტრაქტორებისა და ავტომანქანების ბრაღია. ისინი რომ არა...

— მოიცა, მოიცა, ძალიანაც ნუ გააბუნებ, — მიხამ სათქმელი შემარწმუნებია, ყველსაზევე უმალ დასთანად დაამკებრდა და თავისი მოაყოლა, — ძროხები და ხორკები ტრაქტორებსა და ავტომანქანებს არ დაურღვევ, მწვადებმა არ შეუწვეთ და არ შეუქამათ. ახა ერთი ეს მითხარი: კერძო საქონელი ასე სწრაფად რატომ მრავლდება?

მე მხრებოდა ავირინე. მიხამ თვალი მომარია და თავისი განაგრძო:

— კარგად რომ იცოდე, ტრაქტორებისა და ავტომანქანების გამოჩენის შემდეგ, საერთო საქონელი უფრო უნდა მომზადებულყო. წინათ მხოლოდ ბუცს ვაქმევდით და იმე ვამრავლებდით; მერე ოაწის, ესპარცეტის და ათასი სხვა უუთოიანი საცვების დათესვა-მოყვანა და ვიწვეთ; მაგრამ იმ წლებში, შენც ნანახი გექნება, კლუბებისა, სკოლებისა და ქოსსაშეთებულეების მაგიერად, გარშემო იმდენი რესტორანი და სასაღილო ავეიშენეს, თითო ძროხას, თითო მწვემსივ რომ დასდგამოდა, ნაშეირი მაინც აღარ მოუშავებდებოდა.

სოფელზე ჩამოვიარეთ, მიხას ჰგონია რაკიდა ჩავიწერ და გამოვაქვეყნებო. ყველაფერი ერთბაშად შეიცვლება. იგი მუხლების ტკივილს არაფრად ავდებს, არ იმწნებს და ძალიან ცდილობს სიარულში არ ჩამოგვარეს.

გზებს აღმარბული, იქაურობა მრავალი წლის ნაფარად დეარცოფეს ვადარეცხავს და აქა-იქ შემოარჩენილ, შემალღებულ ქვაყრილებზე ზტუნვა-ბტუნვით მივდივართ.

— ები, ჩემმა ხმის ამოუღებლობამ და ზოგ-ზოგების ბედოვლათობამ აი, რა დაგემარდა, ეს გზა ასე კი არ იყო. — მიხას აღრინდელი ვარჯის ამბავი კარგად ახსოვს და მოღმინადად რობობებს. — მაშინ ყველა თავის სოროსკენ კი არ მიძვრებოდა, კოლმეურნიობის წევრები კვირა-უქმე დღეებში გამოვდიოდით. ვერაქვებისა და ნარბების დებრა არ გვეზარებოდა, ურემი გვერნდა, ხარკამერი გვავადა და ამ გზებს სობანესავით ვასწორებდით.

გზისპირას, თუნუქით ვაღაბურული, სანახევროდ უკვე მიანგრული, კარ-ფანჯარა ჩამოგდელი, დაფარდაღებული შეწოხა მოჩანს.

— იქ რა გქონდათ? — ძია მიხას ეცეპობება.

— იმაზე ამბობი? — იგი უზღულე ხელს

აზრდელად და შენობას სედიანად გასცქერის, — რისი ვადასამუშავებელი კარხანა იყო, ომის დროსაც და მის შემდეგაც მუშაობდა. მერე კოლმურწიების ცხვარ-ძროხამ გეზი რისტორ-ნებისკენ აიღო და აღარ მახსოვს, შგონი ეგვიც სამოსტაორ წელში დაიხურა.

— ის რაღა უფიქრია? — ზღელ რაღაცა შე-ნობის ნაწარეებისკენ ვუშეღ.

— ემ, რა, ნათატარლხა მკავს ვანა, — მიხა მწარედ იციანის, — აბანო იყო, აუცილებლად დაწერე, დეე ზემოთ ეგვიც ვიკონ; ათიოდე წლის წინათ დაგვიგნრა და ჩვენდა სამარცვი-ნოდ, ამხელა სოფელი უბანოოდ დარჩა.

წუაროსთან შეერტრად, ზენვან მარწვივი-გონხარის ნათალი კეთი აწუობილი, ღამაში შე-ნობა წამოვიმუღლა. იგი ერთ კაცს აუშენებია, ერთმ საკუთრებაა. — თითქოს ეს სავალდო კონტრასტი განგებ შეუქმნათო, მის გვერდით, უბადრუტა, საკმაოდ მოფამფალებული, ახოოდე წლის წინათ აშენებული გულურჩი. სახლი ღვას, — საბუქოს შენობაა, დაბლა ნაგომურა-ლია, მაღლა კი — ვიწროსარკმლებიანი ორი ბნელი ოთახია. ერთში ფოსტატელეგრაფი შე-უხიარავთ, მეორეში — ქაღალდებით გამოკე-დილი კარაღა, თანგმობილებული სეფი და სამი საწერი შავდა. საბუქოს თავმქდომარე, მო-ღარე და შვიდანი აქა სხედან.

ეს რაგორ, ერთმა კაცმა შესძლო და თა-ვის ოჯახისთვის მშენიერი სახახლე აიგო, რამ-დენიმე სოფელმა კი საბუქოსთვის შესაფერი შე-ნობაც ვერ აიშენა-მეთქი, გული დამწუხა, უბ-ლოდის წარსულის ბეგრი ცდიდი რამ გამახსენ-და.

ჩი მიხასაც სახე უფრო დაუნაოკდა, ზეღი წაშედო და ზურგისკენ მიმარტუნა.

— მაგას რას მისწერებისარ, შენედე, საბ-უქოს შენობად ეგა გვიწოდია. ომის წინა წლებში ავაშენეთ. მაღლა, თავმქდომარის, მდივანის და მოღარის კაბინეტები იყო, დაბლა კი ფოსტა-ტელეგრაფი, სამედაციო პუნქტი, სამკობხე-ლო და კიდევ რაღაც-რაღაცეები გვიქონდა.

მართლაც ვებერთელა სასახლეა, ცოტა სი-ქველის იერი დაქარავს, მაგრამ თავისი შინა და ღაჯათი მაინც არ დაუკარავს.

აქედან ორახიოდე მეტრის მოშორებით, ზრიკიან გორაკზე წამოსკუებულ ეკლესიის გასწვრივ, თონეთის საშუალო სკოლის შენობა იდგა. ახლო-მაღლო სოფლებიდან, მაღალ კლა-ტებში სწავლის განავრტლებლად ზავსეები აქ მოდიოდნენ და მათთვის საერთო საცხოვრებე-ლოც გვერდით ედგათ. მაგრამ დროთა განმავ-ლობაში ის სასახლე დაიგნრა და სკოლა ამ შე-ნობაში გადმოიტანეს, საკლასო ოთახები არ ეყოთ და ძველებური, გლხური სახლები შეი-ქმნეს, კლასები იქაც მოაწეეს და თხოშეტიო-დე წლის წინათ მომხდარი ამბავი დღევან-დღამდის გაივრტლებს. ამ შენობიდან ვადატა-

ნელი ბიბლიოთეკაც, რაღაცა ფარდულისმავგარ ნაგებობაში შეუტანიათ, შიგ შეტყვევებულ და სეველა შემოგაწეებთ; ამ კოხის-სამკობხელოდ გადატევა ნება რომელმა კუთხოშოფელმა მოიგონაო, მაშინვე ამას იფიქრებთ.

მთელი ათი-თხუთმეტა წლის მანძილზე აქ ახალი თითქმის აღარაფერი აშენებულა და ძველად აგებულსაც უწარაღნია. მანგლისის ზონაში შემაველ უველა სოფელში დაახლოე-ბით, ერთი მეორის მსგავსი მდგომარეობაა, არცერთი დიდი თუ პატარა ხელმძღვანელი მათზე თანხ არ იწუხებდა, იხინი მხოლოდ სა-კუთხარი სახახლებების მშენებლობაზე ზრუნე-დნენ. ხალხი კი გავგნებულა იყო, ეს რა ამბე-ბი ზღებოა, უყვარდათ და მათ უფსუფსს ჭილ-ბურანში მყოფებივით შეკუთრებდნენ.

ახლა სურათი ძირეულად იცვლება. ადამია-ნები გამოფიხზლდნენ, გამოვიღო ვჯახ უყირ-დებიან, რა გვიქონდა, რა შევქმენით და რა შე-გვრჩაო, კიხხულობენ. რესპუბლიკაში შექმნილ-მა ახალმა ვითარებამ აქაურებსაც გული იმე-დით აუვსო, ისინიც ცდილობენ მოწინავეებს გვერდით ამოუდგნენ; მათი მოქმედების შედე-გად წელს, მეორენობა თონეთილებს აბანოს უშენებს, წყაროების შესაკეთებლადაც გან-საზღვრული ხარჯი ვაუწევათ, შიდა გზების მოსაწყოხად კი სოფლის საბუქოს, რაიონის კარბი ფონდის შემოსავლიდან ჟანსაზღვრულ თანხას მპირდებიან. მართალია, ამ თანხით სოფლის უველა ორდომებს ერთხალად ვერ მოა-წარებთ და ვერ მოახსაფლებთ, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დასაწყისია? ზემოთ აღწერილი მდგომარეობის შემდეგ, დროის ამ მკირე მო-წინავეში მტის გაკეთებას ვერცერთი კუთხო-შოფელი ვერ მოითხოვს.

მეორე დღეს მანგლისში ჩავედი. ამ ზონის მშრომლებისთვის საშუალო სკოლის შენობა ეს არის ააგეს. ახლა კი, ოთხმოცდაათსაწო-ლიან საავადმყოფოს აშენებენ და მაშინვე იმის სანახავად ვავეშურე, შენობა უყვე ფხზე წა-მოუყენებიათ და შიგ მონასარკოლებელ სამუ-შაოები მიმდინარეობს. ესოსა და მისადგომებს უსწორებენ, მოწიორებასა და მებოქაშეებს ერთი გაწამაწია უდგათ.

იმათ შორის, ღურჭკერანგინი, მკლავებ-დაკაპინებული ახალგაზრდა კაცი ტრიალებს, იგი აქაც ზომამაშეულია, მანგლისის საავად-მყოფოს ახალი მთავარი ექიმი უფილა. ორი კვირის წინ შევბუღებია აუღია და დღე და დამე აქ არის. უოველი პალატისა და კაბინეტის მოსწორება-მოღამაზებას თვითონვე ზღმძღვა-ნებობს, ნაქაფარასაც კი ვაუსინჯავად არ სტო-უებს.

ორიოდე წლის წინათ, ამ ადგილზე, მანგ-

ლისი საავადმყოფოს ძველი, ერთსართულიანი, ბარაკის ტიპის შენობა იდგა. ეწო ერთთავად უხუფთაო და აინჰინელი-ღანჰინელი ჰქონდა. წვიმიანზე დიდი ტლამო იდგა, ბილიკაც კი არა ჰქონდა მოკირწყლული და ამ დროს შავ შესვლა უყოფელთს დაეწინარებოდათ. და მაინც თუ შეხვიდოდით, აუცილებლად ვეებერთელა ღორები შემოგვევრებოდნენ, პატარა, ჩისისბლიანებულ თვალებს გაშტერებით მოგაპურობდნენ და შემოგვიღრუტუნებდნენ.

ვიხიბო, რომ აკეთხავდით, ჭანიკოსიანო, მოგაკებდნენ.

იგი ამ საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო; ამ ზონაში, როგორც სხვა, მასწავლებელი თუ მოხვეუ საკუთარი საქონლის მოვლა-გამრავლებასზე იყო გადასული, ისევე ისიც ღორებს აშენებდა, საავადმყოფოს საშარბრულოს წარჩინებოთა თუ შავ ბაზარზე შეძენილი კომბინირებული საკვებით ასულებდა და სარფიანად ჰყოფდა. მაგრამ ამ წლინახევრის წინათ, რაღაცა ხამარცხინო ამხავზე წაუსწრეს, თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მისი ღორებიც თან მიაყრდნეს.

საავადმყოფოს ახალი შენობის დაპროექტებისას, ინჟინრებმა საავადმყოფოს ორსართულიანი შენობის გვერდით მოწრდილი საჭინობოც დააპროექტეს. მაგრამ ახალ მთავარ ექიმს ეს პროექტი უნაბეს თუ არა, გაბრაზებულა, — შევტარებდეთ საუბრენ ხომ არა გგონიათ, საჭინობო რა ჭანდაბად შინდა, მთელი მანგლხისი რომ შემოიარათ ორ ცხენსაც ვერ იპოვნიო. საავადმყოფოს უახლესი ავტომობილები აქვს; ძველებურს თავი მიანებეთ, ერთხელ და ხამუდამოდ გაიკეთო, რა სულსკვეთებითაც ცვსოვრობოთ.

მთავარი ექიმი აჯაკი ჩომბახვილი მშენებლებს არ შეჰუბებია, საჭინობოს პროექტი ვარაუდის პროექტით შეუცვლენინებია, ამაზე მთელი დავიდარაბა ვადაუტანია. შერე საავადმყოფოს შიდა მოწყობილობაშიც ბევრი რამ უახლესი მოთხოვნილების კვადობაზე ვადაუკეთებინებია და ახლა, მოსაპირკეთებელ სამშროაობესაც თვითონვე ხელმძღვანელობს.

მის უყოველდღეურ გარჯას და საქმიანობაზე ბევრს აღარ გავაგრძელებ, დროის ამ მცირე მოწაკეთში, თავისი ალალი, პატიოსანი და ვულშარბალი ქვეყნო, აქურთი მშრომელების დიდი სიყვარული დაუშინახურებია. მას თავის კეთილ საქმიანობაში სელი არავინ უნდა შეუშალოს, თორემ ვანა ცოტა ჩვენში ისეთი მუშაკი, რომელსაც ჭერ შევებულება არც კი ვაუფორმებია, წარმოება აწეწილ-დაწეწილი აქვს და ის უყვე სამგზავრო ჩემოდანს აშაადებს. ამ ახლგაზრდა კაცმა კი შევებულება სწორედ იმითომ აიღო, რომ ამჟამად უადგილო ადგილზე შეჩინარულ საავადმყოფოს უყოველდღეურ საქმიანობისგან გაათავისუფლებულიყო და

რაილი შახტის უფროსი აღარ არისო. სვადებს,
შეღაბონ მისი თავმოყვარეობა და შახტის ტე-
ლეფონისტების უფროსმა ვობეჩიშვილმა, რო-
მელიც ადრე ფიქვეშ ეგებოდა, ბინაზე ტელე-
ფონის მოხსნად დაუბარა.

ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით ჭიბ-
რაილზე, რადგან სწორედ შახთან არის დაკავ-
შირებული ნაწარმოების ძირითადი იდეური პა-
თოსი: არც თუ ისე იოლია, ადამიანმა იპოვოს
თავისი შესავალი ადგილი, ის ადგილი, რომ-
ლისთვისაც არის იგი დაბადებული და თუ კაც-
მა ასეთი ადგილი იპოვა, დანაშაულია მისი მო-
შორება ამ ადგილიდან მხოლოდ იმის გამო, რომ

რომელიც ბიუროკრატიულ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს.

ქონიერი მოხსენებ, მაგრამ ახლა ამოუხსნელი ამოცანად იქცა მისი შემცველობის პოვნა. მოვლ ტრესტში კაცო არ აღმოჩნდა, რომელიც შესაძლებელია უზნის უნართან გაძლივდეს. „უღიბლო-მოდებზე“ ზომ ლაპარაკო არ შეიძლება, მაგრამ დიბლომაინ ინტერბრესც ვერ ანდობენ ამ საქმეს. ასეთი ინტერბრესც ტრესტში საქმიოდ უყოფილან. მაგრამ იხინი, როგორც სარდიონი ამბობს, „შეზტებს ადამ და ევას დროს ჩამოშორდნენ“. მუშებს ზომ გავიგებაც არ უნდათ ასეთი „დიბლომაინებისა“. მუშებს იხეთი კაცო უნდათ, რომელიც მათი არა მარტო ხელმძღვანელი, არამედ მათზე ნამდვილი მწარუხველიც იქნება. ასეთ ხელმძღვანელად კი ეს მაინათ, ვინც კარგად იცნობს მათს შრომას, ე. ი. მათივე რაგებიდან არის გამოსული, ვინაც თავად გამოუტყდა რიგითი მუშაბტის შრომა.

და აი, ასეთ დაბნულ სიტუაციაში ქვანახშირის ქალაქში გამონჩნდა ახალგაზრდა ინჟინერი თეიმურაზ არქვეანიძე. მან „წითელი დიბლომაინი“ დაამთავრა სამთო ფაკულტეტო, ასპირანტურაში სასწავლებლადაც მისცეს რეკომენდაცია, მაგრამ ასპირანტურაში ადგილი არ აღმოჩნდა და იძულებულია, შებტში სამუშაოდ წავიდეს. გამონჩნდა თეიმურაზ არქვეანიძე და მამინვე დანიშნეს უზნის უფროსად, ჭიბრაილს ადგილზე, როგორც ჭიბრაილი მოხსენებ განსუტვლად, ასევე განსუტვლად დანიშნეს თეიმურაზი. ბოლოს და ბოლოს სარდიონ რაქვენიშვილს ვეღარავან უსაყვედურებს, უზნის უფროსად „უღიბლომო“ გუვსო. მასაც მოსწონდა დამინე ტყონისი და მისი მსგავსი ბიუროკრატების ღანძღვა-გინება. თავის შიროც, კი, საკუთარი სინდისის წინაშე თავს ასე იმართლებს: „მოთავარი, მინაგო, რისიც იხელი მაქვს, ისაა, რომ ჭიბრაილს, მაგ ეშმაკის ფებს, უზანი მართლაც საათივით ჰქონდა აწყობილი... უყოველშია მუშაბტემ. მისირიდან დაწუბებული და კომბინირ-მეზაგეებით დამთავრებული, თავისი საქმე წელმიწვეთი იცის. მოკლებდა და თავის საქმე გაუკეთებელს არ დატოვებს არც ერთი... ამ ბჭემა, ამ არქვეანიძემ მუშაობისა და საქმის გაკეთების მაგიერ უზნის დანგრევა, დაღუპვა და გაკამტერება რომ მოინდოშოს, რამდენიმე თვეს მაინც ვერაფრით ვერ მოახრბებს. მე შენ ველაპარაკებო! უზანი ინტერბრესც კიდევ დიდხანს უსაკლოდ იმუშავენს. გარდა ამისა, ჩვეიც აქ არა ვართ? თუ მაგ ბიჭს რამე გაუჭირდება, დავებმარტებით... მეტო ჩვენ რა გევალება?“

სარდიონის იმედი უსაფუძვლო როდია, მაგრამ რომანის ავტორი მიგვიანობებს, რომ ასე სააღბათოდ ნუ ვიხდითო საქმე... ახლა, რაც შეეხება თეიმურაზ არქვეანიძეს.

ჩვენ ჭერ არაფერი ვიცით მისი პრაქტიკული

საქმიანობის შესახებ, მას ზომ ჭერ მუშაობა არ დაუწვია, მაგრამ მისი ხასიათის ძირითადი კონტრებსე უკვე მოხაზულია და გვეჭერს, რომ იგი კარგი სპეციალისტია და კარგი ორგანიზატორიც უნდა დადგეს. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ მას მუშაობა მოუხდება ისეთ გამოცდებზე ხელმძღვანელებთან, როგორც არიან შებტის უფროსი სარდიონ რაქვენიშვილი და მარტული ხელმძღვანელი მინაგო ჩარკვიანი, მისი უზნის მუშაბტებზეც გამობრმედილი მშრომელები არიან. არც ეს არის გამოცდები, რომ თვით ჭიბრაილ ხელთუფლოშვილი გვერდში ამოუდგეს თავის შემცველებს და მუშაობის სიბრტულე გაუადვილოს. ამის შედეგად თეიმურაზმა შეიძლება ვაყოლებით მეტო წარმატებაც მოიპოვოს თვითონ და უზანიც უფრო დაწინაურდოს. მაინც, აქედან არ შეიძლება ეს დასკვნა გამოვიტანოთ, რომ თეიმურაზი იქნება იდეალური უზნის უფროსი. უკველ შემოთხვევაში, რამაშ კომბიჭის, ვუქრობო, ასეთი მინანი არა აქვს. რამაშ კომბიჭისთვის, ჩვენი აზრით, ასეთი იდეალი არ არსებობს. პირიქით, მწერალი ამ შემთხვევაში ერთხელ კიდევ გაუხსნამს ხაზს იმ გარემოებას, რომ სპეციალისტების მუშაბტებისას არ არსებობს რაღაც ერთიანი, საყოველთაოდ დაჯანოებული თარგი, ყველა სპეციალისტი ერთ გზას როდი გაივლის, ამ შემთხვევაში — უმაღლესი სასწავლებლიდან უზნის უფროსამდე (თეიმურაზი), ან, პირიქით, რაგითი მეზიგოს თანაშემწიდან უზნის უფროსამდე (ჭიბრაილი), არამედ მოთავარი, ვაღამეწვეტია მუშაკის პირადი შესაძლებლობანი და თვისებები, ხელმძღვანელობამდე მისასვლელი გზა კი შეიძლება, სხვაც მრავალი გამოიხატოს.

კიდევ ერთი ახალგაზრდა გმირია რამაშ კომბიჭის რომანში, რომლის ბედი, ჩანს, ავტორს აინტერესებს და მის შესახებ საქმიოდ ხანგრძლივადაც გვეხაზურება. ეს არის ნათია ავალიშვილი. ნათია ახალგაზრდა დამაში ქალიშვილია, რომლისთვისაც ოჯახურ პირობებს ღამის ცხოვრების აზრი დაუარგვიანება და გამოკიდებულა თეიმურაზ არქვეანიძესა და უსაქმურ ბესარიონ მაგარქველიძეს შორის. ნათის სახე თავისთავად სანატრესოდ არის მოფიქრებული. მაგრამ იგი ჭერჭერობით რომანში რამე მნიშვნელოვან ფუნქციას არ ასრულებს, ჭერ მისი თეიმურაზთან დამოკიდებულებაც კი არ არის ნათლად გამოჩვენებული და ამდენად იგი, მასთან დაკავშირებული ეპიზოდები, ორგანულად ვერ ერწყმის რომანის სიუჟეტს. მასზე გარკვეული აზრი მხოლოდ რომანის მომდევნო ნაწილების გამოკვეყნების შემდეგ შეიძლება გამოითქვას.

რამაშ კომბიჭის „გვიმრის ფოთლები“ მუშაბტეთა ცხოვრების ასახვებს და, ცხადია, ურრადლებს გარემო ვერ დარჩენიან რაგითი მუშაბტები, რომლებსაც თავანთი ადგილი საბო-

ლოდ გამოურყვევით და მეტის პრეტენზიებმა არცა აქვთ. ამგვარი აღმანიები რომანში საკმაოდ ბევრია და უნდა ითქვას, რომ ისინი ავტორს მართლაც ხახხლავსებდნენ, შთაბეჭდილვად დაუხატავს. მკითხველის ცნობიერებაში ღრმად იჭრება სახეები ისეთი მუშაბეჭდებისა, როგორც არიან გერასიმე, არქიფო, იორაში, ოტია და სხვ. მათ შესანიშნავად იციან თავიანთი საქმე და უფროსებსაც ამიტომაც აქვთ მათი იმედოტუღილი რაღაც მიმართავს მათ პარტორგანიზაციის მდივანი მინაგო ჩარკიანი უბნის უფროსის შეცვლას: „ამ საქმეში შახტის ხელმძღვანელობას ისევ და ისევ თქვენი და მხოლოდ თქვენი იმედი აქვს. ჩვენ გვჭირს არ გვეპირება, რომ თქვენ ჩვეულო სამტაყიპთა და გულწრფელობით ამოუდგებით მხარში ახალ ხელმძღვანელებს, მასაც ასწავლით, მისგანაც ისწავლით, და ჩვენი უბნის და შახტის საქმეებია ისევ საამაყოფ და სანაქებოდ იქნება“. ისინი ურველმზროვ საიმედო არიან, მათ მუშურ სინდისსა და ნებისყოფას არაფერი შეარყევს, მაგრამ ისინი მთავარი გზირებისთვის მხოლოდ უფსკი არ სქმნიან, მათთვის სულ ერთი როლია, ვინ იქნება მათი ხელმძღვანელი. ამიტომაც დღევანდელ ასე, როდესაც ხედავენ, რომ საქმე ფუჭდება, მათ თავიანთი თავდადებული შრომით მოხოვეს იმის უფლება, რომ ხელმძღვანელობას საერთო კრებაზე შეაკრად შეუძახონ: „ჩინბრაილი დაბრუნეთ თავის ადგილზე... ახლავი თავს ნუ იკვებთ ეს უფროსები! ისინი უფლებას არავენ მისცემენ, რომ მათი მუშური სინდისა ბოროტად გამოაყენონ და არა მარტო საერთო საქმე დაზარალონ, არამედ პირადი ცხოვრების მოწყობაშიც კი ხელი შეუშალონ. ცალთვალა გერასიმე ცნობილად ადგილკომის თავმჯდომარეს მარსხანელ მიმართავს: „ერთი ეს მიზრძანე, ეგ ახალგაზრდა დომი კი არა, კატა რომ გამოდგეს, უბანი ჩაიხროს, ჩვენ კი ხელიდან გამოვიცდით და სხვა შახტზე გადავიდეთ, მაშინ ხომ გადასაგდებთ ენებს, მუშური სინდისი არა გქონითო? თქვე, გადმოაგდებთ, თუ არა?“ ამით გერასიმე აფრთხილებს, რომ „მუშური სინდისიც“ ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არადამაქტრებლად გვიჩვენება ის ეპიზოდი, როდესაც არქიფო და გერასიმე წინასწარ მოილაპარაკებენ, რომ ჩინბრაილის ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით „შახტში ერთი ბიჭი „შიაფრენონ“, რათა ჩინბრაილი დაშინაყვე, გამოცდელი მუშა, დასაქონს, ოღონდ ახალგაზრდებს კუთა ასწავლონ.

მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს შახტის უფროსი სარდიონ რაქველიშვილი. როგორც მუშათა წრედან არის გამოსული, აღზრდილა მუშაბეტოა შორის და ახლაც, საკ-

მაოდ დიდი თანამდებობის მტოქე ჩვეულებრივი შეშახტის ცხოვრებით ცხოვრობს მანუთავისი ცხოვრების დევიზად გაუხდია ის, რომ „აღამაინი უბრალო უნდა იყოს, უბრალო ჩინმედლებს არ უნდა ხელი და ძალაუფლებებ არ უნდა გადაბრუნოს, თავი და ამხანაგები არ უნდა გადაგავიწყოს“. სარდიონი შესანიშნავად იცნობს მშრომელი მუშის ბუნებას. მუშაბეტებსაც სურათ მისი. მათ როდესაც გაიგებს ჩინბრაილის მოხსნის ამბავი, შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, სარდიონს მიმართონ, მაგრამ მათგან დასკვნებს, რომ სარდიონს აქ არაფერი შეუძლია. სარდიონის ნება რომ იყოს, ჩინბრაილს არც მოხსნიდა“. ამ დროს სარდიონი მძიმე მდგომარეობაშია, იმულებულია, დემორჩილის ბიუროკრატულად განწინებს, მაგრამ ყველაზე უფრო ის არუხებს, რომ ჩინბრაილის მოხსნის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და მუშები ახლოსაც არ ევარებიან. სარდიონი მინაგო ჩარკიანს მიმართავს: „რატომ მუშაბეტები არ მუშაბეტებან? შერამდენე დღეა, რაც ჩინბრაილის მოხსნის ბრძანება დაიწერა. შეგონა, შემოაყვებდებოდნენ და ცოცხლად მუშაბეტ-მეთქი, მაგრამ კაცოშვილი არ გამარტებია“.

— ვითომ შეურაცხდენენ? — შეეცოთა მინაგო და სარდიონმა კატეგორიული ტონით განაკრძო:

— ამ... შენც არ მომიყვდი მაგ ამბავს ახე ადვალად ვინ შეურაცხდება? იმით კი არა, ცეცხლი მე შეკიდება“.

სარდიონი გულის სიღრმეში დააშროთა უსამართლობამ და ერთხანს საუშოოდ სხვა შახტზე გადასვლაც კი გაიფიქრა, მაგრამ უშალვე დაჩქმუნდა, რომ ეს საერთო საქმის დალატი იქნებოდა, მისი ასეთი საქციელი კიდევ უფრო გააწვავებდა მდგომარეობას და ახლა მხოლოდ იმსლა ფიქრობს, რომ რამე მოიმიქმედოს მოხალღენელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მან იცის, რომ „ახლა ასეა საკირო“ და მართლაც. ისევ სარდიონის ტაქტიკაში მოქმედებამ გახდა შესაძლებელი მუშაბეტთა დამშვიდება და მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა.

კიდევ ბევრს სხვა პერსონაჟი იყრობს „გვიმრის ფოთლებიდან“ უფრადებას. ბევრი საკულისხმო პირობლემადგება მკითხველს წინაშე, მაგრამ ამჭრად მათზე საუბარი ნაღბრევალ მიგვანია, რადგან რომანი არ დამთავრებულა. როდესაც „გვიმრის ფოთლებს“ მომდევნო ნაწილებსაც ვავეცნობით, უფრო ნათელი გახდება, თუ რა სერიოზული თემისათვის მოუკიდია ბელი რამზ კობიეს და რომანის ავტორის სრულყოფილი განსჯა მაშინ იქნება შესაძლებელი, აყვამად ჩვენს ხელთ არსებული ნაწილი კი უფროვად კარგი დასაწყისია და კარგი დასასრულის გარანტიაც მიგვანია.

„ღ ა ლ ა ტ ი“

ჭერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ახალგაზრდა ალ. სუმბათაშვილი არსებითად ის-ის იყო გამოდიოდა დიდ სამოღვაწეო ასპარეზზე, ქართველ საზოგადოებას საუვედრო გამოუთქვამს, რომ დრამატურგი მშობლიური ლიტერატურისა და თეატრისათვის ვერ იცლიდა. ამ საუვედურს მან ვაზეთ „დროების“ ფურცლებზე საგანგებო წერილით უპასუხა, რომელშიც, სხვათა შორის, წერდა: „არის ერთი ავადმყოფობა, რომელსაც არავითარი წაშალი არ მკურნავს — ეს არის წუბილი საშობლოზე. უცვლელ პათოსთან კაცს აქვს ერთი რწმუნება და ეს რწმუნება არის მამულის საშახური... არის განა ქვეყანაზე ისეთი დამახინჩებული ვინმე, რომელსაც ეთქვას: „მე არ მოეყარს ჩემი საშობლო, მე არ მესმის მამულისათვის ზრუნვა, მე არ მინდა მისი საშახური?“ მე შევსწირავ მთელს ჩემს ღონეს საშობლო ლიტერატურაზედ ზრომას, როდესაც დავრწმუნდები, რომ შადა ვარ და შემეძლება ვემსახურო სასარგებლო მშრომელად“.¹

მართლაც, ალ. სუმბათაშვილს რაღაც საოცარი ძალთა და თავდადებით უყვარდა სამშობლო; ეს ხეყარული ამოტყვებდა და სტიმულს აძლევდა მთელ მის შემოქმედებას. 1880 წელს ფიცხვით მიცემული ხიტყვა მას მუდამ ახსოვდა და მისთვის არასოდეს უღალატია. სუმბათაშვილი თითქმის მეთოხნედი საუკუნე ეშნადებოდა იმისათვის, რომ შეექმნა ნაწარმოები, რომელიც გაავრძელებდა ქართულ მწერლობაში დამკვიდრებულ ტრადიციას საშობლოთ თემაზე.

პროფ. დ. ჩხიკვიშვილი ამზადებს წიგნს ალ. სუმბათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობაზე. იქ იბეჭდება ნაწივეტი ამ წიგნიდან. რედ.

1880 წელს ვაზეთი „ივერია“ იტყობინებოდა, რომ „...ჩვენს ნიჭიერ დრამატურგს ა. სუმბათაშვილს განუზრახავს საქართველოს ისტორიიდან პიეზის დაწერა“.² საგულისხმოა, რომ ქართველი საზოგადოებაც უცვლელ ბედსაყრელ მომენტს იყენებდა იმისათვის, რომ გაეძლიერებინა ალ. სუმბათაშვილის ინტერესი ეროვნული თემატიკისადმი. 1890 წლის 6 ნოემბერს კოტე მესხს ქუთაისის სცენაზე წარმატებით დაუდგამს ალ. სუმბათაშვილის „ბორკილები“. ამასთან დაკავშირებით იგი წერდა „ივერიის“ თანამშრომელ ა. ახნაზაროვს (ეს პიესა ქართულად ახნაზაროვმა თარგმნა), რომ მას ამ დადგმის შესახებ მოეთავსებინა წერილი ვაზეთში და ვაზეთის ეს ნომერია ვაეგზავნა ალ. სუმბათაშვილისათვის. კ. მესხი აღნიშნავდა, რომ ა. სუმბათაშვილს ესმოცენება ასეთი უურადლება და, ვინ იცის, შესაძლებელია ამან დააწერინოს კარგი პიესა საქართველოს ცხოვრებადანი.

ნიკო გვარამაძე იჯონებს ასეთ ეპიზოდს: 1908 წელს ალ. სუმბათაშვილი მცირე თეატრის მსახიობებთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. ვასტროლები და მოთმარებისას იგი ქართული დასის წარმოდგენას დასწრებია, უნახავს აქსენტი ცაგარლის „ხანუშა“. განსაკუთრებით მოსწონებია ნატო ვაბუნიას მიერ შესრულებული რამდენიმე ბაიათი. სამღერით აღტაცებული დიდი მსახიობი კულისებში შესულა და მადლობის ნიშნად ვადახვევია ნიჭიერ მსახიობ ქალს. საპასუხოდ ნ. ვაბუნიას უთქვამს: „საშა, შენგან არავითარ მადლობას არ მივადებ, თუ პირობას არ მომცემ, რომ ჩვენ, ქართველ მსახიობებს, ერთ პიესას დაგვიწერა! ხიტყვა მიუცია: ახლა ვწერ საქართველოს ცხოვრებიდან პიესასო“.³

აროგორც ჩანს, წლების განმავლობაში ეშა-

დებოდა დრამატურგი საამისოდ, სწავლობდა საქართველოს ისტორიას, მის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ წარსულს.

ამ პერიოდში არსებითად ახალ დაწვებულ იყო საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა. ჭერ კიდევ ცოტა იყო გამოქვეყნებული ისტორიული დოკუმენტება, ცოტა იყო ლიტერატურა, ამის გამო აღ. სუმბათაშვილი საქართველოს წარსულს სწავლობდა არა მარტო ქართული, არამედ არაბული, სპარსული, თურქული და რუსული წყაროების მიხედვით, ეცნობოდა მას დასავლეთ ევროპის ენებზე დაწერილ შრომებში. ამ მიზნით, მას საკანცელარო მრავალი კორესპონდენტი გაუჩენია, რომლებიც სპირობა ლიტერატურას აწვდიდნენ. ერთ-ერთი ასეთი კორესპონდენტი ელენე აბულაძე სწერს მას: „დაიბრების თანახმად ვიგზავნი თქვენი მომავალი რომანიისათვის ქანაშვილის წიგნის „ქართველი ქალების“ ზოგიერთი ეპიზოდის თარგმანს. შეხადლებელია გამოგადგეთ“.⁴

აღ. სუმბათაშვილი საქართველოზე მისაღებს ეძებდა მოსკოვის, პეტერბურგის, პარიზისა და სხვა ქალაქების მუზეუმებში „ღალატის“ დაწერის შემდეგაც. ამ მხრივ საკუთრივ-სხვა წერილი ვიწმ მე. თამაშვილის პარიზიდან, ხადა ეს უკანასკნელი აღ. სუმბათაშვილის თხოვნით ეცნობოდა ლიტერატურის საქართველობა და „ისლამის ქვეყნების“ შესახებ. მ. თამაშვილი წერს, რომ იგი გაეცნო ასეთ ლიტერატურას პარიზის ბაბლიოთეკაში და ბარათთან ერთად უგზავნის ა. მ. კარნოს წიგნს „ნარკვევები არაბეთის კულტურის შესახებ“. ბარათში იყო სია იმ წიგნებისა, რომლებიც მოიძებნება პარიზის ბაბლიოთეკაში სუმბათაშვილისათვის საინტერესო საკითხზე; ამასთანავე, კორესპონდენტი წერდა: „მე თანდართულ სიაში არ შევიტანე ყოველივე ის, რისი გაცნობაც საქართველოსა და ისლამის ისტორიის საკითხებზე შეიძლება ავალვის, ბარათების, მიუღერისა და სხვა თქვენთვის ცნობილი ავტორების წიგნებში“.

ამ სიაში საქართველოს საკითხებზე შეტანილი იყო: აღ. ხანაშვილის „ნარკვევები ქართული ხიტყუარების ისტორიიდან“ სამ ტომად (1801-1808), დავით ფრანკლანას „ძევის ანდერძი“ (1801), ნ. კონდაკოვის „ძველი ქართული არქიტექტურა“, მისივე ფრანგულ ენაზე გამოცემული ნაშრომები ქართული არქიტექტურის შესახებ, „ქართლის ცხოვრება“ ფრანგულ ენაზე (1855-58 წწ.), ნ. დუბროვინის „გეორგია XII — საქართველოს უკანასკნელი მეფე“ (1897 წ.), ვ. რომანოვსკის „ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები“ (1902 წ.), უსლარის, ი. ქავახიშვილის, აღ. ცაგარელის შრომები და ა. შ.

განსაკუთრებით მრავალი წიგნი იყო დასა-

ხელებული ისლამის ისტორიის საკითხებზე ფრანგულ ენაზე, რომელსაც აღ. სუმბათაშვილი კარგად ფლობდა.⁵

1893 წლის დეკემბრისათვის აღ. სუმბათაშვილს პიესის მთელი ჭარბა მოფიქრებული ჰქონდა. სახლგარეეთ დიდი მოგზაურობის შემდეგ, ამავე წლის მაისში, იგი საგასტროლოდ წამოვიდა თბილისში, სადაც დიდა წარმატებით ითამაშა რამდენიმე სექტატაში. საქართველოში ჩამოსვლას ის მნიშვნელოვად ჰქონდა, რომ ამ მოგზაურობამ ფსიქოლოგიურად შეამზადა დრამატურგი „ღალატის“ დასაწერად.

თბილისიდან აღ. სუმბათაშვილი მოსკოვში აპირებდა დაბრუნებას, რათა ჩასტუმროდა პიესას, მაგრამ მასთან ერთად საგასტროლოდ ჩამოსულ მეგობრებს ზეთის ველარ გაუტეხა და ივნისის პირველ რიცხვებში ოდესსაში გაქცა მათ გასტროლებზე. სწორედ აქ, ოდესსაში, 1893 წლის 21 ივნისს, დედის გარდაცვალების ერთი წლისთავზე, შეუდგა იგი „ღალატის“ წერას და დამთავრა ზუსტად ერთი თვის თავზე, 20 ივნისს, მოსკოვის მახლობლად, აგარაკ პარკოვსაში. ამ დროს მასთან სტუმრობდა ცნობილი რუსი ტრაგიკოსი ოსტუვევი მუდლითორთ. „ღალატის“ პირველი მკითხველი სწორედ ოსტუვევი აღმოჩნდა, რომელსაც პიესამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

დღეს ზოგიერთი გაყირვების გამოთქამას იმის გამო, რომ აღ. სუმბათაშვილია ერთი თვის განმავლობაში დაწერა თავისი შედეგრი. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ავტორი მას 20-25 წლის განმავლობაში ამზადებდა.

შეტად საინტერესოა დრამატურგის გამოწინათქამი თავისი პიესის შექმნის შესახებ. იგი წერდა: „როდესაც ვიწყებ პიესის წერას, ეს იმას ნიშნავს, რომ მე უკვე განვიცადე იგი, ავლელდი, ვიტანჯე მათ, დავუბლოკე მის სახეებს და მთავარი შემოქმედებითი შრომა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემს მიერ უკვე ჩატარებულია. მჩრება მხოლოდ ტექნიკური სამუშაო. მაგრამ, ამავე დროს, ეს ტექნიკური სამუშაო ისე ავითარებს და აფართოებს მოქმედ პირთა და მოვლენათა შინაგან, ფსიქოლოგიურ სამყაროს, ისე ერწყმება მათ, ვისზეც და რაზეც უნდა, რომ თუნდვც ერთი შტრიხის ამოშლა აუტანადედ დასახანაო“.⁶

ავიხტოში ავტორმა პიესა წაუკითხა მცირე თეატრის დასს, საიმპერატორო თეატრების მოსკოვის კატორის მმართველის ფონ ზოლის თანდასწრებით. მთელი დასი იმდენად აღფრთოვანებული დარჩა პიესით, რომ სარკეტურადრო სახელი დამთავრებოსთანავე, კულისებში დაიწყო მოთქმა-მოთქმა მსახიობებს შორის როლების განაწილებაზე. როლები განიწილდეს მცირე თეატრის წამუდანა მსახიობებმა: ერმოლოვამ, რიბაკოვმა, ლენსკიმ და თვით სუმბათაშვილმა.

1908 წლის 7 სექტემბერს „ივერია“ იუნკა-ბოდა, რომ აღ. სუშბათაშვილმა დაწერა ახალი პიესა „დალატი“, რომლის პირველი დადგმის უფლება მოიპოვა მოსკოვის საიმპერატორო თეატრმაო. ვაზეთი ვადმოსცემდა პიესის მოკლე შინაარსს და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მცირე თეატრის სცენაზე იდგმებოდა პიესა საქართველოს წარსულზე.

მცირე თეატრის სცენაზე „დალატი“ პრემიერამ ტრიუმფით ჩაიარა. თეატრი ამ დროს მძინე ფინანსურ მდგომარეობაში იყო და როგორც აღნიშნავდა მამინდელი პიესა, ბოლოს და ბოლოს თეატრმა ხელთ იგდო ისეთი პიესა, რითაც დიდხანს საყოველთაო აღიარებას მიაღწევდა. ეს იყო მთელი თეატრის, ავტორისა და მსახიობთა უდავო გამარჯვება, თუმცა თეათ აღ. სუშბათაშვილი თვლიდა, რომ მ. ერმოლოვას (ზეინაბი) და ლენსკის (ანანია გლახა) გარდა, სხვა მსახიობებმა ცუდად ან საშუალოზე უფრო დაბალ დონეზე ასრულებდნენ თავიანთ როლებს.

„დალატი“ საქართველოში. ცნობა იმის შესახებ, რომ აღ. სუშბათაშვილმა დაამთავრა მუშაობა „დალატზე“ და იგი მოიწონა მოსკოვისა და პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების სარეპერტუარო საბჭომ, თბილისში მოვიდა უკვე 1908 წლის აგვისტოში. მცირე თეატრის სცენაზე პიესის პრემიერის ტრიუმფმა, ცხადია, პიესისადმი ქართველი საზოგადოების ინტერესი გააძლიერა. აქ წერეთელი ამის შესახებ წერდა: „ამ სეზონში სუშბათაშვილის დრამამ „დალატი“ თავი იჩინა. მთელი რუსეთი აღტაცებით მიეგება მას. დგამდნენ ყოველ ქალაქში, სადაც კი თეატრი იყო, ზედოზედ, მიჭინებოთ, ანტერპრენიორებმაც სული მოიბრუნეს. რაღა თქმა უნდა, რომ ქართველებმაც ხელი უნდა ჩაეღოთ მისთვის“ და ქართული დრამატული დახის განვითარების წიერებზე შეუდგნენ საქმეს“.⁷

ვაზეთ „რუსსკაია მისლში“ პიესის ორიგინალის გამოქვეყნებასთან ერთად, ქართულად მის თარგმნაზე ერთმანეთსავე დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა ორმა ცნობილმა ლიტერატორმა: გრიგოლ ყუფშიძემ (1859-1923), რომელიც იმ დროს „ივერიის“ დროებითი რედაქტორი იყო, და კოტე მესხმა (1859-1914). ცნობილმა მსახიობმა, დრამატურგმა და საზოგადო მოღვაწემ.

გრ. ყუფშიძის თარგმანის პეკედვას ვაზეთი „ივერია“ შეუდგა 1908 წლის 17 დეკემბერს. ამის შესახებ „ივერიის“ რედაქტორის მოადგილე შიო დავიდავი აღ. სუშბათაშვილს წერდა: „ივერია“ თვლის სასახლოდ გააცნოს ქართველ საზოგადოებას თქვენი დრამატული ნაწარმოები „დალატი“ „რუსსკაია მისლში“ დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელიც სანი-

მუშოდ თარგმანა რედაქტორმა ყუფშიძემ. პიესა გამოქვეყნდება ფელეტონების განყოფილებაში და მისი ბეჭედა დამთავრდება წლის ბოლოსათვის. ამზე დროს რედაქცია ვარაუდობს გა მოსკოვს პიესა ცალკე წიგნად თქვენი პორტრეტით.

ვაგზავნით რა თქვენი ბრწყინვალე წინასიტყვაობის თარგმანს, რედაქცია იმედოვნებს, რომ თქვენ სასწებით მოიწონებთ ამ გადაწყვეტილებას“.⁸

აღ. სუშბათაშვილის თანხმობამ არ დაუყოვნა. 1904 წლის 5 იანვარს „ივერია“ ატყობინებდა აღ. სუშბათაშვილს: „თქვენი წერილის შინაარსმა გამოუთქმელი სიამოვნება მინიჭა „ივერიის“ რედაქციას, მის დროებით რედაქტორს გრ. ყუფშიძეს. გამოგონავენ ვაზეთის უველა ნაშერი, რომლებშიაც დაბეჭდილია თარგმანი, შეტდომები და უზუსტობანი, რომლებიც ვარდაუვალია ყოველივე სანქარო საქმეში, გათვალისწინებული და გასწორებული იქნება მთარგმნელის მერ ცალკე გამოცემაში, რომელიც ამ დღეებში გამოვა. ეგზემპლარები, ცხადია, გამოგვგზავნებთ“.⁹

რამდენიმე დღით ადრე თარგმანზე მუშაობა დაამთავრა კ. მესხმაც, რომელმაც 1908 წლის 17 დეკემბერს თარაღით პიესის დადგმანზე ცენსურის თანხმობაც კი მოიღო.

ქართული დრამატული საზოგადოების დასი, რომელსაც ამ დროს ავ. წერეთელი ხელმძღვანელობდა, ჭერ კიდევ ნოემბრის პირველ რიცხვებში შეუდგა პიესის დადგმისათვის მზადებას, მაგრამ პიესის ეს ორი თარგმანი ვახვამიზნი მწვავე უთანხმოებისა, რამაც დასი თითქმის განშეთქალებამდე მიიყვანა. ამან, ცხადია, პიესის დადგმის ვადები საოცრად გააქიანურა.

მაგრამ, ხანამ ქართულ დასში ამაზე დაობდნენ, 1908 წლის 7 დეკემბერს პიესის პრემიერა თბილისში უნდა იმართებოდა საზოგადოების“ რუსულმა დასმა. მიუხედავად დასის სუსტი შემადგენლობისა, სექტაკლმა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია და ეს დღე ტექნიკატად დიდ თეატრალურ იღვასწავალ იქცა.

მეორე დღით, 8 დეკემბერს, მოსკოვში გაფრინდა უამრავი აღფრთოვანებული დეპეშა, აღ. სუშბათაშვილის სახელზე, ჩვენ მოვლუანთ ზოგიერთ მთვანს, რათა სწორი წარმოდგენა გქონდეს მაშინდელი თბილისის საზოგადოების დამოკიდებულებაზე პიესისადმი.

„გაუპარტო „დალატი“ შემოქმედს; შემქმნელს ზეინაბისა, რომელმაც უკდავეო ქართველი ქალის სახელი. აღფრთოვანებულნი მოგესალმებოთ. ქართველი ქალები“.¹⁰

„მეორეს თანამემამულეს, რომელმაც ზეინაბის საოცარ სიტყვებში გამოხატა ჩვენი გულების საუფეთესო გრძნობები საყვარელი სამ-

შობლოს მიმართ, ვუძღვნიო უდიდეს მადლო-
ბას. დიდება ავტორს, რომელმაც წარსულის
მოკონცეპტით საშუალება მოგვცა განვიცადოთ
უძმობელია და ამავე დროს საუცხოოეს წუთები.
ქართული ინტელიგენტიბა“.¹¹

„ქართული პედაგოგები ვითლიან აღ-
ფრთხევანებულ მადლობას თქვენი დრამისათვის,
რომელმაც მოახდინა უღრმესი შთაბეჭდილება,
მიუხედავად მსახობთა თამაშის მრავალი დე-
ფექტისა. იაკობ გოგებაშვილი“.¹²

„აქვე მოგვყავს ნაწუვები აღ. სუმბათაშვი-
ლის ნათესავი ქალის ეპატორისა ჭაჭრისვილის
წერილიდან, რომელიც, ჩვენი აზრით, ინტე-
რესსმოკლებული არ არის. იგი სწერდა: „თქვენ-
მა პიესამ თბილისში იხეთი ფურცოი მოახდი-
ნა, რომ თქვენი სახელი და ნაწარმოების სა-
თაროი ყველას პირზე ადარა. შეც დავცწარი
სპექტაკლს და ვაუთი მოწმე იმისა, თუ რა-
დენ დიდი აღფრთხვენება და სიამოვნება მია-
ნიჭა პიესამ თბილისის საზოგადოებას. თეატრი
გუგუნებდა, შემახილებო და ტაშის გრადლი
ანანარებდა მის კედლებს, მოხუციები, რომ-
ლებსაც საზოგადოელ წარმოდგენაც კი არ აქვთ
თეატრზე, ამ დღეებში თეატრში დადიან. მე
თვლიან ვნახე ცრემლები მამაკაცების თვალებ-
ზე. ეს რომ რომის ეპოქაში მომხდარყო, თქვენ
დაფის გვირგვინს დაჯადოებდენ თავზე. ესლა
კი ეკაყოფილებოთ სიხარულითა და თქვენი
ტალანტის დიდებით“.¹³

დღეებების ნაჯალს დასასრული არ უჩანდა.
დიდი მადლოებების გრძნობითა და ხიყვარუ-
ლით აღხაზე წერილები გაუგავნეს ავტორს
„შინათობის“, „ცნობის ფურცლის“, „სახალხო
ფურცლის“, „თეატრი და ცნობები“ და სხვა
რედაქციებში, მისწავლებენა, თეატრისა და
ლიტერატურის მუშაებშია და სხვ.

ქართულ დასში კი, სამწუხაროდ, კინელაო-
ბა გრძელდებოდა. დასის ერთი ნაწილი
გრ. უფროსის თარგმანს უტერდა შპარს, მეორე
კი — კ. მესხისას. კ. მესხა ამტაცებდა, რომ
პიესის თარგმანის უფლება ავტორმა მხოლოდ
შას მიანიჭა და სპექტაკლის დადგმაც საყოთარ
ბენფიტსზე აქვს განზრახული. ამასთანავე, ზეო-
ნაბის როლის შემსრულებლად თავიბი დიხ,
ეფემია მესხის (1862-1914) მოწვევა განიწრა-
ბა, რომელიც ამ დროს ბაქოს ქართულ თეატრ-
ში მოღვაწეობდა. კინელაობამ იხეთი ფართო
ზახათი მიიღო, რომ პრესა ჩაერია მასში, ატყ-
და ბრძოლა ვაუთების შორის.

აკაკი წერეთელმა, რომელიც ამ სეზონში
ქართული დასის რეჟისორად მუშაობდა, სავან-
ებო წერილები უძღვნა ამ დეას „ღერციის“
ფურცლებზე. იგი პასუხობდა „ცნობის ფურ-
ცელში“ შის წინააღმდეგ კ. მესხის მომხრეთა
მიერ დაბეჭდილ წერილს. ა. წერეთლის სტა-
ტიიდან ირკვევა, რომ განუთქალებს მიწეში
იყო არა მარტო უთანხმოებანი თარგმანის სა-

კითხში, არამედ კ. მესხის ცდა — თვითონ გა-
ნებორციელებინა პიესის დადგმა. საქმე იხით
დაიწყო, რომ ა. წერეთელმა, კოტე მესხთან
შეთანხმებით, განაწილა როლები. მაგრამ რამ-
დენიმე დღის შემდეგ კ. მესხმა თეატრადან
წაიღო თავისი თარგმანი და სერეთოდ უარი
განაცხადა პიესის დადგმაში მონაწილეობის მი-
ღებზე. დრო არ ითმენდა, საქარო იყო გადა-
წვეტილებების მიღება. ა. წერეთელი იძულებ-
ბული შეიქნა დასადგმელად მიიღო გრ. უფ-
როსის თარგმანი, რომელიც, სხვათა შორის, სა-
განებოდ გამოყოფილი კომისიის დასვენით,
მესხისუფლ თარგმანზე უკეთესად იქნა აღიარ-
ბული. დაიწყო რეპერტიციები. მაგრამ საქმე
კვლავ გართულდა. ახლა პიესაში მონაწილეო-
ბის მიღებაზე (ზეინაბის როლში) ავადმყოფო-
ბის მომიჯნებებით უარი განაცხადა ჭერ ეფემია
მესხმა, ხოლო შემდეგ მისმა შემცვლელმა ნუ-
ცა ჩხეიძემ. მსახობი ქალის საყოთი რვეო-
ლუციამდე ქართულ თეატრში ყოველთვის
ერთ-ერთი რთული პრობლემა იყო, თეატრმა
შემცვლელი ვერსად იპოვნა და ამის გამო მუ-
შაობა პიესაზე შეჩერდა.

მაშინ ეფ. მესხმა უღტიმატემი წარუდგინა
დასს. მან განაცხადა, რომ იგი და მასთან ერ-
თად ნ. ჩხეიძეც დაბრუნდებოდნენ თეატრში,
თუ თეატრი მისი ძმის თარგმანით ისარგებლებ-
და და რეჟისორად იგი იქნებოდა.

აკაკი წერეთელი იძულებული გახდა მიეტო-
ვებინა თეატრი და ქუთაისში წასულიყო. „ქუ-
თაისიდან დავბრუნდო, — წერს იგი, — სწო-
რედ წარმოდგენის დღეს და უანასწენელ რეპე-
ტიციას დავეწარი, როგორც კერძო პირი და
კიდევაც საუველდრო გამოვცხადე: მე რად
გამოვიტოვებდი თეატრის რეჟისორად მეთქი“.¹⁴

1904 წლის 20 იანვარს თბილისის სახაზი-
რო თეატრში შედგა „დადატის“ პრემიერა კოტე
მესხის დადგმით, რომელსაც წარმატება არ
მოჰყოლია. მეტიც, როგორც ა. წერეთელი
წერდა, „დადატის“ პირველმა წარმოდგენამ
თავი მოსჭრა ქართველობას“. მაგრამ 21 იან-
ვარს კოტე მესხი დღემით ატუბონებდა
სუმბათაშვილს, რომ პიესას დიდი წარმა-
ტება მოჰწიდაო. ამავე დროს დასძენდა, რომ
სახლობებმა მაინც ვერ გამოავლინეს თავი,
როგორც საქარო იყო, თანამოხდენე დიდი მო-
წოდებებსა და აღფრთხვენების გარეშე.¹⁵ რო-
გორც ჩანს, სპექტაკლის მარცხი ძირითადად
გამოწვეული იყო იხით, რომ კინელაობის გამო
ვერ მოხერხდა როლების სწორად განაწილება.

მიუხედავად ამისა, სპექტაკლისაღმი ინტე-
რესი დიდი წყო. თბილისში პრემიერის შემ-
დეგ, 23, 24, 25 და 26 იანვარს, დასმა ოთხი
სპექტაკლი უჩვენა ბათუმსა და ქუთაისს. კ. მე-
სხი სუმბათაშვილს აქედან აღფრთხვენებულ
დღეებებს უგზავნიდა. აი, ერთი მათგანი: „დღეს
ბათუმში მეორედ, კიდევ უფრო დიდი ოვაციუ-

ბა, ხვალ მეორედ ქუთაისში, ვიხვევა ყველა მსახიობი“.¹⁶

მომდევნო სამ სპექტაკლს, რომლებიც თბილისში გააშარტა, დიდი წარმატება ჰქონდა. „ცნობის ფორცული“ აღინიშნავდა: „სახიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული დასი გამოსწორდა და სუბბათაშვილის განთქმული დრამა კარგად წარმოადგინა“.

სულ მალე ჯერ ეფემია მესხმა მოატოვა თეატრი, შემდეგ კი კოტე მესხმა. პირველი ბაქოში გაემგზავრა, მეორემ კი „მატარა ვაჟთის“ რედაქტორობა დაიწყო. ეფ. მესხთან ერთად ქართული სცენიდან ნუცა ჩხეიძე წავიდა. ქართულ დასს თბილისში ვ. გუნია (1882-1933) ჩაუდგა სათავეში. „დალატი“ დამკვიდრდა ქართული დასის რეპერტუარში. ოთარ-ბეგის როლში გამოდიოდა ვ. გუნია. წეინაბის როლში — კარგარეთელი, ბესოს ვასო აბაშიძე თამაშობდა.

1904 წლის 2 მარტის „ევერესი“ ავ. წერეთელმა დიდი რეცენზია უძღვნა „დალატს“.

რეცენზია გამოირჩევა საოცარი სიპატივითა და სარკაზმით. ადვილი შესაძლებელია, აკვირ, რომელიც ნაწუნე იყო დასზე, ვადაპარტი კრატული შეუხანების დროს, მაგრამ ისიც საკუთარსმში, რომ მას არ აკმაყოფილებდა ქართული თეატრის მაშინდელი პროფესიული დონე და იღწოდა იმისათვის, რომ ეგებ ამ წერილმა „სარგებელი მოუტანოს ქართულ თეატრს და დღევანდელი „კოკობია-ლანარობაის“ ნაცვლად, რომელსაც ჩვენ ნამეტანის ნდობით ხელოვნებად ვაღიარებთ, მართლა და ნამდვილმა დრამატულმა ხელოვნებამ მოიკიდოს ფეხი ქართულ სცენაზე“.¹⁷

იგი წერდა, რომ მსახიობმა კოტე ყოფიანმა „ვერ შეიგნო სულემიანის განსაკუთრებულ მსახიობი“, რომ ნაცვლად ძლიერაშოსიღებთ განდიდებული, გაყოფილებული მტარვალისა, რომელიც ფიქრობს, რომ „ჩემს მადლა ღმერთთა მხოლოდ“, კოტე ყოფიანი თამაშობს „აუწყნარუებულ“, ვნებამოყლებულ ბერკაცს, რომელი ძალს ატანს ყოველ თავის მოძრაობას, „ობრავს და ვინავეს“ სცენაზეო.

ქართულ სცენაზე, განაგრძობდა აკაი, ჩვენ ქრატრობით „არაიენ გვეგულება მართლა, რომ ოთარ-ბეგობა ხე შეზღუროდეს, როგორც გუნიას“, მაგრამ იგი იმ დღეს ის ვეღარ იყო, რაც უნდა ყოფილიყო, როლი ავანუდებობდა და შეიგა და შეგ კოკობობდა. სასცენოდ მომადლებულ მსახივ კერ მზარობდა“, აკაი მსახიობს გრინსა და ჩაცმულობასაც უწუნებდა.

აქ საჭიროდ მიგვიჩნია ერთგვარი გარკვეულობის შეტანა. საქმე ისაა, რომ ვ. გუნია იყო ოთარ-ბეგის უბედლო შემსრულებელი. არც ერთ მსახიობს არათუ საქართველოში, არამედ მთელ მაშინდელ რუსეთშიც, ისეთი მოწონება არ დაუშასხარებია ამ როლში, როგორც ვაღ-

რიან გუნიას. თვით ალ. სუბბათაშვილიც კი, რომელიც ოთარ-ბეგის როლს პრწინწვალდეს რულებდა, აღტაცებაში მოხუდა „ვალტრანს“ გუნიათ თამაშით. ეს იყო 1919 წელს; სხვათა შორის, მან პირველად „დალატი“ ქართულ სცენაზე წწორედ 1919 წელს, პრეპიერიდან 15 წლის შემდეგ ნახა. განსაკუთრებით მოეწონა მას ვ. გუნია. იგი ისეთი შთაგონებით თამაშობდა თურმე, რომ ცრემლმორთული ალ. სუბბათაშვილი ვაღაღენია მას და უთხრა: „უნდგან უნდოთ ვისწავლო ოთარ-ბეგის თამაშით“.¹⁸

„ქერ არსად გვეგულება ქართველებში მისთანა ვინმე. — ეწერა რეცენზიაში, — რომ წეინაბი უნდელად წარმოვაიდინოს“. მთი უმეტეს, ვერ შეძლებს ამ როლის შესრულებას ისეთი მსახიობი, „რომლისთვისაც, სულ ერთია, რა როლში და რომელ ამბულაში გამოიყვანენ მასო“. ასე წერდა აკაი კარგარეთელზე, რომელსაც, როგორც ჩანს, ეფ. მესხის თეატრიდან წასვლია შემდეგ, თავს მოახვიეს წეინაბის როლი.

მაგრამ ნამდვილი წეინაბი მალე გამოჩნდა ქართულ სცენაზე. 1904-05 წლების სეზონში წეინაბის როლს ქართულ დასში ნ. ჩხეიძე ასრულებდა. მის პირველ გამოჩენას ამ როლში დიდი მღელვარებით მოულოდა თბილისის საზოგადოება. და აი, 1904 წლის 2 ნოემბერს შედგა სპექტაკლი. როგორც პრებსა აღინიშნავდა, ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა დასძლია როლი. გაზეთების აღნიშნავენ ნუცა ჩხეიძის მალე ნიქიერებას, მას ღრმად გააზრებულ და ფსიქოლოგიურად დამატრებულ თამაშს, მითითებდნენ, რომ მას დიდი მომავალი აქვს ქართულ სცენაზე.

2. წერეთელმა მადალი შეუახება მისცა მხოლოდ ა. აბაშიძის თამაშს ბესოს როლში. ეს როლი მარტოც რომ ვასო აბაშიძის შედგერი იყო. იგი ასახიერებდა ქართველ მწრომელ კაცს. მისი ფიქრებთა და აზრებთა, ერთგულებთა და თავგანწირული ბრძოლით სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ეს იყო ტყვიანი, დაფიქრებული და ხალისიანი ადამიანი, რომელიც, ყველაზე უფრო მძიმე წუთებშიც კი არ მარტავდა ოპტიმიზმს.

ვასო აბაშიძის ბესო იყო ხალხის ჭეშმარიტად პატროსანი და ერთგული შვილი. მიესაშინ არის ასეთი ეპიზოდი: ოთარ-ბეგი მრისხანედ მისილი ბესოს: „ქუთუ რად გაზურავს, თავი ხომ არ მოგებურებთა?“ ამაზე ბესო გერლიანედ მიუგებს: „გზა და კვალი დამენბა, ბატონო, როცა სპარსელი ხარ, მაშინ ღმერთთა ნუ ქნას, რომ ქუდი მოვიხადო, და როცა ქართველი, ღმერთთა დანიფარობს, რომ დავიხურო“. ვასო აბაშიძე ამ ეპიზოდში აღწევდა წეშოქმედებას ისეთ ძალას, რომ დარბაზში გაუთავებელი ტამი გრიალებდა.

3. წერეთელს არაერთხელ გამოუთქვამს

მეცნიერებათა აკადემიის წევრები ქართულ თეატრში დაბალი სტენდარტის კულტურისა და დისციპლინის გამო. მას აწუხებდა ის გარემოება, რომ ქართულ სცენაზე მწიფად იზრდებოდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები, მსახიობებს შორის არ იყო დისციპლინა; ისინი თვითნებურად ცვლიდნენ ავტორისებულ ტექსტს, ამახინჩებდნენ ავტორის ჩანაწერს. ამის გამო მისივე შექმნილი რომელიმე გმირის ნაცვლად სცენაზე „ჩვენებურ აქტორებს“ ვხვდავთ. არტისტიკის უმეტესობა არ სწავლობდა როლებს, არ შერდებოდა გარეგნული, თუ რას და ვის თამაშობდნენ. თეატრის რეჟისორები არ მდიდრდებოდა ახალ-ახალი პიესებით და სხვ.

განსაკუთრებით აწუხებდა აკაკის ის ვარეშობა, რომ „წმინდა ქართლის ნაცვლად რადიკალურად შეცვლიდა ენა გვერდის სცენადას“. იგი ხაზს უსვამდა დასცილდა ამ მხახვარებს, რომლებიც ამხინჩებდნენ ქართულ ენას. „ვთი, მის უფროს-სმენას, — წერდა აკაკი, — ვინც კარგად იცის ქართული.. რამდენი ცალი ენისტიკა უფროს.. ვისაც უნდა, რომ ქართულ თეატრში იაროს, იმან უნდა ქართული დივიზუმი და შოქმელს გაუთანაწიროს“^[20]

ინტერესისმიერად არ იქნება, თუ მოკლედ შევხედავთ „დალატი“ თარგმანის საკითხს. უკვე ითქვა, რომ 1904 წლის დანაწილებაში პიესის ორი თარგმანი არსებობდა: გრ. უილმონისა და კ. მესხისა. საუბრისად გამოყოფილმა კომისიამ ამ ორ თარგმანში უპირატესობა გ. უილმონის თარგმანს მანიჭა. თუმცა მსახიობთა დიდი ჯგუფი აღნიშნავდა, რომ სცენისათვის კ. მესხის თარგმანი სჯობიან.

კ. მესხის თარგმანში შეყვანილი და გამოტოვებული იყო ავტორისებული რემარკები, შეწყობილი იყო დიალოგები; ზოგიერთი მონოლოგი მთლიანად იყო ამოღებული და ა. შ. ამას გარდა, კ. მესხმა თარგმანში პირდაპირ დაამახინჯა პიესის ზოგიერთი ადგილი.

მაგრამ არც გ. უილმონის თარგმანი იყო თავისუფალი ნაკლოვანებებისაგან. ამაზე თვით პიესის ავტორმა, ალ. სუმბათაშვილმა მისუთითა შეარქმენეს. ორივე აღნიშნული თარგმანით უკმაყოფილო აკაკი წერეთელმა 1905 წელს თვითონ თარგმნა „დალატი“, 1906 წელს კი იგი ნ. ავალიშვილმა თარგმნა. საუბრისათვის, რომ ილია ქვეყანაზე ამირება სუბმათეოლის ამ შედეგის თარგმანს, მაგრამ შემდეგ ვეღარ მოხერხდა ჩანაწერის განხორციელება.

ამჟამად არსებობს „დალატი“ ოთხი, თითქმის ერთდროულად შესრულებული ქართული თარგმანი, რაც ხაზს უსვამს იმდენად დადგინდეს ქვეყანაში და ვადაპირს ის დედა, რამაც 1903 წელს გაითავსებდა მიუყვანა ქართული თეატრის დასი.

ამ ქვეყანაში დადგენას უძღვნა ბ. ჟორ-

ხვამ თავისი ნაშრომი „ლექსიკონი დუბლეტებში „დალატი“ თარგმანებში“^[21] და წერს: ალნიშნავდა, რომ: „დალატი“ მთელი მწიფობა არსულ ენაზე, მანაც ბუნებრივად ავტორებს და ავტორებს ქართულ მწერლობაში და, კერძოდ, დრამატურგიაში დამკვიდრებული ისტორიული დრამის ტრადიციას („სამშობლო“, „და-მამა“, „კონსტანტინე პატონიშვილი“, „პატარა კახა“, „თამარ ციხერი“ და სხვა).

„დალატი“ არა მარტო თეატრულად და ენობრივად, არამედ, მისი ქართული თარგმანების წყალობით, ენობრივადც ორიგინალურად წაითხლება ქართულ ისტორიულ დრამებს, ესაა თარგმანების ურთიერთმსაგავების საფუძველი. სხვაობა კი მათ შორის უფრო მნიშვნელოვანია.

გ. უილმონის თარგმანი უფრო ახლოა დედანთან, მისში დაცულია თანმიმდევრობა დედნის ერთი და იმავე გამოთქმების გადმოქართულებაში. მაგრამ ამ თარგმანში იგრძნობა მწიფობრული ელემენტის სიჭარბე და ამდენად ნაკლებად მისაღებია სცენისათვის სასაუბრო ენის თვალსაზრისით.

კ. მესხის თარგმანში ნაკლებად იგრძნობა დიალოგის გავლენა, სცენურად უფრო მოხერხებულია, თუმცა შორსაა დედნისაგან და მხიარა არაუხეტი თარგმანის შემოხვევებიც.

ნ. ავალიშვილის თარგმანი აღსავსეა მყოფილი გამოხატული ქართულობით.

აკაკის თარგმანი ხასიათდება სიტყვათწარმოქმნის ფართო გამოყენებით, შესრულებულია სასაუბრო ენის პრინციპზე, რამაც გამოიწვია იმერული დიალექტიზმების დიდი სიჭარბე.

ოთხეუ თარგმანი შესრულებულია ერთიანი სალიტერატურო ქართული ენით. მდიდარია თარგმანების ლექსიკური ფონდი, თუმცა უზრავდებს იქცევს მრავალი ლექსიკური შეხვედრა, დამოხვევა; კ. მესხისა და გ. უილმონის თარგმანები, როგორც ცნობილია, შესრულებულია ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ამდენად ლექსიკური დამოხვევები შემოხვევით ხასიათობა. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას აკაკისა და ნ. ავალიშვილის თარგმანებში აღმოჩენილი ოთხმოცამდე ლექსიკური შეხვედრა. რაც შეეხება აკაკისა და კ. მესხის თარგმანებში აღმოჩენილ ასპროსურ შეტ და გ. უილმონისა და ნ. ავალიშვილის თარგმანებში სამას ლექსიკურ შეხვედრას, ეს, ცხადია, ურთიერთგავლენის შედეგი უნდა იყოს.

„დალატი“ სომხურ ენაზე, „ტარაზის“ რედუქტორი ტ. ნაზარანი ატუბონებდა მკითხველს, რომ „თავად სუბმათეოს უმწვენიერესმა პიესამ „დალატი“ ფურცლი გამოიწვია

სენი. შარშან ჩვენ შევიპირდით მკითხველებს, რომ გავცნობოდით ამ პიესას. ამჟამად სიხარულით უნდა განვაცხადოთ, რომ შესაძლებლობა გვაქვს ამ პიესის ბეჭდვისა, რომელსაც დაიწყებთ მომავალი კვირიდან“²²

და მართლაც, ეურნალმა „ტარაზში“ (№ 7) მომდევნო კვირას დაიწყო მწერალ ქალაქ ტარ-გრიგორიანის მიერ თარგმნილი პიესის ბეჭდვა. მანამდე იგი თარგმნა და ეურნალ „მურკში“ (№ 5-10) დაბეჭდა სომხური პოეზიის კლასიკოსმა ალექსანდრე წატურიანმა.

არსებობს „ლალიტის“ მესამე სომხური თარგმანაც, რომელიც 1920 წელს განახორციელდა ა. გრიგორიანმა.

აღსანიშნავია, რომ ა. წატურიანმა და ქ. ტარ-გრიგორიანმა „ლალიტის“ თარგმნა თითქმის ერთდროულად განახორციელეს და ამის გამო სომხურ პრესაში დიდი დავაც კი ატულდა. საქმე ის იყო, რომ ა. წატურიანს არა მკონდა მთელმთელი სათანადო ნებართვა ავტორისაგან პიესის თარგმნაზე და ამან საშუალება მისცა ეურნალ „ტარაზის“ რედაქტორს დავა აეტეხა ცნობილ სომხ მკვრიან.

ეურნალ „ტარაზის“ მე-17 ნომერში დამთავრდა პიესის ბეჭდვა, ხოლო მე-18 ნომერში დაიბეჭდა ა. სუმბათაშვილის პატარა წერილი, რომელშიც იგი განუმარტავდა სომხ მკითხველებს თავისი პიესის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს. ამავე წელს „ლალიტი“ ცალკე წიგნად გამოვიდა სომხურ ენაზე.

„ლალიტი“ სომხურ ენაზე ერთდროულად ბაქოს სომხურმა დასმა დადგა 1904 წლის 29 ოქტომბერს, ხოლო 1905 წლის 21 იანვარს იგი თბილისის სომხური დანის სცენაზე იქნა წარმოდგენილი. ამის შემდეგ „ლალიტი“ არ ჩამოსულა სომხურია სცენიდან.

1912 წელს თბილისის სომხური თეატრი საგანტროლოდ მოსკოვში ჩავიდა და თან „ლალიტიც“ ჩაიტანა. საეულისხმოა, რომ თეატრის საგანტროლო რეპერტუარის ოთხი სპექტაკლიდან ორი ქართულ თემას ენებოდა („ლალიტი“ და „მედიკი“). „ლალიტის“ სანახავედ მოვიდნენ ალ. სუმბათაშვილი, ივ. ნემირიჯიანი-დანიელი, კოტე მარქანიშვილი. უკვლას განსაკუთრებით მოეწონა ზეინაზის როლის შემსრულებელი. ალ. სუმბათაშვილს მისთვის ვარდებით სავსე კალოთი მიორთმევიდა, რომელშიც ბარათი იყო ანეთი წარწერით: „ჩემს ზეინაზს — ნიჭიან სარანუს“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ლალიტი“ ითარგმნა აგრეთვე გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ, ჩეხურ და სერბულ ენებზე.

დრამატული ლემბანდბ. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ „ლალიტის“ შექმნას წინ უსწრებდა ატორის ხანგრძლივი და ბჭითი მუშაობა საქართველოსა და აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებზე. ა. სუმბათაშვილი უაღ-

რესად განწყავებული, მაღალი კულტურისა და ერთდროის აღამანი იყო და საქართველოს ისტორიის საკითხების საგანგებოდ მუშაობდა თავისი შედეგი გამოიღო.

შეხანიშნავი ქართველი მეცნიერი, ქართველოლოგი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ხაზანაშვილი, მაღალ შეფასებას აძლევდა რა „ლალიტს“ როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, აღნიშნავდა, რომ მისმა ავტორმა შეძლო საქართველოს ისტორიის სპეციფიკური ხასიათისა და სულის ისეთი გაწვავადება, რომ პიესის სიუჟეტი შეიძლება მიენადგოს საქართველოს ბრძოლის დამოუკიდებლობისათვის ნებისმიერ ეპოქაში.

ეს მოითხოვდა არა მარტო დიდ მხატვრულ ტალენტს, არამედ ისტორიისა და კულტურის ღრმამეცნიერულ ცოდნასაც.

ალ. ხაზანაშვილის წერილი, რომელიც 1908 წლის 14 ნოემბერს დაწერილი, უცნობია მკითხველთა უმეტესი უცნობისა და სპეციალისტებისათვისაც კი. ამის გამო იგი თითქმის მთლიანად მოგვყავს:

„ღრმად პათიციკმული ალექსანდრე ივანეს ძე!“

ორი დღის წინ დავამთავრე თქვენი პიესის კითხვა, მაგრამ ჭერ კიდევ ვიყოფილები თქვენ მიერ შექმნილი საქართველოს შორეული წარსულის ტიპთა წარუშლელი შთაბეჭდილების ქვეშ. თქვენ სამართლიანად უწოდებთ „ლალიტს“ დრამატულ ლეგენდას. მართლაც, საქართველოს ისტორიაში არ მოიძებნება არც ერთი ეპოქა, რომელიც დეტალში შეესაბამებოდეს მოვლენათა მსვლელობას, რომლებიც თქვენს პიესაში ვითარდება. მაგრამ საქართველოს ისტორიაში არა ერთი სამწუხარო ეპიზოდი, რომელიც შექმნიდნენ „ლალიტის“ ფონს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის ისტორიულ გარემოებათა დამოხვევა, რომლებიც დრამაშია წარმოდგენილი, მაგრამ მათ აერთებს საერთო ხასიათი და სული, რაც ქრისტიანული ბიზანტიისა და მუსლიმანური სპარსეთის ზეგავლენის შედეგი იყო. პიესის სიუჟეტი შეიძლება მესადაგოს ნებისმიერ ეპოქას საქართველოს ბრძოლისა ქრისტიანული ჭრისათვის ისლამთან და გამუსულმანებულ მუსოხულ მთაულებთან. მაგრამ, ჩემი აზრით, პიესა ნებას გვაძლევს „ლალიტის“ მოქმედების დრო მთავაყოფვით საქართველოს თურქთა და სპარსთა ბატონობის ეპოქას, როდესაც ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ექიშებოდა. ამ ისტორიული თარიღის დადგენის საშუალებას მაძლევს თქვენ მიერ დრამაში მოხსენიებული „ახალიციხის ფაშა“, რომელიც მხოლოდ XVII საუკუნის დასაწყისში ხდება მუსლიმანი და საერთოდ ახალიციხე-ახალქალაქის მანრა პირველად XVII საუკუნეში შედის თურქეთის შემადგენლობაში. თავს ნებას

თუ შევადარებთ ქართველი ქალის ყოფას, — წერდა ა. სუზნაძისძე, — დღევანდელი მამამდიანი დედოფლის ყოფასა და მდგომარეობას და გავთვლიანსწინებთ, რომ საქართველო ხანგრძლივი დროის მანძილზე გარბნული იყო მამამდიანების ფეხქვეშ და მხოლოდ იშვიათად, და ისიც არა დიდხანს, საბაკო, გმირული თავდასრულებით, დაადრედა სოლმე თავს მუსლიმანების მძიმე უღელს, დაინახავთ, რომ ყველა ქართველი ვინც უნდა ყოფილიყო, დიდებული თუ მცირე, მდიდარი თუ ღარიბი, პატარისცემით იყო განწყვეტილი როგორც თავის თავის, ისე სხვათა მიმართ, ეს ქართველთა ერის ნიშნობარია თავისება, რომელიც ვერ წარმოვა მამამდიანურ სახელმწიფოთა ბატონობამ საქართველოზე.

ა. სუზნაძისძე ქართველთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლიდან გამოყოფს იდეოლოგიურ ბრძოლას, ბრძოლას ორ კულტურას შორის. მას მიანიჩა, რომ ეროვნული კულტურის დაცვათა ქართველი ხალხი იცავდა ქრისტიანულ კულტურას, რომელიც საერთო იყო ბიზანტიის, რუსეთის, საქართველოსა და სხვა ქვეყნებისათვის.

აღ. სუზნაძისძე იწინასწარ, „კულტურულ ბრძოლას საქართველოს ქრისტიანული კათოლიკობისათვის“ საკაცობრიო მნიშვნელობა ქონდა, რადგანაც ერის ცნობიერების სიღრმეში, თუთ უსაშინლესი დამოწყობის დროს, ეს კათოლიკობის ცოცხლობა როგორც სიმბოლო ამ სიმბოლოში იყო ის საკულტურო წმინდათაწმიდაც, რომელსაც ინსტიტუტად იმართებდა გულში საქართველო და არ ერიდებოდა იმისათვის არავითარ სისხლისღირას, თითქოს გრძნობდა, რომ, ადრე თუ გვიან, ეს წმინდათაწმიდა მტკიცედ დაეკავშირებდა „სიღრმეთა პატარა ხალხს მსოფლიოს დიდებულ ერებსა და ქვეყნებს, და რომ ბრძოლა ამ წმინდათაწმიდისთვის საღვთოსა და ხელშეწყვლად უფლებას მისცემდა ისე შეზღუდიყო მათს კრებულში, როგორც თანსწორი, როგორც ტოლი და ამზანავი“.²⁴

რომ არაფერი ვთქვათ ამ ფორმულის ერთ შეტად მნიშვნელოვან ასპექტზე, რომელიც მათთვისაც არსებითად საქართველოს შეერთების პროგრესულ მნიშვნელობაზე, რაზეც ა. სუზნაძისძე ვერ კმედდ რვესს საუკუნის დამაწყისში აღნიშნავდა, ამ დებულებაში საგულისხმოა ავტორის რწმენა ხალხის ძალაში, მის უტყუარებაში, თუ იგი საკაცობრიო იდეალებსათვის იბრძვის. რა იყო ის სიმბოლო, რომელიც ამოქმედებდა ხალხს სასიცოცხლო ძალეზე და უძლიერეს ზღადა მათ? ეს იყო ქრისტიანული კულტურა, ენა, სწავლა-განათლება, რომელიც სუზნაძისძის „ქრისტიანულ ჭარბში“ აქვს გამოხატული. იგი „შეინახა უ-

თავისად, — წერდა აღ. სუზნაძისძე, — ქართველმა დედოფალმა, ... შეინახა მამამდიანების სტიქტურად, მაგრამ ნამდვილად „ქართველთა“ შეგნებით ენაოდა, რომ იგი იყო მისი ხსნა, მისი თავისუფლება“²⁵ და შემდეგ: „საქართველოს ყოფა-ცხოვრებას ყველა ისტორიკოსი და მკვლევარი ერთხმად ამოწმებდნენ, რომ ქართველმა დედოფალმა დაიცვა სწავლა-განათლება საქართველოსი და რომ მისი როლი და მნიშვნელობა ფრთხილად დიდია ამ საქმეში. დედაკაცნი ზეპირად სწავლობენ საღმრთო წერილსა, ლოცვებსა, ქართველ მწერელთა პოეტურ თხზულებათა, თითქმის ყველა იცოდა. წერაკობსა და თითოერთი სცდილობდა მის გავრცელებას შინაური მასწავლებლებით, „ოსტატებით“. დედაკაცნი ამზადებდნენ თავიანთ შეილებს საბრძოლველად თვისის სამშობლო-სათვის, რადგან ამ სიმბოლოზე იყო დამყარებული ყოველივე მათი სასოება, ყოველივე იმედი მარანხანაში მონად ყოფნისაგან განთავისუფლებისა, ოჯახის დადგენისა ისე, რომ მისი სახელობა და პატარისცემის დამყვლად ყოფილიყო თვის დედაკაც და არა ზოგა ან საჭურისი, დედაკაც პირ-ბადე ნამოუფარებელი და არა ნადრში ვახვერული და პირ-მომურთილი, სიცოცხლოთვე დამარბული“.²⁶

მაგრამ ქართველი ქალები ინახავდნენ არა მარტო ენას, სარწმუნოებასა და კულტურას, ადრე და ზნე-ჩვეულებას, არამედ უკიდურესი განსაზღვრების ფაშს ამზადებდნენ ქვეყანას ახალი ბრძოლებისათვის მტრის წინააღმდეგ.

რაცა მტრის უღელი დაწვებოდა ერს, — „ისტორიულ ქართველ ქალებს“ მხოლოდ ერთი საზრუნავი და საფიქრებელი ქონდათ: სამშობლო, მისი თავისუფლება, დამოუკიდებლობა. ქალები ამზადებდნენ შეილებს სამშობლოს განთავისუფლებისათვის. „ეს შეილები, — წერდა აღ. სუზნაძისძე, — მარტო სისხლი და ზორცა ეს არ იყო მათი, არამედ სულიც იყო, იმედი და სასოება იყო მომავლისა“. ასეთი „დედაკაცნი ამზადებდნენ კაცებს“. აკაც წერებულად წერდა, რომ, თუ საქართველოში „შეინახა ღა დაიცვა თავისი ეროვნება... ამის მიზენი ქალები იყვნენ. დედები შეილებს ჭაჭუსთან ერთად აწოვებდნენ სამშობლოს სიყვარულს და მისთვის თავდადებას“.²⁷ როგორც წესი, ისტორიულად საქართველოში ქალები იყვნენ მთავარი ფიგურები საოჯახო საქმეში, რადგანაც მამაკაცებს არ ეცალათ ხანაო საქმეებისათვის. მაგრამ იყვნენ ავტორთვე ქალებიც, რომლებსაც საზოგადოებრივ საქმეს ყველაზე მაღლა აყენებდნენ, ესენი იყვნენ წამებულა ქალები. რამდენი ათასი ქალი მიღიოდა საომრად, რამდენი ასეთი ცოლი გვერდში ედგა ქმრებს ბრძოლის ველზე! საქართველოს ისტორიამ შემოინახა შენაინახა მთავალითები იმისა, რომ ქალი თან მიჰყვ-

ბოლო მამაკაცებს ომში, რათა მათი ღირსი და ღმერთი გაეზარებინა, ისინი მამაკაცის ქულს იხურავდნენ და ღერქაც თან მიჰქონდათ, რათა ღარისათვის მოეხვიათ, თუ ასეთები გამოჩნდებოდნენ. კაცობრიობის ისტორიაში თითქმის არ მოიძებნება მსგავსი მაგალითი ქვეთვან დედოფლისა, რომელმაც საკუთარი იდეალების დაღატაკ სიკვდილი ამჩნობდა. თვით აღ. სუმბათაშვილს მოჰყავს შესანიშნავი მაგალითი საქართველოს XIII საუკუნის ისტორიიდან, როცა ქალაქდღინმა აწმა და ამოწყვეტა 50.000 ქართველი ქალი იმის გამო, რომ მათ უარი თქვეს რწმენის შეცვლაზე.

აღ. სუმბათაშვილი გამოყოფდა სხვა, მეორე ტიპის ქართველ ქალებს, რომლებიც „ქვეყნის მოხსრების დროს, გადაიხვეწებოდნენ, ქედს არ მოუბრუნებდნენ მტერს... ამ დროს დედაცა და ძუცადა თავის შემოქმედების მუშაობას, შეიღვივთ გულში ატარებდა მომავალს და ზრდიდა ხანგრძლივად მხარუველობით, სიყვარულით“. ამ ტიპის ქართველი ქალები, სამშობლოდან მოშორებულნი, აღმოსავლეთის მხარეთელთა პარამანებშიც საქართველოს მომავალზე ზრუნავდნენ. ვაიხინებით ასეთი მაგალითი საქართველოს ისტორიიდან: მარამ დედოფალმა, დევან დადიანის დამ. — მიატოვა სვიმონ ვურგიელი და მისთხოვდა როსტომ მეფეს ამ განზრახვით, რომ სასახლის კარი საქართველოს ინტერესებისათვის გამოეხვეწებინა. როსტომ მეფე, გამოვლენილი საქართველოში მამამლიანური რელიგიის დასაწინააღმდეგებლად, მარამის ზეგავლენით თითქმის მთლიანად იზოლაციაში აღმოჩნდა. არსებობდა ქვეყანას მარამი მართავდა და, როგორც ცნობილია, მისი ზრუნვითა და ამაგიით ბევრმა მამ ვაყვითა ქართული კულტურის სარბილზე.

აღ. სუმბათაშვილმა სწორედ ასეთი ისტორიული ქართველი ქალის ზოგადი სახე შექმნა თავის „დაღატკი“. ესაა ზეინანი, გვირი, ქართველი ქალი, რომელიც თავის დაზავრდული და დაჰმონებელი სამშობლოს თავისუფლებისათვის, როგორც აკაკი წერეთელი წერდა, „ზეინანა შესწირა ქმარი, შვილი, დროებითად ქვეყანა და უყოვლადე ის, რაც კი მისს წმიდეთა-წმიდა მოვალეობას შეადგენდა, მხოლოდ იმ განზრახვას, რომ თავისი წამებული ერთა გამოხსნილი და თავისუფალი ენასა და კიდევ მოესწრო ამ მისწრაფებას. მართალია, სიყვარულით გაბორბტებული მისი შვილი შესცდა და უღალატა, მაგრამ ღალატი დედამ სიყვდილით მოაწინებია და თვითონაც ზედ დაეცა“²⁸.

ზეინანის სახე საკაცობრიო მწაშენელობის მხატვრული სახეა, რომელშიც განზოგადებულია პატრიოტი ქალის უველაზე კეთილშობილი ვრძობები სამშობლოს მიმართ. ზეინანი, ისევე როგორც პიესის სხვა გმირები, არ არის

კონკრეტული ისტორიული პირი, როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს ისტორიაში, შეუძლებელია მოვნახოთ რომელიმე კონკრეტული ეპოქა, რომელიც დეტალურად შეესატყვისებოდეს პიესაში აღწერილ მოვლენებს, ამავე დროს კი საქართველოს ისტორიაში მრავალჯერ ასეთი ეპიზოდი, რომლებიც ფონს უქმნიან პიესას. მთელი პიესის სულისკვეთება გამოხატავს საქართველოს ისტორიას მრავალი საუკუნის მანძილზე, როცა საქართველოში თარეშობდნენ თურქები და სპარსელები, პიესის თვით სიუეტური ხარა ამატურებს ზემოთქმულს.

სპარსეთის შაჰის მიერ გამოვლენილი სოლიდანი-ხანი საქართველოში ცეცხლითა და მახვილით შემოაჭრა, დაამარცხა და დაიპყრო იგი. მან მოკლა ქართველთა მეფე თეიმურაზი და უბრძანა ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრე ერეკლე ცხენის ფლოკვებით გაეხრისათ. ჭერი თამარ დედოფალზე მიდგა, მაგრამ მისი სილამაზით მოხიბულთმა სოლდანიმმა პერსი აღმართულა მახვილი ჯამოუშვა და თამარი თავის ხასხა გაიხადა. ვუმონდელი დედოფალი, რომელიც დიდ და ზედიარ ქვეყანას მართავდა, სოლდანიანს მარამხანაში აღმოჩნდა. მან უარი თქვა თავის რჯულზე, ერწმუნა მამადს და ნათელი „ერთგულებით“ შეუდგა სოლდანიანის პოლიტიკის გატარებას. ერთგულად ემსახურება სპარსელ მმართველს თეიმურაზ მეფის უფილი ვეზირიც, რომელიც სპარსეთის კარზე ოთარ-ბეგად მოინათლა. ოთარ-ბეგი, ოდესღაც საქართველოს საეფოს პირველი ბურჯი, დღეს დედნის ქართულ ენას, ქართულ ადოსა და რჯულს, ოთარ-ბეგი უველაფერს აუტებს იმისათვის, რომ სოლდანიანს ნდობა დაიმახუროს და უფუფუნებაში იცხოვროს.

ასეთები ზომ მართლაც ბევრნი იყვნენ ქველ საქართველოში, რომლებიც „თათრობის დროს“ უველაზე დიდ თათრობას ჩემულობდნენ. ერთი შეხედვით, ასეთივე მოღალატეა თამარ-ზეინანი, მაგრამ სინამდვილეში ის გულში იხსავს უდაღებს საიდუმლოებას. ოცი წლის განმავლობაში უარულად, უდაღებს სიფრთხილით აწხადებს ხალხს აჯანუებისათვის, რათა ბოლო მოუღოს მტრის ბატონობას. ოცი წლის მანძილზე უარულად ზრდის იგი ტახტის მემკვიდრეს, რომელიც სოლდანიანს მკვდარი პგონია.

როდესაც ეამი დადგება, ზეინანი თავის საიდუმლოს უშეღავნებს ოთარ-ბეგს და მოითხოვს მისგან ერთგულებას სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში; გაკვირებული ოთარ-ბეგი ეთხოვება დედოფალს: „თუ ასე გქუელდა სოლდანიანი, თამარ, ნუთუ ვერ ჩივიდე ზედში დრო გაგვეგონა გული მტარვალისა?“ ზეინანი უპასუხებს: „ოთარ, განა დარდა შურისძიებისათვის გაიწერა უყოველი-

